

119/4
1982

ISSN 0133-599X



გეოგრაფია

1

1982



ქვეთოვი

ქვეთოვი ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-კულტურული შურობის

წელიწადი 59-ე

№ 1

იანვარი, 1982 წ.

საპარტვილო საზოგადოებრივ-კულტურული შურობის ორგანო

შინაარსი

ქოლაუ ნადირაძე — ცვლილებები, ლექსი	3
დალილა ბაბინიძე — ლექსები	7
იაქობიძე ალგორთი — ლექსები, თარგმანები, ზეზუა ზარანდელაძე	11
მთაბერძენი — ლექსები, მოთხრობა	13
იკბალი ზაზაძე — ლექსები	21
ბაბაი ჯორჯიაძე — ლექსები, მოთხრობა	25
მერი ბარბახიძე — ლექსები	36
მანუკიანი — ლექსები, მოთხრობა, რომანი	38
თენგიზ კობახიძე — ლექსები	78
ალექსანდრე ბახალაძე — ზეზუა, თარგმანი, რომანი	79
იონან ვოლფანგ ვოთე — ლექსები, თარგმანი, ზეზუა	91

კრიტიკა და კულტურული

გიორგი ნატოშვილი — ლ. ი. ბარბახიძის „მომხრობის“ ლიტერატურული თარგმანი	101
ლამარაძე დიმიტრი — ისტორიკოსის კომენტარი	109
ბაბაი ზაზაძე — ანთროპოლოგიკა	124
სულხან მარჯანი — კომენტარი	131
ანდრე ბრახიანი — ხალხთა მშობის კომენტარი	144

მეცნიერება

იონან ვოლფანგი — კრიტიკის კართული ლიტერატურული სკოლის ისტორიისათვის	150
მთაბერძენი — კრიტიკის ლიტერატურული ისტორია	163

წიგნების მიმოხილვა

ვალერიან იმედიანი — წიგნი კართულ ტრადიციის ისტორიისათვის	173
---	-----

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ბრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერუ-
ლაშა, ო. გიგინეიშვილი, ა. გომიაშვილი, ა. კალაძე, მ. ლეგანიძე,
ლ. მრეაშვილი, ა. სულაბაური, ა. ჭუთათელი, ნ. წულეისკირი,
ვ. წულუკიძე, ო. ზილაძე, ვ. ხარბანაული, რ. ჯავახიშვილი, ვ. ჯიბლაძე.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11. უფ. 06043. ტირაჟი 26.300. შვეც. 21 სპ. კვ.
მთ. რედ. მოადგილის — 98-55-18, განყოფილების გამომცემლობის სტამბა, თბილისი. უფ-
ლებების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20. ნინის ქ. № 14.

გადაეცა ასაწობად 6.1-82 წ., ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 28.1.-82 წ., ანაწობის ზომა
71/4X12, ქალაქის ფორმატი 70X108/16.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11. პარობითი
ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრს-საგამომცემლო
თაბახი 16,58.

კოლაუ ნადირაძე

ცვალებადობა

Дни осени бранят,
обыкновенно,
Но мне она мила, читатель
дорогой.

აღ. პუშკინი

ედვინება ღელი ხოტივარს

„ფ ა ც ხ ა“

(გახაუბრება მკითხველთან)

შემოდგომაა
ჩვენებური,
ჩვენი,
გვიანი,
მე მიყვარს იგი!
მიყვარს ძლიერ
სურნელება
მისი ჭკნობისა,
მისი ღიმილი
სხვანაირი,
ნაზი და
მორცხვი,
მისი ღღეები
ზოგჯერ მზიანი...
თვით მზის
ნათება,
ხანმოკლე
მეტად და
სევდიანი,
მწუხრის წუთები,
როს, ფიჭრიანი,
ვარ განდგომით
მყუდროდ,

ოთახში,
ჩემს პატარა,
მყუდრო ოთახში,
რომელსაც ახლა,
სიყვარულით
ვეწოდებ
„ფაცხას“...
თბილისი,
თითქოს,
ჩასმულია
ოჭროს
ჩარჩოში!
ოჭროს
პორფირით
შეუმკიათ
დედაქალაქი —
ჩვენი მშვენება,
დედისრძიანი
სატახტო ჩვენი!
მიყვარს
და...
მართლა
ვარ ბედნიერი!

კ. შარქისის საბ. საქ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

17500

მხოლოდ
 მსურს
 ჩემებრ,
 ჩემო მკითხველო,
 დღეს რომ
 შენც იყო
 მხნე,
 ბედნიერი,
 ჯანით და
 სულით
 ისევ ძლიერი!
 მსურს
 ჩემებრ იყო
 მხიარული,
 ალერსიანი!
 ო, მომიტევე,
 ამ სიტყვებზე
 თუ გაგოცა
 ან შეგაშფოთა!
 ამის მიზეზი,
 უპირველეს,
 იყო უბრალო:
 დღე, დილიდანვე
 იყო უქარო,
 იყო მზიანი
 და... დილიდანვე
 ამის თქმა
 მსურდა
 შენთვის,
 უცნობო,
 შორეულო
 და კეთილო,
 ჩემო მკითხველო!
 მართლაც,
 არ მესმის
 ასეთ-საოცარ
 სიუხვით
 ოქრო
 ქუჩებში,
 ნეტავი
 ვინ მოზიდა,
 ვინ დააგროვა?
 მაგრამ სიუხვე,
 გულგაშლილი
 დარდიმანდობა
 მშობლიურ მხარეს
 როდის ჰკლებია?

რა ვუყოთ მერე,
 თუ ეს ფოთლები,
 ქვეულნი ოქროდ,
 მშობლიურ ტოტებს
 ვეღარ სწვდებიან,
 თუ სავალალოდ
 მიწაზედ
 ჰყრიან,
 ვეღარ გალობენ,
 ნაზი ჩურჩულით
 და სიგრილით
 ვეღარ გეწყალობენ?
 რა ვუყოთ მერე!
 ჩვენც ხომ
 სულ მალე
 ხმა ჩაგვეხშობა!
 მაგრამ...
 ჯერ კიდევ
 ნუ ვრაზავთ
 კარებს!
 ამაზე
 სხვა დროს,
 შემდეგ
 ვიმსჯელოთ,
 სხვა დროს
 ვიფიქროთ,
 ჩემო მკითხველო!
 ცოტა დრო
 კიდევ,
 თუ არ ვცდები,
 ჯერ მაინც გვრჩება,
 თუმცა...
 ვინ იცის!
 აქ კი
 მსურს ისევ
 შევჩერდე
 ოდნავ,
 და შევეცადო,
 როგორმე ავცდე
 ტაბიძისეულ
 „მესაფლავებს“
 გადაძლერებას!
 წესიერ პოეტს
 ასეთი რამ,
 ვგონებ,
 არც კი შეეფერება..
 ახლა „ფაცხაში“

მე მუუდროდა ვარ
თბილა,
არ მცოვია!
პოეტს ხომ მეტი
რა სჭირდება,
ისევ ხანდაზმულს,
ესოდენ ხნიერს?!
მადლობა გამჩენს!
თანაც ქარი
ველარა მწვდება!
თუმც გააფთრებით
ასკდება სარკმელს...
უხედავ, რომ ცდილობს
ჩამილევოს
სარკმლის მიწები,
მაგრამ ამაოდ!
და...
უფიქრობ ასე:
უამს გაჭირვების
განა ოდესმე
ვინმესთვის
საუვედური მითქვამს პატარა?
ან მითხოვნია
შებრალება
თავხრილ მუდარით,
ხელის გაწვდომით?
ან მსგავსად
ლერმონტოვის „წინასწარმთქმელის“
არ მიცხოვრია —
«Как птицы даром божьей пищи»
ამ ცოდვილ ქვეყნად?!
ო, როგორ არა,
არა ერთგზის,
ბევრჯერ,
ბევრჯერ,
ჩემო მკითხველო!
და ეს შეგნება
მე მაშვიდებს,
თანაც მაწყნარებს,
მაწყნარებს ფიქრი,
რომ არავის,
უცვე არავის
ალარ ვჭირდები!
კიდევ მადლობა,
მადლობა გამჩენს?!
საოცარია, მაგრამ ეს ხედარი —
განაჩენი ჩემი ბედისა —

უხედავ სწორია,
იგი უცვე
არ გარდიქმნება!
რა ვუუოთ მერე!
უოფილა ასე,
ასე არის
ასე იქნება!
„ფაცხაში“ მაინც
კარგი არის
წარსულზე ფიქრი,
შენს წინ ცხოვრების,
მთელ სიცოცხლის,
წიგნი იშლებს!
თანაც, საუვარელ,
ჩემს ნოაჩ
ატმის ხეს
ქარი არა ხრის,
უფოთლოდ შთენილს
ვერ წეწავს იგი,
ველარ აწამებს!
ეთქვი, რომ კარგია
მოგონება შორი წარსულის...
რა მოაქვს ამას?
ღრმად შეხორცებულ იარების,
უცვე ჩაკირულ ჭრილობების
ხელახლა გახსნა!
დარჩენილ დღეთა
წუთების, წამთა
გოდებით ხარჯვა!
ისევ ტკივილი,
ისევ ცრემლი,
ისევე ტანჯვა...
ჩემთან ერთად,
ერთ ემბაზში
მირონცხებულნო,
ხმას რატომ
არ მცემთ?
ელვისებრ ყრმობის
თანაზიარნო,
რა დუმილმა,
რა სიჩუმემ
შეგიაყროთ ასე,
ჩემო კარგებო?!
მანუგეშებლად
შენ შემჩნი მხოლოდ,
ო, მუზავ ჩემო!

შენ ერთადერთი
 მათენ სხივებს,
 მიტოვებ ძალას,
 რომ ისევ
 მწამდეს,
 ისევ მიყვარდეს,
 ისევ და ისევ,
 შთაგონების
 ცეცხლი რომ მწვავდეს,
 ისევ ვიწვოდე!
 კვლავ სათნოებით
 რომ ვუცქირო
 ყოველ სულდგმულს
 და ადამიანს,
 ვინც ჩვენი ქვეყნის
 სიდიადით
 ცოცხლობს და ხარობს,
 ვინც კი ამ გვიან
 შემოდგომის
 ავღრიან ტაროსს,
 ჩემებრ,
 „ფაცხაში“ ეგებება,
 შვებით შეხვდება!
 ვისი ოცნება

მცირედით კმარობს,
 თაყვანისცემით,
 რომ იგრძნოს
 ქვეყნად
 გაჩენის მაღლი
 უზენაესი!
 იგრძნოს
 სიცოცხლის მშვენიერება!
 აქ კი სჯობს ახლა
 დავსვათ წერტილი!..
 ნუ ჩამომართმევ კადნიერებად,
 მკითხველო ჩემო,
 თუ, ოდნავ მაინც,
 გადავცდი ზომას!
 ნუ დამსჯი მისთვის
 რომ მიყვარს ჩემი
 მართალი გულით,
 (იგი არასდროს
 არ ყოფილა
 შურით გართული!)
 ჩვენი გვიანი შემოდგომა,
 შემოდგომა ჩვენი, ქართული!

1981 წ. 30 დეკემბერი.



დალილა ბედიანიძე

მხდაორი

სიყვარული გადმოშეცა მემკვიდრეობით
და ყველაზე ბედნიერი მემკვიდრე ვარ მთელ ქვეყანაზე.
ვიდრემდე თვალებს დავხუჭავდე
და ვიდრე ჩემს სულს ჩემი სხეულით არ მობეზრდება,
სულ ოცდაორი წლის ვიქნები
და კი არ ვივლი, სულ ასე ვიფრენ.

ღიახ, ბატონო, სულ ოცდაორი წლის უნდა ვიყო!
ოცდაორი რძისფერი კვიცო
ჯიშინი, ამაყი, ფიცხი
მალა-მალა უნდა მიქროდეს საძოვრიდან საძოვრისაკენ
და მეჯოგე ვერ ეწეოდეს.
ღიახ, ასე უნდა ეუსმინო მაგნიტოფონს,
რადგან როცა ჩემზელა იყვნენ დედაჩემი და მამაჩემი,
სწორედ ჩემთვის, ჩემთვის ჩაწერეს ასე ხმამალა
მთელი კასეტა.
ღიახ, ასე უნდა ვიცეკვო გადარეულმა და
ფრთებგაშლილმა

და მეგონოს, შენთან ვცეკვავ!
ყოველ ბედნიერ ბილეთს უნდა შევევედრო შენთან
შეხვედრა,
ყოველ ფინჯან ყავას ჩაუთქვა, ჩემთან ერთად შენ
გამოხვიდე.

რამდენჯერაც მაჩაბელზე ავიარო,
იმდენჯერვე მოველოდე, სადაცაა შემეფეთები...
თუმცა სულ შენთვის ვეშზადები,
მაინც ყოველ შეხვედრაზე მიკვირს, როგორ შეიძლება,
მართლა შემხვდე...

ისე... უბრალოდ, როგორც — სხვები...
ოპერაში... კანაშვილზე... გაჩერებასთან...

მიკვირს, როგორ შეიძლება, შენ ჰგავდე იმ სხვებს,
როცა მართლა არვის არ ჰგავხარ...
ვისაც არ უნდა ჰგავდე, მაინც არვის არ ჰგავხარ,
რადგან მხოლოდ შენ გაიგებ, როცა გიყვები
ჩემი სამსახურის ცემენტის კედელს
თავგანწირვით რად ეკვრის სურო
და ეზოში რად გვიქნევს ხელებს პატარა ნაძვი,
გვერდს რომ ჩავუვლით...
სასწაულია, სასწაული სიყვარულით თვალის ახელა...
და მუდამ ასე განცვიფრებული,
სულ ახალი სასწაულების მოლოდინში
ახლადახელილ თვალებით და აღერილ კისრით
ოცდაორი რძისფერი კვიცი
მიჭრის, მიჭრის
მეფოგისაგან გამოქცეული.
დედაჩემი მეტყვის ხოლმე, ჰკუა არ უნდა ისწავლოო!
სიყვარულზე ჰკვიანური აბა, მითხარით, რა ვისწავლო,
ან უკეთესი თან რა წაილო, ვინც წავიდა უსიყვარულოდ?
ვიდრემდე თვალებს დავხუჭავდე
და ვიდრე ჩემს სულს ჩემი სხეული არ ემძიმება,
ვიფრენ და ვიფრენ ამ ქალაქში...
სულ ოცდაორი წლის ვიქნები წლების ჭინაზე,
იმათ ჭინაზე, ვისაც სჯერა,
რომ სიყვარული თავშია და არა — გულში.

ფეხი დაადგა მითქმა-მოთქმასა და ჰორებს
და მხოლოდ ასე ამაღლდე, თუ მოინდომე, მაღალი იყო,
სათქმელად იოლია,
ისე კი — ძალიან, ძალიან ძნელი!

ბედნიერი ბილეთი

ბედნიერი ვარ! ბედნიერი ვარ!
დილას ორ ნომერ ტროლეიბუსში ბედნიერი ბილეთი
შემხვდა.

სევდა-სევდაო, განვედი ჩემგან!

ოჰ, მჯერა, მჯერა, რაც ჩავუთქვი,
ყველაფერი ამისრულდება:
კარგად გახდება დედა,
ინგლისურს ფრიალზე ჩავაბარებ,
მეცხრე სართულის მეზობლისაგან
არ ჩამოგვივა დღეს მაინც წყალი,
ჩემზე ლამაზი, ჩემზე ჰკვიანი,
დღეს არ გაივლის ქუჩაში ქალი.

და თუ ვიყავი სიყვარულისგან ნამტირალევი, დამენათევი,
აუცილებლად, აუცილებლად დღეიდან ყველას
შევეუყვარდები!

დაღამებამდე ესეც მეყოფა!
ხელს ისე ვუქნევ ტროლეიბუსს, როგორც — მეგობარს.
რა თავნება ხარ, სიხარულო, ო, რა თავნება!
რა გიყო ახლა? სამსახურში მაგვიანდება!

გავრბივარ, ვითომ ცელქი ბიჭი ვარ,
ბილეთს ვინახავ და მემღერება...
მომეშველება, თუ გამიჭირდა,
ამდღევანდელი ბედნიერება.

დიასახლისი

ვგვიდი და ვგვიდი...
დღე ილეოდა,
სახლში ნაგავი — არა!

ვრეცხე და ვრეცხე...
დღე ილეოდა,
სახლში სარეცხი — არა!

ვხარშე და ვაცხვე,
დღე ილეოდა,
სახლში მჭამელი — არა!

და იმათ როცა აღარ შიოდათ,
სუფთა ხალათს ჩაიცვამდნენ
და მიდიოდნენ...
მოშიებამდე..

მე კი იმათთვის
ვგვიდი და ვგვიდი...

მე დავილიე...
სახლში ნაგავი — არა...

შეუყვარება

სამი დღეა მიწისძვრაა,
სამი დღეა სული ინგრევა.

საგალობელთა ბადე გაგლიჯა და ცას შეასკდა
კვილი უცხო და-გარეული,
მეც ამიყოლა.

დიდ ქვაბში ვერ ვეტევი და პატარაში ლაღადა ვარ,
რა მეშველება
მშვიდობით ჩემო რეჟიმო,
მშვიდობით ჩემო ჩალის საბუდარო!

ვზივარ მიწისძვრას ვაყურადებ გარინდებულო,
მიკვირს სხეებმა როგორ გადაიტანეს,

ერთხელ იქნება ყველას კარზე სიკვდილივით რომ
 მიადგება

სიკვდილივით არ მოეშვება.
 ნუთუ ისაა
 მინდა დავემხო და ვიქვითინო
 ვიტროო და არ გამოვფხიზლდე.

ხომ მოვკვდები და
 სიყვარულით მომკალი ღმერთო, სიყვარულით,
 რომ ვერ გავიგო.


ირყევა მიწა,
 ვერ გადავრჩები.
 ვერ გადავრჩები.

სურათი მზისით

და როცა მეზღვაურები ტრალერს გადმოტვირთავენ,
 ცარიელ გემბანზე ისხდნენ, ეწეოდნენ, ცას უყურებდნენ,
 ცოლ-შვილი აგონდებოდათ და თვალმოკუტული
 ფიქრობდნენ
 ერთი რეისიც და — აღარ წავალთ ზღვაშიო...
 და მაინც ზღვისკენ რჩებოდათ თვალი...

სანაპიროსთან კაბის ბოლოზე ზღვას მაზუთის არშია
 უფრიალებდა
 და დასიკბული გემბანზე თვლემდა თევზის სუნით
 აქოთებული ბებერი ტრალი

გარინდებული მეთევზეები უსმენდნენ ნაპირს...
 და მაინც ზღვისკენ რჩებოდათ თვალი.



ბაჯიუზარ ალბორთი

სამხრეთ ოსეთი

ქიფლის კუნძი

ქიფლის კუნძი
ეზოში

თავის ბედზე მოთქვამდა:
არ ვყოფილვარ გამყიდველი
და არც ენის მიმტანი,
უდაბურ ტყის შუაგულში
ცისკენ ტოტებს ვიწვდიდი...
და როგორც მე მართალი ვარ,
ისე იმათ ეშველოთ —
ჩემს მეგობრებს.
ტყეში ჭერაც
ბედად გადარჩენილებს.
ქარიშხალთან და გრძელ ზამთრის
თოვლის სიმძიმესთანაც,
ჩვენ შეგვეძლო ბრძოლაცა და
გაჭირვების ატანაც.
მაგრამ ერთხელ,
ხელთ ნაჯახით
წამომადგა მებუყვე,
დამკრა,
მტვერი ამადინა
და მიწისპირ გადამკრა.
ძირს დაცემა ჩემს მეგობრებს
ჩემი როდი ეწადათ.
განწირულად თავის ტოტებს
ჩემს ტოტებში ხლართავდნენ.
მაგრამ ტოტიც წამასხება
იმ უგულო მებუყვემ...
დატრიალდა მზე ჩემს თავზე
და თავბრუდახვეული
ტკივილიც კი ვერ ვიგრძენი,
მიწას ისე დავასკდი.
მხოლოდ იმასლა თუ ვგრძნობდი,
გზაზე რომ მიმართევდნენ
და ალესილ ქვის წვერებზე

ჩემი ქერქი რჩებოდა.
ამ მწველ განცდას
ზედ მერე
ტანჯვაც მალე დაერთო,
როცა მეცნენ, გამატყავეს
და ფიცრებად დამხერხეს.
იმ ფიცრებით
იმ მებუყვემ
მერე ტახტი გაიწყო
ჩუქურთმებით მოაჭრელა
კობტად მთელი საწოლი
და შიგ ცოლი ჩააწვინა,
ცომად აფუეებული.
მე კი კუნძი,
იმ მშვენიერ
ქიფლის ნაშთი, მახინჯი,
არაფრად გამოსადეგი
არც ფიცრად და არც შეშად,
ვგდივარ ასე,
ჩემს კოჭრებზე
ცულს არვინ დააბლაგვებს.
ზაფხულობით წვიმა მაწვიმს
და ყინულის პერანგი
ზამთარს არ ენანება.
მაგრამ ყველას ავიტანდი,
გავუძლებდი გასაჭირს,
და სულაც არ ვიდარდებდი
დრო რომ მაფუტურთოვებს...
მაგრამ იმას ვით გაუძლოს
ჩემმა გულმა ოხერმა,
რომ ყოველ დღე, წამდაუწუმ,
ზედ მეგობრებს მაკლავენ,
რომ ჩემს მკერდზე
ჩემს სისხლთ და ხორცთ
სხეპავენ და ჩეხავენ.

ძველი ფანდირი

მე ვარ ფანდირი,
 სიმღერის და მოთქმის ლეთაება,
 და თუმც თვალეზში
 სინათლე მაქვს მე დღეს ჩამქრალი
 და მომიდუნდა, დამიყრუვდა მახვილი ყური,
 თუმცა ფერღები ნაცემივით სუნთქავენ მძიმედ
 და მკერდიდანაც ისმის მხოლოდ სუსტი ზრიალი..
 მაინც არა თქვა, არ გეგონოს,
 რომ ასეთი გავჩნდი ამქვეყნად,
 რომ არ მესმოდა და თვალითაც ვერა ვხედავდი,
 მე ვარ ფანდირი — სიხარული და ხანაც დარდი,
 მე ვთქვი ამქვეყნად სარიდანის ცოდვა
 პირველად
 და აცამაზის სალამურიც მე ავამღერე.
 რაც დარდი იყო თუ სიხარული, ჩემი სიმებით
 ყოველივეს შევწირე ხარკი.
 და იცი რატომ? იმიტომ რომ ცხოვრება მუდამ
 ჩემთვის საოცრად საყვარელი პანგიტ სუნთქავდა.
 და როგორც კვალი, წარუშლელი
 წელთ სიმრავლისა,
 სახსოვრად დამრჩა
 მე პატრონის ხელების სითბო
 ზოგი ალერსით,
 ზოგი კიდევ შმაგი ცახცახით —
 როცა კვდებოდა და მეგობარს ეთხოვებოდა.
 და ჭერაც მესმის,
 დღესაც მესმის,
 ამ წუთშიც მესმის
 ჩირალდანივით მოგუზგუზე მისი გულისხმა, —
 როგორა ღვრიდა ცრემლებს ხალხი
 იმის დაყრულზე,
 ჩვენი სიმღერა ზამთარშიც კი ველს ამწვანებდა.

თარგმან ბესიკ ხარანაულმა



ღამისმთავლები

ვახტანგ, ხშირად მოიგონებ ხოლმე ამ ღამესა;
შენს მონათხრობს უფრო მეტი ხალისი მოს-
დევს; მე ამწაირად ჩამიწვრია და ასევე ვაქვეუ-
ნებ.

მომხრობა

გასეირნება ინება გერონტიმ ვახშმის
შემდეგა, ჩვენებური ვახშმის შემდეგა,
მამაპაპური ვახშმის შემდეგა. ლეომ
დაიზარა. გერონტი — გერონტი ქიქო-
ძე გახლდა, ლეო — ლეო ქიაჩელი, შენ
იცო, ოღონდ სხვაშეც რო იყოდეს, სხვა-
შეც რო ჩაიკითხოს ეს ეტიუდი. ლეომ
დაიზარა. და ვერც ეუარა გერონტისა.
ვახშამი ჰო ისედაც გაგრძელდა. დამ-
ქანცველი ვახშამი, დამქანცველი ლეო-
სათვისა, რო არც რო ჰამის მოყვარუ-
ლი იყო მაინცდამაინცა, რო არც რო
სვამდა ლეონოსა დარდიმანდულადა თუ
თავგამეტებითა, არც რო მღეროდა, არ-
ცა ცეკვავდა, არცა ლექსობდა თუ ე-
ფილობდა, არც თუ ანეკდოტებით გა-
მოიღებდა თავისა, ტაშს რო უკრავდა და
ეს იყო მხოლოდა, რო იცინოდა და
ტაშს რო უკრავდა. კიდევაც ამან გააძ-
ლებინა, ტაშმა და სიცილმა, თორემ
ვერათ, ვერ აიტანდა ლხინსა იმ სიგრ-
ძესა, როგორც რო ჰირსაც ვერ აი-
ტანდა, თუ არ მოუჩანდა ბოლო თუ
დასასრული. მადლობა ღმერთსა, უდა-
სასრულო რო არაფერია ამ ჩვენს
დალოცვილ წუთისოფელში და იმ სუფ-

რასაც მოება თავი. თავი მოება იმ სუფ-
რასაცა როგორც რო იყო და ლეომაც
რო ამოისუნთქა, როგორც რო იყო, გე-
რონტიც წაადგა მაშინვე თავსა და
სთხოვა ცოტა გაეისეირნოთო, სთხოვა
კრთომითა, მორიდებითა, თუმცა რო
გულითადი მეგობრები გახლდნენ. ისიც
დაქანცა იმავე სუფრამა, ანთუ უფრო
მეტადაც დაქანცა, რო არც ტაშს უ-
კრავდა, რო არც იცინოდა, რო არც აც-
დიდნენ, ჩაფლულიყო უძირო ფიქრში,
რო უვეირდა, რო, რა უხაროდათ ასე.
ამგვარადა, რო უვეირდა და რო ვერ
აეხსნა, — რო არ აცდიდნენ რალა თქმა
უნდა. — დაქანცა ამანა, ამ აუხსნელო-
ბამა, დაქანცა გრძელმა სადღეგრძე-
ლოებმა, მით უფრო გრძელმა, ის რო
აღღეგრძელეს, დაქანცა და ვერ დაი-
ძინებდა თუ არ გაივლიდა ცოტას მა-
ინცა, თუ არ იტყოდა ცოტას მაინცა,
თუ არ ამოიღებდა ჰარსა გულისა, ცო-
ტასა, ცოტასა, ცოტას მაინცა, ვერ
დაწვეებოდა, ვერ დაიძინებდა. ლეო მა-
შინვე ჩაიძინებდა, თავი უკედებოდა
ძილისათვისა, მაგრამ რო წაადგა გერო-
ნტი თავსა, წამოდგა მაინცა. თუმცა

რო ვაი იმ წამოდგომასაო, მაგრამ წამოდგა, წამოდგა მაინცა, წამოდგა ისე, ისე ყინადა. არ იფიქროს რო დამეზარაო, წამოდგა და გაჰყვა, გაჰყვა და დასდევდა, დასდევდა მორჩილად, დასდევდა და ჩაურთავდა ზოგჯერ სიტყვასაცა, არ იტყვოს, რო არ მესერიონება, ძილი რო მიჩვენებინ, არ იტყვოსო, — არც იტყვოს თუ რა ძალას მატანს, თუ როგორ ვიტან, არ იტყვოსო.

ამას იმითომ გავიმეორებ ერთნაირადაცა და ცოტა სხვაგვარადაც, გერონტი რო ამაზე მსჯელობდა, სწორედ ამაზე, უღმობლობაზე ადამიანისა: რა ვართ და რანი ვართ, რასა ვიქმთ და რასა ვჩადივართ, ქორფა სიცოცხლეს ვანადგურებთ, ვმუსრავთ უღმობლად, — კრავი შევიწირეთ, გოჭო შევიწირეთ, დედლები შევიწირეთ, ვარიები შევიწირეთ, დავქანცეთ მასპინძელი, ქვეყრი მოვუწუწუეთ, დოვლათი გავუწუწუეთ, ვინ იცის გავუწუწუეთ, და იმისათვისა, მხოლოდ და მხოლოდ იმისათვისა, დაგვექანცა რო ერთმანეთი, დაგვებრჩო ერთმანეთი, ვითომ და რაო, სიყვითლათაო, ვითომ და რაო, სიყვარულითაო, სინამდვილეში უღმობლობითა, რამეთუ ესაა ბუნებაი პირველადი ადამიანისა, სწრაფვა ესაა ბუნებრივი მისი, სხვა ყველაფერი მონაგონია, სხვა ყველაფერი გამართლებაა თუ ასე მგონია, შელამაზებაა, რო არც რო არასოდეს გალამაზებულა, არც რო გალამაზდება არასოდესაო; ანთუ უფრო შემზარავიკაა უღმობლობა შელამაზებულისა: ავი რო სჩადის, ავსა სჩადის და ავდა სჩადისო, კეთილი რო სჩადის, სჩადის კეთილსა და კეთილადა სჩადისო, ოლონდ და რაო, ვნება ერთია ორივესიო, ეინი იგივეა ორივესიო, უღმობლობაა ეინი ესე ორივესიო: მწყემსი რო მწყემსავს, ცხვარს რო ეფერება, იმითომა რო დაპკლას და შთანთქმასო, აგერ, კრავი ჩვენც ისე გვიბოძა, თითქოს ცა გაქსნოდა სიხარულისაო: ავაზაყიც სხვა რა არისო, რო არა მწყემსავს, რო არ ეფერება, რო არ გაიჭირვებს იმისათვის რო

არაფერსა, რო გაიტაცებს იმგვარად ცხვარსა, რო გაიტაცებს ისევე იმისთვისა, რო დაპკლას, ნაკვერჩხალზე ააშიშინოს, რო შთანთქმას, გამოძღეს და მიეგდოს იქვე, რო მოინელოს ნაონავრალიო: ორივე ერთია ცხოვარისთვისა, ერთმანეთისთვის თუ ერთი არაა, მწყემსისა და ავაზაყისთვისა, ცხოვარისათვის ორივე ერთია: ანთუ ეს ქათამი, ეს საცოდავი, როგორ რო მოსთქვამს ადაბაბიდანა, — ხარი დაყლეს, მე წამაყლესო, ძროხა დაყლეს, მე წამაყლესო, ცხვარი დაყლეს, მე წამაყლესო, ღორი დაყლეს, მე წამაყლესო, როგორ მოსთქვამს და როგორი რა ცოდვის კითხვა გაუჩენია ადამიანსა, ცოდვის კითხვაი უბრალოთა, უმწეოთა ცოდვის კითხვაი: მერედა რადაო, რო შთანთქმას, იმადაო, რო შთანთქან, იმადაო, რო დერიონ ერთმანეთსაცა, ჩემზე მეტი თუ რად შთანთქეო: ის არაფერი, შენ თუ ერთჯერად ვარია გაოფენის, სხვას თუ ერთჯერად ზაქი უნდება, ის არაფერი, ზაქს თუ შეიცოდებ, ის არაფერი, შური იქნება, მეტი არაფერი, ვარისაც თუ არ შეიცოდებ...

— იფ... იფ... — აქ ჩაუტება სიტყვაი ლეომა, პირველად აქა. — ჩახობილი კარგი რამ იყო!..

— ჰო... — არ ეურჩა გერონტი.

— შემწვარიც კარგი... — მიადევნა ლეომა.

— ჰო... — არც რო ამჯერად ეურჩა გერონტი.

— კარგი, კარგი ვარიები იყო!.. — მოუეტა თვალები ლეომა, სათვალე არხადა, თითები გადაისვა თვალებზედა

— ჰო... — არც ამჯერად ეურჩა, გერონტი ცხადია.

— ჩვენებური ნაშნადი რო მომწონს, რალა თქმა უნდა, — გააგრძელა ისევე ლეომა, — ოლონდ აქაური, მე ასე მგონია, თუ არა სჯობიან, არც ჩამოუვარდება.

— ქართლია, ქართლი!.. — თითქოს შეახსენა გერონტიმამო, შეახსენა მოწონებითა.

ხმასაც აუწია გერონტიმამო, ნიშნად

იონსა, დამაცადეო. ლეომაც დააცადა. განაგრძო გერონტიმა: არ შეიცოდებ, შთანთქავ, გაანადგურებ, უღმობლობის ენიც ეს არისო. კმაყოფილებაჲ აქ იბადება, ლხინის ენიც აქ იბადება და ლხინია სწორედ აპოთეოზი უღმობელობისაო. ყველა რელიგიას, რაც რო უნდა განსხვავდებოდეს ერთიმეორისაგანა, ერთი საერთო მაინცა აქვს და სწორედ ის მომწონს, ის საერთო მომწონს, — მარხვა, მარხვის რიტუალი: მარხვა და წმინდა ზიარებაა გამოღვიძება ღმობიერებისა და ეს ისაა, სწორედ ისაა, ადამიანს რო შეუძლიან, იყოს ღმობიერი. — შეუძლიან, რო იყოს, იყოს ღმობიერი თუ არ წაუქეზებ ეინსა უღმობელობისა, განადგურების ენებას თუ არ წაუქეზებ. მაგრამ და რაო, — მარხვა ხანმოკლეა, ხანმოკლეა ზიარებაცა. მე რო მორწმუნე კაცი არ ვახლავარ, შენც კარგად იცი, ჩემო კეთილო, ოღონდ და მაინც უფრო მომწონს ის რელიგია, რომელს რო მეტი აქვს, თუნდაც მცირეთი. — მარხვის დღეები. ჩვენი რელიგია ამიტომაც მომწონს, ამიტომაც ვასძლო, მე ასე მგონია, ჩვენშიც რო ვასძლო, თვით ჩვენშიცა, სად რო არა სწამთ არაფერი ისეთი, რაც რო სიცოცხლეს უპირისპირდება, ზოლო სიცოცხლე ჰო უღმობელობაა. სხვა არაფერია სიცოცხლეო: არ იფიქრო, რო ჩემს თავს ვეწინააღმდეგებოდე, ანთუ ჩვენი ხალხი ეწინააღმდეგებოდეს თავის თავსა, ვერც ვადარჩებოდა, უღმობლობას თუ არ აყვებოდა, რო მოხვედრილიყო გარემოცვაში უღმობელობისა, ზოლო მერე განწმენდა უნდოდა და განწმენდა მარხვაო, ზიარება განწმენდა. — ეზიარებოდა და ლესავდა ხმალსა. აბა მამ რაო, კარს რო უმტკრევენენ. სხვა რა ელონა?..

უკაც ასე აიხსნებოო. სხვაგვარად, არა. უკაც სხვაგვარად არ აიხსნებოო. უღმობელობა ბუნება როა ადამიანისა, ტრაგედიაცაა ადამიანისა, ანთუ ეს მხოლოდ ზოგიერთს ვაუკება. — ზოგიერთს ვაუკება და ცდილობს ზოგიერთო. ას-

ნას როგორმე, გააგებინოს ბევრთა და მრავალთა, ცდილობს და ვერას რო ვერ გააგებინებს, ტრაგედიაა ზოგიერთისა, ტრაგედიაა მცირედისა, ცოდნაა მცირედისა, უამარვისა არა: ტრაგედიაა მცირედისა, ცოდნაა მცირედისა, და ტრაგედია ცოდნაა სწორედაცა, ანთუ შემძლეობაა შეუძლებლისა, როცა შეგონება ამო ვახლავსო. უღმობელობაზე გელაპარაკები, ანთუ ღმობიერებაზე გელაპარაკები, უღმობელობის ბუნებაზე, ღმობიერების ბუნებაზე, როგორც რო ერთზე, რამეთუ ერთია და ახსნაი ერთისა, მეორესაც ახსნის, მეორის ახსნა, ახსნის პირველსა ანუ ერთსა, — ერთი ერთს ახსნის, ერთი ერთით აიხსნებაო. ვცადე, ასე რო გამეაზრებინა ისტორია ლიტერატურისა, ჩვენი ლიტერატურისა, ვცადე და კიდევაც დავწერე წიგნი, — არ მახსოვს, ვითხარი თუ არა, — დავწერე და წარვადგინე, წარვადგინე და დამიბარეს, დამიბარეს და მომახსენეს, ვერ გამოვცემთო სამწუხაროდაო, ქოსთანაშვილის ქალს არ მოსწონსო სამწუხაროდაო. არ მოსწონს და ვერც გამოვცემთო ცხადია და რაღა თქმა უნდაო. არ ვიცი, ვინაა ქოსთანაშვილი, ქოსთანაშვილის ქალი თუ ვინაა, რა მოსწონს, თუ რა არ მოსწონს, არც რო არ მიკითხავს, სწორედ იმიტომა, ის მაინც რო ვიცი, ვინცაა თუ ვინც უნდა იყოს, უარყოფა რო მიზანი ჰგონია და, ვერ რო მიხვდებო, თანხმობაა რო მიზანი ქვეყნადა, — მიზანი ესაა, მხოლოდ ეს როა, სხვა ყველაფერი რო შინაარსია, შინაარსი უღმობელობისა, — ვერ რო მიხვდებო, ვერ რო გაიგებს ვერასოდესა. აქ სხვა რა შემძლო, მღუშარება მმართებდა, უნდა ამეტანა სტოიკოსივითა, განერიდებოდი სტოიკოსივითა, ჩაეძირულიყა ჩემივე თავში, თანხმობა მეძია ჩემივე თავში, თანხმობა და სიმშვიდე მეძია ჩემივე თავში, არსებაში ჩემი, — ერთსა ერთში ერთი მეძია. ისევ სტოიკოსები უფრო მიზიდავენ ძველ ფილოსოფოსებ-

ში, ეპიკურელნი არა. ჩემო ლეო, ეპიკურელნი არ მიზიდავენ.

— ზოგი რო ფიქრობს, უახლოვდებიან ერთმანეთსაო?.. — ჩაურთო ლეომა.

— იფიქროს!.. — ჩაიჭნია ხელი გერონტიმა

— უშფოთველობა ეპიკურელთა და ამათია სტოიკოსთა ერთიმეორეს უახლოვდებაო?.. — ლეო არ მოეშვა

— იფიქროს!... — აღარ ჩაიჭნია ხელი გერონტიმა.

— რო უჯერიან ზოგნი კიდევაც?.. — მაინც არ მოეშვა ლეოი.

— ზოგნი!.. — ჩაიცინა გერონტიმა, — დაუჯერონ!.. — ისევ ჩაიჭნია ხელი გერონტიმა.

— დაჯერება ყველაფერი.. — მოუჭრა ლეომა.

— დაჯერება სიცრუისა?.. — იკითხა გერონტიმა.

— თუნდაც სიცრუისა?.. — ჩაიცინა ლეომა, ახლა ლეომ ჩაიცინა.

— ეგ სიგიჟეა... — წარმოსთქვა გერონტიმა შეშფოთებითა, უეცარი შეშფოთებითა.

— თუ აპყვა ბევრია?.. — ლეო ჩააცოცდა, მაინც ჩააცოცდა.

— ბევრის სიგიჟეა — აქაც ჩაიჭნია ხელი გერონტიმა, მშვიდად ჩაიჭნია, მშვიდადაც გამოსთქვა, — მაგრამ მე მაინც არა მგონია, ჩემო კეთილო, ბევრმა დაიჯეროს, თითქოს ფილოსოფია, რომლის ეთიკური წინამძღვრები პედონიზმის საფუძვლად იქცა, სტოიციზმს რო უახლოვდებოდეს, მე არა მჯერა და შენი არ ვიცი.

— ჩემი მეც არ ვიცი, — ჩაიცინა ისევ ლეომა.

— კარგად იცი, ძალიან კარგადა, — ჩაიცინა გერონტიმა.

— ადამიანი მაინც ადამიანია, ჩემო გერონტი, ადამიანია, ადვილად რო არ ერწმუნება, რო მოითხოვს მეტ მტკიცებასა. — თქვა და ტუჩზე იკბინა ლეომა, მაგრამ რაღაო, რაღა დროისაო.

მეტს მოითხოვს და მოითხოვსო.

ბრძანა გერონტიმა, ბრძანა და მოადგენა ადამიანი ადამიანია ჩემო ლეო, ოღონდ ესაა, რო ზოგადი ცნებაა ფილოსოფოსთათვისაო, ძველ ფილოსოფოსთათვის ზოგადი ცნებაა, ახლებსაც ზოგადი ცნებააო: ახლებს რო მაინც თავი დავანებოთ. ზოგადი მაინც არაფერია ბუნებაშიო, არც ადამიანია ზოგადი ცნადია, არცა ყოფილა რაღა თქმა უნდაო: ზოგადი ზოგადის საფუძველია გონებაში და ნაყოფი გონებისა ბუნებას ხშირად არ უთავდებაო, — კოსმოპოლიტიზმი, მაგალითადო, როგორც არის თუ როგორცა ყოფილა, როგორაც რო გალამაზებულა თუ ამალღებულა როგორაც როო, მრავალფერობას უპირისპირდება ბუნებისა, არსობასა, გარდაუვალობას უპირისპირდებაო: კოსმოპოლიტიზმი ცინიკოსთა სკოლის მოძღვრებაა და არა მგონია, აქაც რაიმე მტკიცება მომთხოვო, ისე ნათელია ეთიკაი ცინიკოსთაო: ჩემთვის ფილოსოფია ეთიკაა ჩემო ლეო, ადამიანი თუ ბუნების მიერია, ადამიანობა ეთიკური ფენომენია ჩემო კეთილო: ფილოსოფია ხელისუფლების ნაყოფი გახლდა, ძალოვნება რო განემტკიცებინა ხელისუფლებისა, სიდიადე რო განემტკიცებინა: ბევრი იყო წადილი ხელისუფლებისა და ფილოსოფიაც ამიტომ იყო ბევრი, ეთიკაც ბევრი, ყველას რამეთუ თავისი ენება: ადამიანობა ერთი იყო, ეთიკა ბევრი, — ფილოსოფიაც ბევრი, ეთიკაც ბევრი, ანთუ ეთიკა არც უნდოდა ძალოვნებასა, ანთუ უნდოდა შესაფერისოო. ზოგადიც ესაა, მეტი არაფერია ზოგადიო, თორემ ადამიანი არაა ზოგადი, როგორც რო ვაშლი არაა ზოგადიო: ვაშლი კეხურაა, თურამაულია, აბილაურია, კიდევ სხვაა და კიდევ სხვა არის, თუნდაც რო მხოლოდ ქართული ვაშლი, სხვაეაა და უამრავიეა. ხოლო ამასაც თუ დაუმატებ, შემოტანილთაც თუ დაუმატებ, ბაცილებიც რო მრავალი შემოაპყვა, მატლი რო შემოაპყვა, კვლარც ჩამოთვლი იმდენი ვაშლია, იმდენ-



ნი ფერისა, იმდენი გემოსი, იმდენი ზომისა, ველარც ჩამოთვლიო: ადამიანიც ჰო ასე არისო, — ადამიანი ბერძენიაო. ადამიანი ლათინიაო, ადამიანი ქართველიაო, თუნდაც რომ მოვკვეთ იმ დროიდანა, იმა ფილოსოფოსთა, ეპიკურელთა თუ სტოიკოსთა დროიდანა, კიდევ სხვა და უამრავია, იყო და იყოს, უნდა იყოს, აღრეული რომ აღარ იქნება, რომ არც აღირვეა, არა ჩემო ლეო, არ აღირვეა და ვერც იგვარა ფილოსოფიამ აღრევისა, ვერც იგვარა და ვერც იგვარებდა. ჭეშმარიტება რახანაა ფილოსოფია, ანთუ რახან რომ შეშეცნებაა ჭეშმარიტებისა, იარალი ცოდნისა, და არა მართლაც რომ იარალი ხელისუფლებისა, თუნდაც ბერძენთა ხელისუფლებისა, თუნდაც ლათინთა ხელისუფლებისა, თუნდ გერმანელთა ხელისუფლებისა: ჰეგელმა მაინც ისე ბრძანა, რომ იარალია ხელისუფლებისა, სახელმწიფოს იარალია, გერმანელთა სახელმწიფოსიო, — გერმანელთაო, მსე ბრძანებდა, ბერძენთაო, ასე ბრძანებდნენ, ლათინთაო, ასე ბრძანებდნენ, — აქ იბნეოდა ფილოსოფია თუ აქ არ იბნეოდნენ ფილოსოფოსნი დიდი ქვეყნისანი, იბნეოდნენ პატარისანი, უფრო ასე პატარისანი, როგორც ეს ჩვენი საქართველოა, გაეკიდებოდნენ უფრო ზოგადსა, ძველთაგანვე აგერ აქამდისა, „აღოთოლოგიის საფუძვლებამდისა“: და ბოლოს მაინც ისევ იმანვე, ისევ ნუცუბიძემ აღმოაჩინა ქართული რენესანსი და გამოგვიყვანა ზოგადობის ბურანიდანა, რამეთუ არ არსებობს ჭეშმარიტება ზოგადი, ჭეშმარიტება არსებობს ქართული, და სხვა, და სხვა, და სხვა არსებობს, როგორც რომ კებურა, როგორც თურაშაული, როგორც აბილაური, როგორც რქაწითელი, როგორც თავკვერი, როგორც საჩინო, როგორც თეთნულდი, როგორც მონზლანი, ევერესტი როგორცა, ანთუ რა ენა ჩამოთვლის სიმრავლეთა, სახეობათა, თავისებურებათა ბუნებისა, უდაბნო რომ ბუნება არაა, ოკეანე რომ ბუნება არაა,

ცალცალკე რომ არ არის ბუნება არაფერი, ყველაფერი რომ ერთადაა ბუნება, ყველაფერი და უამრავი სახისა, ადამიანიც რომ ბუნებაა, და რომ არ შეიძლება, ბუნება არ იყოს, — არ იყოს სახისა უამრავისა, არ შეიძლება, არ შეიძლება ზოგადი იყოს, ბუნება არ იყოს, არ შეიძლება, რამეთუ ნაყოფია ბუნებისა და, როგორც რომ გვეგონია, ნაყოფი უმალესი, სახისა თვისისა; ახლა თუ იკითხავ რატომ ვამბობო...

და განაგრძობდა: მიდიოდა თვალერილი, მიდიოდა და შემობრუნდებოდა. ლეო მისდევდა, მისდევდა და შემობრუნდებოდა, გვერდიგვერდ მისდევდა, ხან კოტას უკან ჩამორჩებოდა და ფიქრობდა თავისთვისა, ნეტა თუ დამინებას როდის მოინებებს, ანთუ მე თუ გამოშვებს ნებაზეო, — ფიქრობდა და ფიქრობდა უფრო იბიტომა, უცებ რომ იგრძნო სუსხი ღამისა, ანთუ ღამის გატეხის სუსხი რომ იგრძნო, ჭახანი იგრძნო, სუსხის ჭახანი, რომ არ გაისმოდა, მოედებოდა ისე უჩემრადა, ქართლის ზეგანს მოედებოდა, ქედებიდან ჩამოვიდოდა, კავკასიონის ქედებიდანა, ჩამოვიდოდა, ჩამოკალთავდებოდა: იგრძნო და შეაყრეოლა, ლეოს შეაყრეოლა, გერონტის არა: ლეო ნატრობდა, შეაყრეოლოს ამასაცაო, შეაყრეოლოს და ამაგადესო, ნატრობდა და იმედოვნებდა, ჭახახებდა ვარსკვლავები ისე, ისე მოწმენდილ, მოლიპულ ცაზედა, მთვარესაც ისე დაეგვიანა, დაევახშმა და მომდგარიყო, მომდგარიყო ამოსასვლელადა, მოვითლებულიყო აღმოსავლეთი ისე, იმგვარადა, ისე ეამყამებდა დასავლეთიკა, ისე ლურჯადა, მუქლურჯადა, ისე ყურჭლურჯადა, და მდუმარებდა არემარეცა ისე, იმგვარადა, სამზარეულოს ხმა რომ გამოსტეხდა, ხმაი ჭურჭელისა, და ისევ იგივესა წუხდა გერონტი, რომ არ აყრეოლებდა ჯერ რომ შაინცა, იგივესა წუხდა, რომ იყო უღმობელი ადამიანი, ასე ღმობიერნიც რომ უღმობელნი ბრძანდებოდნენ, ასე რომ აწუხებდნენ დიასახლისისა, რომ აელავებინა სუ-

ქ. შარქოს საბ. საქ. სსრ

ფრთხილად შეუმსრული და თადარიგს რო იქვე-
 რდა დილისათვისა, ვითომ ღამე ღამედ
 არ უღირდა, ვითომ ძილი ძილად არ
 უღირდა, ვითომამო რაღა თქმა უნდა.
 იმათ და რაო, სხვა უღმობებელთა, — ეძი-
 ნათ უკვე, ესენი ფხიზლობდნენ, ფხიზ-
 ლობდნენ მაინცა დიასახლისთან ერთა-
 და, თუმცა არ არგოდნენ, არას არგოდ-
 ნენ, ოღონდ მაინც თუ თანაუგრძნობ-
 დნენ, რაიღა ფხიზლობდნენ, თანაუგრ-
 ძნობდნენ: თანაც რო ფრეოლას აეტანა
 ლეოი, ფრეოლა აიტანდა რო გერონტი-
 საცა, ლეომ თქვა, შევიდეთ სამზარეუ-
 ლოში, ეთბილებო. იქ ახლა შენ ჩაი-
 საც მოითხოვ. — ეურჩა გერონტი. —
 უსასრულოა უღმობლობათ.

— მაშ წავალ. შემიკიდია, — გამო-
 ტყდა ლეოი.

— წავიდეთ, — გერონტიც მაშინვე
 დათანხმდა, თითქოს ელოდა მანამდისა-
 ცაო, თითქოს კიდევაც რო გამწყრალი-
 ყო, რა ჭინკად იქცა, რას დამატარებს,
 რას მალაპარაკებს და რას გაუუჩებუ-
 ლო, ასეთ კილოზე დათანხმდა გერონ-
 ტი.

დათანხმდა და გაუძღვა კიდევაც, გაუ-
 ძღვა ისე საგულდაგულოდა, თითქოს
 მიიყვანს და მყისვე დააძინებს, ჩაათ-
 ბუნებს და დააძინებს მყისვე, რახან
 აქამდის ძილი დაუფრთხოო. ეს განეზრ-
 ახა, თუ რაც თუ განეზრახა, სულერთია,
 სხვა რამ ეწერათ, — უძილობა ეწერათ
 თურმე იმ ღამესა, თუნდაც ისე ევლოთ,
 თუნდაც ბალიშზე მიედოთ თავი, უძი-
 ლობა ეწერათ თურმე: ნესტორიც იქ იწ-
 ვა, იმავე ოთახში, იწვა და ეძინა, ხო-
 ლო რახან თუ იმას ეძინა, ესენი ვეღარ
 დაიძინებდნენ: ეძინა თუ, ანთუ რა ეძინა,
 — ბორგავდა, შფოთავდა, ბრუნავდა,
 გრგვინავდა, ფშოვდა, შუოდა, დაობდა,
 კნესოდა, ადი-დადიოდა, აიწვედა და
 დააწყებოდა, თითქოს და არ ტახტიც
 იფხვებებო, ანთუ უძლებს და საკვირ-
 ველია, ბოლომდე მაინც ვერ გაუძლებ-
 სო: თითქოს სიტყვებიც გამოირკვევო,
 ისევ სადღეგრძელოს ამბობს თითქოსაო.

ხელიც ისე აუწვევია, თითებიც ისე მო-
 უწურია, პატარა ჭიკა უჭირავს თით-
 ქოსაო, პატარაო და წელში მოყვანი-
 ლი, აწონებს თითქოსაო, დალიეთ, ეს
 მაინც ძირამდე დალიეთ, დიდ სასმისებს
 პო არ გაძალბებო: თითქოს ისევ ისე
 აწონებსო, ისევ ლეოსა და ისევ გერონ-
 ტისა და იგერიებს სხვების შენიშვნებ-
 სა ფილა მოგვიდგი, ყელი გაშრაო:
 ლეოი იცინის თითქოს ისევეო, ჩუ-
 მადა ეშქაუჭებს, ჩუმადა, თავისთვისა
 და ასდევს თამადაცა: როგორ გამოძვე-
 რი ქუთაისის ციხიდანაო, ერთი გვაჩე-
 ნე, როგორ გამოძვეერი ან ნეტავ მაშინ
 დამენახეო, — ეს თითქოსაო რაღა თქმა
 უნდა, ხოლო ლეო მართლაც იცინის,
 იცინის ცოტა სიმწირის სიცილითა, რო
 ეძინება და ვერ დაიძინებს, ვერა ცხა-
 დია, იმა ბორგვასა და იმა გრიალში,
 იმა ქშელიწში და იმა ხრიალში, ვითომ
 თითქოს რო ისევ სუფრაა, ვითომ თა-
 მადა რო ეშხში შედისო, გერონტისაც
 რო ედავებო, რა კმნილა შენი ეროვნუ-
 ლი ენერგიაო, ხოლო გერონტი არას
 მიუგებს, გამოსცლის ჭიკასა, ნელა, ნე-
 ლა, დაგემოვნებითა, სახეზე რო არც
 შეეტყობა, თუ მოეწონა, თუ კიდევ გა-
 მოსცლის, თუ არ აბუზღუნებს თამადა-
 სა კიდევაც, — არ შეეტყობა, როგორც
 სუფრაზე რო არ ეტყობოდა, და აცი-
 ნებს ლეოსა ესეცა, უფრო აციენებს,
 იმასაც ენახავ თუ რას გიშველის ეგ შე-
 ნი სტოიციზმი, ღამეს ჭოტებივით რო
 გავათენებო. ჭოტიცა ჰყოდა და ის
 არაფერი, ეკოვლა ჭოტსა, ჭოტს შესჩვე-
 ოდნენ, ჭოტებს შესჩვეოდნენ, ეს იყო
 მხოლოდ შეუჩვეველი, ეს ძილი შფო-
 თიანი, დამფრთხალი, აფორიაქებული,
 მარადიული და შეუჩვეველი, მით უფ-
 რო მეტად შეუჩვეველი, მარადიული
 გახლდა რაც უფრო მაინც თავიანთი უნ-
 და ეცადათ და ცდილობდნენ კიდევაც,
 საბანს გადაიხვევდნენ თავპირზედა,
 ყურებს დაიკობდნენ თითებიო: პორთ-
 ფელში ბამბაც ეგულებოდა ლეოსა, იმ
 თავის განუყრელ პორთფელში, ოღონდ
 იმ ბნელში ვერ მოსძებნიდა და ხელი

აილო ამ უმწეო იმედზედა, უმწეოზედა რალა თქმა უნდა, რას უშველიდა ბამბაი ნეტავი, უურის ძირში თუ ქვეშეხს დაუცლიდნენ: ხერხი რამ მაინც გაიხსენა ისევ ლეომა, გაეგონა და გაიხსენა:

— სტვენა შევლისო... — თქვა ლეომა.

— რასა შევლისო?... — იკითხა გერონტიმა მწუხარე ხმითა.

— გააღვიძებ და დაძინება შენ უნდა დაასწროო. — აუხსნა ლეომა.

— ისევ ეგ დაგვასწრებს — უიმედო ხმით გამოსთქვა გერონტიმა.

— ცვაღოთ. — არ დაჰყარა ფარხმალი ლეომა.

— სცადე... — გერონტი ისევ უიმედოდ გაეხმაურა. — დაუსტვიენე აბა!..

— შენც დაუსტვიენე, — წააქეზა ლეომა, თანაც წამოჭდა ლოგინზედა, ძალა არა აქვს წოლელა სტვენასაო.

— მე რა ვიცი?! — გაიკვირვა გერონტიმა.

— რა ცოდნა უნდა?! — ლეომაც გაიკვირვა.

— ცოდნა ყველაფერს უნდა. — აუხსნა გერონტიმა.

— სტვენას არა... — ეუარა ლეოი.

— სტვენას ზავშეობა უნდა. — ესეც დატანა და ცოტა შეშინდა კიდევაცა, ემანდ დეკარტე არ მოაყოლოს, ანთუ ნიცშე არ მოაყოლოს, ვინც უნდა იყოს, არ მოაყოლოსო.

— რამ გაგვაბეშვა მერე ჩემო ლეო?... — ესლა იკითხა გერონტიმა, არ მოუშველებია არცა თუ ნიცშეი, არცა თუ ემპირიოკრიტიკოსები, პრაგმატიკოსებიც არ მოუშველებია.

— თუ დაგვკვირებია?! — არა თმობდა ლეოი.

— რამდენი რამ დაგვკვირებია?! — აუხსნა ასე შეკითხვითა გერონტიმა, — მაგრამ და რაო, შეუძლებელი რო შეუძლებელია?!. რო ვერ გაბაეშვდები, ვეღარ გაბაეშვდები?!.

ვერ გაბაეშვდები და ათიე ლამეო, ნიშნი მოუგო ლეომა ასე და შერგო თავი ბალიშის ქვეშა, მიშველოს თუ ეს თუ მიშველის, არა და ჯანდაბასა, ეს ლამეც

ჯანდაბასა, ბევრი სხვაც რო გამოსტუმრებია იმა გზაზედაო. ოლონდ არ ეწერათ არც რო მოთმინება, ისე ახრიალდა ნესტორი უცება, თითქოს იხრჩობაო, ისე შეშინდნენ მართლა არაფერი დაემართოსო, აღარ უდავიათ, წამოსდნენ და უსტვენდა ლეოი, ცდილობდა გერონტიცა, ცდილობდა გულდაგულა, ვერ ახერხებდა და წუხდა: აქეზებდა ლეოი, იმედი არ გაიტეხოო, აქეზებდა და ასწავლიდა: მოპრუწე ტუჩები და შეუბერეო, არც პლატონი უნდა ამასა და არც არისტოტელეო, შოპენჰაუერიც არას არგია, მხოლოდ მოპრუწე და შეუბერეო, ასწავლიდა და აკი არ ასწავლა, — აყუა გერონტიცა, რა ვუყოთ თუ უხერხულადა, აყუა მაინცა; იშვიათი დუეტიაო, ამბობდა გერონტი, იშვიათიაო, მოსწონდა ლეოსაცა, სოლო უფრო იშვიათიაო, დასძენდა გერონტი, დასძენდა, ოლონდ ვერ წააქეზებდა მაინცა ლეოსა, — აქ სოლო ვერ გვიხსნის, დუეტი უნდაო, ლეო ბრძანებდა და ურჩევდა ხერხებსა ახალ-ახალსა, გერონტის ურჩევდა რალა თქმა უნდა, სტვენის ხერხებსა რალა თქმა უნდა, ოლონდ ესაა, ნესტორს რომ მაინც ვერ დააკლეს ვერაფერი, — ვერ გამოაღვიძეს, ვერ გამოაფხიზლეს, ოლონდ ხრიალი მაინც მოუშალეს, მოგუდულო ხრიალი, გადაიყვანეს ბურღულუნზედა ხრიალიდანა, გადაიყვანეს და დამშვიდდნენ ცოტათი, აღარ დაიხრჩობა, გადავარჩინეთო. ნესტორს ეძინა გულის ძილითა, მამაპაპური ძილით ეძინა, ისე მშფოთვარეთი და მამაპაპურიითა, როგორც რო ეძინათ წინაპართა ჩვენთა, მარად ზრუნვასა და მარად შფოთვასი, ეძინა დაღლილსა გუშინდელი დღითა, მგზავრობით დაღლილსა, შეხვედრებით დაღლილსა, სუფრით დაღლილსა, მამაპაპური სუფრით დაღლილსა, — ისევ და ისევ მამაპაპურიითა, — მამაპაპურად რო დაღლილიყო, მამაპაპური ძილით ეძინა; გამოიძინა და გაიღვიძა, გაიღვიძა და წამოდგა მაშინვე, მყისვე, უეცრადვე, როგორც უეცრადვე რო დაიძინა, წამოდგა და მოედო

მინდვრებსა, ტოროლებს მინდვრებს მოედო, ტოროლები რომ დაუფლებოდნენ პირველყოელისა, დილის ნიავს რომ ფხრეწდნენ ტოროლები, დილის სიგრილესა ფხრეწდნენ და წეწავდნენ, გზას უკაფავდნენ ცინცხალ სხივებსა, ნამი რომ შეესვათ, შეესვათ ნამი და დამთვრალეყვნენ. ცეცხლი, მოსდებოდათ. შესვამდნენ და მოედებოდათ, ოღონდ მანამდე არ მოიცილდა ნესტორი იქა რაღა თქმა უნდა, შემოიდებდა თავის ცვარნამსა, დასველდებოდა, გაილუმპებოდა, შეერეოდა მერე სოფელსა, დილის სოფელსა. შეერეოდა და ჩაიყარგებოდა... ამჟერად მაინც აღარ ჩაყარგულა. მობრუნდა დროზედა, მობრუნდა ისე თქაფათქუფითა, სუფრა თუ გაშალეს და მე თუ მიცდიან, კიდევ დიდხანს არ ვალოდინოთ: ხოლო სუფრა რომ მართლაც გაეშალათ, ლოდინითაც რომ ელოდნენ მართლაცა, მიემატა ნესტორიც იმათა, მომლოდინეთა, მიემატა და ააწრიალა, ააწრიალა მომლოდინენიცა, მასპინძელიც ააწრიალა, სკამებსაც გამოედო მაგიდის ირგელიცა, გამოედო კრეტსამელებსა, გამოედო და ჩამოიტანა, ჩამოიტანა და შემოიხვია, შემოიხვია და აბუბუნდა ეგრე კრეტსამელებს შემოხვეული: ღმერთს დაუსჯია ეგენი ეგრე, დროზე რომ არ იცოდნენ არაფერიო, — აბუბუნდა და აბუბუნდა სკამების წრივალში, ბრაბუნში სკამებისა.

— ლეო!... — გასძახა უცებ გერონტი-მა, თითქოს დაჰკარგავო და დაეძებო, შიგნით იყვნენ და შიგნითვე გასძახა, შიგნითა ოთახში რაღა თქმა უნდა.

— ჰოოო... — მაიწვდინა ხმაი ლეო-მაცა, თითქოს შორიდანა, შორით შორი-

დანა, თითქოს მართლაც რომ დაუკარგავოთ ერთმანეთიო.

— გესმის?... — შეჰკითხა შორითვე გერონტიმა, ქუთუთოები რომ დამძიმებოდა, რომ ახელდა და რომ ვერ ახელდა.

— ჰოოო... — პასუხიც ისევ გაისმა, ოღონდ თითქოს რომ სხვისი პასუხია, ლეო დაკარგა თითქოს ისევაო.

— გველოდებიან... — ჩააგონებდა გერონტი შორიდანვე.

— ჰააა?!

— გველოდებიან... გველოდებიან... სუფრა გაუშლიათ... გველოდებიან... — ჩააგონებდა და ჩააგონებდა გერონტი ცხადია, თვალეები მაინც რომ ვერ გაეხილა, თავს რომ ებრძოდა, რომ მოერეოდა თავსა, ლეოსაც რომ დააძალებდა.

— არ მინდა, — გაჭიუტდა ლეოი მაინცა, — არათერი მინდა, არაფერი აღარ მინდა. — გაჭიუტდა და გაჭიუტდა. — თავადის ქალი მაიაც აღარ მინდა, არ მინდა... მომასვენეთ.

— ეხ, ჩემო ლეო, — ჩაიდუღუნა ახლა გერონტიმა, რომ გაახილა თვალი როგორც იქნა, რომ წამოიწია როგორც იქნა რაღა თქმა უნდა, — ვინ მოგასვენებს, რა მოგასვენებს ჩემო კეთილო... გველოდებიან, მოთმინება ჰყოფნით და არ უნდა ვისარგებლოთ მოთმინებითა: უღმობელობა სწორედ ეს არის თუ სარგებლობა მოთმინებითა...

და მერე აქ ამას ისევ დასაბუთება უნდოდა; იქ ისევ ისევ ბუბუნებდა ნესტორი: აი ჰო ხედავთ, რა უკულმა ამათთვისა წუთისოფელიო. — ღამე დღე არის ამათთვისაო, დღე ღამე არისო, წადი და აჰყევი, წადი და იარე ამათ ნებაზეო.

ირაკლი გაზაძე

* * *

რას დაარქმევენ
შენს სიმშვიდეს... დასტოვებ როცა
ქალაქის ხმაურს,
სანუჯვარ ფერს,
შეჩვეულ ბგერას,
ვინ დაინახავს
შენი თვალით აპრილში გელათს,
ცას უფლის ეინმა
უსაშველოდ რომ შეატყორცნა-

რა დაერქმევა
შენს სინანულს —
განუცდელ სევდას,
აღუქმელ საგანს,
მოუხილველ ზღვასა და ტრამალს:

უნდა აჩუქოს
სიხარული ჩემს ვნებებს რამაც,
როგორც საშოდან
დაძრულ ნაყოფს სიციცხლე დედამ.

მიიპარება
მპარავივით კედელზე სურო,
ღამეულ ჩრდილზე
დასკეპულა ლეკვივით ფიქრი:
ირხვევა შიშმედ
შორეული ბილვების იქით
სინათლე
შორი წყვილიაღიდან რომ
გამოსცუროს.

მინდორზე ვწევარ,
 ძირს ყვავილის მიგია დიბა,
 მინდორების იქით მდინარეა,
 მდინარის გაღმა —
 პურის ყანიდან
 წამოფრინდა თვალჭრელი ლალა
 და სივრცე წამით
 ფრთის ტკრციალით დააირიბა.

შენი საუფლო სინათლეა
 და მისი ჭილა
 დაგნათის შუბლზე,
 გაცქერდება თვალღებში ცერად,
 მერე გათრთოლებს.

სანამ შენი შენც ბედისწერა
 არ ჩამოგაცმევს
 ნაგვემ ტანზე გამომწვარ თიხას.

ახლა კი თრთოლვით,
 ვარსკვლავებით დაბუნძლულ
 რტოებს

გაჰყავებარ ცივი
 კომეტების სიელვარეში,
 იზრდება შენი
 უსასრულო სრბოლის მანეჩი,
 ინგრევა დიდი ჯებირები
 წყნარ სიმყუდროის.

იქნება ქარი, —
 სამზრეთის. ცა წითლად გაღვივდა,
 იქნება ქარი
 ამაღამაც, ხვალეც, მერედაც:
 იქნება ქარი,
 ჩამოურბენს ქარი იმერეთს
 აქარის მთათა
 უღრანების გლუვ გადაღმიდან.

ჩვენ მარტო ვრჩებით.
 ბუხრის პირას მიშლი პასიანსს,
 იქნება ქარი
 აღვის ხეებს ერეოლა დაუარს,
 გადამაეიწვევებ

მოულოდნელს და გარდაუვალს...
 რომ ყველაფერი
 სიზმრისაა და ლამაზია.

იქნება ქარი.
 ზის რაფაზე ხატულა კატა.
 რამ მომანატრა
 შენი თბილი ხელის შეხება,
 იქნება ქარი.
 სამზრეთის ცა წითლად შეღება
 მზემ და
 სარკმელში ცხელი თვალი
 შემოანათა.

მწვანეყვავილა... სიჭაბუკე...
 მთვრალი უფალი...
 რიონის პირას
 უმწვანესი გარეუბანი,
 მწვანეყვავილა...
 პაწაწინა სახლო და ეზო,
 ფიქრო ბოლომდე უმართლესო,
 უფაქიზესო.
 წუხილო ჭემო!

გაილია გზა გასაველელი,
 აღარ კრთის შენი ლურჯი ბალი,
 ჩაქრა თვალები
 ღია სარკმლების...
 მიინავლა და გაცასრულდა.
 ასე მგონია,
 ედგავარ სიზმრის მშვიდ
 დასასრულთან.
 ასე მგონია.

ჩამოირბენ ქვევით რიონთან,
(რიონი ისევ
ისე მიდის, ვით მიდიოდა),

რიონი ისევ
ათასწლოვან სრბოლით დაღლილი,
სივრცეს ღვეღვეით უერთდება
ბებერ ძაღლივით.

• • •

მომეცი ძალი გაოცების,
ძალი მომეცი,
მომეცი ძალი ბიბლიური
გმირის ნოესი,
ზედაზნის თავზე ცის სილურჯე
უსათნოესი
გასაოცარად საოცარი
და უმდორესი...
არ მინატრია სხვა განცხრომა,
სხვა გალაღება,
ამაზე მეტი რა მაჩუქონ
ქართლის ბაღებმა.

თვალი როდესაც უნაპირო
ვამს მიიხვეტავს,
როცა ცოცხალი დგახარ ავერ
უფლისციხესთან.
სხვა რაღა გინდა უფრო მეტი
მართლაც ნეტა რა,
რაღა გაეძლო შენს სისხლს მეტი,
რა აეტანა,
სხვა რაღა გინდა! წარსულის ხმა
ყურთან მოგესმის...
მომეცი, ღმერთო, გაოცების
ძალი მომეცი!

• • •

ვეუდი საღამოს
უკანასკნელ ჩქარ მატარებელს.
ჩამოკერეს ზარი.
ჩამოკურდა ვაგზლის თვალებზე
ბლანტი სინათლე!
ხვალ დაგარქმევს შენ უკვე ჩავლილ
მგზავრს, ვინაც ასე
შეაწუხებ გარდასვლის ჭავრით.

გადირბენს სტვენით
თბილი ფიქრი გულზე ხემივით,
როგორც ყანაზე
უეცარი ზაფხულის თქორი.

მივემგზავრები, გვიანია
და მგზავრებს შორის
მგზავრია ლამეც,
ლამის ლამეს შევახო ხელი.

მივემგზავრები
სადარდებელს ვერ ამარიდა
ლამემ მეგზურმა...
ლამე მართლაც დიდი რამეა,
განსაკუთრებით
მაშინ, როცა შიგაც ლამეა,
განსაკუთრებით
დღეს შენს მერე... ამიერიდან.

• • •

სალამი წარსულს!
გამოგიხმობ მდინარეს ჩავლილს,
ტანს გადაშავლენ
შენი სუფთა ტალღების ქავლი...
გაქვიდებია ბიჭი მინდვრებს


უბელო ცხენით,
აბაშის პირას
ზაფხულის დღე თიმთიმებს ცხელი.
გამორბის ყანა
და სურნელი გამორბის ყანით,

ლაქაშებს ყანჩა დაჰფრენია
 სუსტ წვივზე მდგარი,
 ნაჩვევ ადგილებს
 დაჰფარფატებს ზემოდან ქორი,
 კრიალებს გზა და,
 გზასთან — ეზო,
 ეზოდან — მოლი...
 ზვარია ქვევით

და მალლარი ჩამორბის მალლით,
 კვლავად ისევე
 გაჰყეფს მთეარეს მეზობლის
 ძალი,
 მერე ნელ-ნელა
 გამოჟონავს ფიქრიდან იჭვი
 — სადღაა ბიჭი,
 სად დამალე წარსულო, ბიჭი!

• • •

შენს მდინარებას
 ვუერთდები ხიზანი — ბავშვი,
 ჩამსვი უმწურო
 უნიჩაბო ფიცრულა ნავში,
 მატარე ასე
 აღმა-დაღმა თმაქოჩრა ტალლით,
 ამიყვავილე
 ჩემი წილი ციერი თალი.
 გამრიყე კოლხეთს,
 მამწყუმსინე ველური რემა,
 ნედლი კანაფის
 შემომაჰდე შუბლს დიადემა,
 მომეცი პური,
 ქალის თრთოლეა და წყარო ცივი,
 მაგუთნისდედე,
 მაგალობე და... მალოცვინე
 შენი გამჩენი...
 გამადეენე მერე ახოებს,
 ამიყიემატე
 კვამლით თვალი, კვამლით კერიის,
 მერე დამტოვე
 უფლისაკენ თავადერილი,
 ბებერ კოლხეთის
 ჩამოზნეჭილ ცის სიახლოვეს.



ფოფო

მოთხრობა

გვიან გამომეღვიძა. რვა საათი იქნებოდა, ან უფრო მეტი.

ფანჯრის გასწვრივ, გაბარჯღული აკაციის თავზე წამოიშვადარ თაკარა მზეს თითქოს სრულიადაც არ სურდა ჩემი შენუხება, მაგრამ სუსტ ნიავეზე მოქანავე ფოთლებს შორის მაინც კოულობდა უხილავ ხერელებს და დროდადრო ვკლებივით მასობდა თვალებში საფრთხივით განერიღებულ სხივებს.

მოთენთვაც ამას ერქვა — ძლივსგან გაბრუნებულს მეთქნარება და ზმორება ამიტყდა. „რა მემველება?!“ — ვკითხე უცბად საკუთარ თავს და მაშინვე ხასიათი წამოხდა. ზანტად ჩავიცივი, ხელები ძლივს ჩავიტენე ჯინსის ჯიბეებში და ეზოში გავედი...

რაც მახსოვს, ჯერ არასდროს ვყოფილვარ მოცლილი ჩემი ამხანაგებოვით და არ დავმტკბარვარ თავისუფლებით. იმ ოხერ ვაზს, მართლაც შეიღვივით სჭირდება მოვლა. იტყვი, მოვრჩი საქმეს, ახლა მაინც დავისვენებო და მაშინვე მყოფი, უფრო უარესი სატანჯი რაღაც ჩნდება. ზამთარშიც კი, როცა თოვლი სქლად ეფინება ვენახის მწკრივებს, მამაჩემი დიდის გულსყურით უტრიალებს სიცვივსგან გახელებილ ვეითელფერდაკრულ ვაზის ღერებს, კვირტები ხომ არ ვყინებაო და მეც გვერდიდან არ მიცილებს.

თავისუფალ დროს (თუ იმაზე იოქმის თავისუფალი), სულთამზუთავებივით დამადგებოდნენ ბებია ცალკე, დედაჩემი ცალკე, აუარება წიგნების წაკითხვა-შესწავლას მამალებდნენ. რის ვაი-ვაგლახით დავამთავრე სამუშაო სკოლა, საზეიმო ვითარებაში გადმომცეს სიმნიფის ატესტატი და ახლა „ამაღლებულ

იდეალებზე“ დამიწყეს ლაპარაკი. სხვისი რამოგახსენოთ და ჩემს თავს მომწიფება ნანადვილადაც ვერ შევამჩნიე, რაც ერთხელ აღვნიშნე კიდევ, მაგრამ ვინ დამიჯერა: არც აციტს, არც აცხელეს, ამ პაპანაქებაში თავი მივტრეს თბილისში.

დედაჩემის მოთხოვნით და „ნაცნობების“ მემვეობით სტუდენტთა ქალაქში აღმოვჩნდი... ისე, რა ჩემი საქმეა, მამაჩემი ვის რამდენს გადაუხდოდა ბინის ქირას; ვიცო კი, ორმოცი მანეთი რომ ნააღლიტა კომუნდანტმა, თუმც არ მწყენია; უფრო მეტი რომ ნააღლიტა, იქნებ კიდევ გამიხარდებოდა: — ხელის კანკალით მომცა ორი საცოდავი თუმნიანი და გამაფრთხილა, ორ თვეს უნდა იმყოფინოო ქამისთვის. ხომ შეიძლება, ნაადრევად დამთავრდეს ჩემთვის გამოცდებისთვის განკუთვნილი ვადა, ცოტა ადრე ჩამომაკითხეთ-მეთქი, ეთხოვე, მაგრამ ვენახებში ახლა ხურდება სამუშაო, შენთვის სად გკეცდებაო, შემიყვირა. ისიც მითხრა, თუ არ მოწყობილხარ, ჯანდაბამდის გზა გქონია, სადაც გინდა, იქ გადააკარგულხარო.

სხვა მხრივ, რა მეთქმის! დილაადრიან არ ჩამსმენია დედაჩემის მწივანა ხმა. ბურღივით რომ მარტობდა ხოლმე გულით მძინარს სასმენ აფსკზე, არც მამაჩემის ბურღულნი მომისმენია ჩემს უქნარობაზე — ოთხკედელშუა ბაიყუშვივით მარტოდმარტოს მეძინა და როცა მიწდოდა, ამაშინ ვდგებოდი. სადაც მაქვს ნაკითხული, იმაზე მეტი ბედნიერება არაფერია, როცა ერთხელ მაინც იგარძნობ სრულ თავისუფლებასო — მართალი ყოფილა...

ძველისძველი ორსართულიანი გრძელი შე-

ნობების წინ დაგებულ ასფალტზე დაებაკუნებოდი. პირტიტყელა ბიჭებს და მოკლეკაბიან გოგონებს რა დალევს სტუდენტობაში. მაგრამ ჩემზე უსაქმური არავინ ჩანდა. დილის სიგრილეში ყველგან მწვანე ფერი მოძალებულიყო. ახლად გადარეცხილ ქაჯქაჯადის პრის-პეტზე დამრეცვად დაფრქვეულ სხივებს ვერცხლისფერი ბილიკი გაეკვალათ, რომელსაც მაღიმად სურავდნენ მანქანები. გამბით გლურტულუბდნენ ბელურები.

ნელ-ნელა თითქოს გამოფხიზლდი. ხელპირი რომ დამებანა, ალბათ უკეთესად ვიგრძობოდი თავს. რამდენჯერმე გადავყლაპე ნერწყვი. შიმშილისგან კუჭი ამწვავდა.

— თქვენ ზაზა ხართ, არა? — შემომხემა პეტროვანი, რაღაც საოცრად თბილი ხმა და შევირდი, რომ არ შევეახებოდი.

უცხად ვერაფერი ვუთხარი. გაუგებრად შევხედე ჩემ წინ მდგომ თხელ გოგონას, რომელიც ურცხვად მომჩერებოდა და მილიმოდა.

ტანში გრუანტელმა დაამირბინა. მსგავსი შემთხვევა არასოდეს მქონია.

გოგონამ კითხვა ისევ გამიმეორა და მეც მაშინვე მივახალე:

— შენ საიდან იცი?

— ალბათ ვიცი, — მცირეოდენი ზოყმანის შემდეგ დაბნეულად მომიგო მან.

აგდებულად გადავხედე. თან ავითვალე რაღათვალეირებ.

ბუსავით აბრიალებდა თვალებს; ფეხებშიტყულებდა, ტანს ოდნავ არხვებდა, გოგობმა რომ იციან ხოლმე ბიჭების გალიზიანება, ისე, მაგრამ მეც რაღა ვიქნებოდი, ასეთებს ვერ მიუვხვდე.

— იცი რას გეტყვი, გოგონა?..

— შე ევა მქვია, — სიტყვა გამიყინა ტუჩზე.

— პოდა, ევა, გენაცვალე, გაიარე. ხელს მიშლი ფიქრში.

ვიცრუე, თორემ არაფერზეც არ ვფიქრობდი. ასეთ შემთხვევისგან და ერთდროულად ძილისგან გაბრუნებული თითქოს ეს-ესაა სიზმრის ვამთავრებდი.

— თქვენ ზაზა არ ხართ? — ევლავ მკითხა მან, ამჯერად გაკვირვებით.

— ვარ, მაგრამ გაიარეთ-მეთქი. მე არც ერთ ევას არ ვიცნობ. გუშინ ჩამომიყვანა მამაჩემმა სოფლიდან.

— მე კი მიჩიქის, კარგი ბიჭია და დაგებმარებოა...

„საოცრება! მე ვისი დამხმარე ვარ?..“

არადა, ისეთი ნაღვლიანი ხმით ჩაილაპაპრა ევამ, რომ პირდაპირ გულზე მომედო. ალბათ, მართლაც ძნელია იმედის გაცრეება, როცა პგონათ, რაღაცაში გამოადგები, შენ კი უფარდელად სკრავ ხელს და ზურგს შეაქოვო. ისიც გამახსენდა: როცა თავს ნე-

სიერ და პატროსან აღმოჩნდა უცნობი მხატვარი დანარჩენი არ შეიძლება უნესო და უპატროსნოდ მიიჩნიოო და...

მართალი გითხრათ, გოგობები არასდროს მიტაცებდა.

მაშინაც, სულ ერთი იყო ჩემთვის, ევას რად მიაჩნდა საკუთარი თავი. დიდი ვინმე რომ არ ბრძანდებოდა, მშვენივრად ვხედავდი; თუმცა მისთანები ოღონდ თვითონ იყვნენ თავიანთ სიღამაზეში დანმშვენებულები და სხვის აზრს რამედ დაგიადვენ?!. მით უმეტეს, მხრებამდე ძლივს მწედებოდა. მართალია, გამხდარი და გრძელი ვარ, ვიღაცისთვის იქნებ სასაცილოც, მაგრამ რომ სცოდნოდა, როგორ ვერ ვიტან დაბალ გოგობებს, არც ამეჭიმებოდა ცხვირწინ მოუჩივებდა.

სხვა მხრივ, რა უშეაქა! — სახე არ ქქონდა და შეთხიზნილი ზოგიერთებით. ოდნავ ჩაცვინილ უპეებში ისე უციმციმებდა ლურჯი თვალები, თითქოს მთელი ქვეყნის კრიალა ზღერს მარგალიტებს მათში მოუყარათ თავი. არაბუნებრივად სისხლივით წითელმა ტუტებმა კი ნაწილობრივ დამაფრთხო...

სისხლზე — კაქა და თამილა გამახსენდა. კაქა რა შუაშიაო, იტყვიო, თუმცე საზიზღარი გული კი მაქვს: რა ექნა, არ მიყვარს ეს ბაღნიანი, ოთხფეხა, ჭირისა და ავსნულებათა გამაყრცელებელი ცხოველები. ჩვენს ნათესაობაში ეილაც მომკედარა და ბავშვობიდანვე ბებიაჩემი სულ იმას ჩამჩიჩინებდა: თუ მაგათი ბუნეი გადაგველაპა, იმ კაცივით მოვივაო; და მეც იცოცხლებო, სადაც მოვახელთებდი უპატრონო ძაღლებს და კატებს, მხოლოდ ქვის სრლოით ვიოკებდი გულს.

ერთხელაც თამილასთან მივედი ნიგნის სათხოვნელად...

ჩემი ნიგნი ბიჭებმა მოიპარეს. არა, იმიტომ კი არა, რომ თავს იხეტიადნენ სწავლით... — ისტორიის მასწავლებელი გყავდა, „კიბოს“ ეძახდით, მშობელი რამით თუ არ სცემდა პატრის, თვალში ამოგიღებდა და მორჩა, მოგინამლაგდა სიცოცხლეს, ორინაგებს სულ ღიმილ-ღიმილით ჩამოგირივებდა სახალწლო ტუბილუდით. ბიჭებმა კი უფვეს ოინი: ჯერ იყო, ახალი სახელი შეარქვეს და მას შემდეგ მთელი სოფელი „ტიურს“ ეძახის; მერე, როცა კლასში საჯაროდ გააფრთხილა „ნარჩინებული მოსწავლეები“, ხვალ რევიზორებიან არ შემარცხვინოთ, სამინისტროდან ჩამოვიღანო, — ყველას ნიგნი მოიპარეს. ეგონათ გაცვეთილი რომ ჩაუნებდა, ტიურსაც პირქვე ნაანვენენო, მაგრამ რა დაგიკარგავთ? — თურმე, მასწავლებულს სანამ გაცვეთილზე არ გასძვრება სული, რაც გინდა ის ქნას, მაინც არ მოხსნაინ.

ერთი სიტყვით, ტიური ტიურად დარჩა, მე კი მას შემდეგ თითქმის ყოველდღე მიწევდა

თამილასთან მისვლა ნიგნის სათხოვნელად მამარქმის ამბავი ხომ გითხარით, — საცო- დავ სამიანზე მიიწვ რომ არ მესწავლა და ტიერის ამოვეჩემებინებ, მეტი აღარც მინდოდა — ბენქის გადაუყვამაჲად გამისტუმრებდა იმ საიქიოს...

მოკლედ, კიბესთან ვიდექი და თამილას ვე- ლოდ, როდის გამომიტანდა ნიგნს. ამ დროს, სად იყო და სად არა, ეზოში უშველე- ბელი კატა გამობრძანდა, აუტქარებლად გაი- არა რამდენიმე მეტრი, თუთის ხესთან შეტე- რდა, მერე კუდავ დაჯდა, ნინა თათები ახ- ლოს მიიქუჩა, ყელი მოღერა და ისე თავ- მომწონედ გამომხედა, თითქოს ეკატერინე მეორის კარის ღამაზმანი ყოფილიყოს.

მამინვე ავენთე, იმ არე-მარეზე, სადაც გა- მოწმდებოდი, ძალღი, თუ კატა ჩემი შიშით ცახცახებდა; ის კი, იჯდა და ვითომ არაფე- რით, მყუდროზე მიფიცებულღი თვალებს ნა- ბავდა.

მეტის მოთმენა არ შეიძლებოდა. ფრთხი- ლად ავიღე მოზრდილი ქვა, გამეტებით ვეს- როლე და...

დიდი მარცხიანი ხელი კი მაქქეს... უყნაურთ ქოშინით, კიბეზე გიცივით ჩამო- ირბინა თამილამ. არ ვიცი, ჩემმა სიხარულ- მა გააკვირვა, თუ რამ — ადგილზე გაიყი- ნა, გაშეშდა; სიტყვებისთვის გზა რომ დაეყე- ტა, ქვედა ტუჩი წვეტიან კბილებს შორის მო- იქცია.

ნიგნისთვის ვიღას სცხებოდა...

თამილა ხან მინაზე მოფართხალე თავგაქე- ხილ კატას მისჩერებოდა, ხან მე... და მოუ- ლოდნკლად, აცახცახებულღი პატარა ნიკაპი სისხლის წვეთებმა დაუჯვალეს.

თვითონვე მიხედებით, შემდეგ რაც მოხდე- ბოდა. სოფელში დამალულ-დაფარულღი ხომ არაფერი, — მამაქემმა უტვიზო და რეკვენი მემძაბა, ერთიც გემრიელად მითავაზა ქეროში და მას შემდეგ ეენახს აღარ მომამორა (თი- თქოს მანამდე მაკლდა!), ვაზი მაინც შეიყვა- რე, თორემ შენგან ადამიანი არ დადგებო.

ამის შემდეგ, ასეთ თანაკლასელზე კარ- გი გული გექნება? თანაც, როცა საზიზღარი კატის გულისთვის ტუჩებს დაიკენებტს და სისხლს დაიდენს. ის კი არა, ქვუაზე აღარ ვიყავი, ბიჭებმა რომ მიოხრეს, შე ბოთე, ვერ მიხმდებარხარ, უყვარხარო. მას შემდეგ ხომ აღარც ხმას ვცემდი.

გავიდა ხანი...

ქალაქში გამომგზავრების წინ ნიგნებით ექნძავედი ჩემოდანს, ხელჩანთას და თან ბე- ბიარქმის დარიგებებს ვისმენდი, ქალაქელმა გოგონებმა არ შეგაცდინონ, ყველაზე მჭტად მათ უფრთხილდით. ასეთი ხუმრობის მიუხე- დავად, ხასიათზე ნამდვილად არ გახლდით, სულ ვიღრინებოდი ძალღივით (ჩემთვის, რა

თქმა უნდა!), ამდენი ნიგნები რამის წყაროებზე ბა-მეთქი. და სწორედ იმ დასაწყევლ, თუ დასალოდ დღეს, სწორედ იმ დროს, თამილას ხმა შემოქმესმა, ზაზაო, რამდენჯერმე დამი- ძაბა.

დავიბენი. აღარ ვიცოდი, როგორ მოვექე- ულიყავი; ვერც ის მოვიფიქრე, რა მეპასუხა, რომ ეყითხა, რატომ არ მელაპარაკებო. მე არ გავალ-მეთქი, შემცბარმა ნავიბურტყუნე, მაგრამ მამაქემმა შემიტია, არ გესმისო?!

მოკლედ, მივედი და ვუყურე. ისიც მომჩე- რებოდა.

— მიოხრეს, თბილისში აპირებხო წასვლას, მართალია? — მოულოდნელად ისე უტიფ- რად მკითხა, თითქოს აღარ ახსოვდა, რომ მანყენინა და ხმას აღარ ვცემდი.

დაბნულობისგან, თუ არ ვიცი, რისგან, სისხლმა ტვინში ამასხა.

— პო, მივედიარ, — მკვახედ მივახალე, — მერე, შენ რა რო?..

შეფარკლული ლოყები ნელ-ნელა გაუფერ- მერთალდა თამილას, თვალზე ცრემლი მოცა- ლა, ზურგა შემაქცია კიდეც და სირბილით გამცილდა.

განა ამის შემდეგ მართალი არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ყველა გოგო ქარაფშუტა ბრძანდება? — ეკასაც ამიტომ ველაპარაკე აგდებაულად. და თუ მაგალითების ამოხსნაში დახმარება მაინც აღუფთქვი, ესეც მხოლოდ მამაკაცური დიდსულოვნების წყალობით.

* * *

სხვა ისეთი ჩერჩეტი და გამოთაყვანებუ- ლი (რა თქმა უნდა, ევაზე ვამბობ), არავინ მინახავს ჩემი თანაკლასელების შემდეგ, ნე- ტავ, რა ჯანდაბად უნდა ქალს სწავლა? — ეგდოს სახლში და ისწავლოს მურაბების კე- თება, სლუშმარი რომ მიუვა, ტბილ ჩაის მა- ინც დაღუფონებს.

არა, უშალეესდამთავრებულს არაფრით არ ვითხოვ. სულერთია, ტრაზახში ამომხდის სულს. დამიგდებს დილომს და დამინყებს, შენზე ნაკლები არ გეგონოო. მასეთი იატაკ- საც მოგანმენდინებს, საცვლებსაც დაგარეც- ხინებს და დამთავრდა შენი მამაკაცობაც, მეტი რაღა!..

ისე, სულაც არ ემწნოდა ეკას, რომ აუტა- ნელი ხასიათები პქონოდა, მაგრამ მაინც გუ- ლზე ესაფებოდი, მაჩვენებლიან განტოლებას ვერ ხსნიდა, დილომის აღება კი სურდა.

— ვერ წარმოიდგენ, როგორი ნიჭიერი ბი- ტი ხარ, — მიოხრა მეორე დღესვე აღტაცე- ბით ეკამ და ახლა ჩემი მდგომარეობაც წარ- მოიდგინეთ: იმდენი მემძახეს უტვიზო და ყე- ყეჩი, დარწმუნებულღი ვიყავი, ჩემგან ნიუტო- ნი აღარ გამოვიდოდა. ეს კი, ნიჭიერი ხარო. ვის დაუჯეროს კაცმა, ნამდვილად არ ვიცი.

იქნებ არც ჩემი მასწავლებლები ტყუოდნენ, არც მამაჩემი და არც ეკა. თუმც ერთი კია, — ათივე შეგალითი, რომლებიც ეკას „განსნაველულ“ ამხანაგებსაც ვერ ამოუხსნათ, თვითონვე მესიამოვნა, რომ გამოვიყვანე და სწორი პასუხები მივიღე.

— შენ ძალიან კარგი ბიჭი ხარ, ზაზა, — გაიმეორა მან კვლავ აღტაცებით და ამჯერად უცნაური სიამაყის გრძნობა დაძვინჯა. ნგონი მაშინ ვიგრძენი პირველად რაღაც სხვაგვარი სიმორცხვეც...

ეკა კეთილი და გულისხმიერი აღმოჩნდა. მართალი გითხრათ, ვერ ვიტან, წინასწარგან ზრახული ზრდილობიანობით რომ ცდილობენ გოგოები იღუპალების სამოსში გაახვიონ აუისმომასწავლებელი მიზანსწრაფები. ეკა ნამდვილი პირდაპირობით და ადული გულახდილობით მოქმედებს. მგონი, ამას უკვირ მეგობრობა; ისეთი მეგობრობა კი არა, ერთ-ნაირი გემოვნება რომ აახლოებს ქალ-ვაჟს: ჭირივით მეჯაყრება, ერთი რომ იტყვის, რა ლამაზი მთვარეაო და მეორე — შესანიშნავიაო, მხარას აუბამს. ჩვენი მეგობრობა ყოველდღიურმა სიახლოვემ აღმოაცენა და ახლა ვგრძნობ, რამდენს აგებს ის, ვისაც მამამეტიკა არ უყვარს.

* * *

მომცრო ოთახში, სადაც ალბათ მთელი ზაფხულის გატარება მომიწევდა, იდგა რკინის საწოლი. ერთიბენო მაგიდა და საიდან-ღაც შემოთრული ძველისძველი დერმატირ-დაფხრენილი დივანი. ზედ არაფერს შეეხებე ბოდა. თვითული საგულდაგულოდ გახლდათ დაწვრიული და ჭუჭყისაგან შექმნილი. ჩემამდე იქ, რა თქმა უნდა, იმხანად არადადეგებზე მყოფი სტუდენტები ცხოვრობდნენ. მე მათი „ნამოქმედარის“ მსხვერპლი შევიქენი. კიდევ კარგი, კომუნდანტმა ახალი ქვეშაგები მომცა, თორემ გულისრევა წამალივით შექნებოდა ყოველდღე გამონერვილი. ისეთი სიბინძურე ნახ გოგონას კი არა, თხუნელას შეაშფოთებდა და მართალი გითხრათ, ყოველთვის ოფლში ვინურებოდი, როცა ეკა შემეყავდა შიგ.

იმ დღესაც მშვენიერი ამინდი იდგა. ეწო-სი ხალისიანად დახტოდნენ კატები. გისოსები რომ არა, ვისკუპები ალბათ ფანჯრიდან და ქვის სროლით აუკლებდნი იქაურობას... მაგრამ არა, ვიერუე: თამილას სისხლიანი ტუჩების გახსენება ხელბორკილს მადებდა ყოველთვის და მას შემდეგ კატა აღარ მომიქლავს.

რატომღაც ვერუიულობდი. იქნებ, ეკა რომ იგოანებდა, იმიტომ, მაგრამ გაიღო კარიც და...

— გაიცანი, — ელაე ბიჭი შემოიყვანა

თან, — ჩემი ამხანაგია, — ტყუოდნენ წარმომიდგინა, — აინტერესებს, როგორ მიდის საქმეებო...

შემეჯერა [... „საქმიან დაინტერესებულზე“ მოგასხენებთ], ჩემზე ცოტათი უფროსი იქნებოდა, და კაი ღორმუცელაც, პერანგის სახელოებში ძლივს ეტეოდა ვეება მქლავები.

— კეთილი, — ხელი გავუწოდე.

— პრივიტ, — თქვა მან და არც მკითხა, პირდაპირ სანოლზე დაჯდა.

„ესეც ასე!“ — თავი მოვიქექე.

ერთადერთი სკამი ეკას ერგო, მე დაფრჩი ფეხზე. ზამბარებმოლღეტოდ დივანზე კი არ ვაპირებდი დაჯდომას თქვენივისაც ცნობილი მიზნის გამო: ჭუჭყიანი გახლდათ. ისეე მათ ნინ გავიარ-გამოვიარე. ვლელაედი — მტრისას!

სწორედ იმ დროს, გასაღებების ჩხრიალი შემომესმა. მივხედი, კომუნდანტი ხსნიდა გვერდით ოთახს. სწორედ იქ უქონდა ათასი წერილმანი შენახული, მათ შორის: ტაშტებიც, ვედროებიც... და ჩემთვისაც მოულოდ-ნელად ვთქვი:

— თქვენთან დიდი ბოდიში, მაგრამ ოთახი უნდა დავასუფთავო.

— ახლა?..

— ახლა.

ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი ერთგვარი შიში, გაურკვეველ წადილს რომ აღმოეცნებინა. რა თქმა უნდა, მსურდა, მხოლოდ ის ბიჭი წასულიყო.

— ამას რა დაასუფთავებს, ტო? — დამგელა მან და კიდევ კარგი, ეკამ არ ათხოვა ყური.

— ზაზა, — ნამოხტა მაშინვე ხალისით, — ვიშოვთ აქ იატაკის საწმენდს?

— თანაც რამდენს! — შეძახე და გიფივით გავეარდი ოთახიდან.

საწყობის კარი შევალე თუ არა, იქვე გავ-შეშდი. აქა-იქ დაფრჩილ ლეიბების გროვებიდან ერთზე, ჩემხელა გოგო შესკუპებულიყო და უკან გადახნივლი ფეხებს იქნევდა არხინდა. ამათგანაში, კბა ისე მალდა ასწეოდა, მეგონა, სირცხვილისგან თავს ჩამოიხრჩობდა, მაგრამ გინახათ? — ერთი ძარღვიც არ ასტოკებია შუბლზე.

— ოჰ, შენ ხარ?.. შემოდი, შემოდი, — თავის როხროხა ხმით შემოპატოგა კომუნდანტი. ძველ ზერნებს თვლიდა, თუ რას აკეთებდა, ვერ მივხედი. დავინახე კი, რატომღაც დამნაშავესავით რომ ნამოწითლდა.

— დათიკო ბიძია, — წვალებით გადაეყლაბე ნერწყვი, — ტაშტი და ვედრო მათხოვეთ; ტილოც... ოთახის გამოწმენდა მინდა.

— აგერ, კუთხეში ალაგია და აიღე, — იმ გოგოსკენ მიმანიშნა; თვითონ ფეხი არ გამოდგა.

ლიმოდა. მე შეგონა, ეკა დაბრუნდა-მეთქი. მუნწყნა.

— რას მიყურებ? — უძმებად ვკითხე.

უარესად გამოღრიჯა და ახლა მხრების რხევა აუტყდა, თითქოს თავის სიცოცხლეში სულ საქანელაზე მჯდარიყოს. როგორც ჩანს, ქალს თუ ერთხელ გადაუგორდა უსირცხვილობის გორგალი, მერე რამდენიც არ უნდა უბღვირო, გინდ სცემო, ახრი აღარა აქვს.

— მარტო ცხოვრობ? — გამომწვევად მკითხა.

— როგორც ხედავ, — ისევ იმ განწყობით ვუქანასხვ.

— შეიძლება, მოვიდე ხოლმე?

— არა.

— მაშამ ჩამოგიყვანა?

— ეტ სულაც არ გკითხვება შენი

— ინჯენიუს* — სიცილით თქვა რაღაც და როგორც იქნა, მოსცილდა კარს.

კომენდანტზე უფრო მომივიდა ბრაზი, ენა რომ არ ჩაადგებინა; „ინჯენიუსიც“ ხარ და უფრო მეტიც-მეთქი, მივაძახე...

ასე ყოფილა ადამიანი: თუ ერთ საქმეს მიღარვით, თურმე ვერასგზით გადაჩვევ, იქნებ მართლაც სასიამოვნოა დიდდილობით ლოგინში ნებივრობა, მაგრამ ესეც მოჩვენებითი ყოფილა. ვგრძობდი, გული ვენახისკენ მუნწოდა. ალბათ უფრო მეტი საიამოვნებას მომანიჭებდა ამხანაგებთან ერთად სისხამ დილით მწურნობაში მანქანით გამგზავრება.

გამოცდების დამთავრებისთანავე ჩვენმა კლასელებმა კომკავშირული ბრიგადა ჩამოაყალიბეს, ზვარი გაიპიროვნეს და სარეკორდო მოსაველის მიღება ივალდებულეს... მერედა მივხვდი, რა ანუხებდა თურმე მაშინ თამილას, გამომგზავრების წინ სახლში რომ მეახლა, მაგრამ მე რა შემეძლო, — დედაჩემის კივილს, მაშაჩემმაც ვერ გაუძლო...

ფანჯარასთან ვიდექი და გამწარებით ვქაჩავდი სიგარეტს. ჩემს მშობლებს გულზე მაღამოსავით რომ არ მოუდებოდათ, ვიცოდი, მაგრამ ახალგაზრდის გადაწყვეტილებას, რამე შეაჩერებს?! — მახვლებდა და მაინც ხარბად ვყლაპავდი ნიკოტინით გატენილ კვამლს; ასე მეგონა, მითელ დარდს და ბოლმას თამბაქოსთან ერთად ვწვავდი.

ცოტახნის შემდეგ, ოთახში ფუთით ხელში ადღვლებული ეკა შემოიჭრა.

— მხეცები!.. ელეურები!.. — ცრემლმორთული იძახდა იგი.

— რა მოხდა? — დაბნეულმა ვკითხე.

— არაფერია მათში ადამიანური, — სულ-მოუთქმელად ჩაილაპარაკა მან და კატის კნუტის კნავილის ხმაც შემომესმა. უბეში ჰყავდა ჩახუტებული.

„ესლა მაკლდა, — უსიამოდ შევექანდი, — ჯერ თამილა, მერე ეკა, ღორმუცელა ბიჭი, უსირცხვილო გოგო და ახლა კატის კნუტი. იშვიათი კოლექციაა ცოდეგილი სულის დასამშვიდებლად!“

— არა, შე საბრალო, არა... დედა მოგიკლეს ველურებმა?.. — ბავშვით მოვადურსა ეკა კნუტს და თავისი მოტანილი ძეხვის ყველაზე დიდი ნაჭური ცინგლიან დრუნჩზე გაუსე-გამოუსვა.

ბუტბუტსა და ლიღინს მოვყვიე. ჯიბეებში ხელბნატიწილს იმ გოგოსავით ტანის რხევა ამიტყდა. ნარმოდგინეთ, ასე გმოიდეს, ის კი... კნუტს ყურადღებაც არ მიუქცევია ძებვისათვის, „ქუ, ქუს“ იძახდა მხოლოდ, ხელში არ უჩერებოდა, იჩხაბებოდა და არც იმის თავი პქონდა; თვალეახუბილავს ტურბთან შავი ბალანი რძით ერთმანეთზე შენებებოდა.

— ნახე, ზაზა, რა ლამაზია, არა? — პირდაპირ ცხვირთან მომიტანა ბრჭყალებმომარჯვებული და კბილებდაკრეჭილი კნუტი ეკამ; — პო, კარგია, — ძლივს ამოვილულულულე და ნარმოდგინეთ, ერთი ბენო თავზე ხელიც გადავუსვი.

გამაჭრტოლა. არადა, თუ ერთხელ დავძლიე საკუთარ თავს, უკან დახვევა აღარ მიყვარს; ორივე ვუსტამდით აბურტნულ ბალანზე თითებს და ორივეს მგონი რაღაც გვიხაროდა: არ ვიცი, კნუტი არ გვეპუებოდა და ჩვენ მაინც ჩვენსას რომ ვაკეთებდით, თუ ჩვენი მხურვალეობა ერთმანეთზე რომ გადაგვეტონდა შეხებისას. ეკას მეტად სასიამოვნო გლუვი კანი პქონდა.

— ამას ფოფოს დავარქმევ, — თქვა მან, — ხომ კარგი სახელია ფოფო?

— პო, კარგია, — თავი დაეუქნიე მე.

— ველურები!

— პო, ველურები...

* * *

ეკას ყოველდღე მოპქონდა რძე ფოფოს გამოსაკვებად, საპნით ბანდა ცივ წყალში, მკებნარი პყავს, მოუხდებოდა და თან ჩემთან ერთად ხსნიდა მაჩვენებლიდან განტოლებებს.

ისეთი ყარაჩი (ფოფოზე მოგახსენებთ!) მორეს ვერსად ნახავთ, გვეგონებათ გამჭვარტლულ ლუმელში გაუძვრენიათო, მაგრამ ეს როდია მთავარი: გულის გასასიებლად თვალით ორ დღეში აეხილა და გასაქცივად გამიზნულ პატიმარივით მაინცდამაინც შუალამისას ზომავდა ძილით მოცულ ოთახის კუთხე-კუნჭულს. ხეტიალში, რძით სავსე კონსერვის ყუთს ნაანყებოდა, მოპყებოდა ენის ტლაკუნს, მერე დივანზე აბობლდებოდა, საგულდაგულად დაიღვსებოდა კლანჭებს, ბოლოს სასონარკვეითილი რამდენჯერმე ამოიკ-

* (ინგ) — უემმაკო.

ნაელები და კვლავ იწყება „მოგზაურობას“ თავიდან (რამდენიმე დღის შემდეგ იგი ჩემი ოთახის სრული ბატონი-პატრონი გახდა. იხანადა ნებისურად ერთი ღამეც არ მძინებია).

როგორც ჩანს, ადამიანის განავლებას თუ განიზრახავ, ღამე არ უნდა დააძინო და არ უნდა აშუკადინო. დიახ, გამოცდების დაწყებამდე ერთი კვირა დარჩა, მე კი მეცადინეობისადმი ხალისი რატომღაც დაკარგე. ამრეზილი ვიყავი როცა ეკა არ იყო ჩემთან და გულს ნაოლედ ფოფოსთან თამაშით ვიოკებდი. დამჩვენებულ ქალაქის ბურთის დაუფედდით ორივე, ვერ გაიტვებით, რომელი ვიყავით მკარე, რომელი — თავდაშისმელი; ხელები დასისხლიანებამდე მქონდა დაკანრული.

არაფერი ყოფილა გასაკვირი ცხოვრებაში. ფოფოს რწყილები ახლა მე დამესიენ. ორშაბათ დილას აბანოში გასაქცევი გავხდი. საღამოს, უკას რაღაც მალამო მოვატანინე და რადგან საპნით გაბანებას შედეგი არ გამოვლო, ჩვენი ფოფო იმ მალამოთი გავვლისეთ (აფთიაქში ეთქვათ, სწრაფმოქმედიო, არ კი აუხსნათ, საერთოდ რისთვის გამოიყენება).

გეგონებთ ნებოში ამოუღლიათო, საწყალი კნუტი საშინელ არსებას დაემსგავსა. ეტყობა, ერთი ბენო სხეული აქნა — სულ იფხაჭენობდა; მქებნარიც მაშინვე დაძრა, იატაკი შავდა მოიფინა.

გაანზღებულმა კნუტმა რამდენჯერმე გამწარებით ჩაუსვა ხაოიანი ენა თავის ნეკნებ-გამოჩრილ ფრედებს, დრუნჩი მოილოკა და ხელიდან გაგვისხლტა თუ არა, მაშინვე დიუანის ქვეშ შეძერა და იმ დღეს ერთხელაც აღარ გამოიმწერალა.

სალამოს ექვსი საათი შესრულდა. სადაცაა ეკა შემოაღებდა კარს და აფორიაქებული ენოილებდო; ყოველი ნამი საუკუნედ მაჭრებლობდა.

შეფარებით გრილი ამინდი იდგა. ნიავი ამოჩნდებდა აკაციის ფოთლებს. ლეგა-ლეგა დრუბლები ეპარებოდა მოკრაილებულ ცას.

ბოლომდე მქონდა ჩახსნილი შერანგის ღილები. შიშველ მკერდზე ხელდადებული შეუჩერებლად დაედიოდი ნინ და უკან. აშკარად შეეგრძნობდი საკუთარი გულის მოხშირებულ ფეთქვას.

„ნეტავ, რა შემართება?..“ — დამებდა კითხვა, თუმცა პასუხის გაცემა ვერ მოვასწარი, რომ კარიც გაიღო.

— შეიძლება? — მკითხა მან და მოულოდნელობისაგან იმდენად დაიბებნი, ვერც დაუკრთანებე, ვერც უარი უთხარო.

ოთახში ის გოგო შემოვიდა, ლეიბებზე შემტარი ფეხებს რომ იქნევდა და მიღიმოდა.

ისევ ის კაბა ეცვა, მკერდმოღებულ მკერდში მკერდში შინლად მოკლე.

სიგარეტს ვეცი ვიფიქრე, იქნებ ჩემსავით ხველებამ დაახრჩოს და მომცილდეს-მეთქი, მაგრამ გინახავთ? — ჩვეული კრეჭვით ჩემს სანოლზე დაბრძანდა; მერე, მაგიდაზე დაგდებული კოლოფიდან სიგარეტი გამოაძრო, პირში მოხდენილად გაიჭტო და თავაზიანად მომმართა:

— მომიკიდე, ზახა!

მაშინვე მივანოდე ასანთი. არა, მივანოდე კი არა, თვითონ ავანთე და აღი მუჭაში მოვიქციე, რომ ნიავს არ ჩაეჭრო.

ნიავი მაინც სწენდა ბოლქვებს. მან ორივე ხელი ჩემს მუჭას ჩაავლო და სანამ მაგრად არ გააღვივა, არ გამოიშვა. ვერ გავიგე რაში სჭირდებოდა, თან რომ ქაჩაედა და თან ცდილობდა ქვევიდან სახეში შემოეხედა ჩემთვის; შიშველი მკერდის მუტს მაინც ვერაფერს დანახავდა. თვითონ კი, ნინგადახრილს მთლად გამოთუნდა მკერდი და ნამიერად პირი გამოიშრა, ნერწყვი ვერაფრით გადაეფლავე.

ის იყო და ის, მას ნებართვა აღარაფერზე უთხოვია. ბალში ამოიღო თავქვეშ და სანოლზე გაიშხლართა.

მაგრამ ჩემი მდგომარეობაც ნარმოიდაგინეთ: ღამის დამებრიცა თვალები, დაეიხრჩე ნყურვილით. ის კი იწვა არხინად, როგორც პლაგზე და აბოლებდა გემრიელად...

ოდნე მოგრძო სახეზე საოცრად უხდებოდა აბრეხილი ცხვირი, შავი თვალები, მოკლედ შეკრეტილი ქერა თმა; სახე მკერდზე და გრძელ, მოყვანილ ფეხებზე აღარაფერს ვამბობ, თითქმის ნახევრად შიშველი, მწვანე გადასაფარებელზე ციციანათელასავით ანათებდა. დაბნეულობისგან ისე სწრაფად ვწედი, კვამლით გავტენე სივრცე. აღარც მახსოვს, კარი როდის მივხურე.

— დათოსთან მოვედი და არ დამხედა, — როგორც იქნა, ამოღერდა, — უნდა ენახო აუცილებლად.

— შენ, გოგო, ცოტა გრძელი ვერ შეიკურე? — კაბაზე ვანიშნე.

— გოგო კი არა, მკაცა მქვია მე, — მგონი გამაჯავრა.

— მკაცა კი არა, რაც უნდა ის გერქვას, ჩემთვის სულ ერთია.

— თუ სულ ერთია, მაშინ თავს ნუ იწვალე და გვერდით დამიჯექი, თვალეში მინდა შეგხელო.

— მტვი არაფერი გინდა?

— ტყუილად ედილობ, გაბრაზებულად მაჩენო თავი, შენ კეთილი ბიჭი ხარ.

— რა იცი შენ?

— თვალეზე გემწნევა.

— ვითომ?..

რკინის სანოლის ამბავი გეცოდინებათ,

(თანაც, თუ ზამბარები დაშვებული აქვს), — სადაც არ უნდა დაჯდე, შუაში ჩავარდები. პოდა, მცე ბოლოში, ფეხებთან ჩამოვუჯები მაკას და თან ეანგინ რკინას ჩავეჭიდდე.

— თავს ნუ ინვალებ-მეთქი, — შენიშნა კვლე მაკამი, — დაჯდები წესიერად.

ხელი გავეშვი რკინას. მჭეი არც იყო საჭირო: ისე ახლოს მივიჩნიე, ერთმანეთს შევეხეთ.

ტანზე სისველე ვიგრძენი. გარეთ უკვე წვიმადა, მე კი ოფლში ვცურავდი. ისე ახლოს არასდროს ვმჯდარავი გოგოსთან. წამოდგომა ვცაადე და ისიც არ გამომივიდა. მან ხელზე ხელი მომიკადა, მერე შარვალი მომისინჯა, ნამდვილი ჯინსი ყოფილაო, შემიქო.

კარგა ხანს მიეჩერებოდი მონუსხულობით. მოულოდნელად რაღაც დამემართა, მგონი აეკანკალდა და თავისთავად წელ-წელა მისკენ დაეხიარე.

— არა, იმიტომ კი არა, თითქოს რამეს ვაპირებდი. სად მქონდა მაგდენის მოსაზრება, ან გამბედაობა, მაგრამ ტუჩებით მის ტუჩებს კი მიეწვდი...

არ მახსოვს, რამდენხანს გაგრძელდა ეს ნეტარება, თუ საშინელება; უცბად ხელი მკრა მაკამ და იატაკზე ზღართან მოვადინე.

— რა მოგივიდა, ზაზა? — თან ისე გულ-არხეინად მკითხა, სახტად დაურჩი. არაფერიც არ მომსეულია-მეთქი, ჩაეიბურტყუნე. მოკუ-სულმა პირსანშენდს წამოკაველე ხელი და საპირფარეოსკენ გავექციე. არადა, არაღა არ მომსვლდა, მთვრალივით ეპარნაცებოდა, თვალებში მონოლილი სისხლი მხედველობას მიკარგავდა...

უკან დაბრუნებულს ეკა დაშხვდა ოთახში, ხელჩანთიდან რაღაც შეხვეულებს ალაგებდა მაგიაკურ.

მაკა ერთან აყუდებულყო მოპენილი, ვითომ დარცხენილი. რა გნებათ მეთქი, ვკითხე ახლად მოსულივით, თითქოს ცოტა ხნის წინ იატაკზე არ გადამოვედე და მაშინ ეადიარე, სიცრუე კეთილ სამსახურისთვისაც გვეჩრდება თურმე.

— იციო, — მთლად გადამრია მაკამ „მორცხობით“, — უცბად დამჭირდა... თუ შეგაძლიათ, ხვალამდე ხუთი მანეთი მასესხეთ.

სასწრაფოდ მოვიჩხრიკე ჯიბეები, ახლა სხვა რამ არ წამოსცდეს-მეთქი და თხოვნა უყოქანოდ შევესრულე. მან შადლობა გადამიხადა და წავიდა. ბოლოს მგონი თვალცივ ჩამიკრა, ნაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია, პირსანშენდს ვისვამდი სახეზე გამზარებით.

— რას შერგბა ღოფო? — მაშინღწ მკითხა ეკამ სრულიად შეცვლილი ხმით.

— ფოფო? — დაეცებანი; არ ვიცოდი, სად

დამემალა აღანძული სახე. მაშინვე მოიქცე ნაენქი იატაკზე და დიანის ქვეშ შევიხედე. თან ხელი შევავი, ვერ კი მიეწვდი კნუტს და ასე წამოგორებულმა ტყუილად ვაფათურე ხელები.

— კარგი, მოუფი... რძე არ დაუღვია, მგონი დარდობს... ხელი ხომ არ გეშლება ჩემი მოსვლით? — ისეთი ნაღველგარეული სიცოლით მკითხა ბოლოს, იატაკზე ქვასავით გაეფიქრე.

— რას ამბობ, ეკა, — ამოვიღუღლუღე ძლივს.

— თუმცა, რას გეკითხები, არა?

— მთელ დღეს გელოდი. ყოველი წუთი უშუნიდ...

— ბებია გამიხდა ავად. წავედი.

— ხვალ ხომ მოხვალ?

— არ ვიცი.

— ზეგ?

— არ ვიცი.

— მაშ?..

— ნახვამდის.

— მერე ფოფო?.. ფოფო...

ბოლო სიტყვები არ გაუგონია. დამშვიდობებისთანავე სწრაფად დატოვა ოთახი. მორღვეული, მოშხაპული წამოვადეტი ძლივს, მერე სანოლზე მოცველივით დავვარდი და კარგა ხანს ექანაობდი; ზამბარები იატაკს ეხებოდნენ.

პირქვე მწოლარეს ცალი ხელი ძირს მქონდა ჩამოშვებული და ჩემსავე დაგრძელე-ბულ თითებს ჩაეყურებოდა. იმ ადგილს ეფერებოდა თითქოს, სადაც ცოტა ხნის წინ ეკა იდგა.

დიანის ქვეშიდან ფოფო გამოძერა. უსუსურმა არსებამ თავი ჩემკენ ამოსწია. თვალის ქრილები ცრმელებით შესველებოდა. როგორ ჩანს, ცხოველებსაც ესმოთ, როცა მათი მატრონიები სწუნან, ისინიც განიცდიან და ტირიან წამდელი თანაგრძნობით.

გულს ცოტაც პუოფნის თურმე; შეეყურებდი მუშტისოდენა ფოფოს და მიკვირდა, სად დაკარგვოდა ჩვეული სიმკვირცხლე, ხალისი, ჩემთან ერთად ქაღალდის ბურთით თამაშის დროს რომ ამღვანებდა.

შემეცოდა. ყურზე შევეხე. მერე პაერში გავათამაშე თითები, გახალისდება-მეთქი, მაგგრამ მოვტყუედი. საცოდავი ფოფო ერთხელ ძლივს შემოტრიალდა ადგილზე, ნაიქცა. კვლავ ამოსწია ჩემკენ თავი, სველი დანერწყვილი დრუნჩი ძლივს მოილოკა, ხრინწიანი ხმით გულსაკლავად ამოიქანავდა და თვალის ქრილები ოდნე გააღო.

მაშინ კი ნამდვილად დამეჩხაპნა გული. მისი დიდრონი ბრიალა კაკლები სადაც მიმქრალიყო და გაბუნდულიყო. ცოტახანს ეყურეთ ასე ერთმანეთს, სულ ცოტა ხანს, მაგ.

რამ სამუდამო ანარეკლებად აისახნენ ისინი ჩემს ღონისძიებში; და არა მარტო ზედაპირულად...

მეორე დღეს საბუთები შევიტანე... ჩემები ხომ არიან და არიან, ვის შევადარებ, მაგრამ გასულდღეობით ზოგიერთი მშობლის საქციელით: არაფერი გავგებთ მათ შვილებს, მაჩვენებლიან განტოლებებს ვერ ხსნიან და მაინც სურთ გამოცდები ჩააბარებინონ, სხვებზე ნაკლები რით გვეყავსო. ნახვეარ საათს ძლივს გავუძელი ჩემზე უტყვირო აბიტურიენტების ლაპარაკს, სწრაფად დავეტოვე იქაურობა.

სოსისი გაცივრულე სახლში და ფოფომ თავისით რომ ვერ შექამა, რამდენიმე ნაჭერი ძალით ჩაგზარე ყელში; მეტი ვერაფერი მოვიფიქრე.

ეს ის დღეები გახლდათ, როცა მეც დავკარგე მეცადინეობის ხალისი. დავაბიჯებდი ჯინსის ჯიბეებში ხელბეჭაჩრილი და მეჩვენებოდა, ევა შემოალებდა იყო. და სწორედ ამ დროს, თითქოს ფოფო იყო არსება, რომლითაც მთელ ცოცხალ სამყაროს დავკავშირებოდი.

სამხუხაროდ, ნუთი-ნუთ უარესდებოდა მისი მდგომარეობა. ვერცხლისფერი მალამოს წასმიდან მესამე დღეს (რაც უკვე მთლიანად გაილკა), გაუნძრევლად მწოლარე სუნთქვად მშობლოდ. კბილებდაკრეჭილს, თვალები აღარ ეხსნებოდა, ფეხები, კუდა უშოძრავლად გაემუკრა განზე, კანი მუცელზე ადგილად-ადგილ გასწოთლებოდა და აღარ მოქმედებდა მასზე ჩემი დაძახება...

რა თქმა უნდა, არ მესმოდა ჯერ, რა ემართებოდა ფოფოს. ცოცხალი რომ იყო, ეხედავდი. მეც ძალით ვასხამდი პირში წყალს, ან რძეს, „ტეტრაციკლინი“ კი მოუტანე, მაგრამ ყველაფერს იმნამსვე უკან იღებდა. ბოლოს, საოცრად აჯანკალდა, რითმულად, შეუსვენებლად; ვერ გავუძელი და იმ ღამეს ფეხებთან დავინეინე, გავათბო-მეთქი...

ეტყობა, ასე ემართება ყველა მარტოხელსა. დიახ, თითქოს ფოფო გახლდათ ერთადერთი არსება, რომლითაც გავუგებარი სურვილებით დავკავშირებოდი რეალურ სამყაროს. მისი კნავილი და კრუტუნო იმ შეძახილებს და აღურსს მაგონებდა, ადამიანის გრძნობებიც რომ ახლდა თან. იმედი მქონდა, გათენდებოდა, ამოვიდოდა მზე, კვლავინდებური ხალისით შემოიხედავდა მონყენილ ოთახში. ჩვენც ვითამამებდით ქალღმრთის ბურთით, მე გადავკრებოდი სანოლზე, ის ჩამოვყვებოდა და მაგიდის გადასაფარებელს პანია კბილებით, შეხტებოდა დივანზე და დაიღვასვდა ისედაც ნევეტიან ბრჭყალებს...

„ნეტავ, რა გვემართება ყველას, რატომ არ მოვიდა ევა?“
მკვდარივით დამეძინა.

ჯერ ისევ ბნელად, რომ ბრახუნმა გამოშალვია. ბარბაკლით ნაშოვდექი, არც მივითხავს, რომელი ხარ...მეთქი, კარი გავხსენი.

— მარტო ხარ? — შემომვსმა თითქოს ნაცნობი ხმა.

— ფოფოვ ჩემთანაა.

— ვინ ფოფო, ოთახში რომ არაფერ ჩანს? სულელი თუ გკითხავს, მარტო ხარო, როცა თვითონვე ხედავს ოთახში სხვა არაფერია. დიახ, დიავნოზის დასამაში არ შეეცდები, ბუნებრივი ნიჭი მაქვს. ექიმი უფრო გამოვიდოდა ჩემგან, მაგრამ თუ ბაღნიანებს ვერ იტან და სისხლის დაწახვის გეშინია?.. არა, კი არ გეშინია, — დარდობ, რატომ დაიდინა თამილამ სისხლი, ბაღნიანებიც გეცოდება უკვე შენს თავზე მეტად...

კართან ის ღორმუცელა ბიჭი იდგა, დაბერილი მკლავები პერანგის სახელოებში რომ არ ეტეოდა.

— მოხდა რამე? — მთქნარებით ვკითხე.

— შენ რა ჩაგიდენია, ტო? — ჯიქურ შემოიჭრა ოთახში, — ხომ იცი, თაორემოს გამლერე?

— მაინც რა ჩამიდენია? — უარესად გამოვშტრდი, — თუ არა, სიმულრა კი მიყვარს, მაგრამ სხვის ნებაზე კი არ ვმდერო! — ვითომ იქით შევეუტრე, თან უფიქრობდი, პირველად მესმის, არიას მღეროდეს კაცი და ჩაცმული არ იყოს...მეთქი.

მეტის გააზრება ვერ მოვასწარი, რომ ყურის ძირში მომხვდა და ზამბარებმოლულტილ დივანზე გაეიშხლართე.

რეტი დამეხსა, მიხედველობა დავკარგე, სუნთქვა შემეკრა. ისე მომეძიოდა, როგორც დახრწობისას, ჩასუნთქება რომ უნდათ, მაგრამ პაერის ნაცულად წყალს ყლაპავენ.

— მავატიე, ტო, ასე არ მიწოდოდა, — შემომვსმა გონზე მოსულს და მივხვდი, რომ მას ჩემთვის ფოფოსთვის განკუთვნილი რძე შემოესხა, მკურმიც ნებოიანი მქონდა. თან ლოყებზე მიტყაპუნებდა გვარიანად.

— მაინც რა ჩამიდენია?.. თუ არა, მე ფრანგულ სიმღერებს ვმღერო... არა, ვლილინებ ხოლმე... — ბოდიას მოვეყვი.

— ახლა ალბათ ადვილად გადაიტან, — სრულიად სერიოზულად თქვა მან, — ეკას ბებია გარდაეცვალა.

— მერე?

— უნდად ნუ ეტყვიო და ვიფიქრე... ხომ არ გეწყინა, ტო?

— არა, რატომ უნდა მწყენოდა?... კინალამ მომიკლა და არაფერიც მწყენია-

მუთი. „ტო“ რაღა ჯანდაბაა: კარგი ამბავია, კაცს ჯერ სცემო, მერე რაღაც შტერობა უთხრა. როდის იყო. ბებიების გულისთვის თავებს იხოცავდნენ. ჩვენი. ბებრის ქალების ქორწილი გეგონება, მთელი სოფელი ძღვება, ორი ძროხა არ ჰყოფნიო...

— ასე თქვა, ნელს ევლარ ჩავაბარებ, ბუბია ჩემთვის დედაც იყო და მამაც.

— რა თქვა?... პო, — მივხედი, ეკახე შეუბნებოდა, — გადაეცი, აღარც მე ჩავაბარებ. ისედაც კარგად ვერ ვვრძობ თავს. არა, მომნიჭებას ვერ ვვრძობ. დაგვიდებენ ორ ათმანეთიანს და იმყოფინე ორ თვეს; მერე უსმინე რაღაც შტერობას აი ასე, ზამბარებმოლელეტილ დივანზე გამხლართული. ვენახში ახლა სასიამოვნო ჩრდილია და ნყაროს ცივი ნყალი...

— რას ამბობ, ტო? — შემანჯღღრია.

— არაფერს, — ხელი გაავშევიბინე, — თანაგრძნობას გიცხადებსთქო...

როცა სრულიად მოვდი გონს, ის ბიჭი უკვე ნასული იყო და ჩემი ავლადიდედაც შვერული მქონდა. მხოლოდ რაღაც მაკლდა საფუფელიანად გამგზავრებისთვის, სრულიად უმნიშვნელო და ვერ კი მომეფიქრებინა. დილა ადრინან რამ მოათრია-მეთქი, გამწარებულ ვებუტბუტბადი.

გამახსენდა, — რა გაუძღვებოდა დედაჩემის ნივლის?... როცა ჩაიჭრები, იმდენს მანაც აღარ იყვირებენ; იტყვიან, ფული არ გექონდა და ისე ნიშნანს ვინ დაუნერდაო, საძაგელი ბილეთი შეხვედრიო და მისთანები. ახლა კი რით შემართლებინა თავი?..

ნეტაც ვინ მამალებდა, რომ ვაბარებდი, თანაგრძნობას გიცხადებ-მეთქი. არადა, როგორ შეიყვარებ კაცს, რომელიც იტყვის და არ აასრულებს?!

„დაიხა, — ავმხედრდი უცხად, — ვინ ჰკითხავს მამაქმს?... პატარა კი აღარ ვარ!.. მინდა, ჩავაბარებ გამოცდებს, მინდა, მერუნრობაში ვიმუშაებ თამილასთან ერთად. ინჯინერი და გმირი, არ გამოგონია მე; ან ჩემისთანას შეიძლება ბევრი არაფერი გაეგონოს და ამიტომ ბევრიც არაფერი დაეწერებოდა, მაგრამ მანაც ასე მგონია და თუ მგონია, მართალიც ვარ: გმირ ინჯინერებს თუ თუბზე ჩამოითელი; მევენახე გმირების დასათვლელად კი მელანი არ გეყოფა. ასეც რომ არ იყოს, ინჯინრობას ისეც მინდორონი მუშაობა სჯობია; არც დახუთული პაერი მოგიმლავს სიცოცხლეს, არც ზამბარებმოლელეტილ დივანზე გაგმხლართვენ, ჩახვალ „ჩაღის წყლებზე“ და მუშაობით გაკავებული ნამონეები მუხის ჩრდილში. თან ბოთლებს ჩააკვირებ ნყაროზე, თან თამილას მოისვამ გვერდით... მინდორონი პურის ჭამას რამე შეეძლება?..“

„მაგრამ ფოფო?..“

ძალიან გამოვიცვალე უკანაქველ დღეებში. როდელი ვვავედი მტაცებულს, ცხოველების კვლა სინამოფინებას რომ ანიჭებ; გულმეკუმული მივედი ლოგინთან და ზენარი სათუთად გადავინვი.

რა ცუდი ვრძნობაა, როცა არ გინდა უყურო, თვალს კი ვერ არიდებ. კბილები დაკრეტოდა ფოფოს, დრუნჩი ცინგლით გასთხუბნოდა, ფერდები ერთმანეთზე მიჰყუროდა, როგორც იტყვიან, ებრძოდა სიკვდილს, ებლაუტებოდა სიცოცხლეს; უკანასკნელად შეეცადა ნამოდგომას, აქაც უმტყუნა ბედმა — დაეცა, გაიჭიმა, დაძაგდა და დავინახე, თვალის ქრილებში სიმწრის ცრემლებმა როგორ გამოფონეს...

არ ვიცი, რას ვფიქრობდი მაშინ, დიდხანს კი ვიდექი ერთ ადგილზე გაქვავებული. მერე გავიხადე მისუბრი, ჩელი ბაეშვიცი გავახუთე შიგ ნახევრად გაცივებული კნუტი, მარცხენა ხელში დავინჯინე და ეზოში გავდეი.

ნინა დღის ნაწიემარ მიწას ორთქლი ასდიოდა. მზეს ჯერ სრულად არ დაეფრქვია თავისი მხურვალეა აკაციის ფოთლებზე და სასამოვნო სურნელება სადღაც გამქრალიყო. სამაგვიროდ პერი იყო გრილი, გამჭვირვალე ბელურები კვლავ გაბმით ელურტულებდნენ.

მივაბიჯებდი ფრთხილად. მიველ სიგრძეზე გადავქერი ფეხბურთის მოედანი, მიწაყრილთან შეჩერდი. ქვოტიკის გაღაღნის წინ ადამიანის სიმაღლემდე აწვერილიყო კლიანი ბალახი. თუხლებზე ჩავიროქე, იდაყვი სველ მიწას შეეახე და მაისურში გახვეული ფოფო იმ ბალახების ძირში მივაწვინე...

* * *

გაიარა კიდეც რამდენიმე დღემ. მე უკვე გამოცდაზე ვხივარ, ჩავყურებ ბილეთს და ეკახე კლიტრობ. უფრო სწორედ, ბრაზი მომდის, რატომ აღარ მომაკითხა; ხოლო, თუ ბრაზი მოგდის, უმჯობესია, მართლაც აღარ მოგაკითხოს...

ისე, მაკას ბრალი კი იყო. იმ უსირცხვილომ ხუთი მანეთი ნამაძრო ერთ კოცნაში ეგონა გამაყურა?! — ძალიანაც ვიცი, რის მომტანია. მაგნაირი სხვას თუ ვერ ნააღლელტს, რას დაგებრუნებს? თანაც, თუ ადამიანის დათესვა გინდა, ფული უნდა ასესხო თურმე...

გეგონება, მატარებლით ვიმგზავრეთ. ჩვენი შეხვედრების ხანგრძლივობა ხანმოკლე მგზავრობას მაგონებს და გული მტკიცია, როცა ამ ქალაქლების გულცივობას ვიხსენებ.

დაიხ, გულს მართლაც გატენს გახსენება, რომ ადამიანს მაჩვენებლიანი განტოლებების ამოხსნა ასწავლო, მისი გულისთვის უმატრონო კატის კნუტი ოთახში შეუშვა, ძილი გაიმწარო, ახლა ყურის ძირში ვითაყაზონ,

ნამბარებმოღლებილ დივანზე გაგშლართონ, რძემი ამოგთხუპონ, — მან კი სრულიად დაგივიწყოს...

ძალიანაც მინდოდა მეტეკა ეკასთვის, რასაც უსუნადა თურმე ფოფოს. ის მაღამო შემთხვევით კომენდანტმა ნახა და სიცილით გაიკუთა. მენ იცი ამას რისთვის იყენებენო? მაღამოში ვერცხლისწყალი შედის, ესე იგი. თქვენ მოგიკლავთ ის კნუტო. რაღა მე-თქმოდა, რადგან ჩვენ მოკვალით, ჩვენვე ვაგებთ. მეთქი პასუხს, მტკიცედ განუუცხადე.

რა ვიცი, კაცი თუ გასულელებას განიზრახავს, ეტყობა არ უნდა დაუშალო. რასაც საკუთარ თავზე იწუნე, ის გჯერა ყველაზე მეტად. უნდურკინდი არ ციყავი, დავით კოპერფილდი ჩემგან არ გამოვა, მაგრამ იმას მაინც მიყვები, რომ არც ნამეტანი გულგრილობა უარგა, არც გადამეტებული სიყვარული. გულგრილი თუ ხარ, ჯანდაბას, გინდაც ნამეტანი იყავი; გადამეტებულმა სიყვარულმა კი ნამდვილად დამაფრთხო.

საჭირო არ ყოფილა არც ამისთანა თავისუფლება, არც მოცილილობა. ისედაც თავბრუს გახვევს ირგვლივ მიმოხიზული თვალნარმტაკი ფერები და საამო სურნელებით თვრები. ამ ასაკში ყოველი გაფრენილი წამი რომანტიკული გერეგება, თან ბავშურად გაღულვებს გახსენება, რომ გინდოდა ქვის სროლით დამტყბარიყავი, ოფლი გამოგსვლოდა...

განა ზღაპარს არ ჰგავს? — სამი დღის მერე ფოფო იქ აღარ დამხვდა, სადაც დავტოვე. ივნებ ამიტომაც უძექვამთ, კატებს ცხრა სული აქვთო?.

— თქვენთვის განკუთვნილი დრო თითქმის ამოიწურა და ჯერ ერთ საკითხზეც არ გაგიციათ პასუხი, ახალგაზრდავ.

— რა ბრძანეთ? — თვალები დაეხამხამე და ახლავა გამახსენდა, რომ გამოცდაზე უზივარ. ვხედავ, სათვალეს ზემოდან ვილაც ქალარათმიანი მამაკაცი შემომტყერის. გაუკვირდა ალბათ, გარინდული ერთ ნერტილს რომ მივჩერებოდი.

— დროს რატომ აცდენ, ყმანვილო? —

კვლავ მითხრა მან მწყრალად, მაგრამ გული არ მომსვლია. მართლაც რა მისი ბრალია, თუ უკანასკნელ დღეს, პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან საბუთები გამოვიტანე, ხოლო ვეტერინალურ ინსტიტუტში დადგენილი გამოცდებისთვის მზად არ ვახლავართ. აკი მოგახსენეთ, სკოლაში ისე არ ვანთხვედი-მეთქი ტინის წიგნებზე, ხოლო ასეთი გადამწყვეტილუბისთვის ან დამაგვიანდა, ან ჯერ ნაადრევია.

გარეთ სულის შემხუთველი ბული ტრიალებს, სამაგიეროდ ოთახებში სასიამოვნოდ გრილია, ამისთან ყველა პირობაა შექმნილი ნორმალური ახროვნებისთვის, აქაურობაც არ მეთმობა, მაგრამ...

გახარებული გამოვედი. ესზე მეთქმის სამდურაფი, საკუთარი თავის გარდა?!. და რაოდენ საამაყო ყოფილა, როცა იმდენი ადამიანობა მოგდევს, შენი კოდეები სხვას არ გადააბრალე. იმასაც მიყვები, ცხოვრება მაშინ იწყება თურმე, როცა საკუთარ თავს იპოვი, (თუ, რა თქმა უნდა, გაქვს იგი!)

— როგორ გრძნობდი თაქს გამოცდაზე? — შე შეკითხვებით?

ამ აუარება ხალხში, რომლებიც ინსტიტუტის გამოსასვლელს ზღვასავით მოსდგომია, ვილაც კორესპონდენტმა მაინცდამაინც შეამომარჩია ინტერვიუს ასაღებად. უნებურად გავიფიქრე, ყველა ამისთანა შერეკლია, თუ სერიოზულებიც არიან-მეთქი.

— ჩინებულად, — ვუპასუხე.

— თქვენ ალბათ გინდოდათ გეტქვათ, რომ თუ ადამიანს საგანი მომზადებული აქვს, იგი ყოველთვის ჩინებულად გრძნობს თაქს, არა?

— მგონი მაშინაც, როცა იცი, გარეთ საშინელი სიცხეა, იქ კი სასიამოვნოდ გრილია. თანაც, როცა გგონია, არვინ გელოდება, სონამდვილეში კი თასობით იმდის თვალი შემოგტყერის...

— რატომ აირჩიეთ ეს საყვილობა?

— თქვენ გინახავთ ფოფოს თვალები?!

— ?!



მერი ბარნაბიშვილი

მე ახლა მხოლოდ ცხრამეტი წლის ვარ
და ჩემს თავს ვუსმენ აპრილის თქორში,
ჩემს ენაზე თქვა სათქმელი ნისლმა,
ჩემი სულია მზის მბრწყინავ ზოლში.

მე ახლა მხოლოდ ცხრამეტი წლის ვარ
და ჩემს რკულზე მსურს მოიქცეს მიწა,
ტყე მწვანეს ჩემი გულისთვის ისხამს,
ტყეს და ჩემს შორის არ არის მიჯნა.

მე ახლა მხოლოდ ცხრამეტი წლის ვარ,
და ჩემს ახდენილ სურვილს ჰკავს
მარტი,
რალაც ჩემეულს, ჩემეულს ნიშნავს
ჩემს სათქმელსა ჰკავს ია და ვარდი.

და რომ მიმიღონ ახლო თუ შორით,
რომ ვიარსებო ჩემში და სხვებში,
ვწლი საზღვარს ჩემს და ქვეყანას
შორის
და შევალწიო მინდა ამ ქვებშიც.

შენ თითქოს კარგავ ნიეთიერ სახეს,
შენს სულს კი თითქმის ხელით ვეხები,
და რამდენჯერაც შემხვდი და ვნახე,
მე დავისვენე შენთან შეხვედრით.

ცისფერ ბურუსში ეძინა სარკმელს
და ვერცხლისფერში თვლემდნენ
ვერხვები,
შენ როგორც ჩემი სული და სარკე,
მახარებ ხოლმე, როცა შემხვდები.

ისეთ ფასსა სდებს კაცთაგან ყველა,
რომ გულუხვობა მიევირს მარტისა,
ყვავილებს ისე მოაბნევს ველად,
საათბაგო იწვის სამცხისა.

ვის შეუძლია ასე უსაზღვროდ,
ასე უსაზღვროდ ფლანგვა რამისა?
— ვინც პოეტოვით რჩება უსაგზლოდ
და საგზალს ეძებს მერე ღამისას.

ხან საზღვარს ვშლი და ხან საზღვარს
 ვაველებ,
 ხან ერთნი ვართ და ხან სხვადასხვანი,
 შენ წახვალ, როცა აღზევანს წაველენ
 და ჩადგებიან ჩვენს შორის მთანი.

კალაპოტიდან გადმოსულ იორს
 დაეაწყენარებ და თავის გზით ვგზავნი,
 ვაჰ, თუ აღმართში ქვა მომეწიოს
 და წყალდიდობამ წალეკოს გზანი.
 ნუ წახვალ, როცა აღზევანს წაველენ.

ისე უსიტყვოდ მიტომ ვიდექი,
 რომ შეტყველებდა ჩემს ნაცვლად
 ყველა,
 ეს პირაქეთი, ის პირიქეთი,
 ის შშვიდი დილა და ნამი ველად.
 ისე უსიტყვოდ მიტომ ვიდექი,
 რომ ჩემს მაგიერ იღვწოდა ყველა,
 ტყე ფოთლებს ჩემად ფენდა სიკეთით
 და სექტემბრის მზე იღვროდა მწველად.
 ისე უსიტყვოდ მიტომ ვიდექი,
 რომ ჩემზე უკეთ ამბობდნენ ჩემსას,
 ტყეს ვუსმენდი და ხმას ვერ ვიღებდი,
 ისე მესმოდა შიგ ჩემი კვნესა.

ხევგალმა ისე ასხია სინაფს,
 ისე ელავენ მზეში ვაშლები,
 ბავშვებს მფეთქავი ღიმილით სძინავთ
 და სიზმრად მათ შენ ეთამაშები.
 როგორც ძალიან დიდი ხნის წინათ
 მზეს სითბო რჩება დაბლა სამყოფი,
 და შენი შუბლის ნათელით ბრწყინავს
 მზე, ბავშვები და ვაშლის ნაყოფი.



პანო ურჯუშელაშვილი

დ ე დ ა შ ვ ი ლ ო ბ ა

რეზანე

როდესაც კორნელია გრაქუსის მგობარი ქალები (მდიდარ რომაელთა ცოლები), ერთი მეორეს თავიანთი ძვირფასეულობითა და მორთულობით ეტრიაბებოდნენ და კორნელიასაც სთხოვეს ეჩვენებინა თავისი სამკაულები, მან გამოუყვანა თავისი შვილები და უთხრა — აი ჩემი სამკაულები და მორთულობანიო.

ბაიუს ბრახუსი

დედობის უნარის დაკარგვა ყველა ქალისათვის ტრაგედიაა. მით უფრო ძნელი ასატანია ეს ტრაგედია, მაშინ როცა ქალმა იცის, რომ თვითონ წაართვა საკუთარ თავს ყველაზე დიდი ბედნიერება.

აკადემიკოსი კონსტანტინე ჩაჩავა

კარგად იყო, თუ აჟად, ბადრი ბადრიძე ინსტიტუტში კურსიდან კურსზე გადადიოდა; მუსამე წელს კი, მისივე სიტყვით რომ ეთქვათ, მოხუცმა პროფესორმა ჯაფარიძემ „სისხლი გაუშრო“.

აქეთ ეცა, იქით ეცა, ვიღას არ სთხოვა, პროფესორთან შუამდგომლობა გამიწიეთო. ყველა ერთიადიგოვეს ეუბნებოდა, ერთანაც გინდა მიგვეზავნებით, მაგასთან კი ვერა, ახირებული ვინმეა, თუ ცოდნა არა გაქვს, ვინც არ უნდა შევედროს, ნიშანს არ დაგინერსო.

ესტატემ პროფესორი საბლში ინახულა, თქვენი ჭირიშეთ, ნაგვიანეად გაზაფხულდა, ჯერ ვენახში ბელტი არ გადამიბრუნებია, ვახი არ გამისხლავს, არ შემიყვალავს... ყოველი წუთი ჩემთვის ძვირფასია, ინსტიტუტში ვერ მოგისწართო, ბინაზე შეგანუხეთო.

სტუშარმა თავი გააცნო თუ არა, ბადრი ბადრიძის შამა ეარო. პროფესორმა შესძახა: „ნეტაეი ეგ არა და, ვინც გინდა გეთქვა. გამრჯე, მზრუნველი ადამიანი ჩანხარ და ასეთი ზარმაცი შვილი როგორ გაზარდე, ნახევარი წელი გაგიდა და ლექციებს ორჯერ დაესწრო, ხეირიანად ვერცა ეცნობ“

ესტატე იმდენი ეხვეწა, იმდენი ემუდარა, რომ პროფესორი შეპირდა: „შენს შვილს დამატებით ვამეცადინებ“

ესტატემ თავი იატაკამდე დახარა: „მადლობა ღმერთს, რომ ქვეყნად კიდევ არიან თქვენისთანა ღვთისნიერი ადამიანები“, მერე ხურჯინიდან გოჭი, ინდაური, ორი დედალი ამოაღაგა. — ბედნიერი დღეებია, ხელყარიელი ვერ შემოგბედეთო.

„რას უკავს ეს, ვინა გგონივარ! — შესძახა

პროფესორმა, — ახლავ ყველაფერი უკან ნა-
იღეთ, თორემ თქვენს უღირს საქციელს ინს-
ტიტუტის რექტორატს მოვახსენებ“.

— ძველის მირთმევა ოდიდან იყო ქართვე-
ლებში და შემდგ იქნება. ისე ჩათვალეთ, ვი-
თომ ოჯახში მწვეიხართ. თქვენისთანა საპა-
ტიო სტუმარს რომ ველიროს, დეკულს ნა-
მოკაქცე, ბურჯას გამოვლადრავ, წყრილფებს
გაუნუვეტო, — ამბობდა ესტატე და თან ნელ-
ნელა კარებისკენ მიიპარებოდა, უნდოდა სახ-
ლად უცებ გავარდნილიყო. პროფესორი წინ
გადაეღობა — უკანასკნელად გაურთხილუბ,
მიღიყას გამოუქცხებოდა...

„ერია, შვილო, ეს რა უკულმართი ვინმე
ყოფილა, ვის ხელში ჩაეარდნილხარ!“ — უთ-
ხრა ესტატემ გარეთ მომლოდინე ბადრის და
სავსე ბურჯინი მანქანის საბარგულში შეაგ-
როცა. რაცა მამამ განუცხადა, პროფესორი შე-
შპირდა, დამატებით ეამეცადინებო, შვილმა
მიუტო, ენახოთ, შეიძლება ვიაროო, გულში
კი თქვა: „ცოცხალი თავით იმასთან როგორ
მივალ, გაიგებს, რა ბედოვლათიყა ვარ და
ნიშანს არ მაღირსებს!“

პროფესორი ჯაფარით დიღით ინსტიტუტში
ტაქსით მიდიოდა. ნაშუადღევს კი შინისაკენ
დებოთ გაუფებოდა ქუჩას. ილიაში ნიგნე-
ხით გაქვდილი პორტფელი ამოგჩარა, თავი
გაჩეინდრა, თითქოს რალაც დაეკარგა და
უტყპას.

ბადრი შინ მიმავალ პროფესორს მანქანით
აეღვენებოდა ხოლმე, როგორ დაეიჯერო ამო-
დენა ქალაქში ვინმე არ ჰყუადებს მეგობარი,
ნათესავი, ახლობელი.

მოზუცი თუ ვინმე ნაცნობს გაურჩერდებო-
და, ორიოდ სიტყვას უტყოდა, მაშინვე სვა-
ნურ ქუდს მოუხდიდა და გზას განაგრძობდა.
ერსხედ ტანმალადი, შავებში ჩაცმული ქალი
შემოხედა. პროფესორი ქალს ხელზე ეამბორა,
მის ქაღუნლივით შემართულ, მკერდსავე
ტანს სათილეს ზემოდან ძუნნად თვალი შე-
ალო, მხიარული მუსიყი გაუბა და, ბო-
ლოს, ტაქსის გარეუბამდე მიაცილა.

ბადრიმ მაშინვე მანქანა შეაბრუნა და ტაქ-
სით მიმავალ ქალს გამოეფევა.

„ჩემს მოზუცსაც კუყარებია ლამაზი გოგო-
ები!“ — დიღინებდა ბადრი და ქალს თვალს
აეფენებდა.

ტაქსი ვაჯა-ფშეულას პროსპექტზე, ხუთ-
სარულდიან სახლთან შეჩერდა, მგზავრი მან-
ქანიდან გადმოვიდა.

მანქანიდან ბადრიც ჩამოხტა, სადარბაზო-
ში შევირა და კიბეზე ამავალ ქალს წამოე-
ნა:

— ქალბატონო, ხომ ვერ მეტყვიოთ, რომელ
სარულზე ცხოვრობს ექიმი პეტრიაშვილი?
აქ ასეთი არავინაა! — უკან მიუხედა-
ვად მიუტო ქალმა და ნახიჯს აურქარა.

— მამ რატომ სიმცეს ეს...
თქვა ვაფმა, გულში კი გაიფიქრა, ალბათ,
მბარცველი ვგონივარო. სული მოითქვა და
დამშვიდებოთ იყითხა — ქალბატონო, იქნებ
აქ ცხოვრობს და თქვენ არ იცით?!

— ხომ გითხარი, არ ცხოვრობს-მეთქი! —
ველავ უკან მიუხედავად მიუტო ქალმა.

ბადრი პირველ სართულზე ჩავიდა, მოზინა-
დრეთა დაფასთან შეჩერდა, ვითომ გვარებს
კითხულობდა, სინამდვილეში კი ქალის ფეხის
ხმას ყურს უგდებდა.

ბინა, რომელშიც ქალი შევიდა, მესამე სარ-
თულზე იყო და ასათიანს ეკუთვნოდა.

ბადრი ფილაქანზე დააბიჯებდა, იქნებ ვინ-
მე აქ მცხოვრებს გამოუვლამარაკო და ასა-
თიანების ასავალ-დასავალი გავიგოო.

სადარბაზოდან მოხუცი ქალი გამოვიდა.
ბადრი უშალ მასთან გაჩნდა, მიესალმა, ბო-
დიში მოუხადა შეწუხებისათვის, და შეეკითხა:

— დეიდა ხომ ვერ მეტყვიოთ, სად ცხოვ-
რობს გიორგი ასათიანი?

— ასეთი არ გამიგონია, გელა ასათიანი
კი აქ ცხოვრობდა, შარშან გარდაიყვალა, ე-
თილი კაცი იყო, ღმერთმა სასულეველი და-
მურციდროსო! — მიუტო დედაბერმა.

— ცოლშვილი ხომ ჰყუადა? — დაინტერეს-
და ვაფი.

— პროფესორი უშეილო იყო. ახალგაზრდა
ქვრივი დარჩა!

— ქვრივი მეომი თამარი ჰქვია, არა?
— არა, შვილო, ლილის ეძახიან!

ბადრიმ იმავე დღეს ასათიანების ვინაობა
დანერილებით იცოდა. ქმარი პოლიტექნიკურ
ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს, გასულ
წელს ინფარქტით გარდაიყვალა. ცოლი ეტთა-
ნად მუშაობდა პოლიკლინიკაში, ერთადერთი
მისი მეტი არავინა ჰყუადა.

ყვირა დიღით, ბადრი ქვრივს სახლთან და-
უდარაჯდა, გაზაფხულია, ბუნების გამოღვი-
ძების ხანა, ახალგაზრდა ქალს მთელი დღე
სახლში რა გააჩერებს, ქმრის საფლავზე გა-
ვა, ან თავისიანებს მოიხახულებსო.

ათ საათზე ლილი სახლიდან გამოვიდა. მა-
ნულღვიოთ მოქნილ ტანზე მჭიდროდ მორგე-
ბული კოსტიუმი ეცემა. მალალი თქობები უფ-
რო გამოკვეთოდა, მკერდი აბურცოდა. ბა-
დრიმ ეს სასიყეთოდ ჩათვალა: „ქალი, ცის-
მარა დიღით რომ კაბას იცვლის, როგორი
დამწუხრებულცი არ უნდა იყოს, მისი გუ-
ლის საღამეში სხვა მამაკაცისთვისაც გამო-
ინახება ადგილი!“

პროფესორის ქვრივი ტროლეიბუსის გაჩე-
რებსთან მივიდა, ბადრიმ მანქანით გვერდით
ჩაუარა, სიჩქარეს მოუკლო, იქნებ წაყუანა
მთხოვოსო.

ქალი ტროლეიბუსით გაემგზავრა.
ვაფი მანქანით აედევნა.

ლილი ანაგის ქუჩაზე ჩამოვიდა, საბურთალოს ბაზრის საყვავილე მალაზიაში მიხაკები იყიდა. მერე ტაქსი დაიქირავა და ვაკე-საბურთალოს ქრისტიანულ გაემართა.

ტაქსმა საბურთალოს სასაფლაოსაკენ აუხვია და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის წინ შეჩერდა. პროფესორის ქვრივი პანთეონში შევიდა, თითქოს არ უნდა ირგვლივ გამეფებული დუმილი დაარღვიოსო, ფეხაქრუფით მიიბიჯებდა. აქეთ-იქიდან მისჩერებოდნენ ქვაში გამოყვრილი საჩინო ადამიანები... სამარეზე თავდახრილი ჭირისუფალი ცნობისმოყვარეობით მალულად თვალს აყოლოდნენ.

ლილი შავი მარმარილოთი მოპირკეთებულ საფლავთან შეჩერდა, ზედ მიხაკები დააღაგა, ერთხანს თავდახრილი იდგა, მერე იქვე პატარა რკინის სკამზე ჩამოჯდა.

პანთეონის შესასვლელთან გაჩერებული ბადრი პროფესორის ცოლს უთვალთვალებდა, თან გულში გალაკტიონის სიტყვებს იმეორებდა:

„შესაფლავე, შენ ამბობ, რომ ქვეყანაზე ვინც კი კვდება, იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავინყდება“.

ანბანური ჭეშმარიტება! — ფიქრობდა ბადრი, — ეს უფრო ახალგაზრდა ქვრივებზე ითქმის. ისინი გრძნობებით ცხოვრობენ და არა გონებით. სად არის კაცის აღურს მონატრებული დიაცი, რომ ცდუნებას არ აპყვეს! ქალებიც ხომ იმას ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი წაართვან ცხოვრებას!“

სულთაობა დღეს, როცა ჭირისუფალნი საფლავებს ყვავილებით ამკობენ, ბადრიმ ყველას დაასწრო პანთეონში მისვლა. გულა ასათიანის საფლავის გვერდით რომელიღაც გენერლის ძეგლს ამოუფარა. მოჰკრა თუ არა ლილის თვალი, პროფესორის საფლავზე მიხაკები დააღაგა და იქვე თავდახრილი გაჩერდა.

ახალგაზრდა ქვრივი ხუთიოდე ნაბიჯითღა იყო საფლავს დაცილებული, რომ ბადრი მისკენ შეტრიალდა.

— მომიტყევეთ, ქალბატონო ლილი! — თქვა ვითომ სახტად დარჩენილმა ვაჟმა და განზე გადგა.

— ეს თქვენ დააღაგეთ საფლავზე მიხაკები? — შეეკითხა ქვრივი.

— დიახ, ქალბატონო!

— მე კი მეგონა... — და ახალგაზრდა ქვრივმა სიტყვა არ დაამთავრა.

„ თქვენ კი მეტოქე გეგონეთ, არა? — გულში მიუგო ვაჟმა. ხმაშაღლა კი თქვა:

— ქალბატონო, პროფესორისაგან ბევრი სიკეთე მახსოვს!

ქალი ორმაგ სიხარულს განიცდიდა, ჯერ ერთი, მისი ეჭვი, საფლავზე ვინმე ქაღმა ხომ არ დააღაგა ყვავილებიო, გაქარწყლდა. ამას-

თანვე ესაიშოვნა, აი, გაართობა ადამიანი, რომელიც არ ივინყებდა კეთილმოსურნე პროფესორის ამავს!

ლილიმ მიხაკებით შეამკო ქმრის საფლავი და სკამზე დაჯდა. ბადრისაც შესთავაზა დამჯდარიყო, მაგრამ ვაჟმა იუარა, ჩემს საყვარელ პროფესორის საფლავთან ფეხზე უნდა ვიდგეო. და ნალელიანად ნაილაპარაკა: „ჰმ, სიხმარია ჩვენი ცხოვრება, პროფესორის სიკვდილს ვინ იფიქრებდა, სანყალი კაცი, ეტყობა გრძნობდა მოახლოებულ უბედურებას! ერთხელ მიიხრა, ზემო ვერის სასაფლაოზე ეპიტაფია წავიკითხე: „მეც ვიყავ კაცი შენებრ, შენც იქნები კაცი ჩემებრ“ — რას იტყვიო, ხომ — დიდებული ნათქვამიაო. და ვაჟმა სიტყვა ამით დაამთავრა: „მე თუ მკითხავთ, კარგი იქნება, თუ პროფესორის საფლავს ამასვე წაწერთ!“

ეს ამბავი იმიტომ მოიგონა, ქალი რაც უფრო დარწმუნდებოდა სიცოცხლის ამოკლებამი, მით უფრო აფვილად მიივინყებდა სათნოებას და ამ ქვეყნური სიამის წინაშე მონურად ქედს მოიხიბრისო.

ლილი კეთილგანწყობილებით განიმსჭვალა ვაჟისადმი, განმეორებით სთხოვა, დაბრძანდიო. ბადრი მორცხვი მონათესავით სკამის განაპირას დაჯდა.

ბადრი კითხვებზე მოკლედ პასუხობდა, გრძნობდა, რომ ბევრ რამეს შეუსაბამოს ამბობდა, ამიტომ მეტისმეტ გულმოდგინებას არ იჩენდა, ვაითუ ამან ჩემს ნათქვამს დამაჯერებლობა მოკლდესო. ხელები მორჩალების გამოსახატავად მუხლისთავებზე უძრავად დაენყო. თვალებს, მოკრძალებული მოსაუბრესავით გულუბრყვილო ბრწყინვალეებას რომ აძლევდა, სატირლად გამზაფებულ ბავშვივით ახამხამებდა. გასანყლებულ ხმაში კი მუდარას აქსოვდა.

ვაჟმა საუბარში დაიჩივლა, თბილისში არავინ მყავს ახლობელი, გულშემატკივარი, ინსტიტუტშიც ვერავის დავუამხანაგდი, ბიჭები ქუფს არიან გადაყოლილნი, არც ქალიშვილებთან ვმეგობრობ, პაპიროსს ენევიან, კონიაკში თავს იხრჩობენო.

პანთეონიდან რომ გამოვიდნენ, ბადრიმ მანქანის წინა კარები გააღო, ლილის სთხოვა, დაბრძანდიო... აქ მორჩენილი, მიუგო ქაღმა და უკანა სავარძელზე მოიკალათა.

ბადრიმ მანქანა მარჯვედ დასძრა. საბურთალო-ვაკის ჭრილს რომ მიუახლოვდნენ, იკითხა:

— საით ნავიდე, ქალბატონო?

— შინ მიმიყვანე, ხომ იცი ჩვენი სახლი?

— ვიცი, როგორ არა. პროფესორი არაერთხელ მომიცილებია.

ბადრიმ მანქანა ხუთსართულიან სახლთან

შეაჩერა. სწრაფად ჩამოხტა და ლილის კარ-
ბი გაუღო.

„რა თავაზიანი ყმანვილია!“ — გაიფიქრა
ქალმა და ვაჭი ღიმილით დაასაჩუქრა.

ბადრიმ ლილის ხელი შეამწყვლა და იდაყუ-
ზე ოდნავ მოუჭირა:

— ქალბატონო კიდევ როდის ნახვალთ პა-
ნთონში?

— გმადლობ, ნუღარ გაირჯები!

— ქალბატონო. ნუ მომერიდებით, გულით
მსურს მოგესახუროთ, მინიმე ხვედრი შეგიმი-
სუბუქოთ!

ქერიკი იმის თქმას აპირებდა, ისედაც დი-
დი ნაფლობელი ვარ, მეტს ვეღარ შეგანუხე-
ბო, მაგრამ სანინაღამფეგო კი თქვა:

— ზეგ მოდი, დღის სამ საათზე!

„რა ღმერთი გამინწრა, რატომ დავიბარე!“
— საყვედურობდა ლილი თავის თავს, და უკ-
ვირდა, ღრთები ხომ არ გამომესხა, არასო-
დეს ასე მარჯვედ კიბეზე არ ამირბენიაო.

დათქმულ დროს ბადრი ხუთსართულიან
სახლთან მივიდა მანქანით და სადარბაზოს
წინ შეაჩერდა. არც სიგნალი ააჭყვტიტინა, არც
მანქანიდან გადასულა, შალითის უბიდან წი-
გნი ამოიღო, გადაფურცლა და კითხვას შე-
უდგა.

სახლთან ორი მანქანა კიდევ გაჩერდა, სა-
ყვსთან მჯდომმა ფეტრისკუდიანმა ახალგაზ-
რდებმა გახანგრძლივებული სიგნალით იქაუ-
რობა გააყრუეს. გულმოსული მობინადრენი
ფანჯრებიდან უკმაყოფილოდ იყურებოდნენ.

ლილის ახალი შვიი ხავერდის კაბა ეცემა.
საყვედურობე შემოვლენული პქონდა ნაცრისფე-
რი მაქმანი, თევზის ქერქს რომ ჰგავდა და
სადაფივით ციალებდა. ყვაფილებით მოქარ-
გული ინდური მუქი თავშალი მხრებზე გა-
დაეგდო.

ამ დღესაც პროფესორის საფლავი მიხაკე-
ბით შეამკვეს. ორივე ჩუმადა იდგა თავდახრი-
ლი. ხუთიოდე წუთი რომ გავიდა, ქალმა თქვა,
ცოტა ადრე წავიდეთ, უნივერსალში ვარ მი-
სასულელიო. სანყობში ლილიმ ბადრიც შეიყო-
ლა, თუ ქალს სურს გაიგოს უხდება თუ არა
ტანსაცმელი, მამაკაცს უნდა გაასინჯოსო.

მზატანსაქლის სანყობის გამგე უკმეხად
შეხვდა ლილის, მაგრამ დაეხდა თუ არა ბა-
რათს, გაიღიმა — შობრძანდით, ქალბატონო,
მობრძანდითო.

კუნჭულში მიდგმულ ყუთიდან ლაბადა
ამოიღო და ლილის გაუწოდა: „ინებეთ, დი-
რექტორმა თქვენთვის გადამადებინა!“.

ლილიმ ლაბადის ჩაცმა დააპირა. ბადრიმ
ხელი წააშველა, მოგეხმარებითო.

ვაჭი ლაბადას რომ აცმევდა, ხელი მოფე-
რებით კისერზე მოუსვა, თან ისე მოაჩვენა,
ვითომ შემთხვევით შეეხო.

ქალმა ოდნავ დააყრვნა. მერე კი ვაჭის ხე-

ლი ერთბაშად მოიცილა, მაგრამ სანინაღამფეგო
ანტელმა ტანში მათრობელსავით დაუარა.

ბადრი გულში ზეიმობდა. რახან პირველი
ცდის დროს, მერე ისიც ასეთ ვითარებაში,
ქალს მიფერება ესაიშოვნა, თუ მარტო მოვი-
ხელთებ, უფრო მეტის უფლებას მომცემსო.
ლილის გარს უღლიდა, ვითომ აკვირდებოდა
ლაბადა უხდებოდა თუ არა.

— მიხდება? — შეეკითხა განახლებული ხმით
ლილი.

— დაგხატათ! — მიუგო ვაჭმა, მისმა გაბ-
რწყინებულმა თვალებმა კი უთხრა — „ოპ,
რა კარგი ხარ, ოპ, როგორ მომწონხარ“.

ქალს რას გამოაპარებ, ყველაზე უკეთ ხე-
დავს თავისივე სილამაზით კაცის გულში
დანთებულ ცეცხლს.

თურმე არც ისეა საქმე ჯერ კიდევ მოხდე-
ნილია, ჯერ კიდევ შეუძლია ქაბუკის მოხიბ-
ლება?! ღმერთო, რატომ დაებადა ასეთი აზრი.
ეს ხომ ქმრის ხსოვნის შეურაცხყოფაა?! —
ფიქრობდა ლილი, მაგრამ თავისდაუნებურად
ვაჭის წინ ბალერინსავით შეტრიალდა, რახან
შენ მოგწონს, რახან შენ ამბობ, გიხდებაო,
მაშ ყვიდელუბო.

ქალაქს შავი ღრუბლები დასწოლოდა. ელა-
და. ისეთი ტეჭა-ქუხილი იდგა, ცის ჩამოქ-
ცემა გეგონებოდათ. მალი-მალ ძლიერი ქარი
წამოუბერაყდა ხოლმე და გზაზე მტკრის
კორიანტელს აყენებდა.

ბადრი მანქანის უკანა კარების გაღებას
აპირებდა, მაგრამ ლილიმ წინ მოისურვა და-
ჯდომა.

კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ტბორებსა
და ნიაღვრებში მანქანა ძლივს მიიკვლედა და
გზას.

ხუთსართულიანი სახლის წინ ქუჩის ნაპირი
ნიაღვარს დაეფარა, წყალი ტროტუარზეც გა-
დასულყო.

ახალგაზრდა ქერიემა მანქანის კარი გაა-
ლო, დაიჩივლა, სადარბაზომდე ვერ მივაღ,
წყალი მუხლებამდე მომწვდებაო.

ბადრი გადახტა, მანქანას წინიდან შემოუ-
არა, ლილი ბავშვივით აიტაცა და სადარბაზოს
კარებთან გადასევა.

„ჩემს ქმარს ხომ ეს ფიქრადაც არ მოუვი-
დოდა, ან სად უქონდა ამდენი სიმარჯვე, მო-
ხერხებაა!“ — ბჭობდა ლილი.

ბადრი ნასელას აყოენებდა, ვითომ ძრავას
ვერ რთავდა. ქალს განგებ არ შეეკითხა, კი-
დევი როდის მოვიფიო. იმის გაგება ენადა,
ლილი დაიბარებდა თუ არა.

ახალგაზრდა ქერიევი ბინაში შევიდა თუ
არა, ფანჯარა გამოალო, აივანზე გადმომდგარ
მეზობლებსაც არ მოერიდა, და ბადრის გად-
მოსახა: „ხვალ სამ საათზე გელოდები“.

მანქანის სახურავზე წვიმა ძალუმად მხა-
პუნობდა, ბადრიმ ვერაფერი გაიგონა, მაგრამ

ტურების მოძრაობით მიხვდა ქალის ნათქვამს. მარტობაში ბადრის მოწვევილობა ეფუ-
 ლებოდა. ოთახი ზემო ვერანზე პქონდა დაქი-
 რავებული, შინ მარტო ჯდომას მარინესთან
 ნახვლა ამჯობინა.

სახლში ნაშუალამევს დაბრუნდა.
 ქალი კი არა, ქაჯია! ტრფობა-ალერსით
 ვერ ძღვება, ღამის შაქარით შეადნეს. ეპ,
 ქალისას რას გაიგებ? სულ იმას ეფიცება,
 არწმუნებს ჩემი ცოდო, ჩემი ქმრის კისერზეა.
 მასში ვერ ვპოვე ის ღერსება, ურომლისო-
 ვდა ქალის სიციცხლე არაწამაბაო. ვინ იცის,
 იქნებ სხვა მამაკაცებსაც ამასვე ეუნებება?
 ასეა თუ ისე, ქალი ღმერთს სიყვარულისათ-
 ვის გაუჩენია, ალერსისა და ტრფობის გარე-
 შე არსებობა არ შეუძლია! ღილისაც ხომ
 ქაღუღივით უთამაშებს მკერდი კუნთები.
 მასხლის ჩქროლვისა და ენებისაგან უნითლ-
 დება ღანვეები, თავს კი ისე აჩვენებს, ვითომ
 ეს რიდისა და კრძალვისაგან ეშარტება.

და თითქოს თავის ფიქრებს დასკვნას უქე-
 თებსო, ბადრიმ ჩუმიად წაილაპარაკა: „რა სა-
 ქროა ამდენი სჯა-ბაასი? უნდა გაბედულად
 ვიმოქმედო, ქალის გული ერთბაშად დავიყ-
 რი!“

იმ ღამით ღილიც გვიანობამდე ტრიალებ-
 და ლოგინში. ერთი წლის წინ, როცა ქმრის
 გვამი საფლავში ჩაასვენეს, ისე ეჩვენებოდა,
 თითქოს ძვირფას ადამიანის ნეშტთან ერთად
 მის ბედნიერებასაც ასამარებდნენ. საფლავს
 რომ მიწა წაყარეს, კუბოზე ახრიალებულ
 გორბოებს მის გულზეც გაუდოდა ბრახა-
 ბრუნი.

„ნეტავი რას მიაქროლებენ შინისაქენ, რა
 ოხრობა უნდა, რაღა დარჩენია იქ, განა, არ
 ერჩია ისიც ქმართან ერთად დაემარხათ? —
 ღილის ეს აზრი მაშინ უფრო გაუმწეავდა,
 როცა ახლობლები ნავიღ-ნამოვიდნენ და
 ითხედველნენ მარტო დარჩა.

შეებულება აიღო და შინიდან გარეთ ფეხს
 არ სდგამდა. კლასის ამხანაგი აგულიანებდა:
 „რა იყო, გოგო, რა ზეზეულა ხმები, ქმარს
 თან ხომ არ უნდა გადაჰყვე? ღმერთმა დაგი-
 ფაროს და, შენ რომ რაიმე დაგმართოდა, ხომ
 არ გგონია გელა სამარეში ჩამოგყვებოდა?“

რა თქმა უნდა, ქმარი საფლავში არ ჩა-
 ყვებოდა, მაგრამ განა ამით განიზომება
 ცოლ-ქმრული ერთგულება, სიყვარული? ისი-
 ნი ხომ პავშეობიდანვე ერთად შეიზარდნენ.
 გული ერთმანეთისაქენ მიუწედათ. როცა წა-
 მიიზარდნენ, შეგობრობა სიყვარულში გადა-
 იზარდა. გელამ უმაღლესი დამთავრა, მათე-
 მატკიკაში თავი გამოიჩინა, მეცნერებათა დო-
 კტორი გახდა. ღილი კი ექთან იყო, შიმობ-
 და, ვაითუ ვაჭა თავი გამოიღოს, ჩემს თავს
 სხვა ამჯობინოსო, მაგრამ გელამ სიტყვა არ
 გატება. ცხოვრობდნენ სიმტკიბილობით, ბედ-

ნიერად, თუმცა ერთი საზრუნავ-სადარდევე-
 ლი იმათაც პქონდათ: შვილი არ ეძლეოდათ.

ქმარი იმას ჩიოდა, ღმერთო, ისე ნუ მომე-
 ლავ, რომ მამაშვილური სიყვარული არ გან-
 ვიციადო. ცოლიც ამასვე ნატრობდა, ნეტავი
 შვილს ვეღირსო, ქმარი სიხარულს ვახიარო
 და, თავს უბედნიერეს ადამიანად ჩავთვლიო.
 მაგრამ ისინი თავიანთ გულის ტყივილს მა-
 ლადენენ, რათა ერთმანეთისათვის უფრო არ
 გაემწეავევებით ვარანი.

ბოლოს, როცა უოველგვარი იმედი დაკარ-
 გეს, ცოლი ქმარს სახოვდა, მე ვარ უშვილო,
 მამ შენ რად უნდა განვალდე, რატომ უნდა
 მოიკლო მამობრივი გრძნობა. იქნებ სხვას-
 თან შეგვიძინოს შვილი, შენი კეთილდღეობა,
 შენი სიყვარული გამამხნევეს, მარტობას
 გამიადვილებსო.

არ დაგიმაღავ, შვილი შენატრება, მაგრამ
 უნახავ ბავშვს შენს თავს ვერ ვამჯობინებ,
 იმის გულისთვის ხელს ვერა გკავ, სიხარულს
 ვერ მოგიშლიო, — პასუხობდა ქმარი და აც-
 რემლებულ ცოლს მკერდში იკრავდა.

ღილის როგორ არ სეყვარებოდა ქმარი!
 მწეაყედ განიციდიდა ძვირფასი, მოსიყვარულე
 ადამიანის დაკარგვას. გულში სულ იმას ამ-
 ბობდა, მოწარა, კაცის სახეს აღარ ვიხილავ.
 მარად მისი ერთგული ვიქნებიო. აბეზარ-
 მამაკაცები კი თვალს აყოლებდნენ, ახალგაზ-
 რდა ქერივის იოლად ხელში ჩაგდებაზე ოც-
 ნებობდნენ.

ჯერ ქმრის წლისთავი არ გადაეხადა, რომ
 ღილის თმაქოჩორა ჭაბუკი ენისმარა. ვატი
 მკერდზე ეკროდა, ტურებს, ყელს უკოცნიდა.
 უნდოდა ევერია, მაგრამ კრიჭა შეკროდა, წა-
 მოდგომას შეეცადა, მაგრამ ხელფეხზე ბორ-
 კილი დაეძოთ. ელდანაცემივით გამოედვი-
 და, მთელი ტანი უძაგადაგება, გული გამალე-
 ბით უქემადა.

იმ დღეს ბადრიმ მანქანით რომ შინ მივი-
 ვანა, ისეთი სასიამოვნო შეგრძნება პქონდა,
 თითქოს ვაგის ხელი ისევ ნელზე პქონდა წნე-
 ლივით შემორტყმული.

ბურანში ნასულს კვლავ თმაქოჩორა ჭაბუ-
 კი წარმოუდგავა. ვაჭმა მკერდი დაუკოცნა,
 ტურებზე დაეწადა. „ღმერთო ჩემო, ეს ხომ
 ბადრია!“ — ანაზად გაურბინა თავში. უნ-
 დოდა სილა გაენნა, საძაგი რამ ეთქვა. ყურ-
 ში კი ნასურჩულა, აი, შე ეშმაკო, და თა-
 ვისდაუნებურად მკერდზე მიეკრა, მის მზურ-
 ვალე ტურებს თავისი ტურები მიანება.

გაკვირვებულა, ასეთი რამ როგორ ენიზმ-
 რა? რა პქნას, ზმანება ხომ არანამდვილია და
 არავის ძაღლუს მისი თავიდან აცილება. ბად-
 რი თავზიანი, შურუფნელი კბილუა. ის კი
 ვაგს სიზმარში ეხვევა, ეალერსება. სანამ გვი-
 ან არაა, ბადრი უნდა დაითხოვოს, სამუდა-
 მოდ ჩამოიცილოს. უნებლოთ კი თავში გაუ-

რბინა: „ნეტავი მადლ ჩამეძინოს და შეუწყვეტილი ნეტარება ბოლომდე განვიცადო!“
 დილით ბადრის ბარათი მისწერა, შეუძლოდ ვარ, ვწევარ, დღეს სასაფლაოზე ვეღარ წამოვალ, მერტვ ნუღარ შენუხდები, პანთეონში როგორც აქამდე დავდიოდი, შემდგომშიც ჩემით მივალ და მოვალო.

ვაეს ვერაფრით აებსნა ქალის ასე უცებ შეცვლა. რა დაემართა, გუნება რამ წაუხდინა? იქნებ თავს იფასებს, ინაზება?! სხვა დროს ასეთ წერილს, სასიკეთოდ ჩასთვლიდა, ქალი რომ გულისხმაში არ იყოს, ამდენს არ გუბამდა, მაგრამ ახლა სად აქვს იმის დრო, რომ სიყვარულობა ითამაშოს?!

ბადრიმ ტელეფონით დარკვა:

— გამარჯობათ, ქალბატონო ლილი, ბადრი ვარ!

ქალმა მკაცრი ხმით მიუგო, გაგიმარჯოსო, და უბალ დაატანა: — ხომ მოგწერე, ჩემი გულისათვის ნუღარ შენუხდები-მეთქი?

— ქალბატონო, ეს კი მომწერეთ, მაგრამ მეც ადამიანი ვარ, ქვის გული ხომ არა მაქვს. თუ ღმერთი გნამთ, გამაგებინეთ, რა დაგემართათ, რა გტკივთ, რას უწივთ, იქნებ რაიმე გჭირდებათ, ნუ მომერიდებით, მიბრძანეთ, მოგვესახურებით!

— გამადლობთ, არაფერი მინდა!

— ექიმი თუ გყავდათ? რას ბრძანებთ? უნდა გამოგებახათ! ერთ პროფესორსა ვცნობ, თუ ნებას დამრთავთ, მოგიყვანთ! — იცრუა ბადრიმ, თუ დამთანხმდება, პროფესორების მეტი რა არის თბილისში, ვინაც თითხ დაუქნევ, ყველა გამოიმყვებაო.

ქალს სასო ნაერთვა, პასუხი დააყოვნა:

— საიმისო არაფერი მიჭირს. უტყობა გავცივიდი, გამოვიღის!

— მამ, უცხოურ ფხვნილს მოგიტანთ, გამოჯანმრთელდებით!

— ნუ, ნუ შენუხდები!

— ქალბატონო, თქვენი გულისათვის... — უნდოდა ეთქვა სიკაცხლეს არ დაეკოშურებო. მაგრამ ქალი მიხვდა, რის თქმასაც აპირებდა ვაჟი, იმას კი ეს არ უნდოდა, რადგან ვინმობდა, გული ნელნელა უღებოდა და, ვითუ, უარი ვეღარ ვუთხრავო, ამიტომ სიტყვის დამთავრება არ აცალა:

— არა, არ მინდა!

— რას ამბობთ, ქალბატონო. ავადმყოფს როგორ მივატოვებთ, თხუთმეტ წუთში მანდ გაჭნდები, ნამალს მოგიტანთ!

— ხომ გითხარიათ, არ მინდა-მეთქი — ჩასძახა ქალმა ყურმილში, მაგრამ ვაჟის ხმის მაგიურად ტელეფონში გახანგრძლივებული ზუმერი გაისმა.

ბადრიმ ვერის აფთიქს მიაშურა. მზანამლების გამყიდველი ქალიშვილი, რომლის ტანის მოხატულობასა, თვალწარბსა და სინარ-

ნარეში ბევრი რამ იყო მომხიბლველი, წინაშე გაიხმო და ყურში წასწურწულა, დიდდა მყავს სურდოთი ავადა. რალანარი ნამალი არ დავალევიან და ოფლი არ მოყოლია, აუჩემებია, ძველად ასპირინის ფხვნილები იყო, დავლევდი თუ არა, ოფლში ვინურებოდიო. შენც ხომ გყავს დიდედა? იმის სახელითა გთხოვ, ასპირინი ფხვნილად შემიხვიე.

გამყიდველმა თავი შეშართა, ალბათ უარსაც მიხვლიდა, მაგრამ ბადრიმ სიტყვა დაასწრო, შენ რომ შემოგხვედი, იმდერ მომეცა, კეთილი, სათნო არსებაა, ამის მეტი თხოვნას არაიან შემისრულებს-მეთქი, არასოდეს შეემყდარვარ ადამიანთა გამოცნობაში, გვხვევები ნუ გამაზნობლდ, უარს ნე მეტყვიო.
 ფარმაცევტმა უნის წვერზე მომდგარი სიტყვა გადმაცვია, ვაჟს გაბრწყინებული თვალეებით შეხვდა, კარგი, დაგიფხვნი, ოღონდ ცოტა მოითმინეო. ყმანვილმა ქალმა ფხვნილები რომ გამოუტანა, ბადრიმ წასწურწულა: „გამადლობ ძვირფასო, მარტო ღამაში კი არა, საუცხოო ადამიანიც ყოფილხარ!“

* * *

საცაა ბადრი კარებზე მოადგება, ზარს აანკარუნებს. უტყობა ქვეყნად რალაც იდუმალი ძალა პრსტობოხ: თუ ასე არაა, მამ რატომ აუხდა სიზმარი, საიდან გამოეცხადა, ღამაზი, წარმოსადგევი ჭაბუკი?! ბადრი კეთილადამიანია, ალბათ გულში ბინიურების ნატამალი არ უდევს. ის კი ხელსა კერავს, უნდა ჩამოიცილოს! და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თავად არ აქვს გული სათნო, უწმინდური ფიქრი უტრიალებს. მამ, უმადურობა არ იქნება, ვაჟი რომ კარებიდან გააბრუნოს?! სასწრაფოდ უნდა დანუწ, თორენ ჭაბუკი ცბიერად, გულმრუდად ჩასთვლის.

ლილიმ ვარდისფერი ღამის მოკლე პერანგი ჩაიცვა, პერანგის ბოლოზე, მოკლე სახელოებსა და გულისპირზე შემოვლებული მატქმანი გამჭვირვალე იყო და იისფერი დაქრავდა. ეს პერანგი ქმრის სიკედლის შემდეგ აღარ ჩაუვარს. ლოგინის თეთრული გამოცვალა. თახნიდან ყურთუკი გამოიღო და თავქვეშ დაიდო.

„მოდი და კარებს არ გაეაღებ, თავს მოვიძინარებ!“ — ამბობდა გულში, მაგრამ ზარმა დაინკრაილა თუ არა, ნამოხტი, ტანზე ხალათი მოისხა და ფეხაკრეფით პოლში გავიდა. ერთხანს გატყვნილი იდგა, იმის თქმისა პირებდა, გამადლობ, წამალი არ მინდა, ვწევარ და კარებს ვერ გაგიღებო, მაგრამ მის არსებაში მოკალათებულმა ვილაყამ წასწურწულა — როგორ გვყადრება, ასე მათხოვარსაც არ მოეპყრობიანო. მამ ნამალს გამოვართმევ და სახლში ფტხს არ შემოვადგმევიანებო, — წილამარაკა გუნებაში. გასაღები ნე-

ლა გადაატრიალა საეკტიში და თავისდაუნებურად კარები ფართოდ გააღო.

— მოგატანეთ! — თქვა ვაჟმა უბრალოდ, თვალის არიდებით.

ლილი ცდილობდა გულგრილი კილო შეენარჩუნებინა, მაგრამ ენა აუთრთოლდა:

— შემოდი!

ბადრიმ ზღურბლს ფეხი გადააბიჯა თუ არა, ქალის მჭიდროდ გამოკრულ მკერდისაკენ გაეცემა თვალი.

ლილიმ მკერდზე ხელები აიფარა, სანოლისაკენ პუნა პირი, ხალათი სკამზე მიავლო და ლოგინში შესრიალდა.

ბადრიმ მცირეხანს პოლში შეჭერდა, დიასახლისს ლოგინში დაწოლა ადროვა. მერე მორიდებით შევიდა ოთახში. სანოლის თავთან მიდგმულ სკამზე ფხვნილები დააღვავა.

— ქალბატონო ლილი, უუბარი ნამალია, ოფლს მოგადუნს, ახლავე წყალს მოგართმევთ, — თქვა ბადრიმ თავდაჭერილი, მაგრამ აღერსიანი კილოთი და სამზარეულოში გავიდა.

ლილიმ ფხვნილი ენაზე დაიყარა, წყალი დააყოლა და თავი ნახად მისდო ყურთუყუტე.

ბადრი სავარძლის ქიშზე დაჯდა, სუნთქვა ეკეროდა, ქალს თვალს არიდებდა, თან იმას ცდილობდა, ისე მოქცეულიყო, ვითომ გრძნობის გამკლავება უმძიმდა.

ლილი განზე იხედებოდა, ანითლებულ ლანგებზე საბანს იფარებდა.

დუმილი ვაჟმა დაარღვია:

— სიციხე გაიზომეთ?

— არა, არ გამიზომავს! — მიუგო ქალმა მიბნედილი, ოდნავ დაფოცებული ხმით.

— გაზომვა აუცილებელია, სად გაქვთ თერმომეტრი?

— სანური მაგიდის უჯრაშია!

ჟურნალის რედაქტორმა, სადაც მასალა პქონდა დასაბეჭდად მიტანილი, ლაპარაკიც არ ისურვა, განყოფილების გამგეს მიაკითხეთო. არც განყოფილების გამგემ მოუსმინა ბოლომდე, ბევრ მნიშვნელოვან თარიღს ვერ ეხმარებოდა, სადისერტაციო ნაშრომების დასაბეჭდად ვისა სცხელაო.

მავრა, სულ იმას რომ ცდილობდა ოჯახში ებატონა, გულქანს ჩასჩიჩინებდა, ნეტავი ჩვენს ვაჭბატონს რა ღმერთი უწყურება, აფთიქარმა ზაქარია გამიჩიჩინებ როგორ უნდა აჯობოს. ნათია არ გახსოვს, ჩვენს მეზობლად რომ ცხოვრობდა ნინოშვილის ქუჩაზე, აი იმის ქმარზე გეუბნები. ამასწინათ ნათიამ მისაყვედურა, რა იქნება, ერთხელ შენ და გულქანი სტუმრად მენვიოთო. თურმე ყელამდე საყენი არიან. სახლში პაციენტების რიგი უყენიათ. ადექი და, დომენტი მათთან

ნაიყვანე, ნახოს ხალხი როგორა ცხოვრობს. იქნებ თვალი აეხილოსო.

რაკი დედა არ ეშვებოდა, გულქანმა ერთ მშვენიერ დღეს ნათიას დაურეკა, თავი შეახსენა, მოიკითხა და მერე უთხრა, „გავიგე ახალი აუჯი გიყიდათ, შე და ჩემს ქმარს მისი ნახვა გვინდა, თუ არ შენუხდებით, გაახლებითო“. „ძველი მეზობლები ვართ, რა ნებართვას თხოვლობ, მობრძანდით, გაგვუბარებთაო“, მიუგო ვამიერძის ცოლმა.

როცა ტექსი მცხეთის ქუჩაზე ფასად მოჩუქურთმებულ თაღოვან სახლთან შეჩერდა, დომენტემ გულქანს გადაუღაპარაკა:

— ესაა ზაქარიას სასახლე?

— გახლავს? — მიუგო ფარული ნიშნის მოგებით გულქანმა, მისმა თვალებმა კი თქვა: „შენი თავი აიგდე მასხარად, ორ კოლოფიანი ბინის პატრონს, რა ხმა ამოგლეხა!“

კარი ზაქარიამ გააღო.

— ამით ვის ვხედავ, ჩიჩრი კედელს! — შესძახა მასპინძელმა, ორივეს მედიდურად ჩამოართვა ხელი და პირველ სართულზე დარბაზივით ფართო ოთახში შეიპატავა.

ფერაქებს თვალი მოსტაცა ზღვის კენჭებით მოპირკეთებულმა ბუხარმა. კუთხეში მიდგმულ პატარა მაგიდაზე ოჯახის დიასახლისი, მოკლე შეკრებილ თმაზე ნითელი ვინრო ბაფთები რომ დაებნია, დიდუღავაშვიან ყმანელიკაცს ქადრაკს ეთამაშებოდა.

— როგორ მოხდა, რომელმა ღმერთმა ჩამოგადგოთ! — თქვა დიასახლისმა, ფეხზე ადგომაც რომ არ ისურვა, თან ოდნავ დაყოვნებული ხმით ისე უთხრა, დაბრძანდითო, თითქოს დაეგებოდნენ თუ არა, მისთვის სულერთი იყო და ზრდილობის გულისთვის იჩინდა თავაზიანობას.

— ჩემო კეთილნო, იცნობდეთ ნოშრევანს, ჩემს თანამშრომელს! — თქვა ზაქარიამ, და ამით, თითქოს ისიც აღნიშნა, ხელმძღვანელის პოსტი რომ ეჭირა.

— მპატიოთ, თამაშმა გამოიტაცა, ბარემ ამ ხელს დავამთავრებ! — მოიბოდიშა ნათიამ.

— ითამაშე, ითამაშე, სტუმრებს მე მივხედავ! — ცოლს მოფერებით მხარზე ხელი გადაუსვა ზაქარიამ.

— საქართველოში ჭადრაკი მოდაშია. მართო გოგონები კი არა, ბანოვანნიც ეტანებიან! — ორპირივით გაიციანა დომენტემ.

— რა იქნება, ღმერთმა მონყალების თვალით რომ გადმოგვხედოს! გაუმაძღრები არა ვართ, არ ვიხარებთ, საბურთალოს ჩემპიონბასაც დავეჯობებთო.

— ეს ცოტა არ იქნება? — შეკითხა ღმერთით ნოშრევანი.

— კაცია და გუნება, მეტი არ გვიანდა!

— მიიწე რატომ? — დინტერესდა დომენტიც.

— ასე მოუხვედრებლები როგორ ხართ? დღეს საბურთალოს ჩემპიონობა მსოფლიოს ჩემპიონობის თანაფარდია. ყველა საერთაშორისო ტურნირსა და მატჩში გამარჯვებულნი ხომ აქაურები არიან?

მხველისიტყვაობით კმაყოფილი მასპინძელი ხან სტუმრებს უმზერდა, ხან სტენჯს აცქერდებოდა, უკვირდა, ეს რა შეუსწენარი და გავგონარი ხალხია, ასეთი ძვირფასი გამოყენა თვალს როგორ არ სტაცებთო.

წრე კედელზე გაკრული ვებერთელა ირანული ხალიჩა დაფარული იყო ვერცხლის ხანჯლებით, ხმლებით, კაციანი თოფებით, დამბალებით, სხვადასხვა ფერის ჩოხა-ახალუხით, მუზარადებით და ჯაჭვის პერანგებით.

ზაქარია თითქოს რაღაც საყურადღებო ამბავს თქმას ამირებდა, მაგრამ შინაგანი ყოყმანი ვერ დაეძლია. ბოლოს სტენჯთან მივიდა, ვერცხლის ქარქაშისანი ხმალი ჩამოიღო.

— დომენტი, აი ეს ხმალი ფასდაუდებელი რელიქვიაა, თურმე ალექსანდრე ბატონიშვილს ერტყა ნელზე!

— მერე ვინ დაადგინა ალექსანდრე ბატონიშვილის სულიაო? — იკითხა მოვერცხლილ ქარქაშის ელვარებით თვალდაბრეცილმა გულქანმა.

— რა დადგენა უნდა, როცა ეს ქარქაშზე აწერია! — განაცხადა მედიდურად დისასხლისმა.

— აი, იწებეთ, საკუთარი თვალთი წაიკითხეთ! — სხაპასხუებით თქვა ზაქარიამ და შემართული ხმალი სტუმრების ცხვირწინ შეატრიალა.

— გენდობით, გჯჯერა! — გაიძახოდნენ ფერაძეები და, იმის შიშით ზაქარიამ ხმლის წვერი თვალში არ გვატაკოსო, განზე იწვედნენ.

— გინდა დაიჯერე, გინდა არა, ასეთი კაციანი თოფები საქართველოს არც ერთ მუზეუმში არ ინახება! დამბალები თავის წონა ოქროდ ფასობს! — ამაყად თქვა ზაქარიამ და ხმალი კედელზე დაკიდა.

— მე თქვენ ადგილას ამ უნიკალურ ნივთებს სახელმწიფო მუზეუმს გადაეცემდი. ათასობით მნახველი ეყოლება, ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდება! — შენიშნა გულქანმა.

— როგორ გკადრება, ასეთ აუნონავ საუნჯეს ვინ სულელი გაასაჩუქრებს! — განაწყინდა დისასხლისი, — ეს ყველაფერი სამშობლოს საყვარულმა შეგვაძინა, მნახველები კი აქაც ბლომად მოდიან.

— ის კი არა, მუზეუმს მე ჩაებარდება, ამ რელიქვიებს კი ვერ შევუღვები! — თავის

მხრით განაცხადა განანჯნებულმა ზაქარიამ.

ნომრეყანს გაელიმა და უნებლიეთ გულქანს დააქვერდა. ქალს სუნთქვა შეეკრა, ტკილიმა ფრანტელმა თავში რომ დაჰკრა, თხემით-ტერფამდე ჩაურბინა.

ნათიას არც ნომრეყანის ღმილი გამოჰპარვია, არც გულქანის თვალბეჭით ანთებული ენების სხივი, აღმური წაეკადა, უნდოდა აყვირებულყო, მაგრამ მიზეზს ვერ პოულობდა, ბოლოს ქმარს შეუბღვირა, მუჯღუგუნო წასცხო, რითაც უბრძანა, თავიდან მომწყდით, თორემ ჯავრს შენზე ვიყრიო.

ზაქარიამ გაცლა ამჯობინა, სტუმრები მეორე ოთახში გაიპატტა: „მოპრძანდით, ჩემი კაბინეტი დაათვალიერეთო“.

დარბაზდახურულ ფართო ოთახში, მრავალსართლიანი არაბული ქალი რომ ბღღერიანლებდა, გინკოლოგიური სავარძელი, ზენარგადაფარებული ტახტი და მოძრავი მაგიდა იდგა. ორი შინის კედლებიანი კარადა სინჯარებით, სხვადასხვა ამშულებითა და კოლბებით გამოეჭყვინდა.

დომენტიც ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა ოთახი, და დაიჩილა, სახლში ვინ ჩივის, ნეტაეი სამსახურში მქონდეს ასეთი მოწყობილი კაბინეტიო.

— შენ ისა თქვი, საკუთარი გქონდეს, თორემ სამსახურში რა სანატრელია, — წაილაპარაკა გულქანმა და სიტყვას ირონიული სიცილი დაატანა.

იმით წახალისებულმა რომ სტუმრები აღფრთოვანდნენ მისი კაბინეტით, ზაქარია ფერეფანში დატანებულ ფართო კიბით ფერაძეებს მხოლოე სართულზე აუძღვა.

ოთხ ოთახში საზღვარგარეთული ავეჯი ელავა.

გულქანის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, დიდებულა, ასეთი ძვირფასეულობა ჩემს თვალს არ უნახავსო. მასპინძელმა დახურულ აივანზე მდგარ მრგვალ მაგიდასთან მიიპატტა სტუმრები.

ლაშქარიამ მაშინვე ორი ბოთლი შამპანური ამოიტანა.

ზაქარიამ ფერაძეები ცალ-ცალკე ადღეგრძელა, სულ ტყუპადა ხართ და არ მინდა ამ პატარა ქიქარში ერთად მოგახვედროთ. განსაკუთრებით ქალის სადღეგრძელო გააგრძელა: — გულქან, კაი ხანია არ მინახიხარ! ოდნავადაც არ გამოცდილხარ! ღმერთსა ვთხოვ, სულ ასეთი ახალგაზრდად გამოიყურებოდე, სიბერე არ შეგტყობოდეს, — და ერთი გადაკერით სირჩა გამოსცალა, — იფ, იფ, ეტყობა ჩვენებმაც ისწავლეს შამპანურის დაყენება, პირდაპირ ძარღვებში გაგონა.

შესთა თუ არა სადღეგრძელო, ზაქარიამ მაშინვე სირბეი შეაყნა:

— დომენტი, შენც გავიმარჯოს! — და ქი-
ქა დომენტის მიუჯახუნა, — ამახინანდელი
ჩვენი საუბარი არ დაშინებია. ახლაც იმ
აზრისა ვარ, უანგარო, უმნიშვნელო ადამიანი
ხარ, მაგრამ ქუთის შე გჯობია. აი რა-
ტომ? ამ ქვეყნად მარადიული არაფერია!
ჩვენც წუთისოფლის სტუმრები ვართ, მაგ-
რამ ცა ქუდად არ მიგვანინა, დედამინა ქა-
ლაშნად. გვგონია სულ ასე ყინიდა და არ-
ხეინად ყინებიერებთ სამზეოზე. დემართო დი-
დებულო, კიდევ კარგი ასე დანესუ, თორემ
უამისოდ ადამიანი სიცოცხლითვე მკვდარი
ქნებოდა. პოდა, სანამ სული გვიდგას, უნდა
იქნებოროთ, დრო გაატაროთ. აჰ, თავებუ-
ანად ფილოსოფიაში გადავეშვი, არა? რას
იხამ, ცხოვრებას თავისი ფილოსოფია აქვს!
პო, ის მინდოდა მეთქვა, ამ ქვეყნად მხო-
ლოდ დოვლათია მარადიული! ვერავინ შეგე-
ცილება, ნილში ვერავინ ჩაგვიდგება! და თუ
სიცოცხლში დაგროვდა ქონებას ვერ აიხვი-
სებ, გიყვარდეს, შეილება და შეილიშვილება,
მარშანდელ თოვლივით გააქრობენ!

— გეყო, თავი ნუ აგვატყუე შენი ბრძნუ-
ლი აზრებით! — შეანვევტინა ზაქარიას ნა-
თამ.

— რახან არ მიცდით, რა ვენა, მოკლედ
მოქარი. იცოცხლე, იხარე, იბედნიერე. ამაზე
სუტო როგორ დაგლოცო? — თქვა ზაქარიამ.

— კარგი და, რატომ იმას არ უსურვებ,
შენც ჩემსავით მოიხმარე ქუთა, დასახლდი,
მხრები გაშალდი! — სიტყვა ჩაუგდო გულ-
ქანმა.

— ეს თავისთავად იგულისხმება, რადგან
უამისოდ არც სიცოცხლეს აქვს ფასი, ვერც
გახიარება, ვერც იბედნიერება!

დომენტი ზაქარიას ყურადღებით უსმენდა,
მართალია ახდა-უბდას ლაპარაკობს, მაგრამ
ხანდახან ქვიანურსაც გამოუჩერებს ხოლმე.

ნათამ ზაქარიას ნომრეკვანზე ანიშნა, ახლა
ეს ადღეგრძელო.

ზაქარიას თითქოს ფრთები გამოესხა, დიდ-
მნიშვნელოვნად წარმოთქვა:

— ასეთი ხასიათი მქვს, არ შემიძლია კარ-
გი მომავლის ახლგაზრდას პატივი არ ვუღ-
არ დავებმარო! ნომრეკვანმა იმითაც შემეყუარ-
ა თვით, რომ ზრდილია, გამგებო, სულ იმის
ცდამისა, შრომა შემომსუბუქოს. ნათია ბაზა-
რში თავისი მანქანით დაჰყავს... გავიმარჯოს,
ჩემო პატარა მეგობარო, კეთილო, დაუზარე-
ლო ადამიანო!

დომენტომ როგორც კი დინო შესვა, გულ-
ქანმა სირჩას ნაბატანა ხელი, ვახს შესცინა,
და, თითქოს წყრილია ხმით თავს იწონებსო,
განახებით თქვა:

— ნომრეკვან, გავიმარჯოს!

ნათია გრძნობდა, რომ გულქანს ყმანყოლ-
კაცი შეუტარბა, შურით აღივსო, ამიტომ მის

ჯინზე ვახს. აღურსით უშურდა. განახებუ-
ლი, გულში ჩამწედილი ხმით წარმოთქვა:

— ნომრეკვან, იდღეგრძელე, შემოგველე!
ზაქარიამ ბოლოს ცოლის სადღეგრძელო
შესვა:

— მეგობრებო, შამპანურის ჭიქიდან ყვე-
ლა კეთილ. ლამაზ ადამიანებად შესახებით...
ნათია კი... ეჰ, რატომ არ ძაღმის ენით გა-
მოთქვა ყოველივე ის, რასაც ვგრძნობ და
განვიცდი! დემართო არ არსებობს, მაგრამ
იმას ვინ დამაჯერებს, ჩემს ცოლში რაღაც
არ იყოს ღვთიური? თუ რამ მამადია, თუ
წუთურებამი რაიმე მივაღწიე, ნათისა უნდა
ეუმაღლოდე! ნათია, ჩემი თერთო შრომანო,
დემართმა უშენოდ, ერთი დღეც არ მიცოცხ-
ლოს, მერე კი, როცა მოუსაველეთში გავემგ-
ზაერები, გინდა იცოცხლე, გინდა არა, თუმ-
ცა სასიკვდილოდ არც მაშინ მემტებო... ამი-
ტომ სულ იცოცხლე! ახლა კი ერთ რამესა
გთხოვ, თუ ჩემი ხათრი გაქვს, სამადლობელი
ჩემი საყვარელი ლექსის ნაკითხვით გადაგვი-
ხადე!

— ქალბატონო, ნათია ლექსებსაც სწერთ!
— გაიოცა დომენტი.

შამპანურმა ნომრეკვანიც მოიყვანა ხუმრო-
ბის ხაზითზე:

— ლექსიც არის და ლექსიც! ნათისთანა
ნიჭიერი პოეტი ქალი მეორე არ მეგულება
საქართველოში!

ნათია უარობდა, ლექსი ზეპირად არ ეიცო,
მაგრამ რაკი ქმარი არ ეშვებოდა, განაცხა-
და, მამ რვეულს მოეიტარო, ნამოდგა, ვინრო
კება მსხვილ კანჭებზე შემოტმასნოდა და შე-
მართული მოკლე ნაბიჯებს ისე ადგამდა,
თითქოს მიდევანესო, აღუღუნებული მტრე-
დივით თავს აქეთ-იქით ღუნავდა, რათა გა-
ჩახსახებული ჭალის შუქზე ბრილიანტის სა-
ყურებში თვალისმომჭრელად აბრჭყვიანე-
ბოდა.

— მომიყვდეს თავი, ლაპარაკში გავერთე
და სულ არ გადამეინჯდა, ლონდა როგორ
არის, ხომ არ გათხოვილა? — იკითხა გულ-
ქანმა.

— კარგადაა, აღბათ დღეს-ბეღელ ვჯარს და-
ინერს! ახლა რაიჯანმართულობის განყოფი-
ლების გამგებთანაა ბავშვის დაბადების დღე-
ზე! — მიუგო ზაქარიამ.

ნათია დიდი შემოქმედის ფარად, ლექსის
კითხვის დანყების წინ შემოფოთებამ მოიყვა.
მღელღარებით ნაკითხა ცნობილი პოეტის
მიბაძვით დაწერილი ლექსი, მისივე სტრო-
ქონითვე რომ იწყებოდა: „ოდესღაც დი-
დი ყოფილა საქართველო“, და ამითვე
მთავრდებოდა. ლექსის ნაკითხვის მერე კი
სიმშვიდე დაეუფლა, გაეღიმა. ნომრეკვანი უს-
მენდა ნათის და გულში გაოცებას გამოთ-
ქვამდა, ქმარი კერძო პრაქტიკით რამზელა

ზიანს აყენებს ერს, ცოლი კი საქართველოზე ლექსებს წერს, ხალხის გამრავლებასა და ქვეყნის აღორძინებას ნატრობს. აი ესეც პროზა და პოეზიაო!

ნათიას ლექსი ყველაზე მეტად ზაქარიას მოეწონა, ტაში ღონივრად დასცხო, მაგრამ არაღონ აყვა.

— რა ხანყენია, რომ მწერლობაშიც ძმობიჭობამ, დეიდაშვილ-მამიდაშვილობამ მოიკიდა ფეხი! გამოგიტყდებით, ნათიას მალულად ეს ლექსი რამდენიმე რედაქციას გავუგზავნე. ყველამ ერთიდაიგივე მიპასუხა, პოეტმა ახალი სიტყვა უნდა თქვას, თქვენი ლექსი კი სხვისი გავლენითაა შეთხზულიო. კარგი და, ეს მამიდაშვილები, რომელ ლექსებსაც ბეჭდავენ, ყველა ერთმანეთს არ ჰგავს: ბუნდოვანებით, უშინაარსობით, არაფრის მთქმელი ფრაზებით?!

— ვერ გამოვიცა, ჩემი გულისათვის რატომ წუხდება? ლექსს საკუთარი სიამოვნებისათვის ვწერ, — მედიდურად თქვა ნათიამ.

— პოეზიის სიყვარული ამას პეტია. ყველა ჭეშმარიტ ხელოვანს ხომ ხალხის აღიარებაზე მეტად საკუთარი ნაწარმოების მხატვრული ღირსება ანიჭებს ბედნიერებას? — განაცხადა ზაქარიამ.

— ასე არ იყო სულმნათი ბარათაშვილი! შთაგონება აწერინებდა ლექსს და არა განდიდების სურვილი და ისე წავიდა ამ ქვეყნიდან პოეზიის მადლით ცხებული, მარგალიტების მკინძავი გენიოსი, სტრიქონის დაბეჭდვასაც ვერ ეღობო! — თქვა დედმწიშენელოვნად ნომრევანმა, თუმცა მის ხმაში ნათიას მიმართ მალული დაკონიუტე გაისმო.

— ერთი ნულითი — მაგიაზე ხელი დასცხო ზაქარიამ, — აი როგორ მოქმედებს პოეზია ადამიანებზე. ეს სადღეგრძელო ნათიას ლექსმა შთამაგონა. მოდიოთ და, ჩვენ კურთხეულ ქვეყანას გაუმარჯოს, დიდებული წარსულის მქონე ერის მრავალგამიერა იყოს! პოეტს იმხელა კი არ დაეწივლოს, ოდესღაც დიდი ყოფილა საქართველო, არამედ სიამაყით წარმოეთქვას, ივერთა მხარე ასეთი დიდი არასოდეს ყოფილაო.

— ღმერთო ისმინე! — ფეხზე ადგომით თქვა დომენტიმ, — ბევრიც რომ მიინდომო, უკეთ ვერ იტყვი!

— ამინ! — წაილაპარაკა ნომრევანმა და ღვინო ყველაზე უწინ შესვა.

— საქართველოც, ასე მტერი დაგელოცოს! — ზაქარიამ ცარიელი ჭიქა მაგიდაზე ისე აზარტულად გააგორა, იატაკზე გადავარდა და დაიშხვრა. და ხმაილადა დასძინა, — მარადიული ვრო, შენი მოშურნე და ავად მსხენებელი ასე დაიშხვრეს, გაყამტვერდეს! გულქანმა ქმარი სუფრიდან ძლივს წამოაყენა, ზაქარიასავით იმასაც გაუტტბა ღვინო.

მასპინძელი ჭირვეულობდა, რა გეჭარბათ, დაბრძანდით, სადღეგრძელოში მარტო დაუღვევლიო, მაგრამ წაანყდა თუ არა ცოლის რისხვით სავეე მზერას, უმალ წამოხტა და სტუმრებს წინ გაუძღვა.

ნათია და ნომრევანი ისევ ჭადრაკს მიუსხდნენ.

სტუმრები და მასპინძელი გარეთ გავიდნენ. დომენტი შუა ქუჩაში გაჩერდა, ლამპობნებით გაჩახახებულ სახლკარს ზვიადად შეხედა.

— ზაქარია, ვაგაკი ხარ, სახლი შენ დიტრამახე!

სტავი, ჩვენ როდისღა მოვესწრებით ასეთ ცხოვრებას! — თქვა გულქანმა.

— თუ ღმერთი გნამთ, ნუ წუნუნებთ! — და ზაქარიამ დომენტის მხარზე ხელი დასცხო. — ძამიკო, მარტო ხელფასით ვერაფერს მიაღწევ. ამასთანავე, შემოსავალი ყოველთვის ნაკლებია ნავარაუდევზე. ციდან არც ფუფაღა ჩამოგყურის ასმანეთიანებს! ამიტომ უნდა მიდგე-მოდგე, ხელი გაანძირო, ფხა გამოიჩინო!

— სულ მავას არ ჩაეჩინებ, მაგრამ ვის უჯერებს! — გულდაწყვეტით ამოიოხრა გულქანმა.

— ველარ გამოვიცა, ექიმმა კაცმა ვიჭერდო, ქრთამი ავილო, თუ რა გააკეთო? — თქვა დომენტომ.

— რას ამბობ, თუ მექრთამეობა დაიწყე, შენც ახლა სულ დასტა-დასტა ფულს მოგიბენინებენ! — გააღიბარხარა გულქანმა, — მერე ზაქარიას მიუბრუნდა: — შენ ის ურჩიე, პრაქტიკულად როგორ მოიქცე!

— თუ გინდა, რომ კურძო პრაქტიკა გქონდეს, პაციენტები მიიზიდო, უწინარეს ყოვლისა, კაბინეტი კარგად მოაწყე, კარადებში, რაც შეიძლება მეტი სინჯარები, ამბულბები, სამედიცინო ხელსაწყოები დააღაგე. ადამიანებზე ეს დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. კლიენტებს დაუყვავე, ანუ გავე, ოპერაცია გაუადვილე, ისე უნებლად გავაკეთებ, ვერც გაიგებ-თქო! ყოველთვის შეინარჩუნე სიმშვიდე, იმოქმედე თამამად, გაბედულად! ჯერჯერობით, პაციენტები ნაკლებად გელოდება. დასაწყისში მეც ასე ვიყავი, ახლა კი საქმის ვეღარ ავდმოვარე! პირველ ხანებში ავადმყოფებს გადმოგიგზავნი, თუ გინდა, რომ სახელი მოიხვეჭო, ხალხს თავი შეაყვარო, თითოორილა სანყალსა და უპატრონოს ფულს ნუ გამოართმევ, ზოგჯერ ქალიშვილის შემცდენელ მამაკაცსაც შუტე, აი შე მატყურა, გოგოს კდემამოსილება წაართვი, ახლა დედობასაც ართმევთქო. ასეთი ამბები ხალხში უცებ ვრცელდება!

დომენტი დუმდა. ეს კი გულქანმა სასიკეთოდ ჩათვალა, ეტყობა ზაქარიას რჩევა-და-

რიგებამ მდღარი აზრები შეურყია, მეც რომ შევგანო, იქნება ქუაზე მოვიდესო. თან ისიც აიშვებდა, შეზარხოშებული ქმარი დამ-
თმობი ხდებოდა, ყველა სურვილს უსრულებ-
და.

პირველი შემთხვევა იყო, გულქანმა ტაქ-
სით მგზავრობაზე უარი რომ თქვა, მშვენიე-
რი საღამოა, რა შეეძრება ძილის წინ სუფ-
თა პერზე გასეირნებას, სხვა რომ არაფერი,
მშუადად დაგვეძინებო.

ლამპონებით განათებულ ქავეჭავაძის პრო-
სპექტზე კაცის ქაჭანება არ იყო. მანქანები
კანტი-კუნტად დაქროდნენ.

ცოლ-ქმარი დაუბრებულებივით ჩუმით მი-
დიოდნენ. დომენტის ისე გამოვირძის ცოლი
ეგა თვალნინ. „რა დრო დადგა, მანდილო-
სანი მანდილოსანს აღარა პგავსო,— ფიქრობ-
და იგი, — ამ ხნის ქალი გოგონასავით გა-
მომარნჭულა, შელებილ თმებზე ნითელი
ბაფთა შეუბნევი! მოჭადრაკეც რომ გამხდა-
რა. ნეტავი ზაქარია ასე რამ დააბრმავა, რამ
გამომარჩნია! როგორ ვერ ხელება, ყმანვილ-
კაცისა და ნებაზე მიშვებული ბანოვანის სა-
ათობით ქადრაკის დაფასთან პირისპირ ჯდო-
მას რა შეიძლება მოკყევს!“

გულქანმა უკეთ იცოდა, რაც მოკყევბოდა.

დილით გულქანმა ლოგინიდან ადგომა
ველს დაასწრო. ჩაი აადულა, დომენტის
გახამებული პერანგი და წინებები გაუშხადა,
ფეხსაცმელებიც საგანგებოდ დაუპრიალა. ნა-
საუზმეტს ქმარს დერეფანში გაკყვა, საკიდი-
დან სახაფხულო პალტო ჩამოიღო, ჩააცვა
და უთხრა:

— დომენტი, გენაცვალებ, რას იტყვი, დე-
რეფანი ცოტა უნდა მოვანქარიგო?

— ურიგო არ იქნება! — მიუგო დომენ-
ტიმ, გასალხე ნაეტანა და დასძინა — აბა
შენ იცი!

— მარტო დერეფანს კი არა, მთელ სახლს
ისე დავალაგებ, ვეღარ იცნობ! — და ქალი
ერთბამადად ქმარს კისერზე შემოებნეა, გადა-
კოცნა.

დედა-შვილმა დერეფნიდან ზედმეტი ბარგი
საკუჭნაოში ჩაიტანეს. ტანსაცმლის საკიდი-
დაბ ძველი პალტოები ჩამოსწეს და თანჩამი
შეალაგეს. კუთხეში ორი სკამი დადგეს, ეზო-
ში მიგდებული ძველი ტახტი, საწინაინი
წყლით გარეცხეს და სასადილო ოთახიდან
სანოლში გატანილი დიუნის ადგილას დადგეს,
ზედ თეთრი ზენარი გადააფარეს და თავით
ვეებერთელა ბავერდის მუთაქა დასდეს. ნამ-
ლებიანა და ზეთის ბოთლები სოფით გარეც-
ხეს, წერილი ასოებით წარწერები გაუკეთეს
და კარადში შეალაგეს.

საქმეს რომ მორჩნენ, გულქანმა ზაქარიას

დაურთვა, ცოლ-ქმარი მოიკითხა, ნათია რო-
გორ ხასიათზეა, ნომრებანმა ქადრაკის თამა-
ში ხომ არ დაჯახნაო, ერთხელ კიდევ გადა-
უხადა მადლობა გულუბნი მასპინძლობისათ-
ვის და, ბოლოს, შეახსენა, გუშინდელ დაპი-
რებაზე როგორ ხარო, ავადმყოფებს ხომ გა-
მოგვიგზავნიათო.

ზაქარიას ენა ჩაუვარდა, ყურმილში მისი
განშირებული სუნთქვა ისმოდა.

გულქანმა, თითომ ვერ გაიგო ზაქარიას შე-
შფოთება, თამამად განაგრძო:

— თქვენი ქორწილთ, აღბათ, ჩემზე უკეთ
იციო, პირველხანებში როგორი ავადმყოფები
უნდა გამოგვიგზავნოთ... იციო ხომ?! არა
გეცხარო ჩემს უგერგილო ქმარს... აი ახლა
ვხედები, რატომ ამბობენ ზაქარია გულისხ-
მიერი, გამოკითხავი ადამიანიო... თქვენი იმე-
დი გვაქვს, გთხოვთ დაგვემართო, ჩვენ თუ
ვერა, ღმერთი გადაგვიხადოს სამაგიეროს!

დომენტი სამსახურიდან შეგვიანებით დაბ-
რუნდა. დერეფნის კუთხეში მიდგმული სკა-
მები რომ დაინახა, გაიცინა:

— გულქან, ავადმყოფები არ ჩანან, შენ კი
უკვე სკამები გაგიშხადებია!

— დარდი ნუ გაქვს, მალე კარზე მოგვად-
ებია!

ნასადილეს დომენტიმ სამედიცინო ენციკ-
ლოპედიის ტომი გამოიღო, ზენარ გადაუარე-
ბულ ტახტზე წამოწეა და მენობაზე დაბეჭ-
დილი სტატიის კითხვას შეუდგა. დადლილი,
დაქანცული იყო და ერთი გვერდიც ვერ ჩაა-
თავა, რომ თვალები დაებლტა, ხერინვა ამო-
უშვა.

იგი ზარის წერილმა გააღვიძა, სწრაფად
წამოხტა, ლოჯიაში ცოლს გასძახა, კილაცა
რეკავს, მიხედო.

გულქანმა დედას მოუხსო, მოდი, კარები
შენ გააღე, თვითონ კი ოთახში შევიდა, რა-
თა თუ მოსული პაციენტი გამოიდგებოდა,
ქმრისათვის ყური უკეთ მიეცდო.

ახლაგზარდა ქალ-ვაგი იყო.

— ექიმთან ვართ! — თქვა ვაგმა კრძალ-
ვითა და შორიდებით.

— მობრძანდით! — მიუგო მერამ და, დე-
რეფანში შესულ სტუმრებს სკამები შესთავა-
ზა, დაისვენეთ, ექიმს ახლავე მოვახსენებო.

დომენტიმ ქალი შეინბო ოთახში, ქმარი კი
გაფრთხილა, გერ ამას გავუსაუბრებნი, გაე-
სინჯავ, მერე შენც დავიძახებო.

ოცდამთხი-ოცდახუთი წლის კაფანდარა,
მკერდწაყრდნილ ქალს გაფთრებულ სახეზე
მოთენთილობა აღებჭმოდა, ჩაცვნილი თვა-
ლების ფსკერზე ცრემლი უკაფებდა.

— დაბრძანდით! — უთხრა დომენტიმ
პაციენტს მაგიდის წინ მიდგმულ სკამზე მოუთო-
თა. ქალი რომ დაჯდა, დომენტიმ შეუდგინა

საერთო რვეული გადაშალა, ფანქარი მოიმარჯვა:

- გვარი, სახელი?
- ნინო პოლქვაძე!
- აი ახლა კი გამახსენდი, ამასწინათ ტელევიზორში განახე, მოწინავე მგზავი ხარ, არა?
- დიახ, ბატონო! საზეიმო გადაცემაში ვმონაწილეობდი... ჩაის სახლშიც მიმიწვიეს.
- თუ მეზსიერება არ მშალატობს, ასე გადაღვრძელეს, რამდენი ორდენიცა გაქვს, იმდენი ვაგი შეგტენოფესო?
- მართალს ბრძანებთ! როგორ დაგხსოვებიათ?!

- რაც ბავშვთანაა დაკავშირებული, არაფერი მაგინდებია! მითხარათ გეთაყვა, რამდენი წლისამ დაიწყო ფიზიკური შრომა?

- ათი წლისა ვიყავი, რომ დავობლდი. სანამ ბებია ჯანზე იყო, არაფერს მაკლებდა, მაგრამ დასწულდა, სანოლს მიეჯავა. ამიტომ თქვენსეტი წლისამ დაიწყო მუშაობა.

- მაშინაც ჩაის კრეფდი?

- დიახ!

დომენტი მცირე ხანს ჩაფიქრდა:

- გათხოვებამდე, ან შერე პირველ ფეხმომიშობისა აბორტი ხომ არ გაგაკეთებია?

- არა! - მტკიცედ მიუგო ქალმა, ისე რომ თვალი არ დაუხრია.

დომენტიმ გულდასმით გასინჯა ავადმყოფი, წაშლები დაუნისა. მეურ ქმარს მოუხმო და გააფრთხილა: - შენს ცოლს მკურნალობა სჭირდება, კარგი იქნება თუ ტალახით იმკურნალებს, ახტალაში წაიყვან!

ოთახიდან ჯერ ცოლი გავიდა.

ქმარმა მაგიდაზე ოცდახუთმანეთიანი დადო, მაგრამ დომენტიმ თვალი შეასწრო და მტკიცედ უთხრა:

- ოღონდ უპაისო! - და სახლიდან გააცილა. ოთახში რომ შებრუნდა, სახელაღწილი ცოლი ეტგერა:

- გამომიხვედი წმინდანი! ვინ ოხრები არიან, ვინა ყრიან, რატომ ფული არ გამოართვი?!

- არა უშვასრა!.. მოწინავე ადამიანია, მთელი საქართველო იცნობს.

- ნეტავი მაგის მოწინავეობა ჩვენ რას გვარგებს! ფანჯრიდან მაინც გადაიხედე, საკუთარი „კოლგით“ მობრძანდნენ! გადაიხედე, შენი თვალით დაინახე!

რადგან ქმარი გარეთ არ იხედებოდა, ცოლი თვითონ მივიდა ფანჯარასთან:

- დახე, დახე, ამ ოხერ-ტიალეებს, საბარგული ციტრუსის ყუთებით ჰქონია გამოქვდილი! - და უცებ აყვირდა, - ამას რას ხედავს ჩემი თვალები, შენ ქველმოქმედება გამოიჩინე, შეიბრალე, მანდარინით სავსე ყუთი კი ვილადასთან მიაქვს...

ვინ იცის, დედა-შვილი როდის შეწყვეტდნენ

აქავებული ენის მოთელვას, ზარს არ დაეწყარუნა.

კარები მავრამ გაალო. დერეფანში ბოლქვაძის ქმარი შევიდა. კუთხეში ყუთი დადო და სულს მოთქმით თქვა:

- ქალბატონო, ოთხი წელია მე და ჩემი ცოლი ექიმებთან დაედივართ! ასეთ ღვთისნიურ ადამიანს პირველად შეეხვედით... მანდარინზე მაინც ნუ გვეტვითო უარს!

დომენტი დერეფანში გასულას აპირებდა, მაგრამ ცოლი კართან გადაეღობა, შენ ისევ საქმეს წაახდენ, დედაჩემმა იცის როგორ მოიქცესო.

ნავრამ ყმანველკაცი რომ გაისტუმრა, გულქანი დერეფანში გაიჭრა. დედა-შვილმა წუთს ფაცი-ფუცით სახურავი ააძრეს.

- ოი, ოი, რამხელა მანდარინებია... ბაზარში ასეთს კილოს ხუთ მანეთად ვერ იყიდი!

- ამბობდა მავრა.

- ეს რაღაა, დედა? - აღტაცებით დაიძახა გულქანმა.

- იმპორტული ჩაი!

- დედა, რანაირი ხარ, რითი ვერ ისწავლე იმპორტულისა და საქსპორტოს გარჩევა?!

- დასწულვლის ღმერთმა, ევლარაფერს ვიხსოვებ, თუმიცა რა მწინშენლობა აქვს, გინდა საქსპორტო იყოს, გინდა იმპორტული! მთავარი ის არის, ორი თვე მანდარინი საყიდელი აღარ გექნება, ნამდვილი ჩაის გემოსაც გაეიგებთ!

დომენტის მავრას სიტყვებზე სიცილი წასკდა, უფრო სწორად იმაზე გაეცინა, ჩემმა სოდედმა რაც არ უნდა სისულელე წამოყრანტალოს, უმაღ გულმავინწყობას გადააბრალებს ხოლმე, მაგრამ ერთხელ არ იტყვის, გოგრა ცარიელი მაქვსო.

გულქანი ოთახში შეიჭრა, დომენტის კისურზე მოეხვია, გადაკოცნა:

- ეიმ, რა კარგად მოიქციო! ახლა კი მგერა, რომ ცხოვრებაში ჩვენც რაღაცას მივალწვეთ, გაეიხარებთ!

დერეფანში ზარი აწკრიალდა.

- ნამდვილად პაციენტია! - თქვა ცოლმა.

- რაზე შეატყე? - იკითხა ქმარმა.

- ზარი მორიდებით დარეცეს! - ფანჯარასთან მიიჭრა და ქუჩაში გადაიხედა - დომენტი გაეშადა! ჩვენს დერეფანთან „ტეგული“ დგას, უტყობა ავადმყოფი მანქანი მოვიდა!

კერძო პრაქტიკას თავიდანვე კარგი პირი უჩანდა, ზაქარია დომენტის ორ-სამ უშვილო ქალს ყოველდღე უტახენიდა.

ერთ მშვენიერ დღეს კი სოლომონი ზაქარიას ბარათით ხელში გამოცხადდა ცოლითურთ. „საქმეს ვერ აუდივარ, ნუთი მოცლა არ მაქვსო, გთხოვ, ბარათის მომტანს მიმი-

ხელო, დიდებული კაცის მუღუღა, სასურველ მგობარს შეიძენ" — ნერდა ზაქარია.

როცა მერამ ქალს სთხოვა, ექიმთან შებრაზდნო, სოლომონიც ოთახში მიიწვიდა, მაგრამ დომენტიმ გააფრთხილა, მოითმინეთ, ჯერ თქვენ საჭირო არა ხართ.

ექიმმა გულდასმით გასინჯა ქალი და განუცხადა:

— ქალბატონო, თქვენზე ზაქარია ტვდუფონითა მელაპარაკა, რამდენჯერაც გავუკეთებ აბორტი, იმდენჯერ ანთება დაეწართა, იქნებ შენი ხელი კარგად დასცადოსო. ხელი აქ არაფერ შუაშია. ამის მიწეზი ხშირად მუცლის მოშლაა. დამიჯერეთ, თქვენი ჯანმრთელობისათვის უმჯობესია შეილი შეინარჩუნოთ.

— არა, ბავშვი აღარ მინდა! — მტკიცედ თქვა ქალმა.

— განა რამდენი შეილი გყავს, რომ ასე დაეინებოთ ამბობ უარს?!

— ერთი გოგონა მყავს, მაგრამ ქვედახას მირჩვენია!

— რას ამბობ, ერთი შეილი რა შეილია?!

— ბატონო ექიმო, განა არ გაგიგონიათ, ბევრი რათ უნდა დედასა, ერთი სჯობს სახელოვანია. სანაქებო შეილის აღზრდას კი დიდი მზრუნველობა, დიდი თავისტება სჭირდება. ეს მუსიკაო, ეს უცხო ენებიო, ეს ციგურებიო... ახლა ოჯახი, სამსახური, ბაზარი? მთელი დღე განამანიაში ვარ. რა ქნა, შეილს არ ელაღებება დედა ენაცვალაო, სამი წლისაჲ არ იყო, რომ აიჩემა, თოჯინების ექიმი ვარო. თავის ტყინებს ლოგინში აწვევდა, სიცხეს უზომავდა, წამლებს ასმევდა, ოფლს ადენდა. ახლაც ექიმობაზე ოცნებობს, ან თეთრ ხალას ჩაიცვამ, ან მტკვარში გადავარდობი. მშობლის გულის ამბავი ხომ მოგესტრებათ, შეილის მოწოდებას წინ ვერ აღუდგებით, ყველანაირად ხელს ვუწყობთ, რეპეტიტორებთან ვამოცადინებთ. ქმრის მალულად კაპიკს-კაპიკზე ვადებ, ფულს ვაგროვებ თუ მშობლებს წელი არ მოსდევთ, ბავშვი მარტო ცოდნით ღონს ვერ გავა.

დომენტი არწმუნებდა: „ეს რომ ასეც იყოს, მშობლები ერთი შეილის ამბარა მანაც არ უნდა დაჩინებ, ბავშვსაც დაძმა უნდა, ისე არავის შესტკივა ერთმანეთზე გული, როგორც ერთი დედამამის შეილებს!“

ქალი კი დაეინებოთ გაიძახოდა: „რამდენიც არ უნდა მიჩიოთ, მტკი შეილი აღარ მინდა, ჩემი ერთადერთი გოგონას სიყვარულს ვერავის გაუწანაღებ?“

რაკი ქალი ვერ დაითანხმა, დომენტიმ ქმარს მოუხმო, მდგომარეობა გააცნო და ბოლოს დასძინა: „ქალბატონს ვურჩევ, შეილი შეინარჩუნოს, მაგრამ არ მიყვრება, იქნებ შენს სიტყვაზე გაიაროს“.

— ექიმო, მტკი რა ვქნა, ამაზე, გულისკენი ყებები მაქვს მოღლილი?

— სოლომონი — დაუტახტანა ცოლმა, — შენ, რა გენაღლებება, შეილის გაზრდისას რას გებულობ. დილით უთენია გაიძახარ, და შუალამისას უგონოდ მთვრალი შოფერს ძლივს ამოჰყავხარ სახლში.

— რა ვქნა, დირექტორი კაცი ვარ და სამსახურში არ წავიდე? ან შეიძლება სტუმრებს პატივი არ ვცე?

— სამსახურში ვითომ ყოველდღივით ტაბელი გაქვს გადასაბრუნებელი. ან შენი დირექტორობით რა თავი მოგაქვს: არც ჩვენა ვართ უსაქმურნი. ადვილი რაღაცა უნივერსიტეტის მთავარი ეკონომისტობა!

— დომენტი, ერთი წუთით, გამოდი, საქმე მაქვს! — გამოსძახა მეორე ოთახიდან კარებს უკან დადარაჯებულმა გულქანმა.

ფერაქემ ცოლ-ქმარს მოუბოდიშა, და მეორე ოთახში გაევიდა.

— კაცო, შენი ვერაფერი გამოგია, ერთს რომ გაიძახი, მეორეც იფიქრე. ქალს ასეთ ადგილზე უმსახურია და შეილის გულისათვის სახლში ხომ არ დაუდებია. მაგათ შენზე უკეთ იციან, რასაც აკეთებენ. შენ თუ უარს ტყვი, განსწევ და წაუღენ, თბილისში ძაღლს რომ ქვა ესროლო, აბორტის ოსტატს მოხედება! — უთბრა ცოლმა.

„სადღაც გულქანი მართალია. მე თუ უარს ვეტყვი, სხვა ულაპარაკოდ დათანხმდება. მაშ რატომ უნდა გამოვიდო თავი? — დაასკვნა დომენტიმ. და მეორეც, როცა მსგავს სისაძაგლეს ჩაღოდა, საუთარ სინდისის წინაშე თავს ამით იმართლებდა.



გულქანი დომენტის აქებდა, ჩემო კარგო და საყვარელო, აი თურმე რამდენი შეგძლეხია. თბილისში ხმა დაირხა, ფერაქესთანა გინეკოლოგი მეორე არ არის, თქროს მარჯვენა აქვს, უწებლად, უმტკივნეულოდ აკეთებს ოპერაციებს, უშვილო ქალებს კურნავს, სასწაულებს ახდენსო.

დომენტი თავს დიდ მკურნალად არ სთვლიდა, მაგრამ ცოლი ამას ისე დაბეჯითებით უმტკიცებდა, მალე თავის თავში თვითონაც აღმოაჩინა ნიჭი და ადვილად ირწმუნა, რომ დიდი ცოდნისა და გამოცდილების ექიმი იყო. შუალამემდე კითხულობდა წიგნებს, სამედიცინო ჟურნალ-გაზეთებს, აკეთებდა ამონაწერებს. პაციენტებთან ხმადაბლა, აუჩქარებლად ლაპარაკობდა, თან ვითომ უნებლიეთ თვალი ეხუჭებოდა, ფიქრს უღრმავებდოდა.

ხუთ წელიწადში დომენტიმ ფალიაშვილის ქუჩაზე ერევნის ნითელი ტუფით აგებული ორსართულიანი სახლი შეიძინა; თაღოვანი

კარ-ფანჯარა ნიკონმინდის ტაძრის ნაბაძვით მოეპყრებოდა. რეკლამებიანი ფართო აივანი ხეივანი მცენარეებს დაეყარა. შავად შეღებილი რკინის ქიშკარზე ორი აღრენილი ვეფხვი იყო ლითონში გამოჭედილი.

ორივე სართულზე ოთახების, დერეფნების, აივნების კედლებზე მუხა აყრათ, იატაკზე ფინურის პარკეტი ეგო, კარ-ფანჯარა მუხისა იყო.

დომენტომ პირველ სართულზე, მისაღებ კაბინეტის გარდა, საოპერაციო, საბილიარდო და კონიაკების გამოფენა მოაწყო.

ერთ საღამოს დედა-შვილი საიდანღაც ლეკვი მოიყვანეს. დომენტის ბავშვობიდანვე სძულდა ძაღლები. ლეკვის დანახვა არ ესია-ამოვნა.

გულქანმა ქმარს უსაყვედურა: „რა იყო, რა კომები შეიკარი, კაპიცი / არ გადაგვიხდია, შორეულმა ნათესავმა გეაჩუქა!“ ქმარი ამბობდა: „ძაღლი რა ოჯახში შემოსაშვევია, ოღონდ ეს არა და, თუ გინდ ღირაფი იყო-ღიფი!“

გულქანს არაფრის გაგონება არ უნდოდა, ბოთფერებსა და ქოფაკებს თვალიც ვერ ვიტან, ეს ინგლისური ჯიშის დოგა, ჭკუა-გონებით სავსე, ასეთი ძაღლის ყოლა ოჯახის კულტურაზე მეტყველებს. კვირაში ორჯერ საავადმყოფოში მორიგეობ, უკაცო ოჯახს ყველა ჯურის ქურდი და მძარცველი ეტანება, დოგის იმედით მშვიდად მიიწე დავიძინებო.

ცოლ-ქმარმა ბევრი იდავეს და, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ქაღამა თავისი გაიტანა.

დედა-შვილი ლეკვს აბაზანაში აბანავებდნენ, ყურებს უწმენდნენ, თათებზე ბრჭყალებს აჭირდნენ.

ნახაზი უცებ გაიზარდა, ტანი სელაპივით დაუგრძელდა, კანჭები დაუმსხვილდა, გაუხედავ მოხერხებით აბრიალებდა თვალებს. თითქოს მუცელში სვავი უჯდა, დღეში ორ-სამ კილო ხორცს სჭამდა, რძესაც ხარბად ხერხებდა, პურს კი პირს არ აკარებდა.

* * *

ლილი წუხს, მიიმედ განიცდის, თავის თავისთვის ვერ უპატრობია, უღირს ადამიანს გული როგორ მიუძღვნა! ბადრის რომ თავიდანვე პყვარებოდა, ან მეგრ მისდამი მცირედი გრძნობა აღძროდა, ასე უადამიანოდ არ მოეპყრობოდა, ბედის ამარად არ მიატოვებდა. ვინ იცის, იქნებ ბადრი მშობლებმა აიძულეს ზურგი შეეცუა მისთვის?!

ლილი თავის ტანჯვა-წუხილს არავის უმხედა, რადგან იცოდა, რომ ამით მტერს გაახარებდა. ეს კი იყო — ხმა დაყარა — ბადრის ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში ვუყვარდი,

ჭიათურაში მუშაობს შახტის მშენებლის რაიონში, რად, კვირაობით ჩამოდის ჩემს სანახავად. მეზობლებში დარბეული ხმა სარწმუნო რომ ყოფილიყო, ლილი თვითონვე უგზავნიდა თავის თავს დეკემბერს. ხან, ვითომ ვატი ატყობინებდა ამა და ამ დღეს ჩამოვდივარ, ხან კი აფრთხილებდა ამ კვირას ვერ მოვიცდი, არ მელოდო.

შაბათობით, როცა ვითომ შეყვარებულს ელოდა, ლილი ბაზარში მიდიოდა, სურსათ-სანოვავეს ყიდულობდა, კერძებს ამზადებდა. საღამოთი ორ კაცზე სუფრას გაშლიდა, მაგნიტოფონს ჩართავდა. ოთახი მუსიკის ტკბილი მანგებით იესუბოდა, ის კი სანოლზე იწვა და მზარედ ქვითინებდა. როგორ არ იტიროს: ქვეყნად ერთადერთი მშა პყავს და ისიც შე-მოსწრა. ამასწინათ ტელეფონით დაურეკა. ყურმილი რძალმა აიღო, მოიკითხა, როგორ ხარ, როგორ ცხოვრობთ, და მერე სთხოვა, დომენტისთან დამალაპარაკეო. შენი მშა შინ არ არიო, მიუგო მკვანედ გულქანმა და უცებ დაატანა, კარგად ბრძანდებოდეო, და ყურმილი დაუკიდა. აღბათ რძალი და მისი მტერი-ჩარა დედა ლანძღვენ, თათხავენ, ქუჩის ქალს უწოდებენ. რატომ ღმერთი არ გაიკინებს, იმათ უბაში რომ ჩავარდა! რამდენი სიფრთხილე ყოფილა საჭირო, თურმე ადამიანი სიმართლის თქმასაც უნდა ერიდოს.

როცა მშამ გაანდო, გულქანის ცოლად შეართვა ვაიბრებო, ლილიმ ხელები გააქნია, ეგრე გადაგინწყვეტია. გულქანი ეკუთვნის იყო გართული და არც დედამისს პქონდა კარგი ქალის სახელი.

— ნეტავი რა ჭორებს ამყოლიხარ! — განაწყენდა დომენტი, — რასაც ამბობენ, ყველაფერი რომ მართალი იყოს, ამქვეყნად პატროსანი ქალის ჭაჭანება არ იქნება!

— რა ქენა, და ვარ, გული მენის, არ შემიძლია სიმართლე დაგიმალო! რახან ჩემი არ გჯერა, როგორც გულმა გეკარნახოს, ისე მოიქცე. ოღონდ იცოდე, იმას რაც არ მომხდება, არავინ იტყვის!

— ქმარი საერთოდ გიკრძალავ მაგზე ლაპარაკს! — და თითქოს მის ჯინაზე, დომენტომ მეორე დღეს, გულქანთან ხელი მოაწერა.

ლილიმ პირველ დღიდანვე იგრძნო, რომ რძალი მისი მტერი იყო. ერთხელ გულქანმა და მეგრამ იგი სახლში დაიშარტოხებულს. ჯერ დედა ეტკა, „აი შენ ასეთო და ისეთო, ჩემი გულქანი რა შენი სახსენებელია! კაცებში გართულიც შენა ხარ და გათახსირებულიც!“ მერე რძალმა შეუტია, ბაზრის ქალივით კიოდა, რაღა არ უწოდა, რაღა არ აკადრა. გული მარტო იმაზე კი არ უკვდებოდა, დომენტომ სიტყვა რომ არ შეუნახა, იმასაც წუხდა, ქვეყნად ერთადერთი მშა პყა-

ვდა და ამას იქით იმასაც ვეღარ ენდობოდა. მაშ უბედური არ არის? პატიოსანი ქალის სახელი შევხვალა, მტერი გაახარა, და, ვინ იცის, კიდევ რამდენი დამცირება და ცრემლი ეღის?

ლილის ექიმები უხვით სიარულს ურჩევდნენ. ის კი ნაცნობებთან შეხვედრას გაურბოდა. მხოლოდ საღამოობით მიდიოდა ვაკის პარკში, განაპირა ბილიკებზე სეირნობდა, კანტიკუნტად რომ დააბოჯებდნენ ჩახვეული ნეკლები.

ერთ საღამოს, ლილიმ ბუჩქებში შემალულ სკამზე ქალ-ვაეს შეასწრო თვალი. და უშაღ იცნო — ვაჟი ბადრი იყო.

ქალი ოქროსფერთმიანი ვინლაა? უცნობია. შორცხვად განზე იხედება, ვახს თავს არიდებს.

ბადრიმ ხელი მოხვია, მაგრამ ქალი ქურცოყვით განზე გახტა და ბილიკით პარკის ცენტრალურ მოედნისაკენ გაემართა. ბადრი უკან აუდევნა.

ეჭვობა ამასაც სიყვარულს უმტიციებს, ერთგულებას ეფიცება. აღბათ ნელ-ნელა დაილოლიებს, რა ვეს შეაყვარებს, მერე კი ქუდს მოუხდის. თან თუყვით, რომ ქალს არ იცნობს! ისიც ხომ ადამიანია, იმასაც ხომ აქვს გული, ჰყავს მშობლები, ახლობლები, ისიც მასაგით სრცხვილით დაინჯოს, განაშეება, დაიჭანჯება? მაშ რატომ არ უნდა გააფრთხილოს, რომ საფრთხეს ეღის, თავდაჭერილობა გამოიჩინოს?

ბედზე ოქროსფერთმიან ქალს ვიღაც შემხვედურად ქაბუკი მიესალმა. ლილიმ იგი გააჩერა: „და-ამურად გთხოვ, მითხარი, ვინ იყო რომ მიესალმე?“ „მზია პქვია, გვარი არ მახსოვს, ამა და ამ მთავარ სამმართველოში მუშაობს!“ — მიუგო ვაჟმა.

მეორე დღეს, დილის ცხრისნახევარზე ლილი მთავარი სამმართველოს წინ ტრიალებდა. რაღა კაბინეტებში ეძებოს, მზია სამსახურში რომ მივა. გადაუდგება და გამოელაპარაკება! მზია აუტობუსიდან ჩამოვიდა, ქუჩა გადაჭრა და სამმართველოსაკენ გაემართა.

ლილი შეერეგნაში ნამოენია:

- თუ შეიძლება, ერთი ნუთით!
- რა გნებაეთ? — მიუგო მზიამ და ნაბიჯი შეანელა.

— შენ ჩქარობ, მე კი შენთან ბეერი საღამო-პარაკო მაქვს, მოდი დაეთქვათ და ამ საღამოს შევხვედეთ!

ბადრიმ ერთხელ სიმთვრალეში დაიტრანაბა, ერთი პროფესორის ქერივი გადაამეყოდა, თავიდან ვერ ვიცხილებო, „აღბათ, ეს ის ქალია“, გაიფიქრა მზიამ და მიუგო.

- კი, ქალბატონო, მითხარი, სად მოვიდე?
- ვაკის პარკში, შადრევანთან, საღამოს შეიდა საათზე!

ისინი დათქმულ დროს შეხვედნენ. ლილი, ნების, ბილიკები მოსეირნებებს ვერ იტევდა, ძლივს მოძებნეს დასაჯდომი ადგილი.

— მზია, უწინარესყოელისა, მინდა შეგეკითხო: იცი თუ არა, რომ ბადრი ბადრიძეს ადრე სხვა ქალი უყვარდა?

- კი ვიცი.
- ეს ქალი მე ვარ.
- დილას გნახე თუ არა, გულში გამეკრა, ნამდვილად ის არის-მეთქი.

— მაშ მომისმინე. დღის სულს გეფიცები, შენთან კეთილი განზრახვით მოვედი. გაჭირვებასა და ბედშობაში ქალბატონს ვიცით თანაფგომა, ერთმანეთისათვის თავდადება... აი ეს გრძნობა მაიძულებს საკუთარი სინდისის წინაშე მართალი ვიყო და, გაგაფრთხილო, ბადრის ნუ მიენდობი, ცხიერი, გულქვა, დაუნდობელი!

მზია, სახეზე რომ ეწერა, ეს ზღაპრები სხვას უამბეო, დაეჭვებით უმზურდა ლილის.

— იქნებ გგონია შენი მეტოქეობა მალაპარაკებს, მინდა გზიდან ჩამოგცილო? გულწრფელობა გულწრფელობას იმსახურებს. მითხარი სიმართლე — უთხრა ბოლოს ლილიმ.

— მეც არ ვიცი რა გითხრა, — შეგვიანებით მიუგო მზიამ და მტრულ ფიქრის შემდეგ დასძინა — მეგონა, მეტყოდი: „ბადრი მიყვარს, ის ჩემია, დამითმე, ნუ მელობები!“ შენ კი...

— მე იგი მძულს, მეზიზღება, რადგან ვერაგია და, ვაი იმას, ვინც ხელში ჩაუვარდება!

— რატომ ადრე ვერ მიხვდი? — იკითხა მზიამ, გულში კი მიუგო: „მიგხვდი, მიტოვებულო, ქალბატონო, რატომაც ირჯები!“

— სისულელე ჩემი! — ამოიოხრა ლილიმ და მცირე ხნის შემდეგ დასძინა, — ვიცი, რომ ჩემი არ გჯერა! როდი გამტყუნებ! აღბათ შენს ადგილზე მეც არავის ვერწმუნებოდი!...

მაგიდის გვერდით დოგი იწვა, დრუნში თათებში ჩაერგო. მოჭუტული თვალებით ხან გულქანს უმზურდა, ხან მავრას.

ტელეფონმა დაიწერია, დედა-შვილი მაშინვე ნამოხტა, ორივე ყურმილს მიეტანა, მაგრამ გულქანმა დაასწრო.

— გისმენთ! ექიმთან მოსვლა გინდა? ახლავე! — ყურმილი დედას გადასცა.

— ალოო! — განაზეებით განელა ხმა მავრამ, — ექიმს დღეს მიღება არა აქვს, ხვალ მობრძანდი, ოღონდ საჭიროა წინასწარ ჩაწერა, — და ტელეფონთან კედელზე დაკიდებულ საერთო რვეულში რაღაც ჩაინიშნა, — მისმენ, არა? რიგით მეცხრე იქნები. გვარი არ გვანტიტრესებს. მაშ, ასე, ხვალ საღამოს რვა საათზე!

გულქანმა სიგარეტი ჩააქრო. ძაღლისკენ გადაიხარა, ხელი თავზე გადაუსვა.

ძაღლს თვალები მიეღვლა, ტკბილ ბურანში წავიდა.

— ველარ შეგეითხე! — კალთაზე ხელი შემოირტყა მავრამ, — წელან ვაფბატონი რას იღრინებოდა?

— მაგისას რას გაიგებ, მოცლილი! — მიუგო გულქანმა და, თითქოს ქმრის გამოჯავრება უნდოდა, მანჭით წაილაპარაკა, — შენს ტანზე შარვალი არ დავიწახო!

— რას ამბობ, ეს როგორ გაგიბუდა?

— გამოხედა და, კარგი პასუხიც მიიღო, ადრე და მალე შენ არ დაგინახავ, შარვალს კი ვერ შეველევი-შეთიქ.

— უფრო კარგად უნდა გამოგელანძლია ფეკი კაცი, ქურში ხომ არ ზის, გაიხედ-გამოიხედოს, ვიღამ არ წამოიცვა ჯინსები, ვისზე რა ნაკლები ხარ, რატომ უნდა იყო გულნაკლული ურჩვეუნი, თავის დას მიხედოს, მთელი თბილისის ყბადასაღებ ქალად რომ გაიხადა თავი.

ჭიშკრის ტრიალი გაისმა. მავრამ ფანჯარასთან მიიღიბინა:

— დომენტია! მე ყუჩვენებს მაგას! გულქანმა ძაღლს დრუნჩზე ხელი მოუსვა, თან უბრძანა, გარეთ გადაიო.

დოგი შიშიმედ წამოაფგა, ტაღლის მსგავსი რხევით წელში გასწორდა, ზღაზუნით აიჯანზე გავიდა.

— რას ჰგავს ეს, კვამლით აგვისთათ აქა-ურობა? — ოთახში შესვლისთანავე თქვა მკეახედ დომენტომ და ფანჯარა გამოაღო.

— თამბაქოს ნევის გამო ქალი არ დაიძრახება, ლილი თუ არ ეწოდა, ვერ გაიჩინა საფარელი? — თქვა გულქანმა.

— ლილის რაღა შენი ლანძღვა უნდა, მოეშვი! — სთხოვა დომენტომ.

— თავი მოგჭერა, ოჯახის ღირსება შელახა! — სიტყვა ისროლა სიდედრმა.

— დის ქომიგო ძმაო, ლილის შენ რომ ამატოო, მე შინც არ ვაპატიებ! — ბრაზით წამოიძახა გულქანმა.

— გულქან, გთხოვთ გადაჭარბებულ სიმკაცრეს ნუ გამოიჩენი სიყვარული ისეთი რამ არის, გინდა, არ გინდა, ადამიანს უნდა მიუვუტეოთ! — მიუგო დომენტომ.

— მეორედ არ გამავაზო ეს! — გააცეხლდა გულქანი, — ქურდის, ყაჩაღის ყველანაირი ბოროტმოქმედის გამოსწორება შეუძლებელია, უსიარცხელი დედაკაცს კი არაფერი ეშველება, ამას იქით თვალით არ დამენახოს, ჩვენს ოჯახში ფეხი ამოიკვეთოს! შენც გიკრძალავ ლილისთან სიარულს, ახლო არ გაეკარო!

— რა თქმა უნდა, ასეთ ზნედაცემულ ქა-

ლისაგან, რაც უფრო შორს წავიდა, უფრო მისი!

— დიდხანს შენც იქ იქნები.

სიძემ სიდედრს შეაბღვირა. — მითხარი, გამაგებინე, შეასრულე თუ არა, ჩემს მოთხოვნას! — არ ცხრებოდა გულქანი.

ქმარი არც პოს ამბობდა, არც არას.

— პასუხის ღირსადაც არ მხდო! ახია ჩემზე — და გულქანი ერთბაშად დივანზე დემხობო, აქვითინდა. ლამაზი, ცერიალა ქალი იყო, სიბრაზეშიც სინატიფეს ინარჩუნებდა. თან ისე საცოდავად ატირდებოდა, დომენტო როგორი გულმოსულიც არ უნდა ყოფილიყო, სიბრაღის გრძნობა აღეძვრებოდა, და რაკი სხვა არაფრით შეეძლო მისი დამშვიდება, აუცოლებლად მიეფერებოდა, მიუაღწევებდა. ამჯერადაც ცოლს აცრემლებული თვალები დაუყოცნა, თან უჭურჩულბოდა: „ნუ ტირი, გინაცვალე, როგორც შენა გსურს, როგორც შენ მითმბანებ, ისე მოვიტყვი“.

ვერ მიმხვდარა რა ხდება. სამი დღის წინ მზიას ეხვეწა, პარკში შევხვედეთო, მაგრამ ვერ დაიყოლა, გადაუღებელი საქმე შექვეს, სასიეროდ ვერ მოვივლიო. დღეს კი თითონ ეხვეწება, შენი ნახვა მინდა, შვიდ საათზე ვაკის პარკში შეადრევანთან გელოდებიო.

ბადრიმ ათიოდე წუთი შეაგვიანა. ქალმა ვაგი დაინახა თუ არა, მისკენ გაქანა, მაჯაზე ხელი სტაცა, გრძნობით მოუჭირა:

— რატომ დაიგვიანე?
— ტროლეიბუსს ოცი წუთი ვდლოდე, — მიუგო ბადრიმ, მერე ქალიშვილი შეათვალიერა და ხელები გაშალა, — კარგი ხარ, შენი ცქერით ვერ ვძლები!

— რატომ მუუბნები ასე? განა არ ვიცი, რომ დახატული არა ვარ!

— შეიძლება სხვისთვის არა, მაგრამ ჩემთვის ხარ! თან რაღაც შეცვლილი მერევენები! ადრე მზია თითს არ აკარებინებდა, მორცხვობდა, გაურბოდა, ახლა კი თვითონ ეტმასნება, ანთებული თვალებით შესცივინებს. ალბათ მოსაჩვენებლად იპრანჭებოდა, თავს სათნო გოგოედ აჩვენებდა, ის კი აი, თურმე როგორი ყოფილა!

მზიას სითამამემ, თავდაუჭერლობამ ბადრის გუნება-განწყობილება შეუცვალა. მასში უცებ ჩაქრა ძლიერი ლტოლვა, ქალის დაუფლების სურვილი რომ იჩვენებდა.

ბადრის გულგრილობა, სახეზე აღმეჭვდილი რაღაც ფარული ირონია, მზიასათვის იმოუცნობი გამოცანა იყო და, ეჭვს უმძაფრებდა, ვაითუ ვაგი ლილის დაუბრუნდა, ჩემს თავს ის ამჯობინაო. ლილისადმი მიცემული სიტყვა, ბადრის ჩვენი შეხვედრის ამბავს არ გა-



ვუმხელო, მიიყინვა და ყველაფერი დაფტვა.

— ვერ გამოვიდა, ლილიმ საიდან შეიტყო ჩუნი ნაცნობობის ამბავი? — იკითხა ბადარიმ.

ორი სიტყვა: ნაცნობობის ამბავი, ორი ხანჯლის ნეკრებით გულში მოხვდა შვიას. ბადარისათვის ჩუნი ურთიერთობა ნაცნობობა უფილა და მეტი არაფერი, და უცმებად მიუღო:

— შენ თავს შეეციოხვ, მე საიდან ვიცი?!

სადაც გულწრფელი სიფეარულია, იქ ნდობაცაა! ბადარის კი შვიას არ უყვარდა და მის ყოველ სიტყვას ეჭვის თვალით უყურებდა, გული ეთანადრებოდა:

— უმჯობესია სიმათლე თქვა, ის კი არ მოვიდა შენთან, არამედ შენ ინახულე იგი! „აი, ის მატყუარა! ეტყობა ლილიმ ასე მიუტანა ამბავი!“ — ამ ფიქრში შვიას გააფეცხლა:

— სად აქვს ადამიანობა! როგორ არ სცხვენია, იმის არსებობაც არ ვიცოდა. თერთონ მოვიდა, გამეცნო, რაღა არ ილაყბა, მერე კი ყველაფერი მე გადმომაბარალა!

— ფიქვით და, როგორც ამბობ, ასე იყო...

— როგორ, თუ ეთქვათ... განა გარკვევით არ გეუბნები, ის მოვიდა ჩემთან-მეთქი?

— კარგი, მჯერა! რა გითხრა, რას ვირჯე-

ბა, რა მიხდა?

— გასაფრთხილა, ბადარის ნუ ენდობი, ცბიერია, ევრაგო.

— მერე შენ ეს გჯერა? — იკითხა ბადარიმ. და რაკი შვიასმ აღბარაფერი თქვა, თავი მოიკატუნა და დაბეჩავებული კაცის კილოთი განაგრძო: — ნეტავი გამაგებინა, საამისო რა ჩავიდინე! სახლში შევეტერი, ვიძალავე?

ერსიანს დუმილით მიდიოდნენ. მერე ვაჭმა, თითქოს თავის ფიქრს ეპახებუბაო, ხმადაბლა წაილაპარაკა:

— ჯერ ერთი, ლილი რა ჩემი ტოლია მერე და, ვისთანაც გავივლი, ყველას ცოლად ხომ არ წავიყვანი!

„ეკითხე რეშევე ასე ფიქრობს!“ — გული დასწყდა შვიასს, ვაჭს კი უთხრა:

— რა თქმა უნდა შენი შესაფერი არაა!

— ისიც საკითხავია, ვინ ვის მოატყუა.

ამ დღიდან მოკიდებული ბადარი შვიასს გაურბოდა, გულს აღარ უჩვენებდა, საშხაურში ემუშავებოდა ქალი გააფრთხილა, თუ სამმართველო სუფრისის პირადმა მდივანმა მიკითხოს. უთხარი, თათბირზე, ან ქარხნის ტერიტორიაზე გასულიყო. შვიას საშუალო განათლებითაა, დედის მეტი არაფერია ჰყავს. სადაც ვლდანში ერთთაბიან ბინაში ცხოვრობს, არც საჩინო ნათესავეები ჰყავს, არც სიღამათით გამოირჩევა. სულ სხვაა ლონდა — ეს ლამაზი, ნატიფი არსება მასში ბადებს

მისი განებივრების, მზრუნველობის, მისი ძლიერ სურვილს.

ბადარის ეს ფიქრი უტრიალებდა თავში და, რა გასაკვირია, რომ დღითი დღე მზიასადმი სულ უფრო გულგრილი ხდებოდა. ამას შვიას იმით ხსნიდა, ვაჭი ლილიმ გადაიბირა, ჩამომაცილაო. და სულ იმის ედაში იყო, ისეთი რამ გაეკეთებია ბადარის ეთქვა, აი, რა გატაცებით უყვარვარო, ყოველგვარი ვაჭისათვის ამერიკულ სიკარგებებს, სასმელ-საჭმელზე ფულს იკლებდა. ფილარმონიაში გამართულ კონცერტებზე ბილეთებს იძენდა, ბადარი მოუცვლელობას იმიზნებდა, მხოლოდ ერთხელ შეჰპირდა მოვალეო, მაგრამ მაშინაც გაანბილა:

რვა მარტს შვიასმ რესტორან „ივერიაში“ დააპტივა ბადარი. „ჩემი ამზანაგები ყველანი იქნებიან. მინდა ჩემს გვერდით იყოო“.

ბადარი სუფრის მშენებია იყო, მან ორჯერ იცეკვა შვიასთან. მსუბუქად, ლაღად ტრიალებდნენ. ქალები თვალს აფეხებდნენ მოხდენილ ქაბუტს, მის პარტნიორისადმი კი შურით იყებოდნენ.

რესტორნიდან რომ გამოვიდნენ, ელბაქინის დაღმართზე ტაქსი გააჩერეს. მძღოლმა გადმოსძახა:

— სად გინდათ?

— გლდანში! — უპასუხა ბადარიმ.

შვიას სახლის წინ, სადარბაზოსთან შეჩერდნენ.

— ასე გულიანად რახანია არ მომიხლებნია!

— და შვიასმ უნებლიეთ ვაჭს ხელი წაატანა.

— წამოდი, ჩემი გავეთებული ტორტით მინდა გაგმისპინძლდე!

ბადარიმ გაიფიქრა, უცებ რომ დავთანხმდე, შეიძლება ეგონოს, გულში ავი ზრახვა უდევსო, ამიტომ იუარა:

— გადავიღალე, წავალ, დავაძინებ!

შვიას არ ეშუებოდა:

— ხომ გითხარი, ასე გამზიარულებულე არასოდეს ვყოფილვარ, ამას შენ უნდა გიმალოდე. წამოდი!

— კარგი, რახან ასე გულით შემატივები, ორი წუთით შემოვალ!

ბინაში არავინ იყო.

შვიასმ ეს ამით ახსნა:

— პაპაჩემი შეუძლოდაა, დედა იმასთან წავიდა ლამის გასათევადა.

მაგიდას რომ მოუსხდნენ, მასპინძელმა სტუმარს ორი ნაჭერი ტორტი გადაუღო.

ბადარიმ ნამცხვარი მოსინჯა, ვაპ, რა გემრიელიაო, და ევლზე თითი მიიჩრტა: „ეკოტა ესეც რომ იყოს, უცუთეს გემოს ჩავატან!“

შვიას ვაჭს დააღებოდა, თითქოს იმის გაგება ენადა, ზუმრობდა, თუ მართალს ამბობდა, მერე მორიდებით თქვა:

— შამპანური მაქვს... მოვიტან, ოღონდ მე წვეთს არ დავლევე!

— როგორც გეწება. — მიუგო ბადრიმ და უღვაშებში ჩაიკინა, როგორც არ დალევ, ამასაც ენახავო.

ახალგაზრდა დიასახლისმა შამპანური და ერთი ჭიქა დადგა მაგიდაზე.

ბადრი ბოთლს რომ ხსნიდა, მზიამ ყურებზე ხელი აიფარა, მხრები აიწურა, თოფის დაჭყეტებაზე უფრო შამპანურის საცობის ამოვარდნისა შეშინაო. ვაჟმა უხმოდ გახსნა ბოთლი.

— ხომ არ შეულოცე? — იცინოდა მზია.

ბადრიმ როცა ღვინო დაასხა, ვითომ მაშინ შენიშნა, მაგიდაზე ერთი ჭიქა რომ იდგა, და იკითხა:

— მზია, მეორე ჭიქა დაგავინყდა?

— არა, მე არ მინდა!

— მოიტა, მოიტა... გგონია, ღვინოს დალევა მე კი მუხალისება... ბედნიერი დღეა, მინდა გადღეგრძელო, ჯანმრთელობა გისურვო!

მზია მიანიც უარობდა, ამიტომ ბადრიმ თვითონ გამოიღო კარადიდან ჭიქა და შეავსო.

— ჭირვით მეჯავრება სადღეგრძელოს სარეცხის თოკივით გაგრძელება! ძლიერი გრძნობა მშვიდია, მოკრძალებული, თავის გამოჩენა არ უყვარს, ამიტომ მოკლედ ვიტყვი, გისურვებ ჯანმრთელობას, ცხოვრებაში ყველა ნაჭურის განხორციელებას! — და ჭიქა ჭიქაზე მიუჭახუნა.

მზიას ბადრის სიტყვებმა გული დაუშვიდა, სიხარული მოჰგვარა, აი, თურმე, რატომ არის ვაჟი ენაძვირი.

— გმადლობ, გმადლობ! — წარმოთქვა კმაყოფილებით მზიამ, და რაკი გულში აღძრული სიხარული სხვა ვერაფრით გამოხატა, სასწილს დაემაფა, არა, ეს ღვინო კი არა, შარბათი იყო, აღმგზნები, დამათრობელი.

მზია რომ ღვინოს სვამდა, ბადრი თვალს არიდებდა. მან ჭიქები ხელახლა შეავსო.

— ეს მე, ისე გამომარჯოს, როგორც ღირსი ვიყო! — თქვა და ღვინო გადაჰკრა.

მზიამ სტუმარი ადღეგრძელა:

— ბადრი, არც მე მიყვარს ბევრი ლაპარაკი გაგიმარჯოს! ოღონდ შაპატიჯ ამას ველარ დავლევ!

— შენი ნებაა, ჩემი სადღეგრძელო როგორც გესიამოვნება ისე შესვი! — მიუგო ვაჟმა, თავი ჩაღუნა და ისევ ტორტს მიეტანა.

„ადღეგრძელო... ჭიქა ღვინომ რა უნდა დაგაკლოს?!“ მზიას არსებაში, თითქოს ვიღაცამ ნაილაპარაკა.

„კოდა რა, რატომ არ უნდა ვადღეგრძელო, განა ერთი ჭიქა ღვინო დამათრობს?!“ — ეს კი თვითონ მზიამ თქვა გუნებაში. სასმისს ნამოავლო ხელი, ღვინო ერთბაშად შესვა და

ცარიელი ჭიქა სტუმრის წინ გადმადგინა ყვეტით დადგა.

ვათომ ისეთი არაფერი მომხდარყოფს, ბადრიმ მზიას ღვინოს დალევა არც მოუნონა, არც დაუნუნა. ეს კი თქვა:

— მზია, რომ იცოდე ღვინომ ღანვები როგორ აგოყავლა, რამდენი ეშხი და სილამაზე შეგმატა...

— რა ვქნა, არ შემიძლია! — მიუგო მზიამ, მის არსებაში მოკალათებულმა ვიღაცამ კი ჩასწურა: „შესვი, ნუ გერიდებია, ღვინომ აგაღვარა, დაგამშვენა! ნუთუ ვერ გრძნობ, ვაჟი რა მღელვარებით, სიყვარულით გიმზერს?!“

„ოჰ, ნეტავი ბადრიმ ღვინოს დალევა კიდევ დამაძალოს“, — ფიქრობდა მზია და თავს ძლივს იკავებდა, რომ ჭიქისათვის ხელი არ ნამოეღლო.

ბადრი კი ისე მისწერებოდა, თითქოს სათხოვარი ჰქონდა და ვერ უბედავდა, მთელი ტანით მისკენ გადაიხარა, ვითომ ყურში უნდა ეწურა, მაგრამ შეუმჩნევლად სკამი მისკენ გააჩრჩა. ქალმა განზე გაინია.

— რას გამოიზიხარ, არაფერს გავნები! — თქვა ვაჟმა და გრძელი თითები მოუსრისა, თითქოს უნდა გაუთბოსო. მზიას ღანვები აელუნა, აენთო.

ვაჟი ტურბზე დაენაფა, ქალმაც კონითვე უპასუხა, მაგრამ ზე ნამოიჭრა, ძრწოდა, კანკალებდა, სული ეკვროდა...

ვაჟი ანთებული თვალებით მისწერებოდა ქალს, მერე ერთბაშად დაეძგერა. ხელში აიტაცა...

ბადრის მთელი ღამე ისე ეძინა, მხარი არ შეუცვლია.

ირიჭრაფა თუ არა, ადგნენ, ხელპირი დაიბანეს, ბადრიმ მაგიდაზე დაუჯდომლად ერთი ჭიქა შამპანური გადაჰკრა და ტორტის ნაჭერი დააყოლა.

— ნავედი, მაგვიანდება, სახლში ვარ მისასვლელი, — თქვა ბოლოს ბადრიმ და დერეფანში გავიდა. სტუმარი რომ ტავის პალტოს იცვამდა, მზიამ კარის საკეტს ხელი წაატანა, თან ლაიხაკენ თავი გადაღუნა იმ იმედით, უთუოდ გადაამხვებია, გადამოკცნისო.

ბადრი მართლა მოეხვია, მაგრამ ტურბში კი არა, შუბლზე აკოცა უგრძნობლად, უსულგულოდ.

მთელი დღე მზიამ ღოღინში გაატარა. ეგონა ბადრი სამსახურში ინახულებდა, ან ტელეფონით შეეხმინებოდა, მაგრამ ვაჟი არც გამოჩენილა, არც დაურეკავს. მეორე დღეს გულმა ველარ მოუთმინა და თვითონ დარეკა მრავალდარგოვან კომბინატში. შემანქანე ქალმა უპასუხა, ბადრი ქარხნის ტერიტორიაზეა გასულიო. ნახევარი საათის შემდეგ ისევ აკრიფა ნომრები, ამჯერადაც მანვე მიუგო

დრეკადი თანაბრად თათბირებს. კიდევ რამდენიმეჯერ დარეკა, მაგრამ მემანქანე ქალი ხან რას იგონებდა, ხან რას.

მზია იმედს მაინც არ პკარგავდა. ფანჯარაში მზერით გული გადაელა, ტელეფონი დაინკარუნებდა თუ არა, მყისვე ყურმილს სტაცებდა ხოლმე ხელს, მაგრამ ვარაუდი არ უმართლებდა. ბოლოს იმიტად დაიმშვიდა თავი, იქნებ ბადრის რაიმე გადაუდებელი საქმე აქვს და ამიტომ შეაკვირდა. და რადგან უნდოდა, ასე ყოფილიყო, ეს ადვილად ირწმუნა. მუშაობის დამთავრების შემდეგ მოსაბაბა საბეჭდი მარქსო, და საათნახევარი ტყუილუბრალოდ იჯდა სამმართველოში.

ბადრი არც შესამე დღეს შეუხმინა, არც დაურეკავს. ის კი ბადრის წარამარა ურეკავდა. განა არ იცოდა, ვაგი რომ ემალეზოდა, გაურბოდა, მაგრამ თავს ირწმუნებდა, ვერა, ამას ვერ დაიჯერებ, ბადრი არც ისე შეუბრალებულია, დღეს იქნება თუ ხვალ, უსათუოდ მომავითხავსო.

დღეს-დღე მისდევდა, კვირას-კვირა, თვეც მიიწურა, ვაგი კი არ გამოჩენილა.

მზია ბადრის ბინის მისამართი გაიგო, შაბათ დილით გოგებაშვილისა და კალანდაძის ქუჩის კუთხეში დაუდარაჯდა. ფეხით წავა სამსახურში თუ მანქანით აუცილებელი აქვთ ჩაივლისო. მალე სეკსატოპოლის ქუჩიდან ყვითელმა ვიგულმა გამოუხვია.

მზია გოგებაშვილის ქუჩას გაუხვდა.

ბადრიმ ერთი კი შეავლო ქალს თვალის და უშალ განზე გაიხედა, თან სიჩქარეს მოუმატა, მაგრამ ცოტა რომ გაიარა, მანქანა ერთბაშად დაამუხრუჭა.

ქალმა უკან მიუხედავად იგრძნო, ვაგი მანქანიდან რომ გამდმოვიდა, მაგრამ ის ისევ განატრძობდა გზას.

— მზია — მორიდებით დაურბა ბადრიმ.

ქალი არ გაჩერებულა, მაგრამ როცა ვაგი განმეორებით შეუხმინა, მისკენ მიიხედა.

— საით გაგინევი? — შეეკითხა ბადრი, თვალს რომ ვერ უსწორებდა.

— ნუ გეშინია, შენთან არ მოვდივარ! ვაგმა დამცინაფი ღიმილით თქვა:

— მობრძანდი, ხელგაშლილი დაგხედები! — აგდებითად მელაპარაკები? სად გაქვს ადამიანობა, რატომ სინდისი არ განუხებ?

— რა იყო? რამ აგადელვა?

— ასე უდმერთო როგორა ხარ, ერთხელ მაინც არ უნდა გენახე, ან არ უნდა დაგერეკა?!

— სოფელში ვიყავი, ვერ მოვიცალე!

— რატომ ცბიერობ, ყველაფერი ვიცო!

როცა ბადრი სტყუოდა, ცდილობდა სიმშვიდე შეენარჩუნებინა, არც ახლა უღალატა ჩვევას და დადუმდა.

მზია კი განატრძობდა:

— ნუთუ იმდენი გამბედაობა გქვია, რომ თვალეში შემომხედო, რას მერწოდი, რატომ ჩავედი ჩემს ცოლვანში?!

— შეილო, ქალიშვილები დედეებს არაფერს უშალავენ. რატომ ხარ დანალელიანებული, რატომ არ მიმხელ რა განუხებ?

მზიამ დედას თვალის აარიდა, ემანდ, გული არ ამიჩუყდეს, არ ავტირდო:

— მოსაკლავი ვარ, სისულელე ჩავიდინე! ოთახში ჩამოვარდნილი სიჩუმე ორივეს კისერზე მძიმე ტვირთად დაანეა, ისევე დედა აღაპარკავდა:

— ეს ამბავი არც პირველია, არც უკანასკნელი. ნუ გავახმარებთ, სამუდამოდ თავი მოგვეჭრება... რად გინდა მუხთალი კაცისაგან შეილი გყავდეს?! ისიც მამის წინაა გაიზრდება!

„სიმართლეს ამბობს. რად მინდა ისეთი შვილი, რომელიც ბადრით შეუბრალებული იქნება“, — გაიფიქრა მზიამ.

იმავე საღამოს დედა-შვილი ექიმ ფერაძესთან მივიდა.

— ექიმი სახლშია? — შეეკითხა დედა შინამოსამსახურეს.

— ჯერ ეს ბრძანეთ, ჩანერილები ხართ? — კითხვითვე მიუგო შინამოსამსახურემ.

— არა!

— მაშ, დღეს არ მიგიღებთ! — და წინ გადაელა, რითაც აგრძობინა, მიბრძანდით, კარი უნდა დაკეტო.

დედა დაბნა, მზიამ კი იმარჯვა:

— შენი ჭირიმე, სოფლელები ვართ, ძლივს ჩამოვდით, რა იქნება, უკან ნუ გავაბრუნებთ!

— სოფლელები ხართ? — ჩაეკითხა ქალი, მისმა გოცნებულმა თვალეზმა კი თქვა, არ გეტყობათო, და დასძინა, კარგი, ექიმს მოვახსენებო.

დედამ შეილი გააფრთხილა: „თუ ექიმმა გკითხოს სადაურები ხართ, თავი გურჯაანელებად გავასალო!“

ქალი მალე გამოვიდა, ექიმმა შეგიცოდათ, სოფლიდან ჩამოსულეებს უკან ვერ გავაბრუნებო.

პირველ სართულზე ფართო ოთახში შევიდნენ.

ყმანელქალმა დედა-შვილს დიუნზე მიუთითა, დაბრძანდითო.

ოთახი ჭვირფასი ავეჯით იყო გაჭედული. ნიშში ჩადგმული ფერად ტელევიზორში მულტიმედიაციური ფილმს უჩვენებდნენ.

ჟოლში მალი-მალ ზარი ნკარუნობდა. შინამოსამსახურე გარეთ გადიოდა, პაციენტებს სხედასხვა ოთახში ანაწილებდა.

მავრას გულამოჭრილი ხაყერდის კაბა, თი-

თქოს იმიტომ ჩაეცვა, რომ შიშველ მკერდზე ჩამოკონწიალებული ოქროს ჯვარი პაციენტებისათვის დაენახებოდა, ვითომ რჯულზე ხელი არ აგვიღია მოყვასთა გამკითხავი, შემწყალებლები ვართო.

— ექიმი რიგგარეშე მიგიღებს, ოღონდ ფული წინასწარ გადაიხადე! — უთხრა მან მზიას.

— რამდენი მოგართვათ? — შეეკითხა მზია.

— მარტო ამორტის გაკეთება გინდა? — და მავრამ რაღაც ეშმაკურად გაიღიმა.

— რასაკვირველია! სხვა რა უნდა მიწოდდეს?

მავრამ აღმაცერად შეხედა:

— მაპატიე. უქმრო მეგონე! ჩვენთან უფრო ასეთები დადიან. ექიმი მათ... — ნაძალადევად ჩაახველა და მოკლედ მოსტრა, — რახან ასეა, მამ ორმოცი მანეთი გადაიხადეთ! მზიამ ქვედა ტუჩზე იკბინა.

დედა პირში ჩალაგამოკლებული იჯდა. იმათ ხომ მხოლოდ ოცდაათი მანეთი პკონდათ.

მავრას კი ეგონა იძვირესო და განმარტებებს მოჰყვა.

— ეგ ხომ დახურული ოპერაციაა. რამდენი შემთხვევაა უცოდინარ, გამოუცდელ ექიმს ქალი ხელზე შემოჰკვედომია. დომენტი ფერადეს კი საიშედო მარჯვენა აქვს!

საზიზღარი, გულზე ჯვარიც რომ დაუკიდია, სად არის სამართალი, თორემ ეს თვითონ არის ჯვარზე ჩამოსაკონწიალებელიო, ფიქრობდა მზიას დედა.

— შეც არ ვიცი რა გვასწუხო! — მიუგო მცირე ფიქრის შემდეგ მზიამ, — ვისაც არა აქვს, ორმოცი მანეთი მთელი სიმდიდრეა.

— თქვე კაი ხალხო, რა დაგემართათ, სოფელში არ ცხოვრობთ? ხელი გაანძრეთ. კარგი, რახან ხელმოკლედა ხართ, გიშელავათებთ, ათ მანეთს დაგიკლებთ!

მზიამ ფული რომ ჩაუთვალა, მავრამ უბრძანა გამომყვიო, დედამისს კი ხელით ანიშნა, შენ აქ დაელოდო.

ფართო ოთახში მხოლოდ ორსანთლიანი პატარა ქალი ენთო. გინჯკოლოფური სავარძლის გვერდით გარმონივით განელილი თეჯირი იდგა.

დომენტის ნავი სათვალე ვეთა. მაგიდას უჯდა. ქაღალდებით სასვე უჯრა გამოენია და რაღაცას ეძებდა. მზიასთვის არ შეუხედავს, ისე უჩვენა მაგიდის გვერდით მდგარი სკამი, დაბრძანდითო. მერე ერთბაშად უჯრა ორივე ხელით შესწია, და იკითხა:

— რამდენი თვის ფეხშიმე ხარ?

— არ ვიცი, პატარაო!

— უნდა იცოდე, ქალებს ეს არ ეშლებათ!

ექიმმა კიდევ რამდენიმე წაიკინა და მრავალსანთლიანი ქალი აანთო.

შუქმა და ელვარებამ მზიას თვალი მოსტრა.

— „აი, თურმე რატომ უკეთია შავი სათვალე!“ — გაიფიქრა მან, მაგრამ ექიმმა სათვალე შეიხსნა და ისე შეუდგა მის გასინჯვას... მერე სათვალე ისევ გაიკეთა, ქალი ჩააქრო და მაგიდას მიუჯდა.

მზიამ სწრაფად ჩაიცვა ტანსაცმელი, ერთი სული პკონდა, მალე გაეგო რას ეტყოდა ექიმი.

დომენტიმ კი უთხრა:

— დაგვიანებულია სხვა გზა არაა, ბავშვი უნდა შეინარჩუნო.

— არა, არაფრის დიდებით! ექიმო, გეხვეწებით, გეშუადარებით... — და მის ხმაში დაკონებული ხვეწნა-მუდარა გაისმა.

— არა მაქვს უფლება, ადამიანის სიცოცხლეს საფრთხეში ვერ ჩავაგდებ!

— ხელწერილს დაგიწერ, ექიმო. მირჩევნია მოგკვდე, ვიდრე ჩემს შვილს ნაბუნჯარი დაუძახონ...

— ნუ გავინყდება, რომ ეს შენი პირველი ფეხშიმეობაა, შესაძლოა, ამ ოპერაციის შემდეგ შეილი აღარ შეგვძინოს, სანანებელი გაგიხდეს!

როგორ, ნუთუ შეილი აღარ შეგიძინება? რაც წამოიზარდა, სულ პატარა ქალ-ვაჭზე ოცნებობს! არაერთხელ დასიზმრებია ისინი, და ყოველთვის გოგონაში თავის თავი ამოუცვნიდა, ვაჭში კი ოცნებით შექმნილი შავთვალწარბა, შავგვერმანი ჭაბუკო.

— ასეთი შემთხვევები ხშირია, ექიმო? — იკითხა შეფიქრანებულმა მზიამ.

— ხანწმაროდ, ძალიან ხშირი!

მავრამ დედა-შვილს გულდაწყვეტით დაუბრუნა ფული, და დერეფნის კარები მიუჯახუნა.

— ვინ ოხრები არიან, უფასოდ გასინჯე, ამოდენა დრო დაკარგე! — უსაყვედურა სიძეს განანყვებულმა სიდერმა.

— შეტყვოდა... ცხარედ ტირიდა, ლამის თავი მოვიკლაო! — მიუგო დომენტიმ.

— ყველა ნამუსნამხდარ ქალს ხომ პირზე აკურია, წყალში გადავერდები, თავს მოვიკლაო. ნუ გჭმინია, ასეთები არც მდინარეში ვარდებიან, არც თავს იკლავენ!

უნინ ზამთარი იყო, თუ ზაფხული, მზიას ღამე დღეზე მოკლე ერეწებოდა. თურმე ღამე ყოფილა უსაშუალო გრძელი.

რაც არ უნდა გვიან დაწოლილიყო, ნაშუაღამევს ეღვიძებოდა. აი, ახლაც, ძილგატეხილი, ფართოდ გახედილი თვალებით ერთადერთ ფანჯარას მისჩერებდა. უნაპეტ ღამეში

მოსრიალედ ცეცხლის გველები გრგვიანა-ზათ-
ქით ფანჯარას ეხეთქებიან, ოთახში შეჭრას
ლამობენ ირყევა კედლები, ზანზარებს კარ-
ფანჯარა. გუნანით ხედდება, რომ დედასაც ძი-
ლი გაუტყდა.

და თითქოს შვიას ფიქრის პასუხად დედა
მორიდებით შეეკითხა:

- შვილო, ისევ გღვიძავს?
- მღვიძავს, დედა!

მძიმე, აუტანელი დუმილი რომ დაარღვი-
ოს, დედა ახველებს, მერე ხმადაბლა ამბობს:

- დაიძინე, დილაზე სამოსტურში ხარ წა-
სახლეული, - და მცირე ხნის შემდეგ დას-
ძინს - აი ის ჯანდასანველი. ღმერთსა
ეთხოვ, ზვენი ცოფით დაიწვას და დაიდა-
გოს!

- ნუ სწვევლი... მეც ვარ დამინაშევე, ად-
რე უნდა მცოდნოდა ის, რაც გვიან გავიგე,
- თავზე საბანი წაიფარა და აქვითინდა.

- ვტყუივარ, წინდაუხედაობა გამოვიჩინე!
გონიერი ცოგო შეგონე, თან იმტომაც ვიკა-
ვებდი თავს, გადაჭარბებულ დარიგებას ქალი-
შვილისათვის ზიანის მტეი არაფერი მოაქვს!
ნეტავი, დროზე მაინც გეთქვა...

- კიდევ კარგი დაავადვიანე, თორემ დავი-
ღუშებოდი! ხომ ვითხარი, რაც მითხრა ექიმ-
მა!

- შვილო, უქმროდ ცხოვრება ქალისათვის
ყველაზე დიდი სასჯელია! შვილიანს ვილა
შევირთავს?

- დედა, ნუ ამბობ ამას! - შესძახა შვიამ,
გულში კი მტკიცედ თქვა: „დე, დამძრახონ,
დამცინონ, გაუთხოვარი დაერჩე, ყველაფერს
შევეფუძე, ყველაფერს ავიტან, ოღონდ შვი-
ლი მწავდეს, დედა მერქვას!“ - და განაგრ-
ძო. - სიყვარული ეტყობა ადამიანში ეჭვსაც
ინვევს... იქნებ საგანგაშო არაფერია, ყველა-
ფერს ვაზიადებ. შეიძლება ბადრის შეემთხვა
რამე და ზემთვის ვეღარ მოიყალა!

„თუ კაცს ქალი უყვარს, მისთვის ყოველ-
თვის მოიყალა“, - გაიფიქრა დედამ, შვილს
კი უთხრა:

- ყველა ადამიანში სიბოროტეს სიკეთე
სჭარბობს. რამდენი მაგალითი ვიცი, კაცს
ქალისთვის ზურგი შეუტყვევია, მაგრამ საბო-
ლოოდ სინდისს ვერ გაქტყევია.

და დედამ თავის ნათქვამის ნათელსაყოფად
დაიწყო მართალი, თუ სახელდახელოდ გამო-
გონილი ამბების მოყოლა.

ეს კი შვიას დარდს უქარუბდა, ამხნევებ-
და.

თურმე მარტო იმას არ დასტვნიდა თავზე
ასეთი უბედურება. იქნებ ბადრიმაც ადამი-
ანობა გამოიჩინოს, დაუბრუნდეს!

რახანია ერთმანეთი არ უნახავთ. გუშინ
ვეღარ მოითმინა და დაურეკა. ბადრის ყო-
ველი სიტყვის აქმაზე წელი სწყფებოდა, მო-

მაზერებლად პოსა და არას გაიძინა, მა-
ძალადედად ახველებდა, ოპ, როგორ უნდოდა
ყურმილი ჩაეძახა, აი შე უსინდისო, ვერაგო.
ფრჩხილებით თვალებს დაგთხრი, უღვაშებს
დაგაგლეჯო.

შინა ასე კი ემუქრებოდა. მაგრამ ყოველ
სალამოს საათობით მელიქიშვილის ქუჩაზე
დასერილობდა, იქნებ ბადრის შემთხვევით გა-
დაეყვარო, ან მანქანაში თვალი შევასწროო.

ერთ სალამოს განძობებული, ლენინის ქუ-
ჩით, მეტრო „რუსთაველისაკენ“ მიამიჯებდა...
ფილარმონიის ვებერთელა შენობა საახალ-
წლო ნაძვისხესავით ჩაბნახებდა. აივნებზე
ქალ-ვაჭრი დასერილობდნენ... ცენტრალურ შე-
სასვლელთან მოზღვავებულ მაყურებელთა
რიგი იდგა.

ანახდად ვერის აფთიაქთან ბადრის შეასწ-
რო თვალი. ტროტუარზე ბოლთას სცემდა,
მალი-მალ აფთიაქში იშვირებოდა.

ნინოს მალაზიის „ჩირაღდანის“ წინ, ავტო-
ბუსის გაჩერებასთან თავმოყრილ მგზავრებში
გაერია.

ნეტავი ვის ელოდება? ნუთუ ლილის! ოპ,
ოღონდ ის არა, სხვა ვინც გინდა იყოს!

ასე კი ინატრა, მაგრამ როცა აფთიაქიდან
გამოსულმა ძვირფასად ჩაცმულმა მთლიანით
მოქნილმა ქალიშვილმა ბადრისთან მიიჩინა,
თვლი დაუბნელდა, კინაღამ გული საგულუ-
დან ამოუვარდა.

ტანწერწეტა გოგო დანინაურდა. ბადრი აწ-
რდილივით უკან აედევნა. მოედანი რომ გა-
დაჭრეს, ქალი ბადრის დაელოდა, მკლავი გა-
უყვარა... წელი ნაბიჯით ფილარმონისაკენ გა-
ემარინენ.

შვიას უნდოდა უკან გასდევნებოდა, მაგრამ
გადიფიქრა! ეტყობა უცნობი ქალიშვილი
აფთიაქში მუშაობს. ასე რომ არ ყოფილიყო,
მაშინ ბადრი გარეთ არ დაელოდებოდა.

მეორე დღეს შინა აფთიაქში მივიდა. და-
ნახვისთანავე იცნო ტანწერწეტი ქალიშვილი.
დაძლიაგებულ ქალისაგან შეიტყო მტკიცის
ასავალ-დასავალი. ღონდა დედისერთაა, შეძ-
ლებული მშობლები ჰყავს. მცხეთის ქუჩაზე
საკუთარი ორსართულიანი სახლი აქვთ, არ-
მახში - უზარმაზარი აგარაკი. ფულს ფული
უყვარს, საჩინო ადამიანებს - საჩინო ადა-
მიანებში ღონდას ვილა არ თხოვლობს, ვილა
არ უგზავნის შუამავლებს, მაგრამ ყველას
უარს ეუბნება, დიდი წუნია ეინება. ბოლო
დროს მრავალდარგოვანი კომბინატის თანამ-
შრომელ ინჟინერთან დასერილობს, წარმოსა-
დეგი, თვალტანადი ტაბუკია, ამბობენ იმასაც
შეძლებული მშობლები ჰყავსო.

ლილის დღე-დღეზე უნდა ელოგინა, გული
უფრიალებდა, თვალზე ბინდი ეყვროდა. დღი-

სით გარეთ ფეხი ვერ გაეშვა, სცხვენოდა, ნაცნობებს ვრიდებოდა, მხოლოდ საღამოთი სეირნობდა სახლის წინ.

ბადრიმ მიივიწყა, აღარც დომენტი შეხშიანებია. მხოლოდ მეგობარმა ქალმა მიაკითხა. ჩქარობდა, სკამზეც არ დასჯდარა, დედა შეუძლოდ მყავს, ოპ, რა ძნელი ყოფილა ოჯახში ავადმყოფი, ერთი წუთი მოკლა არა მაქვს, ყველაფერი ჩემი თავსატეხიაო.

ლილიც არავის ანუხებდა, არც ტელეფონით ურკავდა ვინმეს.

რა პქნას, ძალით ვერავის ჩამოეცნინა-ლება კისერზე, ასე იყო, არის და იქნება: ახლობლებს, მეგობრებს მაშინ უნდხიარ, როცა შენი თავი სჭირდებოთ, სარგებელს გამოეღიან.

იმ საღამოს, სასეირნოდ გასულ ღილის ათი ნაბიჯიც არ პქონდა გავლილი, რომ წელში ეღვასავით გაურბინა საშინელმა ტკივილმა... თითქოს გულზე ჭვალი დაადგა, ნაბიჯი ვეღარ გადადგა, სახეზე ჭირისოფელმა დაასხა. კიდევ კარგი, ღმობამ უცხაად გაუარა, თორემ ქუჩაში ჩაიკეცებოდა.

უმაღლე შინ დაბრუნდა. ისე იყო მოთენთილი, დაძაბუნებული საწოლზე წამოწვა თუ არა, ძილი მოერია, ბურანში წავიდა...

ტელეფონის წკრილმა გააღვიძა.

ნეტავი ვინ ურკავს?! არავის გული აქვს, არავინ ესამოვნება. იქნებ ბადრია? იმან იცის გახანგრძლივებული რკევა. მოსწყდეს თავიდან, აღარც ის ებიტნავება. ამას წინათ ბადრიმ დაურკვა, იმის მაგივრად, რომ ეკითხა, როგორ ხარ, ხომ არაფერი გესაჭიროებიაო, უსაყვედურა, რატომ არ მეშვები, რა ქუჩა-ქუჩა დადიხარ და მღანძღავო. უყვარდა, ქვეყანას ურჩია, მაგრამ თავი შეაძულა, იმის ხსენებაც აღარ უნდა.

ლილი უნებლიეთ მაინც წამოადგა, ყურმილი აიღო:

— რომელი ხარ, რომელი? — ჩაკეთხა და უცებ შეცბა, — როგორ? მზია ხარ? — კინაღამ შეწყვიტა, რა პირით მელაპარაკები, ხომ დამაზებელი, მაგრამ გონებაში გაურბინა, იქნებ ბადრის დავალებით რკავსო. შეეცადა დამშვიდებით ეთქვა, ხმა კი ატყრა, — რამ გაგახსენა ჩემი თავი? მოხვალ და მეტყვი? რახან ასე ხარ მონადინებული, მობრძანდი!

რა უნდა, რა საქმე აქვს?! რაღაც მისუსტებული, დაბერავებული ხმით ღაპარაკობდა. იქნება ბადრიმ გზა-კვალი აუტრია, შიატოვა. ღირსია. რატომ არ შენდო, რატომ არ ერწმუნა. რა იოლია სხვისი განსჯა თვითონ რა, ნაკლები სისულელე ჩაიფინა?!

ლილიმ სიცოცხლით სავსე, მზიარულ გოგონას ნაცვლად, ვისი სიახალგაზრდავე და უფარდებობა უხარბებოდა, დამტყნარი, სახედალაქებული ქალი იხილა.

— ველარ გცნობ. გამხდარხანქვე, რამე მქვე გცნობა? — კარებშივე შეეკითხა სტუმარს მასპინძელი.

მზიას გული ამოუდუღდა, ერთბაშად გვერდზე შეტრიალდა, რადგან არ უნდოდა დაენახებინა ცრემლები, გაყვითლებულ ლოყაზე დაპა-ღუბით რომ ჩამოუგორდა.

„საწყალი, ასე როგორ დეცა, განადგურდაი უტყობა ეს ჩემზე უბედურია!“ — და ღილის სურვილი დაეძადა, თავის ბეჭემ მყოფ ქალისათვის თანაგრძნობა გაენია.

მზიამ ქვითინით გული რომ იჯერა, სღუქუნით თქვა:

— ქალბატონო ღილი, თქვენი დიდი მადლობელი ვარ!

— რითი დავიმსახურე ეს?

— გულწრფელი, კეთილშობილი ადამიანი ბრძანებულხართ. არ დაგიჯერეთ, არ მოგენდეთ, მეგონა ჩემი გზიდან ჩამოცილება ვსურდათ. გთხოვთ მომიტყეთ, მე ისედაც საკმარისად დაეისავეთ. რაღა ჩემი სიცოცხლე? დღესვე მტკეპარში გადავევარდები, მაგრამ დედა მეცოდება. ქვეყნად ჩემს მეტი არავინა პყავს და, არ მიწნდა ისედაც გამწარებული სიცოცხლე, კიდევ უფრო ჩავუშხამო.

— მზია, სიყვარული ამ ქვეყნად ყველაზე დიდი ბედნიერებაა. ამიტომ იგი არ განისჯება, არ განიკითხება! ქალბეს ყველაფერი გულთან მიგვაქვს, მაგრამ ამასთანავე ამტანიანებიც ვართ. ზოგჯერ სიცოცხლეში უფრო მეტ სიმწარეს ვნახულობთ, ვიდრე ბედნიერებას. და მაინც რწმენას არ ვკარგავთ, იმედით ვსულდგმულლობთ, რადგან მწუხარებას სიხარული მოსდევს, უბედურებას — ბედნიერება!

— რილას იმედს მოწინდეს! მამა მე არა მყავს და დამა. ჩემი ოცნება ოჯახი იყო, ასე კი სიცოცხლეს სიკვდილი მიჩრჩენია.

— მზია, გენაცვალე, — იმის თქმა უნდოდა, რას იხამ, ბედს უნდა შეეგუო, მის წინაშე ყველაფერი ამაოაო, მაგრამ თავი შეიკავა, ისედაც კარგად ვერ გამომივიდა, ეს ისევე ბადრის მისტერის, იმედით არ დაუკარგავსო. ე, რა საწყალი და გამოუცდელია, როგორ ვერ ხვდება თავზე დატვიხილ უბედურებას!

და ღილიმ მტკიცედ თქვა:

— არ ვიცი, შეიძლება ვერ გავიგო, ვერ ჩაწვდი შენი გულის ნადებს. შემოიკვებინა ისეთი ვატი, განსაცდელში მყოფ ქალს დახმარება რომ არ გაუწევს! შენ ახლა ფეხბძობი და ხარ. იცოდე, ბადრი შენც და შენს შეილსაც ხელსა გკრავთ, ოდნეადაც არ შეგიბრალეზთ. აღბათ, ახლა უფარდელად ატარებს დროს! რად გინდა ასეთი გულქვა ადამიანის მეგობრობა, ცხოვრებაში მისგან წამების მტკს რას მოელი?

— ქალბატონო ღილი, ნუთუ თქვენც შეი-

ტყვეთ, რომ ბადრის მდიდარი საცოლე მკვას? — შეეკითხა მზია.

— არა, არ გამოგიბა, მაგრამ ასე რომ იქნება, ეს კი ვიცო! ჩემო კარგო, ანგარიშით ცოლს ის ირთავს, ვინც უქნარაა, მხდალი, გრძნობს თავის თავის სისუსტეს... სხვა გზა არაა, უნდა შეეგუო ხვედრს, ჯერ ახალგაზრდა ხარ, ცხოვრება წინ გაქვს!

— მორჩა, ჩემს სიცოცხლეში აღარავინ შემიფარდება!

— შეგიფარდება! — და ლილის ანაზად კვლავ გააქრა ტკვილიშმა, ფერმერთალი სახე უფრო მეტად დაუღაპრებდა, თითებს იმტრეცვდა, ყრუდ გმინებდა, ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა.

— მზია, გენაცვალე, სასწრაფო დახმარებაში დარეცე... ეტყობა აღარ გადამივლის! — გატანჯული ხმით შეევედრა ლილი.

მზია ტელეფონს ეცა, ნომრები აკრიფა.

— ალოო, ალოო, — დატინებით ჩასძახოდა ყურმილში — სასწრაფო დახმარება! მანქანა გამოგზავნეთ ამ მისამართით... როგორ თუ ნახევარი საათი შეაგვიანდება?! ახლავ, დაუყოვნებლივ გამოგზავნეთ!

— მამ ამ ნომერზე დარეცე, სუსტი უნიათო ხმით თქვა ლილი და ტელეფონის ნომერი უკარნახა — დომენტო იკითხე, ჩემი ძმია, უთხარი ლილის ტკივილები დაეწყობო! — და ყრუდ ამოიგმინა.

მზიამ სწრაფად აკრიფა ნომრები.

— ალო... ქალბატონო, დომენტის სთხოვეთ... ლილის მუცელი ასტკივდა... საქაროდ მოვიდეს დომენტო... როგორ თუ დაეკვებულა... უფურე ამ მხეცს, ყურმილი დამიკიდა!

მზია კი ისევ ნომრებს კრფებდა, მაგრამ ამოად, ყურმილში მოკლე ზუმერი გაისმოდა.

— ლილი, შემოგველე, რეკვით ვერაფერს გაეხდები, ქუჩაში ვავალ, მანქანას დავიჭირავებ! — თქვა მზიამ. ორ-ორ საფეხურ გამოშვებით ჩაირბინა კიბე ქუჩაში გავარდა, რაკი არ იცოდა, სად იყო ახლო-მახლო ტაქსის გაჩერება. სახლის წინ დადგა.

მანქანები უწყვეტ ნაკადად მიედინებოდნენ.

მზია განურჩევლად ყველას ხელს უწევდა, მოფრებს ხმაშალდა უყვიროდა: „შობიარე ქალია წახავიანი, ადამიანები არ ხართ, დაგვებსმარეთ“.

მძლოლები უარის ნიშნად ხელს აქნევდნენ. საკარტელზე ნებიერად გადაწოლილი მგზავრები კი მზიას თვალს არიდებდნენ, გვერდით რომ ჩაუტროლებდნენ, მერე კი რატომღაც მხრებს იჩქრდნენ...

სულ ცოტა ათი წუთი გავიდა, მაგრამ ადამიანი არ გამოჩნდა ლეთისნიერო, მანქანა არავინ გაუჭრა.

მზიამ აღარ იცოდა რა ეღონა. უცებ გაი-

ფიქრა სახლში ავეარდები, ლილის ნომრები ვან, ფეხშიძიე ქალს რომ დაინახავ, შეეცოდებათ და დახმარებას გაგვიწვევონ. მაგრამ მაშინვე დაასკვნა, ვაითუ, მანქანა მაინც არ გამოვიწვინო და ისედაც ტკვილიშით განამებული ქალი უფრო გაიტანჯოს.

და უცებ მანქანების მდინარეში გადაეშვა. ხელი შეშართა და ხმამაღლა აყვირა:

— გაჩერდით! გაჩერდით!

რამდენიმე მანქანამ გვერდით ჩაუტროლა, ერთმა ფრთავ გააქრა და ერთბაშად მის შორიხლო ვიწროვით მანქანა დამუხრუჭდა. ვიღაცამ ბოხი ხმით ხმამაღლა ყურში ჩასძახა:

— რას სჩადი, სიცოცხლე ხომ არ მოგებურდა?

საქესთან მილიციის კაპიტანი იჯდა.

მზიამ სასოებითა და მუდარით სთხოვა:

— თქვენი ძირითე, ფეხშიძიე ქალს ტკივილები დაეწყო, რა იქნება სამშობიარო სახლამდე მიიყვანეთ!

— შე კაი ქალო, სასწრაფო დახმარება ხომ არა ვარ... ეს მე არ შევალბა! — მიუგო მკვახედ შუბლშეჭმუნხლიშმა კაპიტანმა.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო კაპიტანო! ეს ყველას მოვალეობა!

კაპიტანმა მზიას აღმაცერად შეხედა:

— კარგი, გამოიყვანეთ ქალი!

მზიამ გაიფიქრა, შეიძლება კაპიტანი არ დამელოდოსო, ამიტომ ნომრებს დააცქერდა, მაგრამ ისე იყო აღვლევებული, გონება არეული, ციფრები მამწივე დააიწყდა...

მზია მხარში შეუდგა განამებულ ქალს, გაჭირვებით ჩაიყვანა კიბეზე, ქუჩაში რომ გავიდნენ, ელდანაცემივით დაიყვარა:

— აი ის წყეული, წასულა!

— გენაცვალე, აქა ვარ, კაპიტანმა მე დამავალა თქვენი წაყვანა: — დაუძახა იქვე გაჩერებულ მანქანის საქესთან მჯდომმა კაცმა.

* * *

საოპერაციოდან ბავშვის ტირილი გაისმა, უშალ მეორე ბავშვმაც აუბა მხარი, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, პატარები წიოდნენ, რაღაცას ითხოვდნენ.

მაღე საოპერაციოდან ორი ექთანი გამოვიდა. ორივეს ხელში ზუნარში გახვეული ახალშობილი ბავშვი ეჭირა.

მზია უშალ მათთან გაჩნდა.

— ბიჭები ეყოლა, შეატყობინე მამას, მოვიდეს რომ ერთი მაგრად ავუნოთ ორივე ყური! — ახარა მზიას წინ მიმავალმა ქალმა.

— რას ამბობთ, ტყუპი შეიძინა! — აღტაცებით თქვა მზიამ!

ბავშვები ახალდაბადებულთა ოთახში შეიყვანეს.

ნეტავი ლილი როგორღა? ალბათ, ჯერ ისევე სძინავს; თუ ქვეყნად ღმერთია, მამ კა-

რგად არ უნდა ამყოფოს ასეთი ადამიანი? შვილის გულსათვის არაფერს მოყრიდა, არც სირცხვილს, არც ტანჯვას! იქნებ, ბადრიმ მამობაზედაც უარი თქვა, ბიჭებს თავის გვარი არ მისცეს. ალბათ, მის შვილსაც ეს დღე ელის.

ამ ფიქრებში იყო მზია, რომ საოპერაციოდან პროფესორი და ექიმები გამოვიდნენ, მორიგე ექიმმა მზია თავისთან მიიხმო:

— საკუთრო გაუკეთეს... ავიდმყოფი ჯერ ისევ ნარკოზშია, მალე პალატაში გამოიყვანენ. ძლიერ ცუდად არის, გადაარჩენა საეჭვოა!

— ექიმო, ნება დამრთეთ, თავს დავადგამ, მოვუარო, — სთხოვა მზიამ.

— ეს აუცილებელია... ნაოპერაციევი შვებას ყველაზე უფრო ახლობლებში პოულობს!

ლილიმ გაყვითლებული ქუთუთოები შეარბია, წელა გაახილა თვალი, სანოლის თავით მჯდომ მზიას ოდნავ გაუღიმა, მაგრამ მყისვე თვალები მილულა, ისევ ძილს მიეცა.

ბოლოს, როგორც იყო თვალი გაახილა, მზიას აღერსით გაუღიმა, ლოგინში ხელების ფათური დაიწყო და გაოცებით იკითხა:

— შეილები ხომ გვერდით მიწვენენ, რა იქნენ?

— ახლავე მოგიყვანთ.

ლილის ხანგრძლივი, გულის გამგმირავი შეტყეები ჰქონდა, წვალობდა, იტანჯებოდა, სიკვდილი ენატრებოდა, მაგრამ დაინახა თუ არა შეილები, თითქოს ერთბაშად ცა გაიხსნაო, თვალში სინათლე მოემატა, შუბლზე ჭირის ოფლი შეამრა, ტკივილები მიუყურდა, გამოუვლილი ტანჯვა-წვალებმა გადააიყვანა...

* * *

ამბობენ, როცა სულთმობრძევი გონებას კარგავს, აღარც ყურთ ესმის, არც თვალთ უჭრისო. ნუთუ ეს დასაჯერებელია? ჯერ ხომ არავინ ჩასწვლშია მათ ფიქრებს! განა შეიძლება სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე ადამიანი არ აზროვნებდეს, თვალის ჩინი წაერთვას, ყურთ არ ესმოდეს? თუ ასე არაა, მაშ რამ აუხილა ლილის თვალი, ან ეს რამ აძქმეინა:

— მზია, მოხედე! ნეტავი ჩემი ძმისთვის მაინც შეგეტყობინებინა.

— ველაპარაკე... მალე მოვა! — მიუგო მზიამ.

ნამალი რომ მისცეს, ლილიმ თქვა:

— ექიმო, მაჩვენე შეილები, სიკვდილის წინ ერთხელ კიდევ მიწა დაატყებ მათი მჭერით!

— სიკვდილი შენგან შორსაა, შეილებს კი ახლავე გაჩვენებთ! — მიუგო ექიმმა და ბებია ქალს გადაუღაპარა, ბავშვები შემოიყვანეთო.

მზია ბებია ქალს უკან გაჰყვა, ეთომ ისიც

ბავშვების მოსაყვანად წავიდა, მაგრამ სამორიგეში შევარდა და ფერადესთან დარეკა. ამჯერად დომენტიმ უპასუხა. პირველი რაც მზიამ ყურმილში გაიგონა, ქალების ნივილიკვილი იყო.

— ლილი უკანასკნელ დღეშია. თქვენ გითხულობთ, თქვენი ნახვა ენატრება! — მზიამ ყურმილიმ აჩქარებული სუნთქვა გაიგონა. თითქოს ისიც დაინახა, როგორ გაფთხრდა ფერადე, როგორ აუთრთოლდა ტუჩები. და გულმოსულმა ჩასძახა, — რა ენა ჩავიკარადა! კაცი არა ხარ! ეგ არამზადები, ასე როგორ დაგასხდნენ თავზე?

— მოვიდივარ! — გაისმა დომენტის დაყოვნებული ხმა.

ტიტლიკანა ბიჭები ხელფებს აქნევდნენ, თითქოს დედის მკერდისაკენ მიცურავდნენ.

ლილიმ ჯერ ერთს მოუსვა ფუნჩულა ლოყაზე ხელი, მერე მეორეს, თვალები აუცურმლდა და ხმადაბლა ნილაპარაკა:

— რა გეშველებათ, თქვე საცოდავებო!

ექიმმა ბებია ქალს ანიშნა, ბავშვები გაიყვანეთო.

ლილიმ ოთახში მყოფთ თვალი მოავლო და მზიას დააცქერდა. მზია მიხედა ლილის რადაცოს თქმა უნდოდა და ფრთხილად მიუახლოვდა.

მომავლადემა მისუსტებული ხმით წარმოთქვა: „ახლო მოდი“!

მზია სანოლზე დაიხარა, ყური ლილის გამშრალ ტუჩებთან მიიტანა.

— ჩემი ბიჭები შენს შვილს ძმობას გაუნევენ, ეყვარებათ, გთხოვ, გულთბილად, მზრუნველობით მოეპყარი მათ. ობლები დაინახავენ ამგეს, დედასავით შეგიყვარებენ! — და ერთბაშად ამოიგმინა, ვახშო, და იკითხა — სად არის, რატომ იკვირანებს ჩემი ძმა?

მზიას დარეკვა აღარ დასჭირდა. დომენტი სამშობიაროს დერეფანში თავალუნული მოაბიჯებდა, არავის არაფერს ეკითხებოდა, მზიასაც დუმლით ჩაუარა გვერდით.

ძამე პალატაში შესადგა თუ არა ფეხი, დამ თვალი გაახილა, შესტიკა:

— დომენტი, სად ხარ, ეკედები!

ფერადე დიდი ხნის ექიმი იყო, აღარ აღელვებდა ადამიანის ტანჯვა, წამება, სიკვდილი, მაგრამ დაინახა თუ არა თმაგანწილი, სახე გაღურჯებული და, რომლის გასაცოდავებულ თვალში სიკვდილის შეებნული შუკი გამოჰრთოდა, ნებისყოფამ უმტყუნი და ორმა დიდმა ტყვიასავით მძიმე ცრემლმა გაფთხრებული ღანკები ჩამოუსურა. ლილის აღერსით შუბლზე ხელი გადაუსვა და შემფოთებული ხმით უთხრა:

— ნუ გეშინია, კარგად იქნები.

— არა, აღარაფერი მეშველება, ეკედები!

— და განსაყდელში მყოფ ქალს ხმაში გუ-

ლის წყრომასთან ერთად, სიამაყე და შეუ-
რაცხყოფილი თავმოყვარეობა გაიხმა, —
გთხოვ, არ დამძრახო, არ გამკიცხო. რა ვქნა,
ვერ გამოვიჩინე ნებისყოფა, ვერ გაუშვლავდი
ცდუნებას. მე შემეძინა შვილები და ბედნიე-
რი ვარ, მათი გულსათვის გაენიჩრე თავი და
ამიტომ სიკედილიც შეადვილება. გებვენები,
გემუდარები, ჩემს ბიჭებს ბიძობა გაუნეცე,
ისინი მარტო დედით კი არა, მამითაც ობლებ-
ბი იქნებიან. ჩემს საფლავს შვილებს ნუ და-
უქარგავთ...

და ლილიმ იმ ადამიანით, მძიმე ტვირ-
თი რომ მოიხსნა, თავისუფლად ამოისუნთქა,
ლიმღმა ტუჩის კუთხე შეუტოკა. მისმა გა-
ტანჯულმა თვალებმა სულის მომხიბველად
შუქი განოსცა, მაგრამ ეს იყო წამისად...

მერე კი, თითქოს უფსკრულში მიექანებო, შე-
შინებულმა ძმას მაჯაში სტაცა ხელი, თავი
გვერდზე გადაუვარდა, გონება წაერთვა...

დიდხანს ბორცავდა, ხრიალებდა, სახე ვე-
რუნჩხებოდა, ხელფეხს სჭიმავდა, კბილებს
აზრჭიალებდა. იცოდა შვილებისათვის საჭირო
იყო უფროოდ კვებობა და არ უნდოდა
უკუნში შთანთქმულიყო. ბოლოს ერთბაშად
შეინძრა, თითქოს უკანასკნელად გაიბრძოლა
და გულის სიღრმიდან ორი სიტყვა აღმოხ-
და:

— ოკ, შვილებო! — და უცებ მწარედ გაე-
ღიმა. ლიმილი ფერდაკარგულ სახეზე შერჩა,
ზედ შეაკვდა. ამ ლიმილში ვედრებაც იყო და
მუქარაც.

□ ნაბრძოლება იმნება □

თენგიზ კობახიძე

ჭ ი ღ ი ლ ი

იდგა ჩემს სარკმლის წინ
დოინჯშემოყრილი,
ვერხვი მხრებგაშლილი,
როგორც ფალავანი.
მისკენ აჯაგრული
ქარი წამოვიდა,
როცა გადაიხსნა კარი ვალავანის.
მთელ ღამეს ისმოდა იმათი კვეთება...
ჰოდა... ერთმანეთი

დაჰამეს მხეცებმა.
დილით ბრძოლის ველი...
ვერხვი დაგლეჯილი —
იდგა დაყურსული და
არა ესმოდა...
ქარი, როგორც გველი
წელში გაწყვეტილი,
ეგდო ორღობეში და კენესოდა

მემობარ კოვტს

რადგან დიადი
და დაბებული
ძლევამოსილი დღეა,
რომელსაც ჩვენი უდიადესი
გამარჯვებები ჰქვია,
არ ავადინოთ თავის სამიზნეს,
ჩვენი ლექსების ტყვია!
ახლა გვინდგომა

ლაღატსა ნიშნავს,
დიდს მოგვაყენებს ზიანს.
უნდა დაეძლიოთ ყოველი ზღუდე,
ვიდრე არ არის გვიან.
წინ, ძლევამოსილ
აღთქმულ ქვეყნისაკენ,
მიუყვით დროშების შრიალს,
ო, რა მღელვარე საუკუნეა!
რა დიდებული დღეა?!

• • •

შენი ლექსი ნიაღვარობს,
ჩემი ძლივას მოწანწკარებს;
მე უბრალოდ მოკვდავი ვარ,
შენ კი... აბა,
რასა ბრძანებ?...
მე მუნჯი ვარ,
ხმას ვერ ვიღებ.

შენ ღვთაებრივს რეკავ ზარებს...
მე აქ, გორმახს დამმარხავენ,
შენ კი ზეცა მიგიბარებს.
მე ამ ქვეყნის სტუმარი ვარ,
შენ კი... აბა,
რასა ბრძანებ!...



გ ე გ უ თ ი

XII საუკუნეში, 1154-1185 წლებში საქართველოში თავი იჩინა მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა მოძრაობამ, რომლის სათავეში იდგა თამარის მეტურტლეთ-უბუცესი უთულუ-არსლანი. ეს უკანასკნელი, როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, აუო კორობის მხრის ერთგულების ბეშქენ ქაუელის შთამომავალი. უთულუ-არსლანის დასმა წამოაყენა პოლიტიკური პროგრამა, რომელსაც თუ „თანამედროვე იურიდიული ტერმინოლოგიით დავახასიათებთ, დაახლოებით მას უდრია, რომ საქართველოს მანამდე არსებული მონარქიული წეს-წყობილება არსებულაყოფით უნდა შეცვლილიყო“ (ივ. ჭავჭავაძე); შემდეგ ივანე ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ უთულუ-არსლანის „დასის თავისუფლებისადმი სულისკვეთება და არსებულყოფიერ წეს-წყობილების უპარატესობის გრძნობა“ წარმოშობილია ქართველ ერისთვის წინადაცხე და „ქართული სოციალური ბრძოლის განვითარებასა და შედეგს წარმოადგენს“ („ქართ. სამართ. ისტორია“, წიგნი II, ნაკვ. II, გვ. 183-184).

ეს იყო უმაჯალიყო მოვლენა იმ დროის მსოფლიო ისტორიაში — არსებულყოფიერი იდეები მხოლოდ მომდევნო საუკუნეებში წამოაყენეს სველზე მოწინავე პოლიტიკოსებმა და მოაზროვნეებმა.

ამ ფრიად საინტერესო ამბებს ეხება ალ. გვასალიას ისტორიული რომანი „მეტურტლეთ-უბუცესი“, რომლის ერთ თავს ქვემოთ ვაქვეყნებთ.

რამდ.

გეგუთის ციხე-დარბაზი გიორგი მესამის მისაღებად ემზადებოდა. ციხე-დარბაზი საინჟინერო იყო დაცული, მას გარს ერტყა ხელოვნური არხი, ხოლო არხის გასწვრივ ქვიტიკრის კედელი იყო აღმართული.

სასახლე ორიოდე ფარსანგით თუ იქნებოდა დაცვილებული ქუთაისიდან.

გეგუთის სახლ-უბუცესს გამოუღვევი საქმეები გაუწნდა გიორგი მესამის ჩამოსვლის მოლოდინში. ჩვეულებრივ, მეფე გვიან შემოედგომით და ზამთრობით ამოდიოდა გეგუთის სამეფო სახლში. გეგუთ-აჯამეთის მუხნარით დაფარული ხშირი ტყეები, განთქმული ნადირთა სიუხვით, მეფეთა სანადირო ადგილად იყო მიჩნეული. ნადირობის მოყვარულ მეფისთვის ყველაზე უფრო ეს დრო იყო სასურველი და ადრე გაზაფხულზე მას არ ელოდნენ.

მონადირეთ-უბუცესს აჯამეთის ტყეში თავის კაცები დაეგზავნა განვრთნილი შვარტნებით ხობებზე სანადიროდ. მეღვინეთ-უბუცესი, ხანდახმულ ჭაშნავიტთან ერთად, მარანში ფუსფუსებდა. მინაში ჩაკირულ ვეება ქვეყრებისთვის სარქველები მოეხადა და თვით სინჯადა მრავალწლოვან ღვინოებს. თვალის

ჩინივით უვლიდნენ თაყვერის ღვინოს, გიორგი მესამეს რომ უყვარდა. მეზაღეთ-უბუცესს ნარგავების სახელადად, შადრვენისა და ზეივნების მოსასუფთავებლად უმეტეს ქალები დაესაქმებინა.

გაზაფხულის აკიაფებულ მზეზე დიადად ბრწყინავდნენ ციხე-დარბაზის კედლები, მოპირკეთებული მოყვითალო-მონაცრისფრო მარმარილოს ქვებით. ადამიანის თვალს იტაცებდა სასახლის ღურჯი კრამიტით დაფარულ სახურავზე მზის სხივების ანარეკლი. ღამის წყვიდადში ციხე-დარბაზის განათებული გუმბათი მთელ შემოგარენს თავის შუქს ფენდა. განათებული იყო ციხე-დარბაზის დამცველ შვიდას შუბოსანთა კარავებიც, ჩამწყრივებული არხის ნაპირას, სასახლის ირგვლივ.

...მეფე კი იგვიანებდა. ჩუხჩარხი ვარდან დადიანი მთელი კვირით მეფეზე უადრეს ჩამოვიდა გეგუთს. უპირველეს, ციხე-დარბაზის მისადგომები დაათვალიერა. დიდი ხანია გეგუთს არ ყოფილა და ბევრი რამ დაეინყებოდა. ის ნინასწარ მოთათბირა გეგუთის სასახლის დამცველ შუბოსანთა ზედამდგომს და უბრძანა: ციხე-დარბაზის უკეთ დასაცავად შუბოსანთა ახლად განლაგება მოეწყით. ხა.

სახლის ჩრდილოეთით არხზე აგებულ ხიდის ბოლოს მცირე ორსართულიან საგუმბაგოს დაეცა თავის მონა-სპათა ნაწილს დააკისრა ჩუხჩარხმა. მხოლოდ ამ ხილით შეიძლება გადავინის კარების გავლით ციხე-დარბაზში მოხვედრა. მუნობათენიც მზად იყვნენ მეფის სასახლეში მოსვლა დროზე ეუნწყებინათ გარემოსათვის.

სახლთ-უხუცესმა განსაკუთრებით იზრუნა გიორგი მესამის დასასვენებლად განკუთვნილ დარბაზის კეთილმოწყობისათვის, რომლის დიდი სარკმლები გეგუთის მუხნარს გადააყურებდნენ. იქვე გვერდით სააბაზანო იყო გამართული მეფისთვის.

სასახლის დიდბუხრიან დარბაზში. სადაც მეფე საქვეყნო საქმეთა განსაკუთრებულ წვეულთ იღებდა, მთელი იატაკი ნაფრთხილი ტყავებით იყო დაფარული, ხოლო კედლები ნანადირევ მზეცთა და გარეულ ფრინველთა ფიტულებით მოფენილი.

...როგორც კი ჩუხჩარხს წინასწარ გაგზავნილ მზეკრეტა უფროსმა მოახსენა მეფის მოახლოება ის ცხუმის ერისთავთ-ერისთავთან, ოთაღ შარვაშიძესთან ერთად, გიორგი მესამის შესახებდრად განემზადა...

გიორგი მესამე გეგუთის სასახლეს უახლოვდებოდა. მეფის სამგზავრო ტახტრევიანიდან გადმოვიდა გვირგვინოსანი თავის ვაზირთან ერთად. მას სურდა, ჩვეულებრივ, როგორც მანამდე, თავის ბედაურზე შემეჯდარი შესულიყო ციხე-დარბაზში. მეფეს და მის ვაზირს, მეჭურჭლეთ-უხუცეს ყუთლუ-არსლანს ცხენები მოგვარეს. მცირე მანძილი გაიარეს და მონა-სპათა სიმღერა მოჟამათ. სიმღერა თანდათან მძლავრად და გარკვეულად ისმოდა:

მუმილი მუხასა გარს ეხვეოდაო,
მუმილი რ... ბრძო, მუხა გადარჩაო.

— მუხა ხომ საქართველოა, მრავალქამ ნაიარები, მაგრამ გაუმხმარი და ფესვგადგმული, ძლიერი. ჩვენს წინაპრებს გადაარჩინს იმედი აროდეს ტოვებდა, — გადაულაპარაკა მეფემ მის გვერდით მიმავალ ყუთლუ-არსლანს.

— თავის მიწიდან აულავშია და გაუტეხავი იყო ოდითვე ჩვენი ერი, მეფეო!

— ეგ ქუმმარტიკა. ერთი რამ მინდა გკითხო ვაზირო, — თქვა მეფემ და თავის ცხენი ყუთლუ-არსლანს მიუახლოვა, — ჩემი ძმის უგვალო დავითის, თუმცა მცირე ხნით მეყო. ბის დრო და ივანე ორბელიანის მოღალატური განდგომა თავის ერისა და მეფისაგან, ხომ ღიწნია ამოიძირკვის ჩვენი ცხოვრების მატრიანედან. შევჩიზღდებით ჩვენს შვილებს, ვაზირო!

— მემატიანეთ გაუკვალავ გზით სიარული არგუნა ბედმა, მეფეო, მას მიჰყვებიან გა-

ნუხრელად და უთოვად მოიხსენებენ მცხერამე როგორ, ეგ საკითხავია!

— მიმ თუ ეს გარდუვალა, შთამომავალთ სინდისის სამსჯავროს უნდა მიენდოს მათი არაკეთილსაქმეთათვის ქუმმარტიკად განკითხვა.

— დიახ, მეფეო! ღამთაღმწერლები ტყვენი არიან თავიანთი შეუღახავი სინდისისა, შთამომავლობას პირნათლად გადასცემენ მათ, ვინც გულთი იღწნათა ერის საკეთილდღეოდ და ქუმმარტიკ აზრს შესწირეს თავიანთი სიცოცხლე. პეტრეს, იოანეს, ეფრემის, გიორგი მთაწმიდელის, დავითის სახელებს სალოცავად და ხელთახლსაგოგმანებლად შემოუნახავენ მეშვიდერეობას. ხოლო პირმოთნეთ დევრავთ, უღირს მეფეთა და დიდებულთა ნაწუფრალზე სავარძლის მაძიებელთ თავისას მიუზღავენ და ისინი მწარე დროთა მოსაგონებლად, საგინებლად და სათრეველად შემორჩებათ ჩვენს შვილებს.

ამ საუბარში იყვნენ მეფე და მისი ვაზირო, როცა მათ წინ შემოეგებენ ვარდან დადიანი მონა-სპათა მცირე ნაწილით და ცხუმის ერისთავთ-ერისთავი ოთაღ შარვაშიძე.

მეფე დიდად გახარებული დარჩა კარგახნის უნახავ ძმადნათესთან შეხვედრით.

გიორგი მესამე ჩუხჩარხს მიუბრუნდა: — მადლობა მეთქმის ოდიშის ერისთავო, გეგუთის სასახლის მისადგომებთან პირველად ოთაღის რომ შემეხვედრე.

მოკითხეს...

— მე და ყუთლუ-არსლანი მეტად ნასიამოვნები დავრჩით მონა-სპათა სიმღერით, — და მეფემ ხელები გაიშვირა იქვე მახლობლად მდგარი შუბოსანი ცხენოსნებისაკენ.

თაკვერისა და რაჭის ერისთავთ-ერისთავმა კახაბერ კვიციანიძემ, როგორც კი გაიგო გიორგი მესამის გეგუთის ჩამოსვლა, მაშინვე სამგზავრო მზადებას შეუდგა. რაჭის ერისთავს კარგად ესმოდა, რომ მომძლავრებული გიორგი მესამე თავის პაპასავით დაუნდობელი იყო ურჩ ქვეშევრდომთა მიმართ. ძღვევა-მოსილი გიორგი სამშობა, ბევრი რამ უსიამოვნო ჩემს წინააღმდეგე ქობაბერმა კუჩხს ჩაანვეთა. მაგრამ დამარცხებულ ამირსპასალართან ურთიერთობის თაობაზე მამხილებელი საბუთები მას არ გააჩნია. ვუახლები გეგუთის ციხე-დარბაზში მეფეს და ჩემს მორჩილებას დაეუფლასტურებ... უთოვად შერიგებას ისურვებს, — ფიქრობდა ხანდაზმული ერისთავი...

გეგუთის ჩასული რაჭის ერისთავთ-ერისთავი ორი დღე აღოდიანა გიორგი მესამემ, სანამ სასახლეში მიიღებდა. როცა მეფის განკარგულებით სახლთ-უხუცესმა ის მესამე დღეს დიდბუხრიან დარბაზში მიიწვია, იქ არავინ იყო. დარბაზის აღმოსავლეთ კედელზე ვილაც მხატვარს მოეხატა გიორგი მესამე

ნადირობის ფაზს. მის ფეხებთან მხეცი ეგდო დაუბუბულ სისხლის მორევში. შეძრწუნდა ერისთავი, ჭრჭოლამ მოიცვა, თითქოსდა შეუშრალ ცხელი სისხლის დანახაზე, რომელსაც ორთქლიც კი ასდოდა. ცოტათი შველა მაშინ იგრძნო, როცა მეფის გვერდით მდგარ მოწინააღმდეგე შველს შეველო თვალი, ნანადირევით კმაყოფილ მეფეს რომ შესცქეროდა.

გიორგი შველივით მორჩილს არ ერჩის მხოლოდ, ურჩს, არ დამჯერს კი ისე უმასპინძლდება, როგორც აი იმ მხეცს, მის ფეხებთან რომ სისხლიდან იცლებს. ერისთავს მოაგონდა კლდე-კარის ციხეში მეფის წინააღმდეგ ამხედრებულ დემნას ნამუხით სიყვდილი. გიორგიმ თავის ძმისწული არ დაინდო, სიციხეს ბრძოლა ითხოვდა მისგან. შიშით შემყრობილი თანდათან გონს მოვიდა, თვითვე შერცხვა ვაკაიცისთვის უკადრისი საქციელისა.

ერისთავმა ჩოხის უბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლზე ნაოჭებს შორის გამოჭონილი სიმწრის ოფლი მოიწმინდა გულგადალეულმა მეფის ლადინით.

ამ ყოფაში იყო ერისთავი, როცა დარბაზის მცირე კარი გაიღო და დადა შემოვიდა; მას ფეხდაფეხ მოჰყვებოდა საყვარელი ნაგაზი, რომელიც ცხუმის ერისთავმა აჩუქა გიორგი მეფეს, რამდენიმე წლის წინათ, ჯერ კიდევ თვალუბილავი ლეკვი. დადა ოდნავ თავის დაქვევით მიესალმა ერისთავს და მოშორებით, ბუხარის წინ მდგარ სავარძელში ჩაჯდა. ნაგაზი დარბაზის შუაგულში, მაგიდასთან მდგარ ერისთავს მიუახლოვდა, გარს შემოუარა, დაყნოსა, რატომღაც სტუმრის უკმაყოფილო მიზრუნდა, ჩაიღრინა თავისთვის და იქვე დადას ფეხებთან განვა... ძაღლიც თავისი პატრონის საკადრისიყო, — გაიფიტრა ერისთავმა.

ცუდად იმოქმედა ერისთავზე დადას დარბაზში შემოსვლამ, მას სწულდა ის. დადაც ვერ იტანდა რაჭის ერისთავს. რამდენიმე წლის წინათ, როცა ერისთავს უფროსი ვაჟი-შვილი გარდაეცვალა, ენატანობით სწეულუბმა ერისთავს რაჭაში გადასცეს დადას ნათქვამი: — გონებით ჩლუნგ, თაკვერისა და რაჭის ერისთავთ-ერისთავის გაუმადლარ მემკვიდრეს, ჭამასა და ძილში ამოქვრა სულყო. კახაბერმა შური იძია და მეფის ხელმარა შეარქვა დადას, რაც მაშინვე გავრცელდა მებობელ საერისთავოებში და, ბოლოს, ისინი სასახლეშიც შეაღწია.

ამ დროს სადარბაზოს დიდი კარებიც გაიხსნა და გიორგი მესამე შემოვიდა. მეფეს თან ახლდნენ ჭიაბერი, ვარდანი დადიანი, ოთალო შარვაშიძე და ქუთაისის გამრიგებელის უფალი ერისთავთ-ერისთავი საღირისძე.

ხანდახმული ერისთავი წელში წამოხტა მოხრილი, მოკრძალებით მიესალმა თავის მეფეს. მან თირკმლების სიმზურვალით დასწეულება მოიმიზეზა, ნაჭარმაგვეს თამარის თანამოსაყდრედ კურთხევას რომ არ დაელოდა და უკანვე გაბრუნდა. მორჩილებით პატივს თხოვა გიორგის.

— თქვენს ასაკში ერისთავო, თირკმლების დაავადებას ჩინებულ ექიმთა მკურნალობა მართებს!

— უთუოდ. ამ ბოლო დროს ზოგჯერ ძლიერ მივიღს ტყვიელი, რომ სასონარკვეთილი თავის მოკვლას ვესწრაფი, მეფო!

დადამ, მის გვერდით მდგომ ჭიაბერის გასაგონად, ყრუდ ჩაილაპარაკა:

— ასეთ ბრძნულ გადამწყვეტილებაზე ხელის აღებინება უთუოდ დანაშაულად ჩაითვლება ერისთავსო!

— ტყელის გამგზავრებას გირჩევდით ერისთავო, იქ უკეთ მოგივლიან.

მეფისთვის ცნობილი იყო, რომ რაჭის ერისთავი, არგვეთის ერისთავ ამანელიძესთან ერთად, ფარულად ამირსპასალარს უჭურდნენ მხარს. კახაბერი კარგ დამოკიდებულებაში როდი იყო ივანე ორბელიანთან, მაგრამ გიორგი მესამისადმი იყო მტრულად განწყობილი იმ დროს, სადაო ადგილების ჩამორთმევის გამო. ამგვამად რაჭის ერისთავს ხერხემალი პქონდა მოდრეკილი და სხვა გზა არ იყო, — მხოლოდ მორჩილება ძლევაშისილ მეფის წინაშე.

— რუსუდან დედოფალიც კმაყოფილი დარჩება თქვენი სტუმრობით სასახლეში, — დაუშმატა მეფემ.

— რუსუდან დედოფალი ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, მეფეო! როგორც კი დათბება და თავს უკეთ ვიგრძნობ, ვუახლები სასახლეში. საუბარი დიდხანს არ გაგრძელებულა. ერისთავს სიტყვა არ დაეცენია სადაო ადგილებზე. მეფე წამოადაგა.

— ვიცი ერისთავო, რაც თქვენ ვაწუხებთ. კიდევ ცოტა ხანი დამაყოვნეთ და ყოველივე მოგვარდება.

კახაბერი არ მოელოდა, რომ გიორგი მესამე ასეთ ღმობირებას თუ გამოიჩინდა მის მიმართ, ოდნავ დაიბნა კიდევ. ორიოდე ნახიჯი გადაადგა მეფისკენ და მოახსენა:

— იღლებრძელე მეფეო! ვიცი გეგმოს დასასვენებლად ბრძანდებით ჩამოსული. ვუადნიერდები, ვთხოვთ პატივი დამმთო და საერისთავოში გვეწვიეთ სანადიროდ იქნებ ცოტათი მაინც გავართოთ ნადირობით, ამინდიც ხელს გეწყოფს. პატონ ერისთავებსაც ვთხოვთ თქვენთან ერთად ჩამობრძანდნენ.

გიორგი იქ მყოფთ მიუბრუნდა.

— რა გეწყოფა, ვენეთო, პატონებო, რა-

ჭის ერისთავს სანადიროდ, — და კახაბერს ნათხოვის შესრულება აღუთქვა.

გვგუთის სასახლეში მეფესთან შეხვედრით კმაყოფილი ერისთავი ის იყო დარბაზის დატოვებას აპირებდა, სახლთ-უზუცესი შემოვიდა და მუჭურჭლეთ-უზუცესის სასახლეში მოსვლა აუწყა მეფეს.

— მოზრძანდეს. სახლთ-უზუცესო, იზრუნეთ მგზავრობით დაღლილ რაჭის ერისთავთ-ერისთავის დასვენებისათვის.

სახლთუზუცესი, კახაბერთან ერთად, დიდბუხრიან დარბაზიდან გავიდნენ.

მთელი ამ ხნის მანძილზე დადა თვალმოხუჭული იჯდა სავარძელში დარბაზის მეორე კუთხეში და უსმენდა საუბარს. გიორგი მეფემ მხოლოდ ახლა შეამჩნია დადას იქ ყოფნა. გაიფიქრა, — აღბათ ჩაეძინაო და იქ მყოფთ უთხრა:

— დადა ცოტათი გამოკეთდა, აქაური პაერი უხდება, მაგრამ ძილი დაჩემდა რატომღაც!

დადა მაშინვე წამოდგა სავარძლიდან, მისწინ განოლილ ნაგაზს გადააღაჯა და გიორგი მეფეს მიუახლოვდა.

— არა, გიორგი მეფეც, სიტყვეც არ გამომჩნენია ერისთავთან საუბრისას.

— რაჭის ერისთავი უფრო ჯანგატეხილი მეჩვენა, ვიდრე მოველოდი, თანაც მოთვინიერებული!

— რაჭის ერისთავი ერთგულია თავისი მეფისა, — თქვა საღირისძემ.

— მოთვინიერებული? მზაკერობაშია ნანართობი რაჭის პატრონი, გიორგი მეფეც, ასე მაქვს გაგებულო, ის ფარულად განდგომილბის უჭერდა მხარს, — თქვა დადამ ქუთათლის გამგებლის გამოსაჯერებლად და ჭიკაბერს გადახედა აღმაყურად.

— მერე რა ხომ შეიძლება ჩადენილ საქციელს განუდგეს კაცი, ცოდვები მოინანიოს!

— მომნანიებულნი მერყევი არიან. უმეტესად შიშის შედეგად ხდება მომნანიება, თვალისასახვევად... აჯობებდა კი, როცა ქვემდროში ფეხებში მოგვევა, ის უნდა გაისრისოს, მხოლოდ კუდის ჩამოცილებით თუ დაკმაყოფილდა კაცი, ის ისევ მიწაში ჩაჭრება, ტკივილებს მოიპუშებს, უფრო შხამიანი გახდება და საშიშიც.

— ეს დარჩებაა მეფისა, თუ უბრალოდ საკუთარი აზრის გამოთქმა.

დადა მიხვდა, რომ გიორგი მეფეს არ ესიამოვნა მისი ნათქვამი და ასე უპასუხა:

— ახრია ჩემი მხოლოდ, ყურადსაღებად არა ღირს, გიორგი მეფე!

— ენ მოგწონს შენ დადა, ეისზე მეტყოფით დღეს კარგს და გამახარებდი?

— ეისზე? ვაზირთა უპირველესი, მნიგნო-

ბართ-უზუცესი ანტონ ჭყონდრედოვი მომწონს, გიორგი მეფე!

— კიდევ ვინ მოგწონს ჩემი ვაზირებიდან?

— ფარისელებთან ჩამეთელება აქ მოღვათა მომონების აღიარება, გიორგი მეფეც, — ოდნავ ღიმილით თქვა დადამ. — კიდევ ვინ მომწონს? კორიდეთის ერისთავთ-ერისთავი, მუჭურჭლეთ-უზუცესი, — დაუმატა დადამ და ისევ ჭიკაბერს გადახედა.

— მუჭურჭლეთ-უზუცესი ბევრს როდი მოსწონს, დადა!

— გონიერი არ მოსწონთ მხოლოდ უნიჭოებს, რომლებიც ჭიანჭველებივით არიან მომრავლებულნი და ამით ჯობნიან ჭუმშარიტად საღ შოაზროვნეთ. უნიჭონი შურიტა და სიძულელიტ არიან განწყობილნი მათ მიმართ, გიორგი მეფე!

ამ დროს დარბაზში შემოვიდა მუჭურჭლეთ-უზუცესი ყუთლუ-არსლანი, საუბარი შეწყდა.

გიორგი მესამეს ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

— მაინც მოთხარი დადა, რად არ მოგწონს რაჭის ერისთავთ-ერისთავი?

— ეშმაკთან არის შერული, თვალთმაქცი ერისთავი, მეფეც ბატონო!

— რაზე შეატყვე თვალთმაქცობა დადა, — ჩაერია საუბარში ოთალო შარვაშისძე.

— რაზე? — დაფიქრებით თქვა დადამ.

— დიხ, რაზე? — გაიმეორა გიორგიმ.

მეფის ნათქვამი ამჯერად ბრძანებას უფრო წაგავდა, რომელიც პასუხის გაცემას ითხოვდა.

დადა მიხვდა, რომ გიორგი მეფე ზერელე საუბრით არ კმაყოფილდებოდა რაჭის ერისთავის თაობაზე და ასე მიუგო:

— ერისთავს თირკმელების სიმხურვალე როდი ანუხებს, ნაჭარმაგვევიან ადრე წასვლის მიზეზად რომ მოიყვანა აქ!

— მაშ რა ანუხებს, — იკოხა გაკვირვებით ვარდანმა.

— სულ სხვა სიმხურვალე აქვს სიბერეში გადასულს, ბატონო ერისთავო. ძნელად ასატანი სნეულებაა, ვაჭაცობას ეთხოვება რაჭის ერისთავი.

გიორგიმ თავი ვერ შეიკავა და გულიანად გადაიხარხარა, სხვებმაც ვერ შეიკავეს თავი, მხოლოდ ჭიკაბერმა ოდნავ გაიღიმა და დადას უთხრა:

— როგორც ვამჩნევ, დადა ამ ბოლო დროს საუკიშო ხელოვნებაშიც დიდ ცოდნას იჩენს.

— უთუოდ მანავის ერისთავო, უთუოდ, — თქვა ოთალომ და დადას მიმართა კითხვით.

— დადა, რაღაც საიდუმლოება იცი რაჭის ერისთავზე და ჩვენ არ გვიჩვენე!

— აკი გიორგი მეფემ თანხმობა მისცა კა-

ხაზინის საერისთავოში ენციოს სანადიროდ
თქვენიან ერთად!

— მერე რა, — თქვა გიორგიმ.

— იქ ნახავთ გიორგი მეფე, დადა რომ
არ ცდება!

— შენ გაგახაროს წმ. გიორგიმ, დადა, ასე
გულიანად დიდი ხანია არ მიციინია ისე კი
გეტყუდი, დადა, კახაბერი ცუდი კაცი რო-
დია, ნუ ეცდები მტრად გაიხადო იგი!

— მტრები მხოლოდ დამთხვეულებს არა
ჰყავთ. ასე მასწავლეს გელათში, გიორგი მე-
ფემ!

დადა ნაგაზისაკენ მიბრუნდა და წასვლა
დააპირა.

— სად მიდიხარ, დადა, — იკითხა მეფემ.

— როდესაც საქვეწმით საქმეებზე საუბრი-
თა და ფიქრებით მოვიღლები, ძალიან მინდ-
ება ღელესკენ გავწიო ღორჯოების დასაჭერად,
გიორგი მეფემ! ცოტათი შემავიანდა კიდეც,
ამ დროს ღორჯოები მზეს ემალებიან და
ქვეს ამოფარებულნი დამხვდებიან, ძნელი
ხდება მათი დაჭერა.

გიორგიმ თვალი გააყვლა დარბაზიდან ნა-
გაზთან ერთად მიმავალ დადას და სინანულ-
ით თაყი ჩაიქინია. ცოტა ხნის შემდეგ ჭი-
ბერმა პატიება თხოვა მეფეს და დარბაზი და-
ტოვა.

ჩამოვარდნილი სიჩუმე ისევ გიორგიმ და-
არღვია.

— ვაზირო, — მიმართა მან ყუთლუ-არს-
ლანს, — კიდევ რამდენი ხანი მოუწეები
წყალსადენის შეკეთებას გელათში?

— სამ ღღეში დამთავრდება, ბატონ ოთა-
ლოს გამომგზავნილი ოსტატები დაუზოგავად
მუშაობენ, მეფეო!

— თქვენი გამასპინძლებით, ვფიქრობ კმა-
ყოფილები იქნებიან. არ შეერცხვეთ ოთა-
ლსთან, ვაზირო!

— არა მეფეო. სუფრა კარგი აქვთ, გასამ-
რჯელოთაც ჯილდოს შესაფერისს მიიღებენ.

— წინამძღვართ-წინამძღვარი ხომ კმაყო-
ფილია მუშაობით?

— კმაყოფილია მეფეო. არ მოელოდა
წყალსადენის ასე ადრე ამოქმედებას.

— ერთი ისიც მოთხარი ვაზირო, ბაკური
როდის ინახულეთ ბოლოს?

— გუშინ!

— როგორი პირი უჩანს მოხუცს, ახლო
მომავალში თუ მომჯობინდება?

— არა მგონია, მეფეო!

მეფემ სასახლის ხეივანებში სასიეროდ მი-
ინვია იქ მყოფი ერისთავთ-ერისთავები. მას
სურდა ერისთავებისთვის ენახებინა ავაზას
ხუადი ლეკვი, შირვანის მფლობელმა რომ მი-
ართვა ამას წინათ; გეგუთის სახლთ-უხუცე-
სი არაყის აკარებდა მას და თვითვე წვრთნი-
და სანადიროდ.

დარბაზიდან გამოსული მეფე მრავალსა-
ფხურებიან ქვის კიბის სათავესთან შეჩერ-
და და უკან მომავალ ერისთავებისკენ მიბრუ-
ნდა.

— ბატონებო, მამაჩემმა ერთხელ ასეთი
რამ მიაშპო:

გვიან ღამით, როცა ყველას ეძინა, პაპა
დავითი ადგებოდა თურმე და ძილი რომ არ
დაეფრთხო იქ მყოფთათვის, ფეხაკრეფით გა-
ვიდოდა სასახლიდან. აი ამ საფეხურებს ჩაპ-
ყვებოდა და ხევიანში გასულს მოხუცი მება-
ლუ დაუხვდებოდა. ძალიან სვეარება ცხონე-
ბულ პაპას მებალუ. ქუადამჯდარი კაცი ყო-
ფილა და მასთან ქვეყნის საქმეებზე სჯა-
ბაას არ თაკილობდა ბრძენი კაცი. მოხუცი
ხშირად ცის მნათობებზეც ესაუბრებოდა პა-
პას. ღამით გაკამკამებულ ცის თაღზე ვარსკ-
ვლავებს აკვირდებოდა და არაფეს ცდებოდა
გამის დადგენაში. ეგებ მან შეავარა პაპას
ვარსკვლავთმომრიცხველობა! ხშირად საუბარში
შემოთენებათ კიდევ. მამას შეუმჩნეველი არ
დარჩენია ეს და ერთხელ ჩუმად უკან დად-
ვნებია. სასახლეში მობრუნებულ პაპას უთქ-
ვამს შეილისთვის: როდესაც შენ მეფე გახ-
დები, ხშირად მოინახულე და ესაუბრე მო-
ხულე მებალესა, სასარგებლოაო, ვინ იცის ბა-
ტონებო, რამდენი სიკეთე მოუტანია ქვეყნის-
თვის მათ საუბარს...

დადა ციხე-დარბაზიდან გაუდა, გალავნის
კარბიცი უკან ჩამოიტოვა და ღელესკენ გაუ-
მართა. აქ დაუხვდა მას რკალით მოღუ-
ნულ წყნელ დამატრებული ზადე და თიხის
ქილა დაჭერილი ღორჯოებისთვის, გუშინ
რომ დატოვა. ნაპირზე ჩამოჯდა, წაღები გა-
იხადა, ძიქვის ტოტები ამოიყვია და დასიცი-
ხული ფეხები წყალში ჩაუშვა გასაგრილ-
დად. ამასობაში ქიბეროცი მოვიდა, ფეხდა-
ფეხ რომ მიყვა დადას. იქვე, დაჩრდილულ
ქადრის ძირას მოთავსდა.

— ფეხებს იგრილებ, დადა, არა?

— ბევრი ფიქრისაგან ტვინი მელდება, ამ
დროს ფეხების გაგრილება მიხდება, ერისთა-
ვო!

— დადა...

— ეცი, კარგადაც ეცი რისთვისაც მოხ-
ვედი, — შენყვეტირა დადამ, — თქვენ ის გა-
ნუხებთ, მეფეს არ გაუმელოდა რაზედაც ტფი-
ლისიდან წამოსვლის წინა ღამეს ვისაუბრეთ.
სიფრთხილეს იჩენთ ერისთავო, მეფის წყრო-
მას ერიდებით. მინდა შეგახსენოთ, გიორგი
მეფემ თქვენზე ბევრად მეტი იცის მეჭურჭ-
ლეთ-უხუცესზე. მე არ მისაუბრია მასთან
ამის თაობაზე.

— საიდან იცის დადა!

— გაფრთხილებთ ერისთავო, თუ თქვენ

გამოკითხვები წამოიწყო, გირჩევთ ახლავე შენვერტოთ საუბარი.

— ჩათვალეთ ეს უბრალო ცნობისმოყვარეობად.

— მზევრავისა არა!

ჭიაბერმა თავი შეიკავა, არაფერი უპასუხა.

— გისმენთ ერისთავო, თქვენ აქ იმისთვის არ ამოსულხართ, თვალი ადევნოთ, თუ როგორ ვერთობი მე ღორჯოების ქვრით.

— დადა, გულახდილად ვისაუბროთ ყუთლუ-არსლანზე.

— ვინ ერწმუნება თქვენს გულახდილობას, მეფის მზევრავთა გამგებელი! ერთხელ უკვე გითხარით ამაზე — და დადას დამცინავი ღიმილი დაეტყო სახეზე.

— ვფიცავ წმინდა გიორგის, ღია გულით მოვედი აქ შენთან.

— წმინდა გიორგის თავი ანებეთ, ჭიაბერო, წმინდანებს სძულით მზევრავის ხელობა?

— მეფის საკეთილდღეობად მიმართული?

— სულერთია, — დადა ჭიაბერის პასუხს არ დაელოდა და თვით შეეკითხა:

— რისი გაგება გსურთ ჩემგან, ჭიაბერო?

— რა სურს მეჭურჭლეთ-უზუცესს, რა ფიქრები უტრიალებს თავში, რაღაცის შეცვლას ესწრაფვის სახელმწიფოს მართვაში, ოღონდ არაფერ იცის, რას მოგვიტანს ეს ცვლილება!

— ბუერი მოგდამებიათ ერთბაშად, ერისთავო! კარგად მისმინეთ. ყუთლუ-არსლანს გელათში უსწავლია კარგა ხანს, მამა ბაკურთან.

— ეგ ვიცი!

— ნუ მანყვეტიანებთ. ელინელ ბრძენთა, უმთავრესად პლატონის შესწავლას შეაღია დიდი დრო და ახლაც განაგრძობს მას. პეტრეს მოძღვრებასაც კარგად იცნობს, როგორც ამას ნინათ მითხრეს.

— რომელ პეტრეს, დადა?

— ივერიელის, დიონისეს სახელით რომ შენიღბეს მისმა მონაფეხმა მთელს სამყაროში და აქაც, საქართველოშიც.

— პირველად მესმის, დადა!

— დაახ, ნამდვილად მოღვაწეობდა ასეთი კაცო, ჭეშმარიტად ბრძენი, შვიდიოდე საუკუნის ნინათ, ერისთავო, — თქვა დადამ და კვლავ გაელიმა, — მეჭურჭლეთ-უზუცესს მიანია ამ ქვეყნის საქმეებს და მის ბედს ერისრწეულნი უნდა განაგრძებდნენ. მეფე კი, თავის ვაზირებით, აღასრულებდეს ამ რწეულთა მიერ მიღებულს და დადგენილს.

— კარგად არ მესმის, დადა!

— არც მე მესმის კარგად ყოველივე, ჭიაბერო!

— პო, მაგრამ, — თქვა ოდნავ ჩაფიქრების შემდეგ ჭიაბერმა, — ეს ხომ ერთმმართ-

ველი მეფის უფლებათა შეზღუდვაა, საშიში ბაგრატიონთა ტახტისათვის!

— ჯერ არც ერთია და არც მეორე, შემდეგში კი შეზღუდვა არის, საშიში კი არა!

— ვერ გაიგია, აკო ყუთლუ-არსლანი მეფის მომხრეთა ჩანს!

— მართალია. ყუთლუ-არსლანი მეფის უჭერს მხარს, და ეს იმიტომ, რომ გიორგი გონიერი მეფეა და თავის პაპის — დიდი დავითის მიმდევარია.

— თუ ეს ასეა, მაშ რად ესწრაფვის მეფის უფლებათა შეზღუდვას?

— გონიერად მართვა სახელმწიფოსი შემკვიდრებით როდი გადაეცემა ყოველთვის. ხომ შეიძლება ერისთავო ხვალ, ზეგ ან შემდეგმ გიორგი მეფის უფროსი ძმის მსგავსი მახინჯი მოველინოს საქართველოს, როგორც კანონიერი მემკვიდრე ტახტისა?

— შეიძლება!

— თუ შეიძლება ჭიაბერო, ისევ შინაგანი ქიშკობა და ბრძოლა აღტყდება, შიშისაგან ში. ყუჩებუღი ერისთავები თავს წამოყოფენ. ამით გარეშე მტრები ისარგებლებენ და ვინ იცის ეგებ სადმე ტფილისის გალავანთან აღმოჩნდეს სახელმწიფოს საზღვარი!

— ენეც შეაძლოა!

— უჭუნურ ერთმმართველ მეფეთ მხოლოდ მონურად მორჩილი მიაჩნიათ კარგ მრჩეველებად, ერთგულადაც, პატივი შეავთ ისინი. მეტად ცუდ სამსახურს უწევენ ასეთი პირმოთნე მრჩეველნი თავიანთ ერს. მათთვის პირადი პატივმოყვარეობის მიღმა ყოველივე ამოა, არც სათნოება, არც კეთილი საქმე მათთვის არ არსებობს. თუ მეფე გასაჭირში აღმოჩნდა, სხვებზე უპირველეს ეს უკეთურნი განუდგებიან მას. ისევე რბევა ერისა. მე მგონი, მეჭურჭლეთ-უზუცესი მართალია, იქ მის შემწილ კარავში უკეთ წარმართავენ საქვეყნო საქმეს, კარგ სამსახურს გაუწევენ ერსაც, მეფესაც.

— გონიერ მეფესაც?

— მათთაც ხშირად მოსდით მძიმე შეცდომები!

— დარწმუნებული ხარ დადა, გვირგვინოსანთა შეზღუდვა, სიკეთეს რომ მოუტანს სახელმწიფოს?

— დარწმუნებული ვარ. გონიერი მეფე უმალ მიხვდება. რომ მას საქმეს უადვილებენ.

— და დაეთანხმოს მეჭურჭლეთ-უზუცესს, არა?

— დიახ!

— ნებაყოფლობით მეფე ამას არ დაეთანხმდება, მაშინ რა გზით სურს ყუთლუ-არსლანს ამის მიღწევა?

— ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. ფიქრობ, არც მეჭურჭლეთ-უზუცესს აქვს ის ბოლომდე

მოფიქრებული. ისე კი აჯობებდა ამის გაგება შენი მწვერავებისთვის დაგვიკისრებინა!

— მაშ გიორგი მეფეს საშიშროება არ მოელოს? — მცირე ხნით ჩაფიქრების შემდეგ შეუკითხა ჭიაბერი.

— გიორგი მეფეს არა! თვით ყუთლუ-არსლანიც ჯერ ვერაფერს გეტყვის. ჯერ მხოლოდ აზრია, აზრი კი არ ისჯება, ერისთავო!

— მერე შეიძლება გვიანდა იყოს!

— აკი გითხარით, ამის დასადგენად შენი მწვერავები დაასაქმე-მეთქი!

— რასაკვირველია. ეგებ ყუთლუ-არსლანი იმიტაც იყოს უქმაციფილო, რომ გიორგი მეფემ ამირსპასალარის კერძობი არ გადასცა მას ივანე ორბელის მარცხის შემდეგ, ეგებ ეს არის საბაბი მისი სწრაფთვის.

— არა, ერისთავო, ეგ აზრი მცდარია. თავის შეზღუდულება სახელმწიფოს შესახებ ბაკურის მონაფემ შევლადფერი ჯერ ისე გვლდათში მოიფიქრა. შეიძლება, განდგომილთა დამარცხების შემდეგ ამირსპასალარად გახდომის სურვილიც აღეძრა მას. მაგრამ მერე რა... მჭურჭლეთ-უზუტესს ქვეყნის საქმეთა კეთილად წარმართვა სურს, სხვა არაფერი!

ჭიაბერი ჩაფიქრდა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— აქ ბევრი რამ არის გასარკვევი. გიორგი მეფეს სათუო საუბარი არ უყვარს და მეც ამისთვის გადაუწყვიტე თავშეკავება. ამ აზრისაა ტფილისის ამირაც...

— ტფილისის ამირა? — წყნით იკითხა დადა.

— დახს! — უპასუხა ჭიაბერმა და ინანა ტფილისის ამირა რომ ახსენა, მაგრამ...

ჩატომ ნამოცდა ჭიაბერს ტფილისის ამირას სახელი? ჭიაბერმა იყოდა, ტფილისის ამირა რომ სძულდა დადს. ბოლო დროს ჭიაბერი ამირას ოჯახს დაუახლოვდა. ნუთუ მერყევი მოხუცი თავის ქსელში გააბა ჭიაბერმა და ყუთლუ-არსლანის წინააღმდეგ აამხედრა? აკი ტფილისის ამირას აქამდე ვერ მოუწვდებოდა მჭურჭლეთუზუტესს რომ ემორჩილება? უჩინად, ჭიაბერო! იმასაც ამბობენ, რომ ამირას ღამაში მეუღლე იზიდავსო მანავის ერისთავს... დადას დაუოკებელი სურვილი აღეძრა მეფის მწვერავთა უფროსი გამოუვლავებინა, დაეგეგმა და ამით სამაგიერო მიეზლო მისთვის, როგორც ჩვეოდა. ასედაც მოხდა. ის თვალეში ჩაამტვრდა ჭიაბერს და მკაფიოდ დაუმარცვლა.

— იცოდე ერისთავო, რომ ტფილისის ამირას არაფერი აკლია, ჭკუის გარდა. მისი რჩევა კარგ სამსახურს ვერ გაგინივს. ისე კი, უკეთესი იქნებოდა ამირას თავის ცოდისთვის მოვლა არ დაეკლო; იმ კვალეცმა ათაშანგი შეპყარა მოხუცს და ახლა ორივენი ფარულად მკურნალობენ ვილაც ექიმთან.

ჭიაბერი გაშეშდა, გაფითრდა და მოსრისა მტკიუნულად. ემაყოფილი დადა კი თვალს არ აცილებდა ჭიაბერს.

— კიდევ ერთი რჩევა მინდა მოგკეთე ერისთავო, — განაგრძო დადამ მაშინვე, — შეიძლება ზოგად რამ მეც არ მომწონდეს სახელმწიფოში არსებულ წესებიდან და მჭურჭლეთ-უზუტესს ვეთანხმებოდე, მაგრამ იცოდეთ, ვიდრე გიორგი ცოცხალია, მეფის უფლებათა შეზღუდვაზე ფიქრიც კი ზედმეტია. ეს საქმე მას არ ეხება!

— გიორგი მეფეს არ ეხება, მის ასულს?

— მის ასულს არ ვიცი შეეხება თუ არა. თუ ამის გაგების სურვილი აღგებრათ ერისთავო, ნაშინ სასაფლაოზე მომაკითხე და იქ მიიღებ საჭირო პასუხსაც.

— რომელ სასაფლაოზე შეუბნები, დადა, — იკითხა გაკვირებით, ძლივს გონს მოსულმა ჭიაბერმა.

— რასაკვირველია არა იმ სასაფლაოზე, რომელიც მეფეთა და მის სახლობათა საძვალედ არის მიჩნეული. მე აი იმ სასაფლაოზე გუბნები, გორაკზე რომ მოუწყვიათ ერისთავო, — და დადამ ხელი გაიშვირა ღელედან მარცხნივ, გზახვეულების ბოლოს, ორიოდ უტყვანით მოცილებული, ამოხურყულ გამწვანებულ გორაკისკენ, — რომ იცოდეს, რა ჭკიანი შესაფლავები არიან იქ მოყრილნი. მათ ზედმინუნით იციან რამდენი კაცია იქ მათა ფლავებული, მათ შორის რამდენი პირმოთენე, ავაზაკი, საკუთარი აზრის არმქონე, გონებით ჩლუნგი, რამდენი დაუნდობელი, ღვიძლ ძმათა გამყემო, შურიანი და რამდენიც სხვადასხვა ჯურის ტარტაროზები. მხოლოდ ერთს რაცხავენ ისინი პატიოსან კაცად და ისიც ამ სათვალავში არ შედის, მის გვაშს ცოტად მოგვიანოდ აათრევენ იქ. ჩემთვის ვიტოვებ პატიოსანთა შორის ადგილს, — ცოტათი სული მოითქვა დადამ და წყნარად განაგრძო:

— მგონი ყველაფერი გითხარით, ახლა კი მორჩილად გთხოვ ხელს ნუ მიშლი ღორჯოების ჭქრამი, თორემ ციხე-დარბაზის უზუტესმა იცის, რომ ღელეზე ვარ და დღეს ჩემთვის მზარულს კერძს არ დაამზადებინებს, შიმშილი მომელის უთუოდ!

დადა ნამოდგა, ჭიაბერს მოუახლოვდა და თითქმის ყურში ნასწურულად:

— რად არ გინდათ, რომ გაიგოთ ერისთავო, სიკვდილს ვებრძვი, სიკვდილს. სიცოცხლის დღენი დათვლილი მაქვს. დარჩენილ საქმეთ როდის მიზეზად, როდისღა ვფიქრო მათზე, თუ თქვენთან უნაყოფო საუბარს შევალე ამდენი ხანი.

დადა მაშინვე მოცილდა ჭიაბერს და ბადე ღელეში ჩასძირა.

ჭიაბური უსიტყვოდ გამორდა იქაურობას. გზად მიმავალმა თავისთვის გაიფიქრა:

უკურნავ სენით შეყვარობილი, ღვთისგან განსჯილი, კაცთმოძულეა, მას მთელი ქვეყანა სძაგს.

დადამ თვალი გააყოლა მიმავალ ჭიაბურს და თავისთვის წაილაპარაკა:

— რა წარმოსადგეი ვაჯაცია მანავის ერისთავი, რამდენი ვეცადე, მაგრამ მაინც ვერაფერი შევაგუნებინო!

ბოლო დროს გელათიდან ცნობა მოვიდა, ბაკურის ცოტათი მომჯობინებაც კი მეტ დროს ითხოვსო, გიორგი მესამე ალბათ გეგუთში ამდენს ვერ მოიცდისო. მეფე ამის გამო ცოტათი უგუნებოთ შეიქნა. მან გელათიდან შანშე იხმო სასახლეში. რაც გელათს ჩამოვიდა შანშე, თავის სულიერ მამას არ ცოდვებოდა ქსენონში. მეორე დღეს, როცა შანშე გიორგის შეხვდა გვეუთის სასახლეში, გადაღლილი ექვენა მეფე.

— გზად დაიქანცე ალბათ, გიორგი!

— არა, ათ დღეზე მეტია, რაც აქა ვარ, არაფერს ვაკეთებ, რაც მეტს ვისვენებ, უფრო მეტ სისუსტეს ვგრძობ, შანშე! ისეც მუშაობა ჯობს დასვენებას. მინდოდა ვარციხისა და აჯამეთის მუხნარში მომენადირებინა, მაგრამ გუშინ რაჭის ერისთავთ-ერისთავი გვესტუმრა და თაკურის ხეობაში მიმინვია სანადიროდ. მეც თანხმობა მივეცე.

— კარგი გქვია. ეტყობა კახაბერს უზრუნია თავის მეფისთვის.

— ასე ვაფიქრებ, — გიორგი ჩაფიქრდა, — მწელია ასე ცხოვრება, ისეთი გუნება მაქვს, თითქოს ალარაჲის ვჭირდები...

— ასი წელი რომ იცხოვრო გიორგი, არა მგონია შენი ქვეყნისთვის საჭირო არ იქნე.

— არ ვიცი, შეიძლება. მაგრამ სამოც წელს გადასულ, ჯანში მოტეხილ კაცისათვის დარჩენილი ცხოვრების გზა სიკვდილის მოლოდინია. თუ ზოგჯერ სხვაინარად ვფიქრობთ, თავს ვიტყუებთ მხოლოდ.

შანშემ არაფერი უპასუხა და გულმოდგინედ ჩააცქერდა გიორგის. ძღვეამოსილი მეფე სრულიად არ ჰგავდა იმ გიორგის, რომელსაც ოციოდე წლის წინათ შეხვდა ისინი სასახლეში საქმეებში გართულს და ესაუბრა.

— მოხუცს ვერ ვცილდები, თვითონ სურს ასე, შენს აქ ყოფნაში თავს უკეთ ვგრძნობო, მითხრა გუშინ, თორემ მეც გამოგყვებოდი ლეჩხუმში, ბავშვობისას გატარებულ ადგილებს მოვინახულებდა.

— კარგი იქნებოდა. როგორ ფიქრობ შანშე, ერთი თვე თუ გავეძლი კიდევ აქ, მოხუცი თუ მოკეთდება ამ დროისთვის, რომ რჩევა-დარიგებები მომცეს!

— არა მგონია!

— მეჭურჭლეთ-უხუცესი წაღწაღებინა მოლუბის შეკეთებას ამთავრებს უახლოეს დღეებში, როგორც თვით გადმოცეა, მეც ამ დროისთვის ამოვალ გელათს, მოხუცსაც ვინახულებ, გაეხარდება.

— უთქოდა. გუშინ ყუთლუ-არსლანი ამოვიდა ქსენონს. მამა ბაკურს ძალიან გაეხარდა, მაგრამ სულ მცირე საუბრის შემდეგ მოხუცს ჩაქმინა...

— მე რომ გვეუთს ვარ, იცის ალბათ მოხუცმა!

— იცის. ნუხს, ავადმყოფობით დაუძლურებულს გვეუთს ამოსულა არ შეუძლია. იმედი აქვს გიორგი მეფე ისე არ დაბრუნდება ტფილისს, აუცილებლად მომინახულებსო.

— ასედაც იქნება. ხვალ რაჭაში წავალთ. სამიოდე დღე თუ დავრჩები აქ. როგორც კი ჩამოვალ, გელათს ამოვალ პაპისა და მამის სამძალეთ მოვინახულებ. მოძღვართ-მოძღვარს მინდა ვთხოვო პარაკლისის გადახდა. დიდმა პაპამ ხომ უნდა იგრძნოს შეიღობილის ჩამოსვლა, — და გიორგიმ ოდნავ გაიღიმა...

საარაკო ნადიში გაუმართა კახაბრისძემ თავის მეფეს და მასთან ჩამოსულთ, რაჭის აულუბელ ციხე-სიმაგრე მინდას მიდამოებში. ნადირობის მეორე დღეს გამართულ ერისთავის სულერას არ აკლდა ნანადირევი, უღვევი იყო ზიარების ღვინო (ასე ეძახდა გიორგი მეფე რაჭის განთქმულ ალექსანდროულს).

ღია ცის ქვეშ გამოიღო ერისთავის სულერას ემსახურებოდნენ უმწვენიერესი ბანოვანნი სპერისთაოსი. აქ თავმოყრილ ვარსკვლავთა შორის პირდაპირ მთავრესავით გამოირჩეოდა ერთი მორჩილი ტანის დიაცი. გიორგი მეფეს როდი გამოუპარა ესოდენ წარმტყცი ანგელოზი. არც კეკელუც დარჩენია შეუმჩნეველი მეფის გამჭოლი მზურა. მეფის ყურადღების მიპყრობით უსაზღვრო იყო სიხარული დიაციასა. როცა კახაბერისძემ თავის პაპის აზარფეშით შესვა გიორგი მეფის სადღეგრძელო, მთელ შემოგარენს მოედო წვეულთა მძღავრი შეძახილი — დღესვიანი იყოს შეიძამათავროთა მეფეთ-მეფე საქართველოსი და მას სულერის ბოლოს მოყვა მრავალფაშიერ...

მეფეს თვალს ვერ მოუწყვეტია უსაჩინოეს ასულისთვის. ვიღაც ახალგაზრდა კაც მიუახლოვდა მას და საუბარი გაუბა. გიორგი დააკურდა, იცნო, გუშინ ნადირობისას ტახტი რომ მიუღღვანა მას. გაიხსენა: დაჭრილი ტახტი როგორ იბრძოდა, ბასრი ეშვებით ეშუქრებოდა მონადირეს, მივაძახე, რად ამ კლავ მეტეტი. მიპასუხა, — მიყვარს მძვინვარე მხეცთან შერკინებაო და მაშინვე შუბი ტყორცუნა მოახლოებულს. ტახტი იქვე ჩაიკეცა. ყმანვილი მომიბრუნდა და მითხრა, ასე დაეცნენ

თქვენ მტრები დიდო მეფეო მომწონა კერ-
თხული დედის ნაშობი ვაკაკიო.

მეფე მის გვერდით მჯდომ ცხოვრის ერისთა-
ვისკენ მიბრუნდა:

— ოთალო, ხომ არ იცი, ვინ არის ის ასუ-
ლი, ასე გულმოდგინედ რომ ემსახურება
ერისთავის სუფრას?

— გაგონილი მაქვს გიორგი, აქაური აზნა-
ურის მეუღლეა, კახაბერის ხარჭაა თურმე.

— მშვენიერი დიაკია. როგორც ეტყობა,
ხანდაზმულ ერისთავს კიდევ შერჩენია გამოჯ-
ნურების უნარი!

— ეგ დიაკი ასი წლის კაცს აუთამაშებს,
გულს, მაგრამ...

— რა მაგრამ, ოთალო! — დაასწრო გიორ-
გიმ.

— ერთი ნაკლი რომ არა პქონდეს, თავისი
ემხით შორს გაითქვამდა სახელს.

— რა ნაკლი შეამჩნიე, ოთალო!

— ცოტათი მოიკოტლეებს, გიორგი!

— მართლა? ისე გამოიტყავა ხატებამ, ვერ
შეინძნე, — თქვა აღტაცებით გიორგიმ.

— ანგულოზის სახე წრდილავე აუველივე
ნაკლს უთუოდ!

იქვე გიორგის მარჯვნივ მჯდომ დადას ქა-
მა მიეტკობინა და უურადლებით უსმენდა
აზნაურის დიაკზე საუბარს, მათ გასაგონად
ჩაიდპარაკა:

— ავბორკობით დაავადებულნი ტყვედ-
ქმნილი ხდებიან დიაკისა, უმეტეს მიხრწნე-
ლების გამს გადამდგარნი. გვეფთოში თირკმ-
ლების მზურვალება მოიშველია ერისთავმა.
რისი მზურვალეავე ანუხებს მას. იქ მოგახ-
სენეთ.

— დადა, შენ აროდეს გზობლავდენ ლამა-
ზი დიაკები? — ოდნავ დიმილით ჩაუტყრა
ოთალომ.

— რატომაც არა, მაგრამ თქვენ რომ მო-
გენონათ ამ სუფრანზე, ისეთი აროდეს, ბატო-
ნი ერისთავო!

— რათა?

— შედმეტად მოპირკეთებულია ფერ-უშარი.
ლიო!

დადას უკანასკნელ სიტყვებს ყური მოჰკრა
გიორგი მეფემ.

— შენ არაფერი არ გამოიგებარება დადა.
— და თავის აღზრდილს გადახედა.

— მეფეს ისეთი ხუმრობა რამი სჭირია,
თუ მან ყოველივე არ იცის, გიორგი მეფე.

— ოდნავ გესწარევიე დიმილით უკანსუხა და-
დამ, რომელსაც აქამდე ვერ მოვხელებინა,
რატვის ერისთავმა მეფის ხუბ რა რომ შეარ-
ქვა მაშინ.

— დამშვიდო დადა!

— სრულიად მშვიდად ვერძობ თავს, გი-
ორგი მეფე. შოგჯერ მომწონს კიდევ, როცა
კახაბერის მსგავსნი ერისთავები მიღწიან-

ბენ, როგორც დამშვეულ ძაღლს გამოხრული
ძვლით, ეს მეტ ძალას მზატებს მათ ღირსე-
ულად გასაქორდავად...

სწორედ ამ დროს გიორგი მეფეს კახაბერი
მაუახლოვდა და უთხრა:

— ნეულებთა გავრეულდა ხომ არ დაილა-
ლეთ, ბატონო მეფე?

გიორგიმ ისარგებლა ერისთავის ასეთი ყუ-
რადლებით და ნამოღდა.

— უთუოდ ერისთავო, — და სუფრა და-
ტოვა.

...გიორგიმ და ოთალომ იმ საღამოს გვი-
ნობამდე იხეტიალეს ნინდას ციხის მიდამო-
ებში გაიხსენეს ყმანიელობის წლება, პინტოს
ზღვის სანაპიროებზე გატარებული; მოიგო-
ნეს როგორ იჭერდნენ ზღვაზე გასული უგე-
მრიულეს კეთილს მზებზე გამხმარ ქილისაგან
ნაქსოვ დიდი ქილობებით. როდესაც აყაროებ
გამობმული ქილობი ორიოდ გოჯით
წყლის სიღრმეში ჩაიძირებოდა, მთავრის შე-
ქის ანარცელზე ზღვიდან ქილობზე ხტებოდ-
ნენ თევზები, ჩვეცნ ნაფში ვყარადით და ვნა-
ტრობით მთავარიან ღამებზე...

გვიან, შუაღამე გადასულიყო, როცა გიო-
რგი და ოთალო მათთვის დასასვენებლად
განკოტონილ ადგილას დაბრუნდნენ.

მეფემ დიობანს არ ასურვა თავკერისა და
რატვის საერისთაოში დაჩენა და მეროთხე
დღეს გვეფთო გამოუტყნავა.

რატვად დაბრუნებული გიორგი მგზავრო-
ბით ვალაზული გამოიყურებოდა. გვეფთოს
სახახლეში მას დაუხედა არგვეთის ერისთა-
ვი შიფელი დღე მოანდომა მეფემ არგვეთის
სიერისთაოში მოსანსწრივებულ საქმეთა ვარ-
კვეთს და საქროო მიითთებებიც მისცა ერის-
თავს.

ველათის წინამძღვართ-წინამძღვარი სამ-
შაბათს ელადა მეტის ჩამოსვლას. შანშეს წი-
ნანსარ ჰყავდა გაფრთხილებული მამა ბაკუ-
რი, რომ გიორგი მეფე მის სანახავად ამ
დღეებში ამოვიდოდა ქსენოსს. ქსენონიც ემ-
ზადებოდა მეფის დასახვედრად.

სამშაბათს, დილაადრიანად მეფე ქუთათო-
ხის ერისთავი ერისთავის თანხლებით გვეფ-
თოდან ველათს გაემგზავრა.

მეფე ჩაფიქრებული აჯდა ნებაზე მიშვებულ
თავის ბედაურზე. ველათის აკადემიის კედელ-
თან შიახლოვებულთ, შესახვედრად ნამოსული
მეჭურჭლეთ-უხუცესი შემოვივებათ. კიდევ რა-
მდღემზე ნაბიჯი ქვეითი მოკირწყალულ აღ-
მართისა გაიარეს და ახლად აღდგენილ წყა-
როს მიადგნენ.

— რა უხვად მოეფინება ეგ ლეთის ნაკუ-
რთბი, — თქვა გიორგიმ და იქვე ჩეროში
მსხდარ მუშაობით დადლილ რატატებს გა-
დახედა, სასაუბროდ რომ დამსხდარიყვნენ.

ცხენებიდან ჩამოხტნენ. აქვე წყაროსთან

დაუბნებელი მეფის შანშე და დადა, რომელიც ადრე ამოსულყო გელათს. წყაროს საბუნებრივი დასახლებურა მეფემ, წარვამოსისს კაცების რატიტობის უკო და იქვე უჩველეს ცაცხვის ქვეშ კუნძუზე ჩამოყვია. ცოტათი შეისფრა და მიწოდებულ წყაროს ცივი წყალი შესია.

— დადა ცხოვრებას ჩახედული კაცია, მართლაც რა შეეძრება ამ ქვეყნად წყაროს ცივი წყალს, — თქვა მეფემ და დადას გადახედა.

სასაბრუნეს... მეფის ყურადღება მიიპყრო მისგან ახლო, დაფურსულ პანტას ქვეშ ჩრდილს შეფარებულ ბერმა, რომელსაც ჭაბუკი ახლდა თან. მათ მოკრძალებული საგზალი გაუშალათ, ვით და პურს შეეცუოდნენ. ქაბუკმა წყაროს წყლით სავეთავი მოხსნილი გუდა იქვე მიბმულ უნაგირ მოხდილ ჯორის წინ ჩამოკიდა ხის ტოტზე.

— სასიამოვნოა წყაროსთან დასვენება მგზავრობათ გადადღის შემდეგ, — მიმართა გიორგიმ წყლის დასაღვეად წყაროსთან მოსულ ბერს. ბერმა პასუხი არ გაცა. სმენა თუ აკლიო, ვაიფიქრა გიორგიმ და ხმაშალდა გაუმეორა ნათქვამი. ბერი კვლავ სდუმდა და დანაღვლიანებული თვალუბით შესცქეროდა მეფეს.

— ნამდვილად ყრუა და მუნჯი საბრალე ბერი, — თქვა ყუთლუ-არსლანმა. ბერმა წყაროსკენ გაიშვირა ხელი, შემდეგ ზეცისკენ აღაპყრო და პირჯვარი გადაისახა.

— ალბათ ბერი ღმერთს მაღლობას წირავს ასეთი წყალობისათვის, — ჩაილაპარაკა შანშემ.

ყუდიანი ბერს მისწერებოდნენ. მან რაღაც ანიშნა ხელით გვერდით მუგარ ქაბუკს.

— მამა ეხოფანეს ღამბარაკი აქვს აკრძალული ბატონო, — თქვა ქაბუკმა.

- აკრძალული?
- დიას, ბატონო!
- ვინ აკრძალა შეილო, — შეეცითხა გიორგი.

— წელი მონასტრის იღუმენმა, ბატონო!

— რა დაშედა ასეთი? ქაბუკმა ისევ ბერს გადახედა, მან თავი დაუქნია, ნება მისცა სასჯელის მიზეზი მოეხსენებინა მათთვის.

— მონასტერში ქურების რტხვის დროს ღვინო მოგზარა ეპიფანეს, ზომავზე მეტი დაეღია და მწუხრის ღოცვის ვერ დაესწრო. იღუმენმა კაცი ვაგზავნა ამბავის შესატყობად. მამა ეხოფანე ღვინომოძალეული თავის სენაკში იხოვეს მძინარე.

- ამისთვის აკრძალეს მთელი თვით ღამბარაკი?
- დიას, ბატონო!
- ახლა სად მიემგზავრები?

— გელათში მოვედით, ბატონო! მამა ეპიფანეს უფროსი ძმა არის აქ დაყუდებული და მასთან გამომგზავნა იღუმენმა მონასტრის ძმების ცხოვრით რაღაც საქმეებზე...

ქსენონისკენ მხლებლებით მიმავალმა მეფემ გელათის ღვთისმშობლის ეკლესია მარჯვნივ ჩამოიტოვა და ისევ აღმართს შეუდგნენ. გიორგის თვალწინ წარმოუდგა ძალთ ჩარუმებული ბერის დამფრთხალი სახე, ჭემ-მარიტად შეეცოდა ის, მაგრამ როცა გაახსენდა, თუ რისთვის დაისახა, სიცილი ვერ შეიკავა.

— როგორ ნამწარდა ღვინო ღვთის მოსავ ბერს!

— სამონასტრო ძმებისთვის დაკანონებული ნებები მეტად შეაცრია, მაგრამ ზოგი მათგანის გამოყენება საერო საქმეში, სასარგებლო იქნებოდა მეფეო, — თქვა მეჭურჭლეთ-უხუცესმა.

— ერისთავი მართალს ამბობს. გიორგი მეფემ! ერთხელ გამოთრობისათვის მთელი თვით დამუნჯება მანავის საერისთაოში რომ შემოიღო, ალბათ იქ მცხოვრებთა ნახევარზე მეტი მუნჯებად იყლიდნენ თვეობით და მანავის კურთხეული ღვინოც საკმაოდ გვეძნებოდა.

— დადამ თუ ვინმეს კბილი დაადგა, ჩემს მტერს ბატონებო, ძირფესვიანად ამოძრკვას უთოოდ.

— კოდეე კარგი ჭიაბერი რომ აქ არ ბრძანდება, თორემ ვერ მოითმენდა თავის საერისთოს აუგად ხსენებას და ცუდი დღე დაგადგებოდა, დადა, — ღმობლით უთხრა შანშემ. ამ საუბარში ქსენონსაც მიუახლოდნენ.

მეჭურჭლეთ-უხუცესი და დადა ქსენონის ეწონა დარჩნენ. შანშე მეფეს ქსენონში შეუძღვა.

მეფემ მთელი ქსენონი დაათვალიერა. აგად-მყოფებს ესაუბრა. ბუერს დახმარება აღუთქვა. უპატრონო სწეულთათვის სახსრები გაიღო და ბრძანა მათზე მეტი მეთვალყურეობის განწევა. ბოლოს ბაკურთან შევიდა.

აგადმყოფობით დაჩაივებული მამა ბაკური საწოლედან წამოიწია და ცრემლმორეული მოხუცი მამაშვილურად მიესალმა თავის მფარველ მეფეს.

— ქსენონის მკურნალები გვაპრდებიან თქვენს მალე გამოჯანმრთელებას, მამაო ბაკური!

მოხუცმა ნუხილი გამოთქვა, თვით რომ ვერ ეახლა მეფეს გვეუთის სასახლეში.

— გიორგი მეფე დიდად კმაყოფილია იმით, რომ თქვენ შოინონეთ სასახლის დარბაზში და ქვეყნის ცხოვრებაში ბოლოს მომხდარი ცვლილებები, — თქვა შანშემ.

— ეპიფანე კარგად შეგირვეთა, შეილო. ხუთი დიდი ეპიფანედან სამის მოვალეობა

ქვეყნის წინაშე ღირსეულ და სანდო მდაბიო-
თათვის გადაგიცია, მტკიცე საყრდენი ძალაა
უთუოდ, შვილო, — მკაფიოდ და შესვენებით
წარმოთქვა მოხუცმა. ეტყობოდა ლაპარაკი
უჭირდა, ძნელად სუნთქავდა. მან სანოლზე
წამოწევა მოინდომა შანშეს დახმარებით. ცო-
ტათი შეისვენა, სული მორთქვა და ვაზირთა
უპირველესი ანტონ ტყონდიდელი მოიკითხა.

— ანტონმა სიკეთე გისურვათ, ნუხს იქვე-
ნი ავადმყოფობით!

— მადლობა ბრძენ კაცს, წმინდა გიორგი
იყოს მისი შემწეაღ. — მცირე უყუარების
შემდეგ ძალამოკრეფილმა განაგრძო, — ნუ
შეობტავთ ვაზირთა მოქმედებას, უკეთ მოემ-
სახურებიან ერსაც და მეფესაც. აზრი თავი-
სუფლად უნდა სუნთქავდეს, შვილო გიორგი.
ძლიერ სახელმწიფოს დამონავებული აზრი
არ ესაჭიროება, ასე გვასწავლიან ბრძენი
ადამიანები. ბოროტ საქმეთა აღკვეთას ესწ-
რაფოდ სახელმწიფოში, შვილო! სიკეთეა არ-
სი ყოველთა, შთამომავლობა მის სიმამხინჯეს
ვერ ითმენს. სიკეთე დაუსახებთ ვაზირთა
სწრაფვას მიზნად, სიკეთე ადამიანის ჩვეუ-
ლებად უნდა იქცეს შვილო.

— თქვენ რომ გვასწავლით ისეთი სახელმ-
წიფო ზღაპარია, აუხდენელი სიზმარია მხო-
ლოდ, მამა ბაკური, — თქვა გიორგიმ.

— კაცობრიობამ თავისი ცხოვრება ზღაპ-
რებისა და მითების შექმნაში გაატარა შვი-
ლო. დღემდე ვებლაუტებით უკეთესის აღმო-
ჩენას.

— ყუთლუ-არსლანიც უფრო სრულყოფილი
სახელმწიფოს შექმნისაკენ სწრაფვის, მამაო
ბაკური, — თქვა გიორგიმ.

— ყუთლუ-არსლანი აზრის ტყვეა, მაგრამ
გულს სითბოც არ აკლავ, კეთილის მამიებელ
მეყვანება, შვილო!

მამა ბაკური მოქანდაკა. თავი მძიმედ გაის-
წორა სასთუმალზე და ჩაეძინა.

გიორგიმ და შანშემ ფეხაკრებით დატოვეს
ბაკურის ოთახი. ქსენონის ეზოში მათ უცდი-
დნენ ყუთლუ-არსლანი და დადა. აქვე იყო
ქუთაისის გამრიგებ-ხელისუფალი, ერისთავთ-
ერისთავი სალარისძე, რომელიც მოგვიანათ
ამოსულდყო ქსენონს.

— მამ ერთმმართველი მეფისა და მისი
ვაზირების მიზანი ერის კეთილდღეობისაკენ
სწრაფვა უნდა იყოს მუდამივამ, — ასე თქვა
მოხუცმა, არა შანშე?

— დიახ, მეფეო!

— რა არის ამისთვის საჭირო ვაზირო? —
ახლა ყუთლუ-არსლანს შეეკითხა გიორგი.

— სწორად განეჭვრიტოთ ერის ტკივილები,
გულთი შევიგრძნოთ რაც მათ აწუხებთ და
შეძლებით მიუზღოთ მათ კეთილი, მეფეო!

მეფემ პასუხი არ გასცა თავის ვაზირს და
იქვე, ქსენონის ეზოს დასავლეთით ასიოდე

ბიჯით მოცილებულ ამალელებში გაიქცა
კენ გაემართა. აქედან რაგორც ხელის გულ-
ზე მოჩანდა მთელი გელათი და მისი გარე-
ნი.

— გულის დასწეულებისა არ გეშინიათ,
ერისთავო, სანამ მიზანს მიადრეკდეთ, —
დააარღვია ჩამოფარდნილი სიმუშე დადა.

— მერე რა მოხდა, დასწეულეს ერის სა-
ნაცვლოდ, დადა, — თქვა შანშემ.

— არაფერი. მე ის მინდა გავიგო შანშე,
ვის როგორ ესმის ეს სიკეთე და ბირატიდ
ხომ არ გამოიყენებენ ზოგნი მინიჭებულ
თავისუფლებას, ხალხის სახელს ამოფარებუ-
ლნი.

— აგვისნას დადამ რასაც ფიქრობს, რა
აზრისაა, — თქვა ყუთლუ-არსლანმა.

— არ დაგაფრებებ პასუხის ვაცემას, ერის-
თავო. ბევრი აუხსნიათ ჩემთვის თავის დრო-
ზე, მეც საკმაოდ მიდიქრია, უბრალოდ გეტ-
ყვით. ხალხი ამ ქვეყნად სათვალავად არის
მოვლენილი, რაოდენობაა ბატონებო მხო-
ლოდ. კურდღლებივით მრავლდებიან თავიანთ
ძონებში შეძმურადნი და საძირის ძიებაში
ძვრებათ სული!

— სხვა არაფერი? — თქვა ყუთლუ-არსლან-
მა. ეტყობოდა მოუთმენლობა დამტყუო დინჯ
კაცს.

— რატომაც არა, სხვაც არის საჭირო. სა-
ძირის ძიებაში უნდა დაეხმაროთ მათ. ური-
გო როდი იქნებოდა მხოლოდ, თავიანთი დღე-
სასწაულებზე სასიერო ხანაზაობასაც თუ
მოუნყობთ, თუნდაც, ვთქვათ მარულას, უაგ-
ლაგა ცხენებით, მოზაგალ დღესასწაულამდე
რომ ცერთ ხალაპარაკოდ. აი, როგორ მეს-
მის მათთვის სიკეთისაკენ სწრაფვა, ბატონო
ერისთავო! პურისა და სანახაობის ღირებუ-
ლება კი ვეღვაზე უკეთ რომივლებს ესმო-
დათ...

— დაუშვათ ასე. ერთმმართველი მეფე ხომ
შეიძლება შეცდეს საშუალებების ძიებაში.
ბრძენი ადამიანებიც ცდებიან ზოგჯერ, —
თქვა შანშემ და შეტყუარული-უზუცესი გადა-
ხედა.

— მეფეს ამისთვის ღირსეული ვაზირები
ჰყავს მრჩეულებად შერჩეული და მათი თანა-
დგომით ადგენს ყოველივეს, — ჩაურთო ქუ-
თათისის ერისთავმა.

ყუთლუ-არსლანს როდი გამოეპარა, შანშეს
ნათქვამი მისკენ რომ იყო გამიზნული, მაგ-
რამ თავი შეიკავა ამჯერად და მხოლოდ ეს
თქვა:

— ხალხს თავისი აზრი და თავისი ტკივი-
ლები გააჩნია უთუოდ!

— როგორ არა, აკი მოგახსენეთ რაც მას
გააჩნია. რად გაეინყებებთ, რომ დიდი აზრი
რჩეულთ ხვედრია მხოლოდ, ხოლო მმართველთ

ველნი ამა ქვეყნისა როგორ იყენებენ შათ. ეს სხვა საკითხია.

— არა ჰგონია ასე რომ იყოს, დედა, — ჩაურთო ქუთათისის ერისთავმა.

— ამით ჩემს აზრს არაფერი დააკლებია ერისთავო! აი, თურღაც ჩვენი გიორგი მეფე შენუხდა, ნიაღვრამა გელათში წყალსადენის მიღები რომ ჩახერგა. გელათის მამებს გაუძნელდათ წყლის ამოტანა შორი მანძილიდან. დიდი ვაზირიც კი დასაქმა მის აღსაფრენად. ეს ხომ სწრაფება სიკეთისაჲენ? მე სხვა არაფერი მოტიკამს, — თქვა დაბადი.

სწორედ ამ დროს გიორგი მესამე ბორცვადან დაეშვა და გელათისაკენ დაადგა გზას. ლაპარაკი შეწყდა და ხელეანი მუდს მიჰყენენ...

მეფემ შაჰისა და შაჰის საქალე მოინახულა უბირველეს. შემდეგ ნინამძღვართ-ნინამძღვართ ეწვია. იმ დღეს გელათში დაჩრდნენ. მეორე დღეს ნინამძღვართ-ნინამძღვარი შეუძლოდ გახდა მეფის სპატივემულოდ ბაგრატიოს ტახტიდან თავის შროველი. ამოსულ ეპისკოპოსს შაჰისა და შაჰის პარაკლისის გადახდა იხოვა. მონასტრის უხუცეს ბერებსაც ესაუბრა მეფე, დასაბუქრა. დიდი შაჰის სიძულეს უკეთ მოეღა იხოვა შათ და გეტუთს გაემგზავრა...

გიორგი მესამე ხელმოკარული შაინც არ დაბრუნებულა გელათიდან. მართალია, ბაკურთან შეხვედრა ხანმოკლე გამოდგა, მაგრამ მეფე კმაყოფილი დარჩა, შარბუც მადლიერი იყო გიორგი მეფის ქსენონში ამოსვლით, სწორედ იმ დროს, როცა კეთილ საქმეთა ჩამგონებულ შაჰა ბაკურის ცხოვრების დღენი მოთვლით ეგონა და მეფესთან ეს შეხვედრა — უკანასკნელი...

მეორე დღეს, როცა მეფე საუბრის შემდეგ სასახლის ბაღში აპირებდა ვასელას დასასვენებლად, სახლთუხუცესმა მოახსენა:

— ტფილისიდან რუსუდანი დედოფლის წარმოგზავნილი მხედარი გვახლათ მეფეო და თქვენს ნინაზე ნადგომას იხოვლობს.

— შემოუშვით, — თქვა გიორგიმ და როგორც სასახლეში იყო დადგინილი, მისაღებოთათში გავიდა. გიორგი მეფემ ოთალო შარვაშიძეც თან იახლა. დადაც მიჰყვა, რომელიც უკანასკნელ ხანს მეფეს კვალდაკვალ დაჰყვებოდა, არ ცლადებოდა.

დარბაზში შემოიყვანეს რუსუდანი დედოფლის წარმოგზავნილი. შიკრიკმა იქვე კარებთან დაიჩოქა მეფის ნინაზე.

— როდის დატოვე ტფილისი, ვაჰაკაო!

— ნუხელ ღამით მეფეო!

— ყოჩაღ, დიდი მანძილი ასე მალე გამოგივლია. გეტყობა შესაფერისი ბედაური მოგაქროლებდა. თუ რუსუდანი დედოფალი კე-

თილს გვაუწყებს, კარგ მასობრებულად შევედრებით აქ სასახლეში მხედარო!

— რუსუდანი დედოფლის დავალებით მეფეო, — თქვა მხედარმა და იქვე მის გვერდით მდგარ სახლთუხუცესს გადასცა ეტრატის ვრანდილი სამეფო ბეჭდით.

გიორგი მესამეს გულში უგრძობო ცუდი ამბავის მისუწყებელი. სახლთუხუცესის მონადებული ვრანდილი გაშალა, გადაიკითხა...

რუსუდანი მას ატყობინებდა ბურდუხან დედოფლის გარდაცვალებას. გიორგიმ ვრანდილი იქვე ჩამოადგა, სიტყვაც არ დაუძრავს, კრიჭა შეეკრა, ცუდად შეიქნა. მეფე თავის დასასვენებელ ოთახში გაიყვანეს. იქვე მაგიდაზე დატოვებული ეტრატი გადაიკითხა სახლთუხუცესმა. მთელი გვეგუთი შეიძრა. სასახლის ექიმს უხმეს მამოწვე. იმ დღეს სასახლეში სასაფილო სუფრაც არ გაშლიდა.

შეიბრებულზე გიორგი მესამე სასახლის ეკლესიის მწუხრის ზარების ჩვეულებრივებზე მტად გამომდებულმა ხმებმა გამოაფხიზლეს. მეფე ეკლესიისაკენ გაემართა. კიბის საფეხურებზე ჩამოსვლისას ძალამ უმტყუნა მუხლებში, ნაიბორძიკა, და დაბა იქვე რომ არ ყოფილიყო, დაუნარცხებოდა უთუოდ. რამოდენიმე საათში ღრმა მოხუც დაემსგავსა ნელში მოხრილი მეფე.

ესოს მოძღვარი გარდაცვლილ ბურდუხან დედოფლის სუფრებზედ ღოცვას კითხულობდა. დაამთავრა თუ არა, კანკელის წინ მდგარ მეფესთან მივიდა, პირვეარი გადასახა. მეფე უმთხვია მოძღვრის მიწოდებულ მაცხოვრის ჯვარს და უსიტყვოდ ეკლესიიდან გავიდა.

სასახლეში მეფემ სახლთუხუცესი იხმო და უბრძანა: სასახლის დიდ ბუბრიან დარბაზში მოემწეო მექურჭლეთუხუცესი, ჩუხჩარხი, ჭიბაბერი და სასახლეში მყოფი ერისთავთ-ერისთავნი.

გვიან, საღამოთი დარბაზს შეკრებილთ გიორგი მესამემ აღწყა დედოფალ ბურდუხანის მიცვალება, მეფე ამჟამად დამშვიდებული ჩანდა.

— ბატონებო, — მიმართა გიორგი მესამემ ნეველთ, — დღესვე გვიან ღამით უნდა დაეტოვო გეტუთი. ჭიბაბერი ახლაც შეუდგეს ტფილისს გასამგზავრებლად საჭირო მზადებას. მექურჭლეთუხუცესი და ჩუხჩარხი გეტუთს დარჩებიან და დედოფლის ცხედრის გელათის გადამოსვენებას დასაყრძალავად, აქ შეხვედებიან.

მეფეს ურჩიეს მეორე დღეს დილით ადრე გამგზავრებულყო, მაგრამ მისი გადაწყვეტილება ურყევი იყო.

გვიან ღამით, გიორგი მესამემ, ჭიბაბურისა და ცხუმის ერისთავის თანხლებით, თავისი საყვარელი გეტუთის სასახლე დასტოვა.

ილიან პოლუხანაშვილი

ფ ა უ ს ტ ი

მეზობლის სახლი

მ ა რ თ ა

(მარტო)

შენ შეეწიე ჩემს საწყალ ქმარს, ღმერთო მალალო,
თუმც უპატრონოდ მიატოვა ცოლი საბრალო!
ის ქვეყანაზე უგზო-უკელოდ დაძრწის და მე კი,
მის მოლოდინში აი ასე ქერივ-ობრად ვჰქენები.
ჩემგან მას წყენა არ ჰქონია, მოწმეა ღმერთი;
თან როგორ გულით მიყვარდა და ჰატივსა ვცემდი.

(ტირის.)

ვინ იცის, იქნებ დღეს ცოცხალი აღარც კი არის.
სიკვდილის ცნობა მაინც მქონდეს იმ საცოდავის.
შემოდის მ ა რ გ ა რ ი ტ ა.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

დვიდა მართა!

მ ა რ თ ა

ჩემო გრეთქენ, რა იყო, მითხარ.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

შიშისგან ისე მაკანკალებს, სულს ძლივსღა ვითქვამ;
სწორედ ახლახან გამოვალე კარადის კარი
და იქ ამ კობტა შავი ხის ყუთს მოვკარი თვალი.
სამკაულებით სავსე არის, როგორც პირველი,
თუმც უფრო მეტად ძვირფასით და გასაკვირველით.

მ ა რ თ ა

ოღონდ იცოდე, დედაშენთან რამე არა თქვა,
თორემ მაგასაც აიღებს და ხუცესს გაატანს.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

მოდით და აბა თქვენი თვალით დახედეთ ერთი!

მ ა რ თ ა

(რთავს მარგარიტას სამაჯულებით)

ჩემო გრეთელკენ, მართლაც ბედი გქონია, ბედი!

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ეს კია, რომ ვერ გამოჩნდები სხვების წინაშე
და ვერც წირვაზე წახვალ ალბათ ეკლესიაში.

მ ა რ თ ა

შენც აიღე და, როგორც კი შინ მორჩები საქმეს,
აქ მოდი ხოლმე. ჟერ ეგ ყუთიც დამალე აქვე.
ამოიღე და გაიკეთე ისინი მშვიდად
და თან სარკის წინ იტრიალე, რამდენიც გინდა
ამით ორივე თავს გავირობოთ. შემდეგ, ლეთის მადლით,
დღესასწაული რაიმე იქნება, შენ იქაც წადი.
ადამიანებს ჟერ ეჩვენე უბრალო რამით —
თუნდაც ამ ძეწყვით ან ამ მცირე აღმასის თვალით.
ვერც კი შენიშნავს ამას დედა. მერე ვილონოთ —
მისთვის სათქმელად იქნებ რამეც კი მოვიგონოთ.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ვინ მოიტანა, ღმერთო, აქ ეს ყუთები ნეტავ?
რაღაც ამაში სასიკეთოს ვერაფერს ვხედავ!
აკაუნებენ.

ვაი, ეს ალბათ დედა თუა.

მ ა რ თ ა

(იხედება კარის ჰერმეტიკაში)

შენ ნუ გადარდებს.

ვილაცა უცხო ბატონია. ვთხოვთ, შემოვბრძანდეთ!

შემოდის მეფისტოფელი

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ამ თავხედური შემოჭრისთვის ვნანობ თვითონაც,
(მორიდებით იხვევს უკან მარგარიტასაკენ.)

მაგრამ მე მართა შვერდტლაინის ნახვა მინდოდა.

მ ა რ თ ა

ეს მე გახლავართ. რა სურს მამცნოს უცხო ბატონმა?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

(ხმადაბლა მართას)

რომ გაგუცანით, ამისთვისაც დიდი მადლობა!
 მაგრამ თქვენ კიოაც ქალბატონი გიზით აქ სტუმრად,
 ამიტომ ბოდიშს მოყიხდი და დაგტოვებთ უმალ.
 თუ კვლავაც მომცემთ ნაშუადღევს შემოვლის ნებას.

მ ა რ თ ა

(ხმამალა)

ხედავ, ძვირფასო?! აბა ამას ვინ იფიქრებდა —
 შენ ამ ბატონმა მიგიჩნია მაღალ წრის ქალად.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

მისი კეთილი გული უდევს საფუძელად ამას.
 ერთი უბრალო გოგო ვარ მე და სხვა არავინ,
 სამკაულები კი ნამდვილად ჩემი არ არის.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

რა შუაშია სამკაული, ვერ გამიგია!
 მე ამის გამო თქვენი ქება არც მიფიქრია.
 ეს მათქმევინა გარეგნობამ და მანერებმა.
 დიდი მადლობა, რომ მომეცით დარჩენის ნება.

მ ა რ თ ა

სხვა რა ამბები მოგვიტანეთ? გვიამბეთ, ვისმენტ!

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

უკეთესი რამ სჯობდა მემცნო, თუმც ალბათ ისეთ
 რამისათვისაც არ გამეიცხავთ, რასაც აქ გეტყვით.
 ქმარი მოგიყვდათ და ძალიან მთხოვა, რომ თქვენთვის
 მისი სალამი გადმომეცა.

მ ა რ თ ა

ვაიშე, ვაი!
 ქმარი მომიყვდა... რალად მინდა ცოცხალი თავი!

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

მართა, ძვირფასო, ცოტა მაინც მოეგეთ გრძნობას.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მამ გავაგრძელო ნაღვლიანი ამბების თხრობა?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

მიტომაც ვშიშობ, ქვეყნად ვინმე არ შემიყვარდეს,
 რადგან ამგვარი დანაკლისი მომსპობს იმავ დღეს.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

რას იზამთ! ლხენას წუხილი სდევს, წუხილს კი — ლხენა.

მ ა რ თ ა

სთქვით, სად და როგორ დაასრულა სიცოცხლის დღე მან.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

გარდაიცვალა პადუაში და იქვე წმინდა
 ანტონიოს გრილ სავანეში წევს ახლა მშვიდად.
 დიდი ლოდის ქვეშ მივაბარეთ იგი სამარეს,
 ქრისტიანული ადათ-წესი როგორც გვაეალებს.

მ ა რ თ ა

მამ ამის მეტი არაფერი არ გაქვთ სათქმელი?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ჰო, მართლა, სულ არ დამეიწყუდა... უკანასკნელი
 მისი თქვენდამი თხოვნა უნდა გადმოგკეთ ახლა,
 რის შესრულებაც არცთუ ისე ადვილი გახლავთ —
 გთხოვთ სამასი პარაკლისი გადაუხადოთ.
 სხვა არაფერი მაქვს სათქმელი მე, სამწუხაროდ.

მ ა რ თ ა

როგორ? განა მან არაფერი გამოგატანათ —
 მედალიონი ან ძვირფასი ნივთი პატარა?!
 უკანასკნელი ხელოსანიც ალბათ რაიმეს
 გადაინახავს — იშიშვლილებს ან ვალს აიღებს.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მადამ, ძალიან მებრალებით, მაგრამ მას ფული
 არ გაუფლანგავს. და ამაზე ნუ გწყდებთ გული.
 როცა ცოდვები აღიარა, მწარედ ჩიოდა,
 ყველაზე მეტად კი საყუთარ ბედს დასტიროდა.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ნეტავ საწუთრო ადამიანს ასე რად სწირავს?
 მისი სულისთვის გადავიხდი უთუოდ წირვას.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ჰოდა, ამ სათნო განზრახვების საჩუქრად თქვენაც
 დე გლირსებოდეთ ოკაბური სიტყბო და ლხენა.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

გათხოვებაზე ფიქრი ჩემთვის ჯერ ადრე არის.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

თუ ვერ თხოვდებით, გაიჩინეთ მაშ მთვობარი.
 სიხარულისგან ცას ეწვევა ალბათ ის, ვისაც
 მიიჩნევთ თქვენი სიტუირფის და ალერსის ღირსად.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ასეთი რამე მიღებული არ არის ჩვენთან.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

არის თუ არა, მე არ ვიცი, ისე კი — ხდება.

მ ა რ თ ა

შემდეგ? განაგრძეთ.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მე საწოლთან ვიდექი იმ წამს,
 ის კი, არ მახსოვს, თივაზე თუ ნაკელზე იწვა.
 ისე კი მოკვდა, ვით ქრისტიანს შეჭფერის, მაგრამ
 მაინც ნანობდა, ძალზე ბევრი ცოდვა რომ გაჰყვა.
 „როგორ არ მძულდეს თავი, როცა მთლად უპატრონოდ
 დავტოვე ჩემი ხელობა და ცოლი, ბატონო.
 მაპატიებს კი იგი ამას?“ — წუხდა ძალიან.

მ ა რ თ ა

(ტირის)

ჩემო კეთილო, გაპატიე კარგა ხანია.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

„მაგრამ, — მან იქვე დაუმატა, — როგორ მწარეა,
 როცა იცი, რომ ცოლი ბევრად დამნაშავეა.“

მ ა რ თ ა

ტყუილი უთქვამს, სულ ტყუილი! უყურეთ იმას!
 ვის გაუფია ტყუილის თქმა სიკვდილის პირას.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

უნდა ვიფიქროთ, სიკვდილის წინ, იმ საცოდავმა
 ეს ყველაფერი შეთხზა. იქნებ სულაც ბოდავდა.
 ასე თუ ისე, მე პირადად ასე მგონია.
 ცოლთანო ჯერ მე მშვიდი წუთი არა მქონია:
 ის ხან შვილების კეთებას და ხან ლუკმა პურის

შოვნას მოხოვდა და შეჭამაო წუწუნით გული.
 პურს მე აქ ფართო მნიშვნელობით ვხმარობო, —
 სთქვა მან, —
 თუმცა ლუქმაც არ შემრგებია ჩემს წილო წყნარად.

მ ა რ თ ა

სულ დააეიწყდა ერთგულეზაც; ალერსიც, სითბოც, —
 დღისით თუ ღამით სულ მასზე არ მეზრუნოს თითქოს!

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ო, არა! თუმცა ბევრ რამეში დაგამუნათათ,
 მაგრამ სულ თქვენზე ფიქრობდა და ბევრსაც ზრუნავდა.
 „როცა მე, — მისი სიტყვებია, — დავტოვე მალტა,
 არა მახსოვდა ცოლისა და შვილების გარდა.
 ალბათ ისმინა ზეცამ ჩემი მზურვალე თხოვნა,
 რომ სწორედ იმ დღეს გაშლილ ზღვაში თურქების
 ხომალდს
 წავაწყდით, სავსეს სულთანისთვის განკუთვნილ ფულით
 და, რა თქმა უნდა, გამარჯვებაც ჩვენ დაგვრჩა სრული.
 ამ სიმამაცის საზღაურად, თუ ვსურთ მართალი,
 მეც შემხვდა კარგა დიდი წილი ჩვენი ნადავლის“.

მ ა რ თ ა

მერე რა უყო მან ის ფული? სადმე მიმალა?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

აბა, ვინ იცის, ქარმა საით გაანიავა!
 ერთმა ღამეზემა ქალბატონმა მოხიბლა უმალ,
 როდესაც ერთხელ ნეაპოლში ჩაეიდა სტუმრად.
 ისეთი ვნებით აეკიდა იმ ქალს, რომ შემდეგ
 მთელი სიცოცხლე კარგად გრძნობდა ამ ვნების შედეგს

მ ა რ თ ა

ო, ის ოჯახის და შვილების მძარცველი, ისა!
 მორიდება რომ არა ჰქონდა სულ არაფრისა.
 აქ უპატრონოდ მიტოვება ჩვენი არ ეყო,
 ვილაც კახბას და გამომძალველს რომ გადაეგო?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

სამაგიეროდ განიცადა მან სრული კრაზი.
 მე თქვენს ადგილას ერთი წელი ვივლიდი თალხით.
 თან ვეცდებოდი იმაზედაც თვალი მჭეროდა,
 იქნებ ახალი საბედოც კი გამომჩენოდა.

მ ა რ თ ა

ო, ღმერთო, ისეთს ქვეყანაზე რა მაპოვინებეს!

ისეთი გულის პატრონსა და ოჯახის იმედს!
ეს კია, ქვეყნად ხეტიალმა მომსპო იმისმა...
სხვისი ცოლების უან დევნამ, სხვისი ღვინის სმამ.
თან იმ დაწყვეტილ თამაშსაც რომ არ ეშვებოდა!

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ამის მოთმენა მაინც კიდევ შეიძლებოდა,
განსაკუთრებით, თუ თვითონაც ხუჭავდა თვალებს
და თავის მხრივაც ვერ ამჩნევდა საეჭვო რამეს.
ამ პირობებზე ალბათ მეც არ ვიტყუოდი უარს.
თქვენთან ბეჭდები გამეცვალა თანხმობის უმაღ.

მ ა რ თ ა

ამას ხუმრობით თუ მთავაზობს ბატონი ალბათ.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

(ხმადაბლა)

ისა სჯობია, რომ აქედან მოვეუსვა სწრაფად.
თორემ სიტყვაში ეს ეშნაკსაც კი გამოიჭერს.
(გრეთქენს)
მაშ სატრფიალო ამბებისგან ჯერ თავს შორს იჭერთ?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ამით რისი თქმა უნდა ბატონს. კარგად ვერ ეხვდები.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

(ხმადაბლა)

ო. უცოდველო ბავშვო!
(ხმადაბლა)
აწ კი, თქვენზე ნებით,
წავალ.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა
ნახვამდის.

მ ა რ თ ა

ერთი რამე მირჩიეთ ოღონდ.
როგორ ვიშოვო ცნობა, თუ სად, როდის და როგორ
გარდაიცვალა ჩემი ქმარი. სხვა რომ არ იყოს,
მე მკაცრ წესრიგს ვარ ჩვეული და სწორედ ამიტომ
მსურს გაზეთებში ქმრის შესახებ ცნობის მიცემა.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ჰო, ქალბატონო, ამ შემთხვევის დასამტკიცებლად
სულ ორი მოწმე დაგჭირდებათ. არ არის ძნელი.

სწორედ მე ერთი მეგობარი მყავს და ის თქვენი
 სურვილისამებრ სასამართლოს მოსცემს ჩვენებას.
 თუ გსურთ, მისი აქ მოყვანაც კი არ შეძნელება.

მ ა რ თ ა

ძალიანა გთხოვთ!

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ქალიშვილიც ხომ აქ იქნება?
 ცოტა არ იყოს, მიჭირს ჩემი მეგობრის ქება.
 მთელი ქვეყანა მოვლილი აქვს... თავადაც ნახავთ.
 ქალებთან ზრდილი ყოფაქცევის ნიმუში გახლავთ.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

მე მის წინაშე სირცხვილისგან ვერ დავძრავ ენას.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მეფის წინაშეც კი თამამად წარსდგებით თქვენა.

მ ა რ თ ა

რაცი ასეა, ჩვენ იმაზე შევეთანხმდეთ მაშინ,
 რომ დღეს საღამოს ორივენი მოხვალთ ჩემს ბაღში.

ქ უ ჩ ა

ფ ა უ ს ტ ი, მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი.

ფ ა უ ს ტ ი

ჰა, მაინც როგორ მიდის საქმე, ხომ იჩარხება?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ბრავო! ბატონი უკვე ტრფობის სახშილით იწყის.
 ტურფა გრეთქენი ძალზე ძალე შენი გახდება,
 დღეს საღამოს კი ის მეზობელ მართასთან გიცდის.
 მართა ამქვეყნად გაჩენილი არის მაქანკლად
 და ამ საქმესაც, როგორც გვინდა, ისე გაჩარხავს.

ფ ა უ ს ტ ი

ძალიან კარგი!

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ჩვენგანაც რომ სურთ სამსახური?

ფ ა უ ს ტ ი

სამართლიანი მოთხოვნაა. რას გვთხოვენ მაინც?

მეფისტოფელი

ჩვენ უნდა ხელი მოვუწეროთ, რომ მისი ქმარი
 პადუის წმინდა სავანეში არს დამარხული.

ფაუსტი

ძალიან ბრძნული რამე კი არ მოგსვლია აზრად!
 გამოდის, რომ ჩვენ პადუაში გვეპირდება წასვლა?

მეფისტოფელი

რას ამბობს! Sancta simplicitas!*

უბრალოდ ხელი
 მოუწერე და მოათავე მით საქმე შენი.

ფაუსტი

თუ სხვა ვერაფერს მოიფიქრებ, უეჭველია,
 მაგ ბრიყვულ გეგმას შესრულება არ უწერია.

მეფისტოფელი

ო, სათნო კაცო, რა პირველად გიხდება ვითომ
 იმის მტკიცება, რაც თვლით არ გინახავს თვითონ?
 განა ის, რაც შენ ღმერთისა და ქვეყნიერების
 ან კაცთა მოდგმის ირგვლივ სრული გულდაჭერებით
 გითქვამს, ნამდვილად კი სიმართლეს შეეფერება
 და არასოდეს მიგიცია ყალბი ჩვენება?
 ერთხელ მაინც თუ საბოლოოდ იყავ მართალი,
 როს კაცთა გულისნადებსა და არსს განმარტავდი?
 გულახდილად თუ აღიარებ, მყის დამთანხმდები,
 რომ ამ საგნებზე იმდენივე იცი, რამდენიც
 ქალბატონ მართას ქმრის შესახებ მოგეხსენება.

ფაუსტი

ცრუ და სოფისტი ხარ შენ შენი დღე და მოსწრება.

მეფისტოფელი

შენ ზომ --- თითქმის ცით მოვლენილი პატიოსნება!..
 ხვალევე სინდისი არ შეჰფიცო გრეთქენს იქნება
 და არ დაუწყო მას შეცდენა და გაბრიყვება.

ფაუსტი

ღიახ, შეგფიცავ, ოღონდ სუფთა და წრფელი გულით.

მეფისტოფელი

ძალიან კარგი! გაქვს შენ ამის უფლება სრული.
 მაგრამ როდესაც სიყვარულსა და ერთგულებას

* წმინდა გულუბრველობავ! (ლათ.).

შეჰფიცავ მას და თან დაუწყებ იმის რწმუნებას,
რომ მკერდში შენ ეს გრძნობა ასე გენთება მარად,
აღბათ ამასაც სულთა გულით შეჰფიცავ, არა?

ფ ა უ ს ტ ი

კმარა! როს ჭარბი გრძნობისაგან სულს ძლივსღა ვითქვამ
და ეს გრძნობა და მღუღეარება ვერ გამომიოქვამს,
როს მთელ სამყაროს გარს ევლება ჩემი გონება
და ვეჭიდები სიტყვებს, დიახ, სიტყვებს, რომელთაც
ძალუძთ გადმოსცენ გრძნობა იგი ცხოველი ძალით
და მარადიულს ვუწოდებ მას, განა მე მაინც
ჯოჯობეთურად ვტყუივარ და არ ვამბობ მართალს?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მაინც მე უფრო მართალი ვარ, თუ უკვირდები.

ფ ა უ ს ტ ი

აი რას გეტყვი: შეიბრაღე ჩემი ფილტვები!
მე აღარ ძალმიძს ყბედობა და დავა ამდენი.
ვინც უფრო მეტბანს შესძლებს კამათს და ენის ტარტარს,
სჩანს, საბოლოო გამარჯვებაც მასვე დარჩება.
მე კი ყბედობით ყელამდე ვარ საესე ამჭერად,
და დაგთანხმდები, რომ მართალი შენა ბრძანდები.

გერმანულიდან თარგმნა გიორგი ჯორჯანაშვილი



ბიოგრაფი ნატროშვილი

ლ. ი. ბრეჟნევის „მოგონებების“ ლიტერატურული თავისებურებანი

დღონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ახალი წიგნი „მოგონებანი“ შედგება ორი თავისაგან: „ქარხნის საუვირო და ჩვენი ცხოვრება“ და „სამშობლოს ჭრმობა“. „მოგონებანი“ ლოგიკური გაგრძელებაა ადრე გამოქვეყნებული წიგნებისა — უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ქრონოლოგიის მიხედვით, ეს მოგონებანი წარმოგვიდგება, როგორც პირველი თავი — ბავშვობისა და სიკვდილის წლები გახსენება; მას მოსდევს „მცირე მიწა“ — ამბავი ომის ქარიშხლიანი წლებიდან; შემდეგ მოდის „ადორძინება“ — ზაპოროჟიისა და დნეპროპეტროვსკში მუშაობის წლები (1946-1950) და, ბოლოს, „უკრაინა“ პერიოდი ავტორის მუშაობისა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე (1954 წლიდან). ეს შესანიშნავი წიგნები მკითხველის თვალწინ აცოცხლებენ წლებს, მოვლენებს, ადამიანებს, ვახატავენ მათ ხასიათს. მათ ფსიქოლოგიას, მათ პორტრეტებს და, იმავე დროს, საოცარი ძალით აცოცხლებენ გარემოს, ისტორიულ ეპოქას და ისეთი ფართო მორიზონტე აქვთ, რომ გვახდებენ ძალიან შორს და ძალიან წინ. შეიცავენ უფრო მეტს, ვიდრე ხსენებული პერიოდის ადრეა გულისხმობს. შეიცავენ არა მარტო ამას, რაც ძალზე სპეციფიკური და დამახასიათებელი, მაგრამ მაინც წარმავალი იყო, არამედ იმასაც, რაც უკ-

დავია ისტორიაში, რაც მარადიულია, რაც მომავალში თაობებში თავიანთი ფიქრად, თავიანთი გულის უვლელად სანუგეარ მიწრატებდად უნდა მიიჩნაონ.

ზემო ნათქვამას შემდეგ ბუნებრივად იხადება კითხვა — ლიტერატურის რა ენარს განეკუთვნება „მოგონებანი“, „მცირე მიწა“, „ადორძინება“, და „უკრაინა“? თავის დროზე, როგორც კი გამოქვეყნდა პირველი წიგნები, მას მოკვება როგორც მკითხველთა, ისე ლიტერატურათმცოდნეთა აღტაცებული გამოხმარებანი, დახატვდა უამრავი წერალები ეჭრნალ-გაზეთების ფურცლებზე, რომლებშიც აღნიშნული იყო, რომ ეს წიგნები უპირველესი საკითხავია და უპირველესი თანამგზავრია ადამიანსათვის, რომელიც კომუნისტს ამტენს. სწორედ ამ ხანებში ეჭრნალ „უკრაინის ლიტერატურის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა მ. ბ. კოშინის ვრცელი წერილი სათაურით „წარსულზე — მომავლისათვის“, რომელშიაც აუო ცდა მოცებნა ამ წიგნებისათვის ადვილი ლიტერატურის ისტორიაში, ე. ი. ვანესაზღერა მისი ენარა, ავტორა წერდა:

„ლ. ი. ბრეჟნევის შემუარები — ეს არ არის მხოლოდ მოთხრობა იმ მოვლენებზე და ადამიანებზე, რომლებიც ავტორს შეხვედრიან ცხოვრების ვხაზე; ეს არის, იმავე დროს, ფიქრები იმაზე, რაც მან დაინახა და განიცადა, ეს სოციოლოგი-ფილოსოფიური გაზრებაა წარსულსა, იმ ამოცანების თვალსაზრისით, რომელთაც ჩვენ ვადაუწვებთ დღეს და უნდა ვადაუწვებთ ზვად. ცალკეულ კრიტიკოსების თვალსაზრისით, შემუარული ლიტერატურის ერთ-ერთი მუარი ნიშან-თვისებაა ეს არის, რომ აქ, რეტ-

* წაკითხული იყო მოხსენების სახით 1981 წლის 22 დეკემბერს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსისტ-ლენინისტის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის და საქართველოს მწერალთა კავშირის გაერთიანებულ საშეცნეო კონფერენციაზე.



როსტოვში მასთან ერთად, მოცემულია რტოროსტოვში შეხვედრებანი. თუ ეს, რბილად რომ ვთქვათ, არა ზუსტია ჩემუარების მ. მართ ნაერთად (მეზუარები — ეს დღეორები არ არის). მითმეტვის ორმავად არა სწორია ლ. ი. ბრეტენეის მეზუარების მიმართ; ისინი გამოირჩევიან თანამედროვე თვალსაზრისით წა. რბულზე, ამის უნართ შეფასბონ წარსული დღევანდელბობის და მომავლის მწვერვალბობი-ანი („კოპარის ლიტერატური“, 1975 წ. № 9, გვ. 14-17).

აქ უველაფერი სწორია, გარდა ამბა, რომ მართებულად არ არის ნახმარა ტერმინი — მეზუარები; მეზუარა — ერთი ადამიანის თავგადნახვალა, მისი ხელდერა სამუარის გადმოშ, ლა, ბრეტენეის წიგნში კი მალიონობით ადამიანების თავგადნახვალა, უნარმზარა ეპოქის ისტორია, რომელიც შეუძლებელია ჩასტრო მეზუარის ვიწრო ფარგლებში; აქ, ბრეტენეის ნარკვევებში მართო წარსულას ახახუა როლი. ეს არის ისტორია, მიმართული წინ მომავლის არა მართო ვანჭვრეტა, ნისკენ მამავალი გზის ჩვენებაც; ეს არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მომავლის ისტორიაც. აქ ხალხის ერთიანობის ენაურა ხერათებია, ისეთი ერთიანობისა, შეე-ბის დამჯარა რომ შეუძლია, თუმცა მეზუარა ფრანგული სიტყვაა და მოგონებას ნიშნავს. მა, გრამ ლიტერატურის ისტორიამ აციხ აუარებულა შემთხვევები, როცა ესა თუ ის ტერმინი შინაარს შეიცვლის ხოლმე — საამისო მავალიობის დასაბელება შორს წავუვანდა. აქ კი უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურულმა კრიტიკამ სახვებით სწორად შეფასა, მაგრამ ვერ მოძებნა შესაფერა ტერმინი ამ წიგნების განსარგანზღერასათვის; მაშინ თვიონ ავტორმა გადაწყვიტა ამ საკითხში სპირო სანასთან შეე-ტანა. 1949 წლის მარტში, კრებულში, ლენინური პრემიის გადაცემის დროს, ლ. ი. ბრეტენემა განაცხადა: „უველაზე საყლებად მიიხლოდა, რომ წიგნები „მკირე მწა“, „ადორმინება“, „უამირი“ აღკვეთი როგორც მეზუარული თხზულებანი, ჩემს ჩანაწერებზე მუშაობისას ვუქრობ, დი არა საყუთარ თავზე და, უნდა ითქვას, არა ინდენად წარსულზე, რაღებნადუ იმაზე თუ როგორ გამოადგება დღეს წარსულის გამოცდილება ადამიანებს“.

ბუნებრივია, რომ უკვე შეძგომში, 1981 წლისათვის პედაგოგური ანტიკრუტების სახელმწიფანდელიში, რომელბაც ეწოდება „რუსული საბჭოთა ლიტერატურა 1917 წლებში“, რომელშიც განხილულია თანამედროვე პრიციპის, პოეზიის და დრამატურგიის ახალი ნაწარ, მოებები და ადრტული სოციალისტური რეალიზმის მეთოდოლოგური პირობებები, ლ. ი. ბრეტენეის მოგონებებისადმი მიძღვნილ იმავე მ. ბ. კოშჩინის წერაღში უკვე სახვებით სწო-

რად არის განმარტებული, თუ უნდა იყოს კუთვნიბა ეს წიგნები

მაგრამ უველაზე ზუსტად თვიონ ბრეტენემა განმარტა თავისი წიგნების განმარტოვა თავისებურება პრემიის გადაცემისას წარმოთქმულ იმავე სიტყვაში იგი აღნიშნავდა:

„ბერა წერაღში მკითხველები გამოთქამენ სურვილს, რომ ავტორმა განაგრძოს თავისი მოგონებანი. რა უნდა ვუპასუხო ამას?“

ვტიქრობ, მოვალენი ვარა ჩვენი გამოცდილებიდან უკველივე მკითხვარა გაფურარობთ ახალ თაობებს. ამაზე კვლავ ვტიქრობ, და თუ დრო გამოვანებ, თუ შეეძლება, ჩანაწერებს განვაგრძობ. აყოდეთ, რომ დღეს ვაღმოცემული რაღდო მომავლისათვის გზის დალოცვად მიმართა.

და კვლავ ფიქრით კუბურბები ლენინის ხიტუბებს მარტიული პუბლიცისტიკის ამოცანების შესახებ — თანამედროვეობაზე ისე ვტიქრობ, რომ საყუთარი კლშით შედლებინდევარა დახმარება ვაფუწოთ ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის პარტიკულ საქმეს. ეს ზომ დღესაც არის ჩვენი პუბლიცისტიკის, ჩვენი მახობრია პრიპაციდის, პარტიის მთელი იდუტრადმზრდელი ბითა მუშაობის მთავარი ამოცანა. უფრო მჭარო თვალსაზრისით კი საბაროდ ჩვენი მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების ამოცანაც.

უნდა შევეჩვიოთ ისე წერას, რომ თითოეულ ფრაზში ვაქსოვდეთ საყუთარ ცოცხალ აზრს, საყუთარ გრძნობებს

თითქოსდა: უდავო საქმეა, მაგრამ რაოდენ მწეღია ამის მიღწევა“.

მაშასადამე, ენარი ამ ქმნილებებისა არაა პარტიული პუბლიცისტიკა ამ სიტყვების ფართო გაგებოთ, ვინაოდენ ეს წიგნი განზე სწევს თვით პუბლიცისტიკის საზღვრებს, ისე, რომ იგი მოიცავდეს არა მართო ადამიანის აზრს, არამედ გრძნობებსაც, ამრავად, ის შესულია ამ ორბიტაში, ამ წერეში, რომელსაც მხატვრული ლიტერატურა და ხელოვნება ეწოდება და რომელიც მოიხსენია კიდევ ლ. ი. ბრეტენემა ზემოთ მოყვანილ თავის გამოხვლავში.

და მართლაც, ამ მოგონებებში მოცემულია უველა პირითადი მახსიათებელი საშინი მხატვრული ნაწარმოები — მტიციე კომპოზიცია, შესანიშნავი გადმოხლა ადამიანის სულისა — საოცრად ზუსტად ჩაწედნა მის იდუმილ სიღრმეებში; უმწედაც, აქვია პორტრეტები, უადრებად მართალი პეიზაჟი; უველაფერი ეს ადასტურებს, რომ ავტორმა მარად განვიითარებდა სოციალისტური რეალიზმის განზე გადდა ფრიად ამაშენდლოვანი ნაბიჯი, და-დად გაამდირა არა მართო ესთეტიკა, არა მართო თეორია სოციალისტური რეალიზმისა, არამედ მისი მხატვრული პრაქტიკაც — მკითხველის წინაშე წარმოაჩინა ახალი ადამიანის

მოდელი; ლ. ი. ბრძენაძის წიგნების ეს ლირება შესანიშნავად დაახასიათა გამოჩენილი საბჭო. თა პოეტმა ედუარდის შეფელაიძისმა, რომელმაც თავის სიტყვაში ასე მიმართა ლ. ი. ბრძენაძეს: „მე აქ ვლასარკობ როგორც თქვენი მკითხველი, კომუნისტი და, რაღა თქმა უნდა, როგორც პროფესიონალი მწერალი. ოცი წელია ჩემს შემოქმედებითს ლაბორატორიაში ვმუშაობ ადამიანის თემაზე. ეს ძნელი თემაა. ზოგჯერ ისეთ პრობლემებსა და ისეთ სირთულეებს ვაწყდები, რომ არ იცი, შეძლებ თუ არა ვადა. კრა და დამლო ისინა შენს შემოქმედებაში, და როცა მცდელობდა ვაგვირდებო და ვაგირ. თულდება საქმე, ეძებ მუარ სურდებს და ისეთ ორიენტირებსა და წიგნებს, რომლებიც დაგეზ-მარება დამლო შემოქმედებითი სიძნელენი და განვითარებენ ადამიანის სიუვარულს, და რა. ოდენ სანახარლოა ბოლშე, როცა ცხოვრებაში იპოვა მათ.

ასეთი განცდა დამეფულა. როცა ვკითხულობდი, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძეგ, თქვენს ტრილოგიას, ვთხოვთ დამიჭეროთ: მე თქვენ ძალზე უურადლებიანი მკითხველი ვიყავი. თქვენმა სიუვარულმა ადამიანისადმი, უბრალო საბჭოთა ადამიანისადმი — გაჩისკაცის, მუშის, მხენილ-მოსხვილი ადამიანისადმი, თქვენმა ღრმა რწმენამ, თქვენი გულის სითბომ, რომლითაც დასმკვალულია თქვენი სიტყვა, თქვენი წიგნების კეთილშობილურმა ჰუმანიზმმა, თქვენმა ადამიანობამ ახალი ძალი, რწმენა და სურვილი შემმატეს განმეგრძო მუშაობა ადამიანის თემაზე.

მადლობას ვიხდით უოველი ჩვენთაგანისათვის ესოდენ საჭირო დახმარებასათვის. მე ვფიქრობ, უველაზე ადვილია გწოდებს და ახუჩად იგდებდე ადამიანს, ბევრად ძნელია ვიუვარდეს იგი და უველფერზე ძნელია შექმნა ახალი ადამიანის მოდელი; თქვენ, ლეონიდ ილიას ძეგ, აირჩიეთ სწორად ეს, უველაზე ძნელი გზა; მადლობას ვიხდით კომუნისტის, ნოვატორის, ჰუმანისტის პრინციპული პოზიციისათვის, ჩვენ თქვენთან ერთად ვართ ამ ჰუმანისტურ ბრძოლაში ადამიანისათვის, რევოლუციურ ბრძოლაში ახალი საბჭოთა ადამიანისათვის“.

ამ სიტყვებს ოკროს ფასი იქვს იმატომ, რომ ისინა წარმოიქვა პოეტმა, რომელიც მძელი თათვის შემოქმედების ვრცელ მანძილზე მუდამ გამოირჩეოდა ფილოსოფიურ ჩაფიქრებოთა და ცდილობდა ეპოვნა ადამიანის გულთან მისახედელი გზა და გასაღები მისი საგანძურისა, მისი ღირაქის საფუძველი აუო და არის თანამედრო. ვე ადამიანის პოეტურა კონცეფცია: წიგნი მისი დღესტობისა, რომელსაც სათარად იქვს „ადამიანი“, და რომლისათვისაც მას ლენინური პრემია მიენიჭა, გამსკვალულია ღრმა ჰუმანიზმით, უღრმესი პატრივისტობით და სიუვარულით ადამიანისადმი, და ეს იგი მოგვიტობრობს რა გავლენა

ნა მოახდინა ბრძენაძის წიგნებში: უნდა დავსკვენთ, რომ ეს არის არა მარტო ერთი პოეტის სიტყვა, არამედ უველი ოსტატისა, ვინც ეძებს გზებს ადამიანის სულიერა სამ, უაროს ახლებური განმხსახოვის.

ამჩიავდ ეს წიგნები, როგორც „მოგონებანი“, ისე „მცირე მიწა“, „ადორმინება“ და „ეპიგრა“, არის სრულიად ნოვატორული მოვლენა თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურაში. ეს წიგნები ხალხის ცხოვრებასთან უშვიდროესი კავშირის განუყოფელი ობიექტის შესანიშნავი ნიმუშებად უნდა ჩიოვადლოს; მათ არა მარტო საბჭოთა ხალხის, არამედ მთელი კაცობრიობის უურადლება მიიუვარეს და სულ მოკლე ხანში ეს წიგნები მსოფლიოს თითქმის უველი ენაზე ითარგმნა. ეს გასაგებიც არის, ეს წიგნები მოიცავენ საკითხთა უადრესად ფართო წრებს, რომელთაც დაამწვეტო მნიშვნელობა აქოდ მთელი კაცობრიობის მომავლისათვის. ამ წიგნების მსოფლიო რეზონანსს განაპირობებს ის ფაქტი, რომ მათი ავტორი არის ჩვენი პლანეტის უველაზე უფრო პოულარული სახელმწიფო მოდელე, რომლის უოველ სიტყვას დამაბული უსმენს მთელი კაცობრიობა; ეს არის ადამიანი, რომელსაც მწოდებობსა და ჰუმანიზმის დიდ მებრძოლს უწოდებენ მთელი მსოფლიოს მშობილენები, რომლის დაუდალავი, ტიტანური შრომისა და ბრძოლის შედეგად ავტო მწ წელია პლანეტა ცხოვრობს გლობალური მსოფლიო ომის გარეშე: „მოგონებანი“, „მცირე მიწა“, „ადორმინება“ და „ეპიგრა“ — გადმოკვეტენ საბჭოთა ხალხის ბრძოლის შრომასა და ცხოვრების ისტორიულ გამოსდილებას, სიბრძნეს მთელი უზარმაზარი ეპოქისა, სიბრძნეს ლენინის პარტიისა, იმ მადალი ჰუმანიზმისა, რომელსაც თავისი შრომითა და ბრძოლით ამკვიდრებს საბჭოთა კვეყანა და მთელი სოციალისტური ხანა, იმ ჰუმანისზმისა, რომელსაც დასამოიდან იუნებობდა ადამიანი და რომელსაც დღეს თვალთ დასანახ და ზელშესახებ ფორმებს დებულობს, მკვიდრდება თავის რეალური სახით ჩვენს სამშობლოში.

თავისი მსოფლმეგრძნობით, სამყაროს ბილენისა და განმეგრძების, მისი შეფასებამ თვალსაჩინობა, აზრითა და გრძნობით, „მოგონებანი“, იურდენობა და განაგრძობს ირ უმთავრეს ტრადიციას: პირველია — ლენინური პედაგოგისტიკის სიბრძნე და ღრმა აზროვნება, უნიანობა, მდელვარე პათოსი და მეორე — რუსული რეალისმის ძღვეამონილი ტრადიცია, დაეპირებული უმთავრესად ლეე ტოლსტოის და მაქსიმ გოკის სახელებთან, რომელთა შემოქმედებაში ხალხობრიობის პრინციპებმა თავისი უმაღლესი გამოხატულება პოევის კერძოდ, ლეე ტოლსტოის კონცეფციას „მოგონებანი“ ავტორი აშოქმებს უველაზე რთული საკითხის ახსნისა და გა-



დგმა, ჩვენ ვგაჩნობთ ამ ზემოთთქვენილი და-
ხასიათების სიმართლეს: და ეს შეიძლება იქ-
ვას უვალა მოქმედ გმირზე; როგორ შეიძლება
დაიჯეროს შეიხველება მძიმედ დაქრალი ლე-
ტენანტი — დაბატული ორიოდ კალმის მის-
ვით: ან მისი უყანასწილი წუთები: „ღამაზა
ზეტუტი შევი თმა, შევი წარბები, ცისფერი თვა-
ლები სიყვალთო შეტურთობლი ადმოდებულ
სახეზე. ის კვდება ვანჯერისსაგან და მანც იხ-
ვეწება: დამებმარეთ, რომ თუ გადავტარა, ჩემს
წაწილმა დამბარუნონ“. ამ გახსენებთ თავგან-
წირული ქალიშვილი მარია კედენკო, მთავრი
ცუზარ ცუნიკოვი, შედგენილ შალვა თათარაშ-
ვილი, მრავალი და მრავალი სხვა სახეები, მთელ-
ლი გაღვრვა, სამუდამოდ რომ აღმოგებდებოდ
მკითხველის ზეხსიერებაში, და წიგნის ავტორი
დაასვენის:

„რა ვაღლიათური სული აქვთ რა უხილავი,
შეატამ უსასწავლო სიყვარული აქვთ სამშო-
ბლოსი, რაოდენ წუთრული ამოძრავები მახი
დაცვისა და სრულიად არ ფიქრობენ საქუთარ
სიყოყმელზე“

როგორც „მეცხრე მინაში“, ასე „ადობინება,
ხა“ და „გმირი“ და ა. ბრეცნევი მანც გაუსვა
სოციალისტური რეალიზმისათვის, მთელი ჩვენ-
ნი მწერლობისათვის ერთ უაღრესად მნიშვნე-
ლოვან უაღრესად პრინციპულ მხარეს — სახე-
დობარ, ამ დებულებებს, რომ გმირული, მერო,
იყული საწულის მთელი ჩვენი ხალხის ცხოვრე-
ბაში, ბრძოლაში, ახტობიაში როდია რადაც გა-
სსაყოთრებული, გამოკვლევებული, მარტო ამა
თუ ამ პარაგნებისათვის მიხიქებული რამ არა,
მედ იგი, ეს გმირული საწუისი — მასობრივია,
იგი თვით ხალხის წაღვლა, მის სულიერ სანჯა-
როში მარია კედენკო ერთი როდია, არა, ასე-
ღებია არიან ათასობები ჩვენი კომპანისტები ქა-
თაშვალეში, და იმავ დროს, სრულიად თავი,
სებურბი, მკაფიოდ გამოკვთილი ინდივიდუა-
ლობის მქონენი, ასე, რომ, ლ. ი. ბრეცნევის ზე-
მოთქმული ბრძნული ფორმულია ზუსტად
გამოკვეციმს ჩვენი ხალხის სულიერი სამუაროს:
წარტად ახელი მლევაბოსილი, უზარმაზარი ში,
ნაგახი ძაღვის და პატრულის მქონე ფენომენია
ხალხი, მანა, სოციალისტური რეალიზმის კონ-
ცეფციის მიზედით, და ასევე განსახიერებს
რეალისტი მწერალი მის თავის მხატვრულ ნაწა-
ტიმებში, დაუღვევლია, ამოუწურავია ხალ-
ხის ტალანტი, მანა ძალა, და მას სასწაულები
მობინდა შეუძლია წარტად მანში, როცა მას
წინ მოედვის კომუნისტური პარტია.

ას როგორც რჩანდება და ცოცხლად არის
გაღწეული „მოგონებანი“ რუსული ლიტე-
რატურის ევალაზე სიუჟეტისო ტრადიციასთან
კიდევ უფრო ცოცხლად და შემოქმედებითად
უკუშარდება ლ. ი. ბრეცნევის „მოგონებანი“
გორკის ტრადიციას: ეს დაყვარება აქვს შე-
მოქმედებითი და არა მქანაიური; აქ რაიმეს

სესხება, ერთი წიგნიდან მეორეში გადატანა
არ არის, ეს ლიტერატურული პარალელებია,
შეხვედრები და დამთხვევები, რომლებიც აუცი-
ლებელია ერთი მიმართულების მწერალთა და
მთაწარვეთა შორის და რომლითაც გამოიკ-
ნობა, რომ ისინი ერთა სათავიდან, ერთი ფურ-
დან მოვიდნენ: აქ საერთო სულია — მუდამ
მოქმედი და უკვდავი, სული ჩქმენისა, მისა
წინებრივი სიმალდე: ამას უმალ იგაჩნობს
ადამიანი, როცა „მოგონებანი“ კანენსკოს და
ქვემო კოლონიის მცხოვრებთა უფრო უაღრ-
სად კოლორიტულ განრულ სურათებს გაეცნო-
ბა! რაოდენ ცოცხალი პორტრეტებია ზეშებისა
მისდაპირ პლასტკურად გამოკვეთილი! ერთ-
მოდ, დაუფიწურია მანის — აღია ბრეცნევის
და მანის (დედის მხარე) დენის მანალოვის
პორტრეტები, აქვე მოცემულია კლასიკური
განმარტება, თუ როგორ ესმოდა რუსეთის მე-
შათა კლასის ცნება ოსტატობისა — მეფის დრო,
საც კი მუშა არ აკადრებდა და ზღლის არ წაიბ-
დენდა, მას ზღლის მჭერად ცუდი ნაწუშვარი,
წაიკისებთ „მოგონებების“ პირველი თავი
„ქარხნის საყვირი და ჩვენი ცხოვრება“ და
უნებურად გაახსენდებათ გორკის სახელგანთ-
ქმული რომანი „დედა“: აქვე საუფლისხშია
რადელია: ეურადების ცენტრშია სიმბოლო-
რადაც და ვინაგრეტული მნიშვნელობისაჲ ქარ-
ხის საყვირი რომ გუგუნებს ისე, თითქოს მთელ
დედამიწაზე ისმისო.

მკითხველის ეურადდება უნდა შევანეროთ
დიდების მიწაზე, დედის რომ მიუძღვება თავის
„მოგონებაში“ ლ. ი. ბრეცნევი

ლ. ი. ბრეცნევის „მოგონებანი“ მწვენიერი
სახელმწიფანელია მისთვის, ვინაც ახალგაზრ-
დობის აღზარდა ევალდება აქ ნაწუნებია ის წე-
ობრივი საწუისები, ის ეთიკური ნორმები, რო-
მლებიც აუცალებელია და უროლიისოდაჲ წა-
რმოუღვერელია ახალგაზრდა საბჭოთა მოქალა-
ქე: ეს საწუისები, ეს ნორმები, ეს ევალდობი-
ლური სულიერი თვისებები ნაჩვენებია ლ. ი.
ბრეცნევის ბიოგრაფიაში, რომელიც „მოგონე-
ბებში“ მოთხრობილია: თავის წიგნი ამბახავი
ბრეტევი ავღიწრებს როგორ დაიწყო მუშაობა
ქარხანაში: ის ერთ მუცეცხლურად მიიღეს, შე-
მდეგ ზეინკლად გადჭრავნეს, მანასთან ერთად
გაუდა ცვლაში და სამუშაო დღის შემდეგ და-
ღლილი შინ რომ დაბარუნდა, გულბოლიად შეე-
გება დედა, „მანსოვს, თავი რომ ავწიო, — იგო-
რების ღვინი დილის თვი — მის ევთად თვა-
ლებში ცრემლი შევიწმენე.

— რა ავო, დედა?
— მანასია, შეიღო, მინახია აი, შენც უკვე
მარჩენალი ხარ,
ერთხელ უკვირ და აქვდ გაეშეიერებ: მუდამ
მანსოვს ჩემი დამარტებლები და უფროსი ამ-
ხანაებ... მათ მოწყვს პირველი პაროფსია,
შემანწავლეს ცხოვრებას რთული მეცნიერება.



მიჩვენებს შრომის ადამიანის დიდი ძალა და სულიერი მშვენიერება.

ასეთ უნივერსიტეტს ვერ დაიფიქრებს კაცი". მხრვალედ რწმენა ადამიანის შრომის დიდი ძალაა. სამართადის ერთგულება და ღრმა პატივისცემა უფროსი ამანაგებისა და დამრავლებისადმი. გულზიარობა ადამიანთა შორის. იმას უნარი, რომ სიძნელეს დიდადით, აუმორით შეხედვ, სიყვარული დედისა და მამისადმი, სიბრძნე და პატიოსნება, ეველგან და ეველფერმა წესიერება, გულწრფელობა, სიტყვის გაუტყუებლობა, სიყვით და თანაგრძობა, ძმურა ზედის გაწვდენა გაჭირვებულისა და განსაცდელში მყოფი ადამიანისადმი, — აი ეს სულიერი მშვენიერება, რომელზეც მოგვარება, როგორც „მოგონებანი“ და რომელიც უნდა ჩვეუნიერგვით ჩვენს ნორმ თაობას.

„მოგონებებში“ აღნიშნულია: „კაცი, რომელსაც არ უყვარს დედა, — დედა, რომელსაც სიციცხლე მიანიჭა. გამოზარდა და აღზარდა — ასეთი კაცი პირადად ჩემთვის საცუო პიროვნებაა. ტყუალად როდეს უთქვამს ზღაპრს—დედა სამშობლოო, ვისაც დედის მიტოვება და დეაფიქრება შეუძლია, ის არც სამშობლოს გამოადგება შეალად“.

უკვლამ ახალგაზრდამ გულის ფაცარზე უნდა დაიწეროს და არასოდეს დაიფიქროს ეს წმინდა მცნებები.

აქაც „მოგონებების“ ავტორი მისდევს დიდ ელასიურ ტრადიციას, რომელიც დაწერა მაქსიმ გორკიმ: ვავიზნენით გორკის მოთხრობა დედაზე იტალიური ზღაპრების ციკლიდან, სადაც გამოხატულია ადამიანის ეველზე გულითადი მისწრაფება.

გორკის ზღაპარში ნათქვამია: „ვადიდით ქალი — დედა, რომლის სიყვარულს არა აქვს საზღვარი, რომლის მერდით გამოზრდილია მთელი ქვეყანა რაც კი სახლი არის ადამიანში, მზის სხივისა და დედის ძძუტის ნაყოფია. აი რა მშენის ჩვენს სიციცხლის სიტყვებს! თუყვანი ვცეთ დედას, მან დაბადა მოხუცამადი და დიდებული წინასწარმეტყველი იესო, რომელიც მოკლულ იქნა ავკაცთაგან. მაგრამ როგორც შერაფერდინმა თქვა, ეველ აღდგება და მოვა შედარბო და ცოცხალთა განსასქელად, რაც დამასკში მოხდება, დიას, დამასკში!

თუყვანი ვცეთ დედას, რომელიც დაფლავდა გვიძღვის დიდებული, არისტოკრატე შეკალია იმისა: აგრეთვე ფორდოუსი, თაფლავით ტკბილი საადი და ომარ ზაიმი, მკვავისი საწამლავნარტე ტკბილი დეინისა! ასკანდერი და ბრმა პომპროსა — სულ იმისა შვილები არიან, მისი რბით გაზრდილნი, დედაცუმა შემოიყვანა ისინი ქვეყანაში, როდესაც პატარები აყვინ,

არა უმაღლესი ზამბახისა, დედათაგან გაქვს მთელი ნეტარება ამ ქვეყნისა.

— აგრც, აგრც — შეშვიკო ქერმანმა, მარ, ოლის მოყვარე პოეტმა — უმზეოდ ტურთა ვარდო არ შეყავის, უსიყვარულოდ არხად არის ზედმეტება და უდედაცუოდ არც სიყვარული, არც ნეტარება, დედა უნდა იყოს, რომ წარმოიშვას პოეტ, გმირი!

და მზარულმა პოეტმა ქერმანმა, ბავშვივით გაზარებულმა წარმოსთქვა დეკსი:

რა სკობს პანგს ციურს, კოსკვლავების

პანგს სადიდებელს? „მანგი ტრფობისა“ — იტყვის უმაღლესა ჩვენგანი, რა სკობს მზეს დიადს, მაისის დღის მანათობელსა?

„ქალი, რომელსაც გულით ვებრფი“ — იტყვის კაბეტო, წარმტაცი არის ვარსკვლავების ცილი, — მკერა, მზეც წარმტაცია — მაისის დღის მანათობი, — მკერა, სკობს ყველა ყვავილს სატრფოს თვალთა სიტურფე, — მკერა.

მისი დიმილიც მზის აღერსზე ტბილია — მკერა, მაგრამ არ თქმულა ვერ ყველაზე წარმტაცი პანგი, — სიმღერა იმის სადიდებლად, ვინც მიწაზედა დასაბამია დასაბამია, გულია ქვეყნის, ვისაც ჩვენ, ძენი ადამისა ვუწოდებთ დედას.

და უთხრა თემურ-ლენგმა პოეტს: — აგრც, ჩემო ქერმანი! არ შესცდა ღმერთი, როცა შენი ბაგე აირჩია თავისა საბრძნის ქვეყნისადმი საზარებლად“.

„შენ შეგიძლია უარყო ღმერთი, მაგრამ დედის უარყოფა კი არ შეგიძლია“ — თქვა გორკიმ.

დედის უარყოფა სამშობლოს უარყოფას უდრისო, — დაუმატა „მოგონებების“ ავტორმა, როგორც ზედათ, განსხვავება აქ ძალიან დიდა: გორკის ნაწარმოები რომანტიული ზღაპარია, რომელშიც მოქმედებენ იტალიელი მებადურის ცოლი, ქვეყნის აქლები თემურ-ლენგი და მხრვალე პოეტ ქერმანი — ისინი თითქმის ზღაპრული პერსონაჟები არიან, აქ კი „მოგონებანი“ მკაცრი და ფხიზელი რეალიზმი და გმირი ქალიც სავსებით კონკრეტული პიროვნებაა — კამენსკოელი მუმის ცოლი ნატალია დენისოვნა.

როგორც ჩვენ უკვე არა ერთგვის დავინახეთ, ლ. ბ. ბერენვეის წიგნს აქვს არა მარტო პოლიტიკური, არა მარტო ლიტერატურული მნიშვნელობა, არამედ უდადესი პედაგოგიური აზ-

რაც, თუმცა ეს საერთო დამახასიათებელია მა-
ღალი ლიტერატურისათვის: აქ კიდევ ერთ რა-
მეს უნდა გავხსნათ ხაზი: დ. ი. ბრეტენევი ხში-
რად უმარტონდება სამშობლოს სიყვარულის თე-
მას. კერძოდ, დიქტიოს პირობებს რომ გადმოს-
ცემს, აქ ისეთი აღუშვავი ძაღვები ჩანს გახში-
ლი ადამიანსა და ლურჯ ცის შორის, ადამიანსა
და მწვანედ გაბურღულ ზეცავაჟას, ცისფრად
შოღავილვე მდინარესა და შორს, შორს წარ-
სულ სივრცეებს შორის, სადაც გგონია, რომ
თავდება ქვეყანა — რომ შეუძრებელია არ გა-
ჩნდეს რაღაც განუწილებელი და უსწრესა საუკე-
რელი ამ მწიწანდში, რომელიც ამდენ სიხა-
რულს ანიჭებს ადამიანს და ამდენს მას სიცოც-
ხლის ძალას. შრავალი ასპექტი აქვს ამ წიგნებს,
შრავალი ხეობა — ასანი მოიცადენ მთელ
ცხოვრებას — პარტაულ სახელმწიფო და ხა,
მეგრული სფეროები, კადრებს აღზრდის ფაქ-
ცილობას, მეცნიერებასა და ცოდნის უზარ,
მზარს ბოღს, კრძალის და თვითკრიტიკის გა-
წეწომელ მწიწნელობას და მიუმატებ ვე-
ლაფერ ამას ესთეტიკური მხარე, როცა ხანდა,
ხან კიდევს თვალთ შეზღუდავს ბოღმე ავტორი
სამყაროს, ზოგი დეიმიდ აღიას ძე პოეტის
უდიდესი და გატაცებული შობრფილატა ან.
ღმანი „სწიგნები“ წყვილოთბო, რომ თავის
დროზე, სივრცეობან დარხანსა, ნაფინის საარ-
ჩებო ოღკას ამომჩრედეობან შეზუდობის შე-
მდეგ, დეიმიდ აღიას ძემ, წეგობრული საუბ-
რის დროს, ზეპირად წყვილობა ზურგეი ცხენინის
პოემა „სა ნეგანა“ და დამწრეთა თხოვნით
კიდევ ანა დღესებო იმევე პოეტისა.

რას ნიშნავს „სამშობლოს გრძობა“? საიდან
იწყება იგი? ეს უბრალო კითხვა არ არის და
ამ კითხვაზე დ. ი. ბრეტენევი „მოგონებებში“
ან როგორია პასუხი ვასცა:

მოკიფეხით ორ ადგილს „მოგონებებიდან“
„სამშობლოს გრძობა ურველ ჩვენთავანს
ბავშვობის, საყუთარო სახლის, საყუთარო ქუ-
ნის, ქალაქისა თუ სოფლის მსოფნით ეწყება
და ამასთავეც ცოცხლობს ჩვენში დიდი, დიდი
სამშობლოს გრძობაც, რომელიც სამშობოები,
სა და დიდა განსაცდელის გამბ ანაზუად უაღ-
რესად ახლობელი და ძვირფასა მღება“

ახლა ვნახოთ მერვე ადგილი:
„სამშობლოს გრძობა ჩვენში ვეღას ძალზე
განეთიარებული აქვს. — მწეწიერა გრძობაა,
და ის, რა თქმა უნდა, სატოოდენ ჩეგბი მი-
წაწულის სიღამაზის მწერით როდა საზრდო-
ობს. მასში, როგორც იტყვიან, ფესვები უნდა
ვიიდგა და როდესაც ადამიანი შრომის ოფდის
აქურტებს მას, პურს მოიფეგანს, შეუდგება ქალა-
ქის შენებას, გაფეგანს ახალ გზას, ამ სასტრტებს
კაბობის ამ მზის თბავიკეთი, თუ მათინ ვაიკებს
კარავად, თუ რას ნიშნავს სამშობლო“

დ. ი. ბრეტენევი თავის „მოგონებებში“ შეგ-
ვახსენა, რომ ვისაც დედა არ უყვარს, მას არც

სამშობლო უყვარს, ვისაც საყურადღებო
საყუთარო ქუჩა, საყუთარო ქალაქი, საყუთარო
სოფელი არ უყვარს, მას არც სამშობლო ეყუ-
არება, არც დიდი და დიდი სამშობლო სასტო-
თა კავშირი ეყვარება, არც მისა დიდებულო დე-
და-ქალაქი მოსკოვი, რომლისთვისაც ბრძოლაში
თავი დასდო და საყუთარო სიცოცხლე გასწიარა
რუსსაც და ქართველსაც, სომეხსაც და აზერსა.
იწანელმაც, ტაქიკმა და უზბეკმა, და ეს ზღებოთა
დიდი განსაცდელის გამბ, როცა დიდი სამშობ-
ლო როგორც ბრეტენევი ამბობს, განსაყუთრებით
ახლობელი და ძვირფასი იყო.

სამშობლოს გრძობა ვეღას ძალზე განვითა-
რებული აქვსო, მწეწიერა გრძობააო, წით-
ქვამია „მოგონებებში“, მაგამ რომ დაქვე და
უცქირო ამ სიღამაზეს — არავითარი სამშობ-
ლოს სიყვარული არ გამოდის, უნდა ვაიდგა
მასში ფესვები, აყუთარო შრომის ოფლი, მოიფ-
ეგანო პურა, ააშენო ქალაქი, გაობარო სანგარი
მის დასაცავად და მასინ ვაიკებს რა არის სან-
შობლო, მასინ მიზნდები, ჩაოდენ მართალი
იყო პოეტი, რომელმაც თქვა: „სამშობლო, დე-
დის ძეძუი არ ვაიკუღების სხვანუდა ორივე
ტუბილია მშობილო, მარჩენის ორსაც თვალზე-
და... როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვე-
ყანაზედა“ თუ ამიტომ ანეთი თითოეულიც შეტ-
რდის „მოგონებებს“ ავტორი პეტარა სო-
ფელს კამენსკოის დიქტიოს სამაჩოზე, უნა-
წესი სიყვარულით ოხსენიებს აქსენოვას ქუ-
ნას, სადაც ადგა მისი სახლი, ოხსენიებს სო-
ფელ ბრეტენევის კერსკის ოღქში, საიდანაც იწ-
ეება მისი გეარის ისტორია: აქედან იწყება სან-
შობლოს სიყვარული და სწვდება საბჭოეთის
უზარმზარს პირინოტტებს: ანა იგი ვეღა
ჩვენთავანისთვისა, დიდსაც თუ პატარისთვი-
საც, ვისაც აქვს თავისი სოფელი და ქალაქი,
აქვს თავისი ქუჩა და თავისი ქვეყანა.

კიდევ ერთი თემა აღძრული ამ წიგნებშია
განსაყუთრებოთ სანტრტერსო ჩენია დროისად,
ვის: ენა თემა სოფელთმ, მიწასთან დაბრუნე-
ბისა, თუ მიწასთან, სიცოცხლის დედა რომ არის
და ქართველი ვაცო დედაშიწას რომ ედამის:
1921-22 წლებში წაგნის ავტორი სოფელში და-
ბრუნდა, კერსკის მხარეში. „ცხნადი, ვეზავ-
დი, ვეკიდი, მიწას ნამდვილად შევეთვისებ“, წერს
დ. ი. ბრეტენევი „მოგონებებში“ და აქვე იგრ-
მელებს „უამრში“ დაწყებულ თემან პურზე და
მის მწიწნელობაზე: ახლა, როცა დიქწო
მძლავრი მიბრუნება მიწასკენ, სოფლი-
სკენ, ბუნებისკენ და ამას ზელი შეუწყო კო-
დეტორი მებადეობის დაარსებამაც და სასტრ-
სათო პრობლემებს გადაჭრისათვის პარტო-
ნიერ მიღებულმა სხვა ღონისძიებებმაც, როცა
სოფელს ახალგაზრდობა, მთელი განიარყება
ქლასი ერთსოფელთად გადაწევეტს ბოღმე —
არ მოსწედეს მიწას და სოფელში დარჩეს და
ეს სულ უფრო და უფრო ჩვეულებრივ- ამაყი

ხდება, თითქმის ცოცხლდება ის ინტინქტი შთამომავალთა გენებში, წინაპართა უთვალავმა თაობებმა — მხვედლ-მთხვედლებმა, შევენახებმა, მებაღეებმა, მოსავლის ჩადოქარმა ოსტატებმა რომ დასტოვეს, იმათ, ვინც 500-მდე ვაზის ახალი ჭიწი გამოიყვანა, ვინც მსოფლიოში პირველმა, როგორც აკად. პ. ტუკოვსკი ამტკიცებდა, მიაგნო ბუნებაში სანატრელ მცენარეს, გამოიყვანა ზორბალი და საქართველო აქცია კულტურული ზორბლის პარველ კერად; მართლმაც იდეოტებს ის დიადი ტრადიცია და მაშინ ეს ხდება მარტო სამეურნეო და სასურსათო პრობლემა კა არა, მას ისტორიული მნიშვნელობა ეძლევა, კერძოდ საქართველოსათვის, სადაც მიგრაციამ ქალაქისაგან ფართო მასშტაბები მიიღო. ამაზე ბევრი წერეს ჩვენმა პოეტებმა და თუ ჩაოღენ მნიშვნელოვანია ეს საკითხი, ამაზე სიტყვას აღარ გაუაგრებდებ. ეს უკვე ცალკე თემა.

დასკვნასათვის უნდა აღნიშნოთ შემდეგი: ამ ნარკვევით სრულიადკ არ ვფიქრობ უარყო „პეტრიწონის მონასტრის, როგორც მნიშვნელოვანი სამონასტრო-კულტურული ცენტრის, არსებობა“ (მ. შენგელია), ან დაეჩრდილო „პეტრიწონის ქართული კულტურის კერის როლი ჩვენი საზოგადოებრივა ცხოვრების ისტორიაში“ (ლ. მენაბდე) და დავაყენო მისი მნიშვნე-

ლობა. ეს მხოლოდ იაფფასადი მნიშვნელობაა ფრაზებია, რომელიც მეცნიერულ შრომებში საერთოდ არ უნდა იწერებოდეს. ბრმა უნდა იყოს კაცი, რომ არ სან ვერ! მხედველეს იმ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასა და მნიშვნელობას, რომლითაც ცნობალია პეტრიწონის ქართულია მონასტერი. ფსიდაუდებელია ამ მონასტრის ტიპიკონი და კრებული „საკითხავნი დღესასწაულთანი“ — ორი ვადარჩენილა ლიტერატურული ძეგლი, რომლებიც ნათელ წარმოადგენას გვაძლევენ, თუ პეტრიწონელი ქართველი მოღვაწენა რათ ივენენ დანტერესებულენ, ან მათ რა აღელებდათ და აწუებდათ. მაგრამ კეშმარტებას საჩიებლად პეტრიწონის მონასტრის საწერლო საქმიანობის შესწავლა მანც არა დგას ზოგიერთ შრომაში მეცნიერულ სიმადლეზე. ამიტომაც ჩვენ, ძველი ქართული მეწერლობის მკვლევარნი, მოვალენი ვართ ამაზე ხმა ამოვიდოთ დროულად. თორემ იმას, რაც ზევით ითქვა, მომავალი თაობა იტყვის, ჩვენ კი მისა უტყმელობა ბრალად დაგვიდებდა.



ქვეყნის დაუფრალი ისტორია

ქართულ ხალხურ საისტორიო ლექსების დიდ ციკლს თამამად შეადგება ვერწოდოთ ქვეყნის ზეპირი, დაუწერელი ისტორია.

ქართული ხალხური ლექსი თავის უშუალოებით, უბრალო, მაგრამ ბრძნული აზრით და შესანიშნავი ისტატიკით ყოველთვის იყო და აქნება მიზიდული და აღტაცების გამოწვევი — რა თქმასაც არ უნდა ეტებოდეს ის. მასში აღბეჭდილია ხალხის სულიერება, მისი ჩანაფიქრი და ნება-სურვილი. ყოველ საუფრეს და ცხოქის საყუთარი მაჯისცემა, საყუთარი სუნთქვა გააჩნია, მას თავისი გმირება ჰყავს. ერის ფიქრი ამ გმირებს დასტრიალებს თავს და ახინა მომავალი თაობის კვლევას და ინტერესის საგნად არიან ქვეყნის, ხალხს უყვარს თავისი გმირი, რა წრიდანაც არ უნდა იყოს ის წარმოშობილი, თუ ეს გმირი ხალხის ნებასა და სულსაყუთების გამოშატეულია. ქართულმა ხალხურმა შემოქმედებამ მრავალ გმირს უყვადებებს გვირგვინი დაადგა თავს, შარავანდედით შემოსა მისა სახელი.

ქართულმა პოეტური ზელოვნების დარგებს შორის ერთი წაშევანი ადგოლა ისტორიულ გმირებზე შექმნილ ლექსებს და თქმულებებს უჭირავს. ეს ლექსები საუფრეთა მანძილზე აქმნილობდნენ სხვადასხვა გარემოში და სხვადასხვა სოციალურ ფენაში. ამ ლექსების ძირითადი მოტივი პატრიოტიკაშია.

საგმირო სიმღერები სრულდებოდა ლაშქრობების დროს, სახალხო რატულებში. საგმირო ხასიათის ლექსები და მასზე შექმნილი მელოდიები ახლაც ამწვენებს საგუნდო თვათშოქმედი კოლექტივების რეპერტუარს: ეს სიმღერები იყო სალაშქრო ხასიათის, რომელსაც ბრძოლის წინ, ან რის გამოარჩევით დამთავრებისას ასრულებდნენ არა მხოლოდ მამაკაცები, არამედ ქალებიც. ვაჟ-ფშველი ხაზგასმით აღნიშნავდა ქალების როლს საგმირო პოეზიის შექმნაში. „თმის

არსებობა დაშოკიდებული იყო ვაჟაცობაზე, მამაკაცებზე. — წერდა პოეტი. — მათი გამაშხნელებელი ბრძოლაში დედაცავე იყო, დიაცის ქება მამაკაცისათვის დადი ფაქადუდებელი საჩუქარია. ვაჟაცა მუდამ ცდილობდა ქალების საქებაო ყოფილიყო, იმათი დათარაშების ღირსა. ქალები ხშირად ვაჟაცებს ვაჟაცობისათვის აღიქვებდნენ კიდევ“.

საგმირო-საგაყავო ლექსები და თქმულებები უმეტეს შემთხვევაში კონკრეტულ ისტორიულ ამბებს აღწერენ. მათში მოთხრობილია ამა თუ ამ სახალხო გმირის ცხოვრება. მისა თავადა-სავალი, რომელაც ერის მუხსიერებას, ან წერალობით წყაროებს მოუტანია ზენამდე.

ისტორიულ თქმებზე შექმნილი ნაწარმოები, რა გინდ ლეგენდარული არ უნდა იყოს იგი, მაინც ასახავს ამა თუ ამ კონკრეტულ-ისტორიულ მოვლენას.

ძველი წერალობითი ძეგლების გაყნობით ნათელი ხდება, რომ ჯერ კიდევ მე-14 საუფრეებში საქართველოში ძლიერი ეოფანა საისტორიო ზეპირსაიტყვარების ტრადიცია: უძველესი თქმულებებსა თუ გადმოცემებიდან ტრად საინტერესოა თქმულება ვახტანგ გორგასანლზე. ამ ციკლის ნაწარმოებთა შორის უფრადღებს იმერობს ლექსი „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა“ და ლექსი ვახტანგის გარდაცვალებაზე. გორგასანლის სახელთან დაყავიშობული ლექსების ძირითადი თემაა გორგასანლის შიერ საქართველოში მოთარეშე ჩრდილო-კავკასიელი ტომების აღავაგა. ვახტანგის სახელს უყავიშობება უამრავი ლექსი და ლეგენდა თბილისის დაარსების შესახებ.

ქართულ ხალხურ საისტორიო სიტყვიერებაში დიდი ადგალი უჭირავს თამარ მეფის წარმოცვა სანეს, თამარ მეფეს, მისა თანამედროვე ისტორიკოსთა ცნობით, სიცოცხლეშოვე ზოტაბს ახსამდნენ და აღმერთებდნენ, მის შესახებ სვა-

ნეთში ბილი დრომდე შემოინახეს სადერბულდო სიმღერა „თამარ დედოფალი“. თამარის ცხოვრებასა და მას სამეფო საქმიანობასთან დაკავშირებულ ლეგენდებს ძველი ისტორიკოსებმა დახურად აღწერეს აქცენდენ. ეს პირველი რაგში ვახუშტი ბაგრატიონის შრომებზე იყენის.

როდესაც ვახუშტი ბატონიშვილი რაქსს აღწერს, იქვე გადმოგვცემს ლეგენდას თამარ მეფის ნაწინაზე. იმავე ლეგენდას, როგორც საისტორიო წყაროს, იმომშებს იოანე ბატონიშვილი: „ამ ეკლესიის კამარას შინა მკვიდრობის თმა ერთი ნაწინაო და იტყვიან თამარ მეფისასა“; მასვე მოუყვანილი აქვს ლეგენდა თამარ მეფის ვაჟის ლაშა გიორგის დაბადების შესახებ; ამ ლეგენდას ზოგიერთი ვარიანტი ერეკლე მეორის სახელსაც უკავშირდება. ამ ლეგენდით, თამარმა თითქოს გამდელს უბრძანა წაეყვანა ბავშვი და სადმე უხიერ მთაში მიეტოვებინა. ასე მოიცვა გამდელი. მაგრამ ტყეში მიტოვებულ ბავშვს გაშრდელად არემი მოეცლინა. რამდენიმე წლის შემდეგ თამარა თავისი აშლით სანადიროდ წაივია. მონადირეებმა შენაშენეს ირემი, ის იყო უნდა მოეცლიათ, რომ მასთან დაინახეს ირემს ამოკრული ბავშვი. ამ საყიროველი ამბის შესახებ თამარს მოახსენეს. თამარმა ბავშვი შინ წაიყვანა და გაზარდა. თქმულების ბოლოს ნათქვამია, რომ ამის შემდეგ ბაგრატიონები ირმის ხორცს არა სჭამენო. ეს თქმულება სხვადასხვა ვარიანტით გვხვდება (იხ. აღ. ხაზანაშვილი, ქართ. სიტყვიერება, ტ. 1, (რუს. ენაზე; აგრეთვე „ივერია“, 1888 წ., № 228).

ვახტანგ კოტეტიშვილის გამოკვლევით, ეს თქმულება თამარ მეფის ეპოქას არ უნდა ეხებოდეს. სქემა ამ თქმულების ძველის ძველია. მისი ვარიანტები მრავლად მოიპოვება როგორც ქართულ, ისე სხვა ხალხების ზღაპრებში. კერძოდ, აქ უნდა გავიხსენოთ ძველი თქმულება პარსების შესახებ. პარსების ბრძანებით, ბავშვა მათში დააღვდეს, სადაც ის გაზარდა დაიქცა, შემდეგ მწევრმა იპოვა და შინ წაიყვანა. ამავე ციკლისა ლეგენდა რუმისა და რომელს შესახებ. ეს მოტავა ჩვენს ზღაპრებშიც ხშირად გვხვდება.

ხალხის ტანტაზიას გადაულახავს საუკუნეთა ზღუდე და ამ ლეგენდის ზოგი ვარიანტით სხვადასხვა ეპოქის ორი დადი ეროვნული გმირი დაუნათესავებია:

ბატონიშვილ ერეკლესა ირმის ძეძუ უწყოია, წულო უსვამს ალგეთისა, თრალეთზე უძოენია,

გაღუგლიათ საჩალეში, მონადირეს უპოენია,¹

ეს პატარა ლექსა საუკეთესო ნიმუშია ამისა, თუ ერთი და იგივე თქმულება, სიუჟეტი ან ტიპი როგორ ძველდება ან ახლდება ხალხის წარმოდგენაში, თქმულების ასეთა განახლება ჩვეულებრივია როგორც ხალხურ შემოქმედებაში, ისე მწაგნობრულ ლიტერატურაში.

ირმის მარც მეთისწულას გაზრდის მოტივის შემცველი ლეგენდას ჩანაწერებს ცნობილია გასული საუკუნის შიიან წლებიდან. მაგრამ, ცხადია, აღნიშნული ლეგენდის ტრადიცია უფრო ძველია; ამას შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი თავის შრომაში მიუთითებს, რომ ლეგენდა გავრცელებული უოფილა „ივერიელთა შინა“.

ვახუშტის ჩანაწერი იმათადაც საყურადღებო, რომ მასში ეს ლეგენდა დაკავშირებულია ვახტანგ გორგასანის შვილისშვილის — გურამ მამულის სახელთან, „ცოცხლებ ვითარცა სიტყვა არს ივერიელთა შინა, რამეთუ ირემმან გამოზარდაო ბაგრატიონი, იყო ესე გურამ, რაჟამს მოუტლეს მამა და მოუტლეს ბერძენთა ბილი კლარჯეთისა, ამას ეძებდნენ და დაშლეს გაშრდელითა და მწირობასა შინა. ურამა ესე შეუდგა ირემსა, აწოცებდა და აღივსის და ავლინებდა. შემდგომად იხილეს საყირველი ესე კლარჯთა, მსცნეს ბაგრატიონობა მისა, მათყვანეს და ჰყუეს კვალად ერისთავთ-ერისთავად. ამისთვის იქმნა უმეტეს სარწმუნოდ პატრონი კლარჯთა და მესხთა“ (ქართლის ცხოვრება, ვახუშტი ბაგრატიონი, 1978 წელა, გვ. 171).

როგორც ჩანს, ვახუშტი ბაგრატიონისათვის უცნობა უნდა იყოს ის, რომ არსებობდა ვერსია, რომელიც ამ ლეგენდას თამარის სახელს უკავშირებდა; ვახუშტის ვერსიაში ბაგრატიონის სახელა მოხსენებული არ არის.

თამარის საზე ქართულ სიტყვიერებაში მათოლოგურ ელემენტებსაც შეიცავს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასში მანც ჩანს მეფე-ქალის სახელმწიფოებრივი მოდენაწიობა; ამ მხრივ საყურადღებოა მისი გარდაცვალებას შემდეგ შექმნილი ერთი მენტად გავრცელებული ხალხური ლექსი „თამარ დედოფალი ვიყავ“, სადაც ლაპარაკია თამარის სამრძოლო საქმიანობაზე და მის გარდაცვალებაზე:

თამარ დედოფალი ვიყავ, თავი ძირს აღარ დავიღე, ზღვაში ჩაეყარე სამწები, ხმელეთი ჩემსკენ მოვიღე, ქაქებსა დაეღე იქარა, ისპაანს ხარჯი ავიღე, სტამბულს ხმალი ვყარ, დარუბანდს,

1 იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, 1, 1936 წ., კ. კეკელიძისა და აღ. ბარამიძის რედაქციით.

1 ვ. კოტეტიშვილი, ხალხური მოგზია, 1943 წ., გვ. 90.

მშვიდობით, ქსნელის მძღვარო-და, ერთობლივ გიორგიელთა, მეცხვარ-მწევს წინამძღვარო-და¹

ვახუშტი ბაგრატიონის შრომებში, გარდა თამარ მეფისა, მოცემულია თქმულებები დავით აღმაშენებლის შესახებ. ამ დიდი ისტორიული პაროვნების საზე ხალხურმა სიტყვიერებამ ნაკლებად შემოგინახა. ამიტომ ვახუშტის მიერ დადოლ ლეგენდას, რომელიც დავით აღმაშენებლას საზელს უკავშირდება, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ანისის აღმასთან დაკავშირებით ვახუშტის აღნიშნული აქვს როგორ განახლა დავით აღმაშენებელმა ბერძენთა მეფის ასულის, დედოფალ კატარინეს მიერ აღნიშნული ეკლესია, რომელიც თურქებს მიზიოთად გადაეცოებინათ. დავითმა ხელახლა აკურთხებინა ეს ეკლესია და ძველებურად გაჩაღდა წირვა-ლოცვა ვახუშტის გადმოცემით, დავითმა „უფიელა კატარინიას საფლავსა: „გზაროდენ დედოფალო, რამეთუ ხსნა ღმერთმან ეკლესია შენი აგართანთაგან“, ზოლო საფლავიდან ხსა უფო მან: „შადლობა ღმერთსა“, და განკუთრდებოდნენ მსხენელნი“.

ეს ლეგენდა გამოცენებული აქვს იაკობ გოგებაშვილს, მაგრამ გოგებაშვილსეული ვარიანტი ოდნავ შეცვლილი სახითა წარმოადგენილი. არც დედოფლის ვინაობას ახახულებს გოგებაშვილი. მისი გადმოცემით, „როდესაც დავითი შევიდა ანისის უბოარეს ტაძარში, იგი მოუახლოვდა ერთი დედოფლის საფლავს და ჩახსება: „გზაროდენ, დედოფალო, უფალმა იხსნა შენი ეკლესია ურწმუნოთაგან“, და პასუხად მოესმა საფლავითან „დიდება ღმერთსა“² ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ ეს ლეგენდა აღარ შემოგინახა.

ერთი საანტიკრესო ხალხური ლექსი დავით აღმაშენებელზე ჩაუწერია ქართული საბჭოთა ფოლკლორისტიკის უფძემდებელმა ვახტანგ კოტეტიშვილს გვახეში: მისი შეცვლილი ვარიანტი, უფრო ადრე, 1902 წელს, გამოქვეყნებული უყოფლა „მოგზაურში“, საიდანაც აღ. ხახანაშვილი გადაუბეჭდაც თვის „ქართული სატყვიერების ანტიკრიაში“ (გვ. 20). აღნიშნული ლექსი ხახანაშვილისთვის ჩაუწერიანბა ნიკოლოზ დადიანს. კოტეტიშვილის ვარიანტი მცირედად განსხვავდება დადიანისეული ვარიანტისაგან, მაგრამ ორივეს წიგნური გადღენა ეტყობა. ლექსი ხალხური წარმოშობისა არ უნდა იყოს, აქ არა ჩანს სახმდებო რიტმი, რომელიც ხალხურ პოეზიას ახასიათებს. ლექსში დავით

აღმაშენებელი დახსიათებულა, როგორც ძლიერი, მოწყაღე და ქვეყნის ერთგული მეფე. აქვე მოხსენებულია იყოლო, როგორც „ქაბუთთა საწერთელი“ ცენტრი, საიდანაც ისინი ათენს მიემგზავრებოდნენ სწავლის გასაგრძელებლად. ხალხურმა სიტყვიერებამ უკუდავების შარავანდელით შემოსა საზელგანთქმული მეფე ერეკლე II, რომელსაც სიყვარულით მეტახებლად პატარა კახს უწოდებდნენ.

გვიანდროდლორ საქართველოში გლეხების ექსპლოატაციამ უდიდურებს საზღვრებს მიაღწია, გარდა იმისა, რომ უმები მეტატონეთა სასარგებლოდ შრავალ გადასახადს იხდიდნენ, მათი შვილები ზშირად გასაქიდად გაიყვადო აღმოსავლეთის ბაზრებზე. ამის გამო გლეხები ჩიოდნენ მეფესთან, ზოცადნენ მეტატონებს და უჩაღად ვარბოდნენ ტყეში. ეს მდგომარეობა მშიმე დაბრკოლებას უქმნიდა ერეკლე მეორის როგორც სავარეო, ისე საშინაო პოლიტიკას. ერეკლე მეორემ თავისი ძალდონე დარღვეულ და დაშლილ საშეფოს ადღენას მოახმარა. მას კარგად ესმოდა, რომ მიწორ მდგომარეობაში ჩაყენებული გლეხი არ გამოდგებოდა ქარსეცად ვარწე მეტართან ომის დროს. ერეკლე II სასტიკად სქიდა იმ მეტატონებს, ვინც გლეხებს იძულებულს ხდიდა, რომ თავის მიწიდან აურილო და თავშესაფარი სხვაგან ეძებნა, მის მიერ გამოცემული კანონები გლეხს ფრიალ სავრძნობს შევას აძლედა; ზალი მას თავისი უფლებების დამცველად და მოსარჩლედ სთვლიდა. როგორც ისტორიულად ცნობილია, ერეკლე იყო მოწყაღე და კაცთმოყვარე. მისი ურეელი ნახიცი მისახამად და საშავალითოდ მოანდათ. სადაც კი შემოხვევა მოცემოდა, ურეელთვის დავრლომილს ხელს უშართავდა. ამიტომ იყო, რომ მეტატონისაგან შევიწროებული გლეხი ზშირად საშიფარი მიმართავდა მეფე ერეკლეს.

ამ თვალსაზრისით საანტიკრესო სახალხო გვირგს მიაა წყნეთელისა და მეფე ერეკლეს შეხვედრა, რომელიც ხალხში გადმოცენად დარჩენილია და რომელიც გვაცნობს ჩვენი ქვეყნის ძნელებდობას მე-18 საუყუნეში. აქ მოთბრბობილია, ერთი მხრით, როგორ აბრძოდა ქართველმა ხალხმა ვარწე მეტრის წინააღმდეგ, ზოლო, მეორე მხრით, აქვე აღნუსხულია უმების საშინელი ტანჯვა-წამება მეტატონეთა მშიმე უღელქვეშ.

ლექსში „ერეკლესა და მათის შეხვედრა“ აღწერილია მათს მიხვლი ერეკლე მეორის კარზე; იგი მათე ზიჭად აცნობს თავს მეფეს:

მათე ვარ, შენი ქარიმე,
მოვდივარ შორის შორიდა,
გაყრი მშობს აჯაყებოსა,
ცხებლი მწევეს ერთი ორადა,
მინდა, რომ გვემო-გოთფელად,
წელზე ვატარო ზნალი.

1 აკაკის აკრებულო, 1899, № 3, გვ. 76-79.
2 ი. გოგებაშვილი, მუნების კარი, 1885 წ., გვ. 33: ქართლის ცხოვრება, ტ. 4, 1973 წ., გვ. 162.

შენის ბრძანებით დაეცვა
ქრავ-ოხერ, თბოლ-ქალია!

საინტერესოა ლექსი „ერყელე მეფე და გლმ-
ხის ვაგო“, რომლის გაღვივებული ვარიანტებიც
გვხვდება ხალხურ სატყვეობებში. თქმულების
მიხედვით, ერყელე მეორეს ახალგაზრდობისას
ქართლის ერთ-ერთ სოფელში გაუვლია, თვალს
მოუკრავს ერთ მეტად ლამაზ ახალგაზრდას და
ლექსად უყიბნავს:

ერყელე:

ნეტავი ქალი ვიციოდე,
მთიდან მოხვალ თუ ბარადა,
ყურძნის საკრფოვად ყოფილხარ,
ხელში ვაჭირავს კალთა.
შენმა თელმა და წამწამმა
მე გული გამიხალავა.
თავმოწონე ქალიშვალი არ შორიდებია მე-
ფეს და მასაც ლექსადვე გაუცია პასუხი:
მეფენი ბევრი მინახავს,
რომ მოდიოდეს ქართლს,
შენ ჩემ თავს ამა ვინ მოგეცემს
და კერც წამიყვან ძალითა.¹

როგორც წერილობითი წყაროებიდან არკვე-
ვა, ერყელე მეორე დიდად უოფლა დაინტერე-
სებული ძველი ქართული კილოების დაცვით,
ხმისა და სიტყვის შემოღობვის მას წაქარაა გა-
ბაშვილი ქართლიდან გაუძევებია. „მაც შეშა-
ლა და სიტყვაცა, ჩაურთო შაგ სარსულიო“.
1792 წელს ერყელე სწერდა ამბროსო წალკ-
ნელს: „ქართლ-კახეთში ცისკრის „აღილო“
აღარავან ახსოვს, ჩამოდა, დაგვასწავლე და
იშოვნი ჩამბეო“. ამბროსის, როგორც ჩანს პა-
სუხი და ლექსი გამოუგზავნია. მაგრამ ერყელე
არ მოწვებია და ლექსადვე მიუწერია:

შენ ეგ „აღილო“ გეასწავლე,
მე ვოცი რაც რომ გარგეო,
ეგ ენა, პირი და გული,
ილაღე ჩვენთვის ბაგეო.

ხალხური კილოების, სიმღერა-გალობის მნი-
შვნელობა, როგორც ჩანს, ყარგად ჰქონიათ შე-
გნებული მაღალ წრეებში. სიმღერა-გალობის
ყარგა ცოდნისათვის დიპტირა ხელაშვილისათ-
ვის ერყელეს აზნაურობა უბრძმებია.

ხალხურ სატყვეობებში დიდი სიყვარულით
არის დახასიათებული ერყელე მეორე, როგორც
ეროვნული გმირი. ეს ნაწარმოებები ძირათ-
დად რეალისტური ხასიათისაა. მათში მაინც
შეიმჩნევა მათილოგური მოტივები. ამას ერთი
ნიმუში ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ.

უამრავი სამკლოვიარო ლექსი და სიმღერა
შეიქმნა ერყელე მეორის გარდაცვალების დღე-
ებში: ეს იყო საერთო-სახალხო მწუხარების
გულწრფელი გამოძახილი:

ვერ გაივთ, ქართველნო,
შეგებსნათ რკინის ყარიო,
აღარ გვათ მეფე ერყელე,
ბაგრატიონთა გვარიო.

ამ ლექსის გამო ილია ქვეყანად წერდა:
„ახე ამოკენება ერმა, როცა დასტიროდა
გვამს თავისის სახელოფანი მეფისას. მეფე ერე-
კლე რკინის ყარა იყო საქართველოსი. ამ მის-
ისტორიული ხატი ეს არის და თუ არ დადბუ-
ნებოვანს ყაცს, სხვას ვის შეუძლია რკინის
ყარობა გაუწიოს ქვეყანას? ეს რკინის-ყარობა
მატარა ყახისა ოთხ ედელშუთა მოგონილა და
ხელათ გამომცხვარა ეპითიტა კი არ არის, ეს
სიტყვა ხრის გულით შობილი და ერის ელ-
დაცემულ გულიდანევა ამოფეთქებული. ვითა
თოფის წამალი, როცა ცეცხლა იცემა“.

აღნიშნული ლექსი ბოლო დრომდე უოფლა
მთაში ვაგრცოდებულა, როგორც საფერხულო
სიმღერა. აგავე ლექსი ლაშქრის სიმღერაც უო-
ფილა, რომელსაც ომში მიმავალი მეომრება ას-
რულებდნენ.

ერყელე მეორის გარდაცვალების დღეებში
საქართველოს მთიანეთში მრავალი ლექსი შეი-
ქმნა. ერთ-ერთი საინტერესო ლექს-ანდერძი
მოძიებული აქნა ვახუშტ საუყუნეში დავით ზი-
ზანიშვილის მიერ ფსავსო.

ფსაველი შედეგისებო შემდეგო სიტყვებით
დასტიროდნენ მრავალ ომადახილი მეფეს:

ერყელეს სიყვლილ ვინა სოქვა,
გაუხმეს ენის ტარიო;
არ მოკვდა, ღმერთთან წავიდა,
ძმა არის განყარო.
შვილებს დაედო ბეგთარი,
ფხა სსხლიანი ხმელია...
— სანამდე ეოუც, ცხენ ვიყე,
მივძრენ და მოვძრენ ზღვანიო;
ახლა თქვენ გამიგაროდიო
ქილაქი, შეიღანიო...
მცხეთას რომ ვერცხლის ეუბო დგას,
უნთია კელაპტარია,
შიგა წეეს მეფე ერყელე,
ბაგრატიონთა გვარიო.¹

ქართულ ხალხურ საისტორიო ნაწარმოებთა
ერთი შტად მდიდარა ციკლი დაყავნირებულია

1 „სამშობლო“, 1915 წ.; გვ. 102.
2 აკაკი, კრებული, 1899, № 6, გვ. 79-80.

1 ფსაველი ლექსები. ჩაწერილი დ. ხუბ-
ნიშვილის მიერ, გაზეთი „ივერია“, 1889 წ.,
№ 238.

ზურაბ ერასთავის სახელით. ზურაბის სახე გაორბეულა ზეპირსიტყვიერებაში: ზოგი ლექსის მიხედვით იგი დახასიათებულია, როგორც შესასწავლი ვაჟი, ერთგული დამცველი თავისი მიწა-წყლისა, თავის სამშობლოსი, მისი სამამაყე და გულადობა შემდეგნაირად არის შექებული:

ზუ აბისთანა ბატონი
ვინლა გამოვა ზმლიანი,
განწა, მიტანა ამტროვია,
დღესაც კი სახელი არის.

როგორც ჩანს, ეს ლექსი ზურაბ ერასთავზე შეიქმნა მაშინ, როდესაც იგი გარეშე მტერს ებრძოდა და თავისი ძლიერი მკლავით საქართველოს იცავდა. მაგრამ ხალხს არც ეს დარჩა აღუნიშნავი, რომ არაგვის ერასთავებმა, ქერნუჯარმა და მერე ზურაბმა, განიზრახეს ბატონუშობის უღელქვეშ მოექციათ მთელი აღმოსავლეთი საქართველოს მთიანეთი.

ოფიციალურმა მატანიემ ნაყლებად შემოგვიანა ცნობები მთიანეთში ზურაბის ლაშქრობის არგვლად. სამაგიეროდ, მთის საგმირო პოეზიაში საქმაოდ აისახა ამ ბრძოლებისათვის დამახასიათებელი მომენტები.

მთიულეთის დაპყრობის შემდეგ ზურაბ ერასთავმა გერე ზევისაყენ აიღო. ზევი აქანუდა ზურაბ ერასთავის წინაღმდეგ ამ აქანუების ჩასაქრობად ზურაბ ერასთავმა დახმარებისათვის დიდ თავადს — ბარათაშვილს მიმართა. ფეოდალების ლაშქარმა ვატება მთის წინაღმდეგობა. მთამ იარაღი დაჟუარა და დროებით ზურაბს დაემორჩილა. ზურაბმა ზევი მიიმედა დაბრკა.

1828 წელს ზურაბ ერასთავმა ფშავ-ხევსურეთის დაპყრობა და განიზრახა. ისტორიული ცნობები ამ ბრძოლებზე ქართულ მატანიეში არ მოიპოვება, მაგრამ ამავე ბრძოლების ცალკე ამბები და ეპიზოდები დღემდე შემონახულია ხალხურ სიტყვიერებაში. ზურაბ ერასთავი ფშაველების წინაღმდეგ ბრძოლის დროს ორ წყალში ჩასულა და აქ დაამდგარა. ამის შესახებ ხალხურ ლექსი მოგვითხრობს:

ფშავის ორწყალში ჩავიდა,
მანდ ოში მოგვიხდებოდა,
მანდ შავლენ ფშაველ-ხევსურნი
ზურაბი გამშაველებისა.

აქ გამართულა ცხარე შეტაკება ზურაბის წარსა და ფშაველების შორის: ფშაველებს ზურაბი დაუმარცხებიათ და დაუშუქცივათ. გამარჯვებულ ფშაველებს ეს ამბავი შემდეგნაირად გაუღიქსავთ:

არ კი ვითხარა, ზურაბო,
ფშაველების ზელი სენია.

შენ ვე არ დაგიკრებავ,
არც არა მოგასწენია,
ორწყალში შემოვივლია,
სალია მაგაფენია;
მანდ მოვივლენ ფშაველები,
დღე დაგავენეს ცხელია,
სირბილით ჩამოგაყლიეს
არაგვის ქალა გრძელია,
თვალვის ველში რომ მიხველ,
იქ მოგაკონდა ცხენია.

ამ ბრძოლაში ზურაბმა თავის ძალა მოსინჯა. პირველმა დამარცხებამ მას გული არ გაუტეხა და მეორედ გაილაშქრა ფშავზე. ზურაბის წარსა და ფშაველებს შორის ბრძოლა მათურის თავთან მომხდარა. ამ ბრძოლაში ხელმეორედ დამარცხებულია ზურაბი. დამარცხებული ხარბდლისათვის ფშაველებს მიუძახიათ:

ზურაბ, რა უყვენ ლაშქარნი,
ნაყრებნი შვიდის თვისანი,
ჩაუშვენ მათურაშია,
თვალნი გაგიწყურეს ხთისანი;
დავიხდეს ფშაველს შვილები,
არწყინი მალღის მოსანი,
შემოგეწყინეს მთახედა,
ფაწითლებინეს ქვიშანი.

ბოლოს ზურაბმა განიზრახა იერში მიეტანა ფშაველების სალოცავზე — ლაშარის ქვარზე, რომლის უმად მთელი ფშავი თვლიდა თავს. ლაშარის ქვარზე ხალხს უთქვამს:

ზურაბს ქაერი კლავს ორისა;
ზენა მთის, ქვემოთ ბარისა;
ხევსურეთს კირმეშვილისა,
ფშავეში ლაშარის ქვარისა.

როდესაც შამაბასმა ქართლ-კახეთი მოაოხრა, მან ამის შემდეგ განიზრახა ფშავის დაპყრობა და ლაშარის განძის ზღუდა ჩაგდება. შამამ ლაშარის დასარბევად ლაშქარი თავისი ერთი ხანის მეთაურობით გაგზავნა, მაგრამ ფშაველებსა და ხევსურებს ეს ამბავი გაეგოთ და სპარსელების ლაშქარს დახვედროდნენ არაგვის ხეობის ვარჯო გახავაღში; შეუტყრეს გზა და იქვე ამოხოცეს მომხდურნი. დაბოცილ უიზღბაშთა სისხლს არაგვი წოლად შეუღებავს, რის გამო, ხალხური გადმოცემით, არაგვის წყალი ორი კვირის განმავლობაში აღარ დაიღროდა. სწორედ ამ ლაშარის ქვარის ზღუდა ჩაგდება მოინდომა ზურაბმა. ლაშქარი შეუარა და ლაშარის გორას მადგა:

ზურაბის ცხენი ტიალი,
ქერსა არა სქამს მთისსანა,
წავა და ბარით მოუტანს

ქარსა არა სქამს შტრისასა;
ეგებ ქერს ამოვიკრიდი
ფშავში ლაშარის ქერისასა!

ძლიერი ბრძოლების დროს ზურაბს გაუმარჯ-
ვია და ლაშარას ქვარი აუღია. ხალხური გად-
მოცემით, გაბროტებულ ზურაბს განუზრახავს
ლაშარის ქვარში მდგარი ბერძუნის მოჭრა. ამ
აშბავს ფშაველები საშინლად აღუშფოთებია,
რადგან მათა რწმენით ამ ხეში დასადგურებული
იყო მუნას ანგელოზა, რომელიც ბრძოლის
დროს ფშაველებს წინამძღოლი და მფარველი
იყო.

ხალხური თქმულებით, ზურაბმა ამ ბერძუნის
მოჭრა ვერ შესძლო, რადგანაც რამდენიც ნა-
ჯახს დაქარავედა, მუნას ნაფოტი ისევ ტანზე
ცურაოდა და მაგრდებოდა. მაშინ უკანა მხრის
ფშაველს გაუთავია თემი და ზურაბისათვის
ურჩევია, რომ მუნასათვის კატას სისხლი წაეს-
ვა. ის ასეც მოქცეულა. მუნა მაშინვე წაიქცა
და ანგელოზიც გაფრინდაო, მოგვათხრობს ლე-
გენდა:

ბებერსა ლაშარის ქვარსა,
ხმელს გორზედ ედგა ბერ-მუნა,
წყერს ება შიბი ოქროსა,
ზეციას ავიდის კობიოთა.
სულძაღლსა ერისთვისშვილსა
ამოუბრუნავ ძირითა,
მანამდე იმის ძე არა,
ის ამავედებს კირითა.

აი, ასე წყველათ იხსენიებს ხალხური ლექსი
ზურაბს თავის შთამომავლობითურთ ბერძუნის
მოჭრისათვის. ზურაბის ასეთ საქციელს ფშავი
იქამდე აღუშფოთებია, რომ მას საყუთარ სახ-
ლში მოუხტნენ მოსაკლავად. არაგვის ერასთავ-
მა გაქცევით უშველა თავს. ამაზე გამოთქვათ
ლექსი:

ორწვალში ჩავა ზურაბი,
ქალა ჩიქილიანი,
ჩაეუბნება მსახურთა
სანა რა შექნა ტიალი?

ხანგრძლივი და შამე ბრძოლის მოუხედავად,
ზურაბმა მაინც ვერ მოახერხა ფშავის დამორჩი-
ლება. დამარცხებულ ერისთავ ფშაველებს შე-
მოურიგებია და ასეც ლაშარის საღვთისმამე-
თის წარი შტეკარავს.

ზურაბის წინააღმდეგ ბრძოლაში თავი უხა-
ზელებია მამუცა ქალენდარტს, რომლის საფ-

ლაქსაც ფშავ-ხევსურები წმინდა ადგილად
თვლიან.

ვახტანგ კოტეტიშვილის დასკვნით, ამ თქმუ-
ლებებში ზურაბ ერისთავი გამოყვანილია, რი-
გორც დაუნდობელი კაცი, ღვთის შგნობა და
ამატომ დაუყავირდა მისი სახელი ბერძუნის
თქმულებას; ეს გადმოცემა უძველესი ეპოსის
ნაშთს წარმოადგენს. ამის შესახებ ვ. კოტეტი-
შვილი შენიშნავს: „...ქნებ ეს თქმულება ტიგრო-
სისა და ეფრატის ქალებიდან მოსდევდეს ჩვენს
მოდგმას, და შემდეგში დაუყავირდა გარკვე-
ულ ადგილს, ეპოქასა თუ პიროვნებას. ასეთი
შენსაცულება ხშირად არის პოეტური ფოლკლო-
რის ქვეყანაში. რომ აღნიშნულა თქმულებისა
და მასში მოქცეულ წარმოდგენების დაყავი-
რება ზურაბ ერისთავთან არ შეიძლება; ამისა-
თვის საჭარბა შედარებითა ფოლკლორის მასა-
ლის გათვალისწინება, სადაც იგივე ელემენტ-
ბი გვაქვს მოცემული. უძველესი წარსულის
სრულიად გარკვეული ნიშნით აღბეჭდილიო.“

უძველესი დროიდან ეგვიპტელები თავიანთ
ღვთაებას ბასტიტს კატისთავიანს წარმოადგენ-
დნენ. რომელსაც ღამეში ეღვარე თვალები
აქვს. ასევე, გერმანელთა წარმოდგენით, ღვთა-
ება ფრეას ებღმეა ორა კატა უბია და აქთ-
იქით დააქროლებს. მათი წარმოდგენით, კატა
ამინდთან იყო დაყავირებული. ჩვენი ხალხის
უძველესი წარმოდგენითაც, კუდიანებო ანუ კი-
ნებო, ავა სულებო დიდ ორშაბათს კატებზე
სხდებიან და ისე უფლან სოფლებს და ქალა-
ქებს — სჯიან იმით. ვახსენებ ცენტელი არ უნ-
თიათ. ამას ეა ჩვენი პაპოკონანს უწოდებენ.
ხალხისავე რწმენით კატის შველელს საიქიოში
ცხრა ევლესიას აანუწებინებო. ამიტომ კატის
მოკვლას უწვდა ერადებოდა. „შესაძლებელია,
რომ ეს შორეული გადმოცემა ამ ძველი წარ-
მოდგენის დაკარგულა ხმა იყოს. რომელიც
კაცს ამინდთან აყავირებდა. — აღნიშნავდა
ვ. კოტეტიშვილი.

ზურაბის მარტ ზევსურეთში ციხის დანგრე-
ვაზე მოგვათხრობს ერთი ხალხური ლექსი —
„იამბე ციხის ნაშლო“.

იამბე ციხის ნაშლო,
რა დრო გაქ გამოვილიო,
ვისიორა ავებული ხაო,
ვისი — რა ჩამოშლილიო,
ერთი სიტყვა ციხის ნაშლმა
ძალიან გასაკვიროო,
შალვას ავებული ვარ,
სინისა შედგა ძროხო,
სისხლის ღრა, შეუღდეს ზედიო
ბეგრი მაქ გამოვილიო,
ხევისებოს უცოთობებუო.

1 სეოგი მკაყალთია, „ფშავი“, გვ. 22.
2 იქვე.

1 ვ. კოტეტიშვილი, ხალხური თქმუბა,
1951 წ., გვ. 130.

მამის არ იყო დედელი,
 მოულოცია ჩემთვისა,
 ნურც მოგვრევა მტერიო.
 ზურაბმა ერისთვისწვილმა
 ვერ შემოცვალა ფერიო,
 ჩემს მკერდი და კალთები
 სულ სისხლით გადასერილიო,
 აღვისხვე გვერდზე მდგომია,
 ხეთისაგან მოლოცვილიო,
 ერთი უოფილა დღეღვლა,
 აღშაულელი ბერიო,
 იმან ასწავლა კატო,
 ზედ ხეზე დასკვლილიო,
 შიბი ცისავენ გაფრინდა,
 წიოდა როგორც გველიო!

როგორც ჩანს, ზურაბ ერისთავმა სასტიკი
 ბრძოლა აწარმოა ზევსურეთშიც. ძალით რომ
 ვერ დაიმორჩილა ზევსურები, გადაწყვიტა მო-
 ტუფებით ჩაეგდო ისინი ხელში. მან ხეში,
 თრუსის ხეობაში მოიწვია ზევსურების თავკა-
 ცები, მოუწყო ნადიში, დაათრო და შერე
 მოტარდებს იარაღა ახარა. იარაღურად მზედ-
 რებს დარია ზურაბი და თავები მოჰკეთა. ზე-
 ვსურებმა ბრძოდ ენდნენ მუხანათ ზურაბს. მათ
 მსპინძლისაგან დალატა ვერ წარმოედგინათ და
 დაჰყვნენ მას ნებას. ამ თავდასხმის დროს ცოც-
 ხლა ვადარჩა ზევსურთა აღუდა აღუდარტი,
 რომელმაც ზურაბის მხედვინე მოჰკლა და თავი-
 თონ თავს გაქცევით უშველა.

ამის გამო ზევსურეთში შეიქმნა მრავალი ლე-
 ქია. უოველი მოღვესე წყვეთა-კრულეთი იხსე-
 ნიებს დაუნდობელ ზურაბს:

სევდამც მოგზებების, ზურაბო,
 დავღვდედამც სისხლის წყალია,
 თრუსის აწიენ ზევსურნი,
 ხელით არჩიენ ყმანია,
 გაატბინე დოღვით:
 „ფარა მალაღეთ, ცხვარაო“,
 თრუსის შაბსენ მამურალნი,
 დანდობით დისქერ თავია.

ზურაბ ერისთავი, მეფისაგან დაფარულად,
 ტყვეებსაც შეიღდა, ან კიდევ ასაჩქარებდა. ამ
 ფაქტის დამადასტურებელი ცნობა შემოგვინახა
 ერთ-ერთმა ზევსურულმა ლექსმა, სადაც აღწაწ-
 ნულია, რომ მან მრავალი ქალი და რძალი გა-
 უთია, ხალხურ ლექსში ნათქვამია:

შენ, ერისთავ დიდო მთისაო,
 წაღო ჩვეოდს არავესაო,
 კი არ გეტყვოდი, ჩემო ბატონო,
 უოღა ნუ იყო შენის ტყვისაო.

ბევრი გაჰვიდე ქალი და რძალი
 გადაბატული შეკ-თვალ თმისაო.

ზურაბის ავტაცობა მთაში რამდენიმე წელს
 გრძელდებოდა, მაგრამ მთამ მაინც გატება ზუ-
 რაბის სიძლიერე. მრავალი ვაჟყაცის სიცოცხლე
 შეიწირეს ზურაბის აზნაურებმა, ფშაველ-ხევსუ-
 რთაც არა ნაკლებ „აწითლებინეს ქვიშანი“
 ზურაბის დაშქარს. გულწრფელი არავევის ერის-
 თავი ადვილად არ ჩამოშორდებოდა მთას, რომ
 მას თვალა მუმზან-ბატონის მამულისაყენ არ
 სჭეროდა.

ზურაბ ერისთავი თავის სამამრის, თეიმურა-
 ზის, უკმაყოფილო იყო, ვინაიდან ბაზალეთის
 ომის შემდეგ მან სამუხრანო ვერ მიიღო. თავის
 მხრავ თეიმურაზიც ვერ ურიადებოდა ზურაბის
 აღზევებას. იგი მას სამეფო მიწების მომტაცებ-
 ლად თვლიდა და ელოდებოდა ხელსაგრედ
 დროს, რომ ურჩა ემა თავიდან მოეშორებინა.
 ხეი და მთაფლეთი ძველთაგანვე ქართლის სა-
 მეფოში შედიოდა. ერისთავი აქ მხოლოდ მეფის
 მოხელე იყო; ფშავ-ხევსურეთი კახთა მეფის მა-
 შუელი იყო და სამეფო-რეკლ ამ ჩოლოვანშვი-
 დებს ჰქონდათ ჩაბარებული: მუმზანა კი ძველი
 საუფლისწულო იყო და თეიმურაზსაც ეს მიწა
 უფლისწულისათვის უნდოდა. ზურაბ ერისთავი
 კი არც ქართლის და არც კახეთის მეფეების
 უფლებებს არ სცნობდა.

ზურაბის მტრებმა ჩააგონეს თეიმურაზს —
 ეს მოუსვენარი კაცა თავიდან მოიშორეო, ზუ-
 რაბის მკვლელების პოვნა ძნელი არ იყო. მისი
 უკმაყოფილო ბევრი იყო როგორც მთაში, ისე
 ბარში. თეიმურაზმა ზურაბ ერისთავი საფურ-
 ცლეს დაიბარა, ნადამი ვადაუხდა, დაათრო და
 მოტარდასათვის თავი მოაყვეთინა.

ზურაბის მკვლელობას ისტორია ფართოდ აგ-
 ვიწერა ხალხურმა ლექსმა, სადაც ნათქვამია:

ახლა ვიბრძანებს სიმამრო,
 მიდი, საფუოცლეს მნაბეო,
 ადგე, წავიდა ზურაბო,
 მორთული თავის უმთათო:
 წამაეგებნენ ზურაბსა —
 მოკვინვედ მშვიდობითათო...
 ნილი მორთეს ზურაბსა —
 ზურაბ შევეცე ხილსაო,
 ვერ სეა და კამა ზურაბმა,
 მერმ პირი დამყო ღმინსაო,
 დაადგეს მერანეტურნი,
 დაამინებენ მილსაო,
 მოუსხდნენ მოღალატენი
 ახლოსა, უფრის ძობსაო!

ზურაბი მძლე ვაჟაკი იყო. აჯი მოღალატე-
ებმა ძალი დამტყვევებ. დამტყვევებ ზურაბს ვაჟაკი-
ვინა, ხმალს ზელი ვაჟაკი, მაგრამ ვეფხისტყაოს-
ნის, ამის შესახებ ლექსში ნათქვამია:

ზურაბმ კითხ-ვაკოვებულმა
ხმალს დამტყვევებ ვადანი,
ვამ, თქვენს ზურაბსა, ფშველებო,
ძალ დუბუბუაჲ მაგარი...

შეიქმულებმა ზურაბი მოკლეს. დაღაბით
საკვდილი ვაჟაკობად არ ითვლება, მაგრამ
ერისთავისაგან შევიწროვებულნი ხალხი ქება-
დიდებას ასხამს მას მკვლელებს. ერთ-ერთ ხა-
ლხურ ლექსში ნათქვამია:

ელში თულშიშვილო,
ვეფხვი ხარ, ველის კანკარი,
შენ მოკვალ ერისთავიშვილო,
ზურაბს შენ დაცე ხანკალი.

თულშიშვილის ვარდა, ზურაბის მკვლელო-
ბაში მონაწილეობა მადლიათ — თულშია მოუ-
რავს ბარამ ბატონს, ბედან უორნიბაშაძეს და
საგინაშვილს. ზურაბის სკვდილის შემდეგ მისი
იარაღი და ტანსაცმელი მკვლელებს ვაუწყაწილე-
ბით.

ხმლითა ქცა თუში მოურავმა,
დაქარით კახის შვილსაო,
ხანკალ ქცა უორნიბაშაძემ,
ბეგანმა ველისპარსაო.
თულში მოურავსა უბოძეთ
ზურაბის ცხენი საღარი,
ტყეაქაბა საგინაშვილსა,
ქული კათარის მალღარი,
ბატონ ბარამსა შაქვებმა
ზურაბის ქაშარ-ხანკალი.

ზურაბის სკვდილის ამხავი სწრაფად მოედო
შიელს საქართველოს. მის სკვდილს ვაწყა-
თრებულნი სხარულნი მისი ხალხმა გამოუწვე-
ვა. ეს სიხარული ხალხურ ლექსში შემდეგნაირ-
ად გამოიხატა:

გაგზანეთ მახარებელი
ფშვე-ბეგსტრეთში საგარი,
საფრცლეს მოკლეს ზურაბი,
ძილ დამბნეთ მაგარი...
ფშველ-ბეგსტრეთა უბნარით:
წელთით დამხსნან აქარი,
ფშველ-ბეგსტრეთა ქალ-ბაძელმა,
ძილ დამბნონ მაგარი.

ზურაბი ერისთავის სკვდილითი თეიმურაზი
სამეში ეწიხაგან ვათავისუფლდა. ვეფხისტყაოს-
ნის თიანეთი და მუხრანის, რომელიც ქართ-

ლის მეოთხე სადროში შედგა. ამხვე ხალ-
ხისთვის შედგა ქანა და არაგვის ბეობა-
ხლა თეიმურაზ მეფე ამ მამულებს სრული ბა-
ტონ-მატრონი იყო. თეიმურაზ მეფემ მოკვდილი-
ნა თეა ზურაბისათვის და უორნიბაშაძე ტროად-
ვაუწავა შაბ.

ნადამის დროს ზურაბ ერისთავი თავის სი-
მამრ თეიმურაზთან, მის ვეფხისტყაოსნის, ამ
მკვდილობის შესახებ არჩილ მეფე თეიმურაზს
ათქვეყნებებს: ზურაბ ერისთავი „გვერდ მაქდა,
ვბრძანე სკვდილი, სისხლი მან ზეშს წინ გაუ-
შო“.

არჩილ მეფის მოწმობით, თეიმურაზი თით-
ქოს ანამის „შვილის უმკვრივს კაცის“ — ზუ-
რაბის სკვდილს და ამბობს:

ვიდრე ცოცხალ ვარ ვინაო...
რად მოკვალ, ვით შემოკვალ
შვილის უმკვრივს, მისა რა
ნამსახური და კულაჲ სიძე,
სიკეოდ აქუს მოღვინსაოდა,
ლეთისა მუშინის კაცისაგან
მრტყენის ამისა ვეფხისტყაოსნის!

არჩილის ლექსით, თეიმურაზს სცხენიან
თავის ხაქვადის, ვაწიდან მან გამოუსწორებე-
ლა შეცდომა ჩაიღინა ზურაბის მოკვლით. მაგ-
რამ სინამდვილეში თეიმურაზ მეფემ ზურაბს
მოკვლით ხაქვითარი სიკოცხელ დამოღვია. მან
ერანის მუქრობელს მახსენა: „რაც მეფე სვი-
მონი ნათესავი იყო ზეში და ხელმწიფის
ბრძანებით თავის სამკვიდროზე ბატონობდა. ამ
თავისმან ეწამან (ზურაბ ერისთავი) უღალატა
და მოკლა. ეხლაო ჩვენს ვეფხისტყაოსნის წესით, რომ
ერთმანეთის სისხლს მოკვლითხავთ. ამისთვის
მოკვალით ზურაბი და თავი ხელმწიფის კარზედ
გვიახლებითა“.

ზურაბი ერისთავის სკვდილს სასოწარკვეთი-
ლებში ჩაუგდია მისი მოხუცებულნი დედა,
რომელიც ზურაბის დაქარავანს ისევ მის დაუდ-
გომელ ბუნებდა აბრძლებს. ხალხური ლექსით,
მხვადლით აჩემლ შვილს დედა შემდეგა სიტ-
ყებით დასტარის:

შენ დავენაცვლოს დედაო,
ზურაბ თეიმურაზებარო,
დაქარაო და დავუწელო,
ზედ წაშლდაუდებარო,
სიუშაწილით სიბურემდინ
შენ დღეში დაუდგარო!

თეიმურაზ მეფეს არც ის ვარემოება გამოე-
პარა, რომ მას საწმარობა მინც ელოდა იმე-

1 ვეფხისტყაოსნი, ქართული ერის ისტორია, ტ. 4, 1967, გვ. 357.
2 პეტრე უმეცაშვილი, ხალხური სიტყვი-
რება, 1937, გვ. 88.

რეთის მფლობელან ამიტომ ზურაბის მეუღლეს, ახლად დაქორციელებული თავის ქალიშვილი — დარქანს ცოლად შობოფა იმერეთის მეფის გიორგის ასეს — აღქვანდარეს. როგორც ხალხური ლექსიდან ჩანს, კახთ მეფის ასულმა და არავეს კახეთის ქვრივმა იმერეთის სამეფო ტახტზე უბილი ბინა ვერ იპოფა. თავისი ზედერთი უპოფილი დარქანს მამას სობოფს იმერეთიდან წაიყვანოს. ამის შესახებ იმავე ხალხურ ლექსში ნათქვამია:

იმერეთს რად ვამბობოფე,
თეიმურაზ ჩემო მამაო,
ჰვამ მომწყინდა ლომისა,
ვამბე, კახურო ვანაო.¹

როგორც ჩანს, ზურაბ ერისთავის შესახებ საქართველოს შთიან რაიონში ხალხმა შოფელი რიგი ლექსები და თქმულებები შექმნა. ამ ლექსებში მდამბო ხალხა წუფელა-კრულუთი იხსენიებს არავეის ერისთავებს, ზოლო, მეორე მხრივ, დიდებს შარავანდედით მოხაფს იმ გმირებს, რომლებიც ამ ვერაგი ფეოდალის წინააღმდეგ იბრძოდნენ. აჟად, აჟავი შინიძის მიერ მოცილებული და ჩაწერილი აქნა ოცდასამი ლექსი ზურაბ ერისთავზე. უნდა ითქვას, რომ ვეფელა ოცდასამა ლექსა ზეფურულია. ამ ლექსებს ემატება ფშაური, შოხუური, შთიფლურ-გუდამაურული და ქართლური ლექსები ზურაბ ერისთავზე.

თუ მხედველობაში მივიღებთ ამ გარემოებას, რომ ლექსებს, რომლებსაც ჩვენ ვიცნობთ, მეტწილად ჩაწერილია მე-19 საუფუნის მიწურულსა და მე-20 საუფუნის დასაწყისში, საფუძვლი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ ცოლან ლექსებს ბევრს ჩვენამდე არ მოუღწეფია, ან თუ მოაღწია, ისიც სახეშეცვლილმა; ერთი ვარაუდიც შეიძლება დაეფუფათ: ზეპირსიტყვიერების ნიშუფება, რომლებიც იქმნებოდნენ ახტორიულ მოუღენებიდან კარგა ხნის შემდეგ, შეიძლება აერთიანებდეს ზურაბის და ნეფზარის სახეღლთან დაეფუფირებულ ცალკეულ მოუღენებს.

კიდევ ერთი გარემოება გვინდა აღვნიშნოთ: მიუხედავად გიორგი საეაქის დამსახურებისა ქართველი ერის წინაშე, ქართულ პოეზიაში არსად არა ჩანს მისი სახე. დიდ პოურავზე შექმნილ ლექსს ჩვენამდე არ მოუღწეფია. პირველად 1925 წელს გ. ლეონიძეს ხალხური ლექსის ფრაგმენტი ჩავარდნია ზეღში. ლექსის შინაარსი შეზღეფია:

გვიე სიმ წამოგივიღა,
ის გოგბამდე ფარიო,
ჩასულა საეაქდითან
სიმგარეს შისცა შხაროო,
გამბრუნებს ქარს წისქვილო
ფრეშთა სისზღის წყალიო.¹

შობეფე გვიე გოგბამდე გიორგი საეაქის თანამედროფე უნდა იფოს, რომელსაც მონაწილეობა მიუღია 1625 წელს ირანელთა ამოფლეტაში.

გიორგი ლეონიძის გამოყვეფით, ლექსში ქარის წისქვილა კი არ უნდა იფოს ნახსენები, არამედ ქსნური წისქვილი, სადაც ბრძოლა მომხდარა გიორგი საეაქესა და ირანელთა ქარს შორის.

ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ შარავანდედით შეშოსა ერის ეთიფლდეფობისათვის წამებული რაინდეფი, სამუდამო მატანენმა შევიდამათი სახეღები, მაგრამ ხალხს ხოლხანში დარჩა ის პიროვნებებიც, რომლებმაც ჩვენი ერის ისტორიაში სისხლანნი ნაეაღეფი დატოვეს. ასეთი ადამიანები ხალხურსიტყვიერებას წეველა-კრულვის საგნად უქეფეფათ.

ქართულ ხალხურ საგმარო ლექსებს დიდი მნიშვნეღობა აქვს ჩვენი ქვეუნის წარსუღის დასახიბაოებღად; ფოლკლორისტეა თავის მხრივ მნიშვნეღოვან სამსახურს უწეფს ისტორიის მეციტირებას. ხალხური ნაწარმოებები შეიძლება ისტორიულ წყაროდ აქნეს გამოეფენებული. ზეპირი შემოქმედების შესწავღის გარეშე შეუძღლებღლა ხალხის ნამღეღი წარსუღის ცოღნა.

1 „სოღეფრატერული გაზეთი“, 1960 წ., № 29, გ. ლეონამდე, ჩემი უბის წიგნეაღდან.

1 დ. ურბნელი, „იფერიანი“, 1888, № 41.



ნიუნებელ მიმოხილვა

წიგნი ქართულ ტრადიციებზე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის გრაფიკით გამოქვეყნდა რ. გაფრინდაშვილის წიგნი — „ქართული ტრადიციების კვლევა“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1981 წ.). რომლის ანოტაციაში ვკითხულობთ: „ტრადიციების შესახებ საქართველოს კვლევითი კომიტეტის ცნობილი დადგენილება სხვა ამოცანების შორის ერთ-ერთ მთავარ უპრადღებას წააქრობს ზღვური ტრადიციების ფუნქციონირებისა და ისტორიული დინამიკის შესწავლას, ადათებისა და ჩვეულებების, გამოკვლევის თორმებისა და შინაარსის ანალიზს, მათს შეფასებასა და განვითარებას.

ამ მიზანს ემსახურება ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი როზა გაფრინდაშვილის ნარკვევი „ქართული ტრადიციების კვლევა“, რომელშიც აღწერილია მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის და თბილისის უმაღლეს სასწავლებელთა თანამშრომლების ერთი ჯგუფის მიერ მიწოდებული ექსპერიმენტული მუშაობის შედეგები.

წიგნის რედაქტორი პროფ. გელა ბანჭელაძე წინასიტყვაობაში აღნიშნავს: „ამ ნარკვევს არა აქვს მხატვრული ნაწარმოების პრეტენზია, მაგრამ მით უფრო მისასაღებელია, რომ ავტორი იძლევა ნაწიბისა და განცდილის აღწერისა და ეთნოგრაფიული მასალის მხატვრული გადმოცემის საინტერესო ცდას... ეს წიგნი სარგებლობას მოუტანს არა მარტო ქართული ტრადიციების შემდგომი შესწავლის, დაცვისა და განვითარების კეთილშობილურ საქმეს, არამედ, საერთოდ, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისა და განსაღი მორალური პრინციპების ცხოვრებაში დამკვიდრების ამოცანას“ (გვ. 5).

ავტორიც აღნიშნავს, რომ ექსპერიმენტ მიზნად დაისახა „საქართველოს უღამაზესი ადგილების მოწახულება“... და „მასალების შეგროვება ეროვნულ ტრადიციებზე“ (გვ. 114). მისავი თქმით, „ქართული ტრადიციების შესწავლის მიზნით ექსპერიმენტის მიზნობის იდეა მისინ ჩანს, როცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა თავის სოციალისტურ ვალდებულებებში გაითვალისწინა

ქართული ტრადიციების ეთიკური ასპექტების კვლევა ეს იყო 1971 წელს“ (გვ. 6).

მართლაც, როზა გაფრინდაშვილის წიგნი ძირითადად კარგად გადმოსცემს ნაწიბისა და განცდილს, აგი უდავოთ სარგებლობას მოუტანს ქართული ტრადიციების, უფროს, ზნე-ჩვეულებების შემდგომი შესწავლის საქმეს. წიგნი ცოცხალი ინტერესით აკაზხება და ბევრ კარგ ცნობას იძლევა. აღსანიშნავია ექსპერიმენტის წევრთა ძალზე მხურვალე დაინტერესება უფროს უცვლი დეტალით. ამ მომენტილია მასალის გადმოცემის საინტერესო ფორმა — მკითხველი თითქოს ექსპერიმენტის წევრებთან ერთად მოგზაურობს საქართველოს მიწა-წყალზე — საკუთარი თვალით ხედავს ამ წარმეტყულებებს, ხედავს და ესაუბრება სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთ და ა. შ.

უველადეტი ეს კარგი და მოსაწონია, იღონდ არ შეიძლება არ აღნიშნოთ ის მცირეოდენი უზუსტობისა და შეცდომები, რომლებიც წიგნში გაპარულა, აღმათ იმის გამო, რომ ექსპერიმენტის წევრებს დიდი დრო არა მქონდათ დამკვირდებით და საფუძვლიანად გასცნობოდნენ უველადეტს. მათ ზომ 18 დღეში ნახევარი საქართველო შემოიარეს ავტობუსით. ამით აიხსნება ავტორის უზუსტო შეცდომებიც, ან ზოგიერთი მათგანი:

1. ავტორისეული დოკალიზაციით, ირუსოს ზეობა პირიქითა ზევსურეთია, რამდენადაც ის დათვის უფლებებისის გადაღმა. „კავასიონის ქედის ჩრდილოეთ კალიებზე“ მდებარეობს, ისეთიარადაც შეიძლება გაეგოთ, თითქოს ირუსო-პირიქით ზევსურეთი კი არ არის, არამედ პირაქეთ ზევსურეთშია საგულეებელი, ვინაიდან ავტორი ასახელებს ირუსოდან არღონის ზეობაში გადასასვლელს (გვ. 10). მაგრამ, ასეა თუ ისე, ზევსურეთში ირუსოს ზეობის არხეობა სრული გაუგებრობაა. ავტორისთვის ცნობილი უნდა უოფილიყო, რომ ირუსოს ზეობა უაზუბეის რაიონის ტერიტორიაზეა და მოიცავს მდ. თერჯის ხაზავებს.

2. ავტორს განუზრახავს მკითხველისთვის გარკვეული წარმოდგენა შეეკმნა ზევსურულ სოფელზე, როგორც დასახლების ერთეულზე და

ამ მიზნით სოფ. გუდანი გამოუყვია, მისი აზრით, „გუდანი ტიპურია ზევსურული სოფელია. საზღვრებს უმეტესობა ერთმანეთზეა მიშენებული, ისლის ბრტყელი საზურავებითა და საქონლის სადგომებით“ (გვ. 12).

სადიოდ არ უხვით იმას, რომ დასახლების ფორმით (მჭიდრო დასახლებით) გუდანი ერთ-ერთი ტიპურია ზევსურული სოფელია, მაგრამ მისი ეს ტიპურობა სიტუაცია ვახდებოდა, რომ საზღვრებს ისლის ბრტყელი საზურავებით წარმოვყვებოდა, ავტორს უნდა შევასწავლოთ, რომ ზევსურეთში იყო მიწურბანინა საზღვრი.

3. გუდანის ქვაბის როგორც საკულტო ნაგებობის აღწერისას შენიშნულია: „სულ ახლოს პატარა გომურია, ცნობისმოყვარე თვალი გომურის კუტრუტანაში შენიშნავს ვივერთივლა საბაღენის ქვაბს, რომელსაც ალბათ ზატობაში არცის გამოსახდელად სწარმოებენ; აქვე 3000მ-სკრელა ვარცლი და ფკვილიანს ტომრებია მომარაგებულა“ (გვ. 11).

ავტორს რომ ნებისმიერი ზევსურისათვის ეყოფა, პასუხად მიიღებდა — ზატის გვერდზე გომურის კი არ იდგა, არამედ ზატის ბეღელი ან საკოდნ, სადაც დღევანდისათვის საქარო კურტყელი და სურსათი ინახებოდა. ადგილზე გამოკითხვითვე ვაარკვევა — საბაღენის ქვაბი არა-უხისთვის იყო გასუფთვინილი თუ დღვის გამო-სახდელად.

4. ავტორის ცნობით, „ზევსურება ზატს სწირავდნენ თურმე უველაფერს, თუკი რამ საუკეთესო ჰქონდათ; ასეთი შესანიშნავი მეტწილად მამული უოფილა“. მისივე განმარტებით, ზატის საზღვრზე შეწირულ მამულს, „კოლექტორად ამოუყვებდნენ და მოხადალსაც თანაბრად იყოფდნენ“ (გვ. 11).

ზატის საზღვრზე რაიმეს შეწირვის წესი ზევსურეთში, ისევე როგორ საქართველოს სხვა კუთხეებში რომ არსებობდა, ეს საკმაოდ კარგადაა ცნობილი ეთნოგრაფიული ლიტერატურით. ცნობილია ისიც, რომ სადოკავის სახელზე უმთავრესად სწირავდნენ თეთრ მონეტებს, ნანადირის რქებს და ა. შ. ვინც ზატს სავანეებო დახმარებას შესთავაზებდა, ის სწირავდა ვერცხლის თასს თავისი წარწერით ან სხვა მსგავს ნაქეთობას. რაც შეეხება უველაფერი საუკეთესოს შეწირვას, ეს ვახუალებულია ვანსაკურთრებთ ეს ენება ცნობას, თითქმის „ასეთი შესანიშნავი მეტწილად მამული უოფილა“. ავტორმა უნდა იცოდეს, რომ მამულეობას ნაკლებობით გაკირვებული ზევსურები ამის შესაძლებლობას მოკლებულნი იყვნენ. და თუ ზატის საზღვრზე მამულეები არსებობდა, ეს იყო უმთავრესად ოჯახის ამოწვევების შემდეგ უპატრონოდ დარჩენილი მიწა, ან უმეტეადროდ ზეოფი პირის მიერ ზატისთვის შეწირულად მამული თავისი სულის მოსახსენებლად, აქვე იხილ უნდა

იოქვას, რომ ზატის სახელზე შეწირული მამული სოფელში მორიგეობით ამოუყვებდნენ და ში-სავალს თანაბრად კი არ იყოფდნენ, როგორც ეს რ. ვაჭრინდაშვილს წარმოუდგენია, არამედ დღვისაწადლებისათვის სასმელის დასამზადებლად იყენებდნენ.

5. რ. ვაჭრინდაშვილსა და მის კოლეგებს ზევსურეთში წაწლობის კვლიც უძებნიათ, სოფ. ხაშატში ამის შესახებ უცისხვით ტაროდ აღუდარისათვის, რომელსაც იმ წელს ჰქონია დამთავრებული ბარისახოს სკოლა-ინტერნატო (გვ. 10-11). რასაკვირველია, ამავე გარკვეულ პასუხს ვერ მიიღებდნენ ვერ ერთი ამიტომ, რომ ასეთი საჩივარო საკითხზე 17-18 წლის ქაბუკი მინარობლად ვერ გამოდგებოდა. მეორეც ამიტომ, რომ ნებისმიერია ზევსურია არასერიოზულად მიიჩნევდა ამგვარ შეკითხვას, ვინაიდან ზევსურეთში იყოდნენ არა წაწლობა, არამედ წარმოგრობა, თუკვიში არსებული ჩვეულებების ზევსურეთში ძებნა ახლავია, ამაო საქმეა.

6. ავტორი აღნიშნავს, რომ ზევსურეთში ქალს ზატის ახლოს მიხვლა ეკრძალებოდა. იქვე აკონდებმა თუშეთში მოგზაურობის ენაზოდი, რომელსაც თუშ ქალებს მისთვის შობიდან დაუძახიან, რომ მამაკაცებთან ერთად ზატს ახლოს არ მიშულყო და დასძინს: „დღემდე ვერ ვავიკვი, ზუმრობდნენ თუ სერიოზულად შეუბნებოდნენ“ (გვ. 11).

საქმე ის არის, რომ თუში ქალები ავტორს კი არ ეუბნებოდნენ, არამედ სერიოზულად ეუბნებოდნენ, რომ რელიგიური რწმენის მიხედვით ქალს ზატში მისვლა ეკრძალებოდა. ტრადიციების ეთიურ ასპექტში კვლევისათვის პირველ რიგში სწორედ ასეთი ჩვეულებები უნდა წარმოადგენდნენ დეკირვების საფანს, თანაც, ქალის შესახებ ამგვარი შეხედულება იმდენად ცნობილია ეთნოგრაფიული ლიტერატურით, რომ ავტორს თუში ქალებს ნათქვამი საორტოფოდ არ უნდა ვახუდა.

7. ზევსურეთში ვაჭრისას ავტორის უურადლება მიუქცევია გლოვა-დასაფლავების წესის ზოგიერთ თავისებურებას. მისი ცნობით, ზევსურეთში „რაც უფრო შეძლებულია ოჯახი, მით უფრო ადრე მარხავს მიცვალებულს — მესამე ან მეხუთე დღეზე“ (გვ. 28). ამასთან დაკავშირებთ საუბრებადებოდა, რომ სამეგრელოში მერვე დღეზე ასაფლავებენ და ასეთი ვახანგრძლივება მიცვალებულის დაფასებად იოქვება (გვ. 47). საფორტებელია, რომ გლოვის ვახანგრძლივება ზევსურეთშიც მიცვალებულის დაფასების მოტივით იქონს ნაკარანბუკი, მაგრამ მართიად მიზეზად საკულეებელია ტრადიციის დახმარება შეხანწერის აღებას მიზნით. ავტორს მართებდა აქვე აღნიშნა, რომ ზევსურეთში და საქართველოს სხვა კუთხეებშიც მიცვალებულს მესამე დღეს ასაფლავებდნენ. რელიგიით შემაგრებული ამ ტრადიციის რღვევა დაკავშირებულია შემოსავლით დაინტერესებასთან, როგორც



მოგვიანებით შემოკრიბდნენ ნეგატიურ მოვლენასთან.

8. ნაშრომში აღნიშნულია, რომ „მიცვალებულის ოჯახს ხარჭებისათვის ნათესავეები და მეზობლები არ ეხმარებიან, უბრალოდ ტარებენ დაუფრანს ოქმით, დახმარება სარცხვალად ითვლება“ (გვ. 27). ავტორს მართებდა დაკონსერვაცია იმისა, თუ რა შემთხვევაში იყო გამორიყული ჰიპოთეზებისადმი დახმარება. სერიალული მთხრობელი უთუოდ ეტყობა, რომ ეკონომიკურად გამართული ოჯახი დახმარების მიღებას თვალსაზრისით განიხილავდა, განსაკუთრებით კი კვარა-ობლებისადმი შემწეობა არაჰყ თუ სირცხვილად ითვლებოდა, აჩაყმედ სოფლისა და თემის მოვალეობას შეადგენდა.

9. გაგვიადებულადაა წარმოსახული დოღში მონაწილეთა დასაქმების წესი. დოღში გამარჯვებულს ნაჭურჭად აღწევდნენ მიცვალებულის რაჰმე წილს, ცხვარს, უფრო შიშვარს ღირებულების ხაყანს. მაგარამ არა ხარსა და ძროხას, როგორც ეს დღეორშია აღნიშნული (გვ. 27).

10. დღესასწაულებისადმი ზევსურთა დაწყობებულების შესახებ ნათქვამია: „მონახლეობა აქ ტერიტორიულად უყოველთა დაშორებული იყო ერთმანეთს. ამიტომ, განსაკუთრებით უხარბათ ზევსურებს დღესასწაულების მოახლოება; ქორწილები და თვით დასაფლავებაც კი დღესასწაულის სახეს ღებულადა“ (გვ. 25).

გაუგებრობაა იმის თქმა, რომ მონახლეობა დაშორებული იყო ერთმანეთს და თანაც უყოველთაის. ზევსურთში, ისევე როგორც უველგან, ზოგი სოფელი მეორე სოფელთან შიკს იყო და ზოგიც ახლოს. ამდენად, ამ მოტივით შეფუძებულია იმის მტკიცება, რომ უყოველგარი მიწეში ხალხის შერევისა და შით შიკის დასაფლავებაც კი დღესასწაულის სახეს ღებულადა. ამ შემთხვევაში ხელადებით უფლებებულად იხვესურული გლოვის რიტუალი, რაც მიმედ მიწხარებისა და განცდების გამოხატულება იყო და აჩა სადღესასწაულო განწეობისა.

11. ზევსურთში დასაფლავების ძველი და ახალი წესების ურთიერთშედარების საფუძველზე ავტორი დაასკვნის:

„როგორც ვნახეთ, დასაფლავების ძველი წესებიდან დღეისათვის დაიყრებულია ის წესები, რომლებიც ცრუმორწმუნეთათთანაა დაკავშირებული. ზოლო შემორჩენილია ის ჩვევები, რომლებიც მიცვალებულის ხსოვისს პატივისცემას გამოხატავს და ცოცხლად დაჩენილთათვის ურთიერთთან შეხვედრებისა და ნათესაური კავშირების აღდგენას ემხარება“ (გვ. 28).

მიცვალებულის დასაფლავების ძველ წესებთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები ზევსურთში თუ უკვე დავიწყებას მიცემია, ცრუმორწმუნობა კიდევ უფრო შესუსტებულა

დალ უნდა წარმოვიდგინოთ საქართველოს კულტურებში, რამდენადაც ძველი წესები და რელიგიური ცრუმრწმენების კონსერვაციის მხრედ ზევსურთში ერთ-ერთი გამორჩეული ეუთხვა. ვითარებას რომ ასე შევხედოთ, თითქოს შემორჩენილი ჩვევები მხოლოდ „მიცვალებულის ხსოვისს პატივისცემას გამოხატავს“... მაშინ აღარ დაგვიბრბებოდა ბრბოლა გლოვის დროშოშული ჩვეულებებისა და ცრუმრწმენების წინააღმდეგ სინამდვილეში კი ამ ბრბოლაში სინდვლებებს ქმნის პარველ რიგში მიცვალებულის გლოვის დროშოშული ჩვევები (რომელთა მანველია გამოხატულებას კოულობის რელიგიური რწმენა-წარმოდგენებში) და ჩვენს ეპოქაში წარმოქმნილი ზოგერთი ნეგატიურაწესები, რაც ვლინდება დიდ ხარჭებში, ხალხბრბავლ ქველებში, ფულად ურთიერთობაში თუ ძვირადღირებული საფლავების ეთებაში.

12. აშკარა უწესტობას აქვს ადგილი გლოვის ხანგრძლივობის შესახებ. ავტორის აზრით, შთარებაში „როგორც შემდეგ უველას შეუძლია გაიაროს წვერი და გაიხადოს სამკლოვიარო საშობი, ქვარეხაც კი“ (გვ. 41). ქვემო რაჭაში კი „ქალები წლამდე შავებს ატარებენ წლის თავზე ხედას ოჯახის „გახსნა“. რის შემდეგც ოჯახი აღბრბილდ ცხოვრებას უბრბდება“ (გვ. 45). რაც შეეხება სვანეთს, აქ „როგორცამდე წვერს არ იპარავს მიცვალებულის არც ერთი ნათესავი, ქალები ერთ წლამდე ატარებენ შავებს. თუ ძალიან სამწუხარო კინმე ვარბადიყვალა, შავები ორ წლამდე აყვით. ზოგქერ მთელი სიცოცხლე“ (გვ. 52).

ციტირებულნი ადგილების მიხედვით ჩანს, რომ ავტორი წეს-ჩვეულებების დაუყრებელ განსხვავებას ხედავს შთარებაში და ქვემო რაჭაში და ელბ წარმოდგენას ქმნის აქ არსებული გლოვის რიტუალზე.

13. ავტორს სჭება, რომ სვანეთში ვიწრო კოშკებს იშობა ამწენბდნენ, რომ „ვიწრო კოშკი უფრო ადვილი და ჩქარა ასავებია“ (გვ. 58). ამ „არგუმენტის“ საფუძველად იუენებს ერთ გადმოცემას, თითქოს ორი გვარი ერთი მეორეს გადამტრბებია და თავდაყვის მიწით ორივეს კოშკის მწენბლობა წამოუწყია. „როცა მწენბლობისათვის საფუძველი ჩაუტრბათ, ერთ-ერთი მოქიშე გვარის კაცებს, გვიან, დამით, მოწინააღმდეგის კოშკის საფუძველი მოუშლიათ და ახალი, უფრო ფართო გამოუწყვიათ. მწენბლებს ვერ შეუშნვნიათ მტრების განწრბხვა და ამ ახალ, ფართო საფუძველზე დაუწყვიათ დაამწენბა, მაგარამ მწენბლობა ამით ბევრად უფრო გართულბებულა და გახანგრძლივბულა. ამასობაში, შით მოქიშე გვარს მწენბორი კოშკი წამოუტრბათ და ჩახაფრებულან კიდევ“ (გვ. 59).

კოშკს რომ თავდაყვიით მნიშვნელობა ქონდა და შას ამ დანიშნულებით გვარი ან ოჯახი იყენებდა, ეს ცნობილია, მაგარამ წარმოდგენა

იმისა, რომ გვარმა მოქიშე გვარს კოშკის საფუძველი მოურღვია და გვიან ღამით ახალი საძირკვლის ჩაურაც კი მოასწრო, და თანაც იმის დაქრება, რომ ამხელა ცვლილება პატრონმა ვერ შეამჩნია, ზღაპრის დონეზედაც კი წარმოუდგენელია. ნუთუ ასეთ მარტავ საქმედ მიიჩნია ავტორმა დაბეტონებული საძირკვლის დაშლა, სამშენებლო მასალის მოტანა, ხსნარის მომზადება და მერე მისი ფართო გეგმით ამოშენება ნახევარი ღამის განმავლობაში, სად იმყოფებოდნენ ამ დროს მშენებარე კოშკის პატრონები და რაით ვერ შენიშნეს ეს სასწაულებრივი ცვლილება?

14. ორიგინალურ მიდგომას იჩენს ავტორი ფირაღობის მიმართაც, რასაც გუროის მომზიბლავ ბუნებასთან კავშირში განაზილავს, მისი გააზრებით, ფირაღობის გამოშწევვა მიზეზი ტყით შემოსილი მთების მიშვიდველობა უოფალი: „ახლა კი მისმის, რატომ გარბოდნენ გურულები ფირაღად: ასეთ მთებში და ტყეებში შეუც კი ვაგიქცეოდი“ (გვ. 102).

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს უზუსტობანი ვანაპირობა სპეციალური ლიტერატურის გაუთვალისწინებლობამაც, უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს ზოგიერთი წყაროს თუ ნაშრომის გამოყენების მეთოდიც. მაგალითად, რ. ვაფრინდაშვილი გვაუწყებს, რომ ივ. ჭავჭავაძის ხელნაწერებში ვასცნობია არქანჯელო ლამბერტის ცნობებს შეგრელთა გლოვის წესებზე, ხოლო თანამედროვე ვითარებასთან მისი შედა-

რების საფუძველზე ფიქრობს: გენჯილქოქი მქეჟი ღიან ძველი ცნობები, თორემ ასეთი რამ ახლა აღარსად შეგვხვედრია“ (გვ. 88). გიულდენშტედტის (წიგნი გვხვდება გულდენშტედტის მიერ ხონში გლოვის წესების აღწერილობაც რ. ვაფრინდაშვილის ივ. ჭავჭავაძის ხელნაწერებში უძებნია (გვ. 88).

ავტორს უნდა შეეახენით, რომ როგორც არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“, ისე გიულდენშტედტის ორტომეული ქართულადაა გამოცემული, რომლებითაც მას შეეძლო ესარგებლა ივ. ჭავჭავაძის ხელნაწერების გაჩეხე. ავტორს ისიც უნდა მოეგონოთ, რომ იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი სამეგრელოში XVII საუკუნეში იმყოფებოდა, რაც თავისთავად გამორიცხავს ავტორისეულ აღზაობას „ძალიან ძველი ცნობების“ შესახებ.

ეს ცალკეული უზუსტობანი წიგნის დირსებას წარდილს ვერ აუენებენ. როგორც ვთქვით, აქ ბევრი რამ არის საინტერესო, როგორც ზევსურეთის, ისე რაჭალეჩხუმის, სვანეთის, სამეგრელოს, აჭარის, მესხეთ-ჭავჭავთის ენოგრაფიული შესწავლის თვალსაზრისით და უკვლადერი ეს, მთელი ეს მასალა წიგნი მოცემულია ცოცხალი თბრობის სახით; წიგნი ზალისით იკითხება და მრავალ ძვირფას ცნობას შეიცავს ჩვენი რესპუბლიკის ცალკეული კუთხეების შესახებ.

პალმირან ითონიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი



ბ. 126



ფანო 80 333.

050360
76128

«М Н А Т О Б И»

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ